საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია



1-ლი აპრილი - 16 ნოემბერი

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

1-ლი აპრილი - 16 ნოემბერი

თბილისი
2025

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნები 6

რეკომენდაციები 11

სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია 17

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 17

მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია 18

ანგარიშის ლიმიტები 21

I ნაწილი – პოლიტიკური კონტექსტი და სამართლებრივი გარემო 22

პოლიტიკური კონტექსტი 22

1. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება 23

2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული სტილის კანონი 24

3. პოლიტიკური პარტიების აკრძალვის ინიციატივა 32

პოლიტიკური სპექტრი 32

1. მმართველი პარტია 32

2. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი 34

3. „ქართული ქარტია“ 36

საკანონმდებლო ცვლილებები 36

1. საარჩევნო სისტემა 37

2. გენდერული კვოტების გაუქმება 37

3. დელეგატის ცნების შემოღება 39

4. პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმება 40

5. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესში ცვლილება 41

6. „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი 41

7. ე.წ. „ოფშორების კანონი“ 43

საარჩევნო ადმინისტრაცია 43

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია 44

1.1. ცესკოს დაკომპლექტება 44

1.2. ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირება 47

1.3. ცესკოს ბრიფინგი ოპოზიციური პარტიის საჩივრებთან დაკავშირებით 48

2. საოლქო საარჩევნო კომისიები 49

3. საუბნო საარჩევნო კომისიები 51

4. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია 53

საარჩევნო უბნების გახსნა საზღვარგარეთ 54

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება და აუდიტი 57

II ნაწილი – წინასაარჩევნო გარემო 64

ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა და საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება 64

1. მასშტაბური ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები 65
2. მასშტაბური ამნისტია 71
3. მმართველი პარტიის ღონისძიებებზე საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა მობილიზება 72
4. უკანონო აგიტაცია წინასაარჩევნო პერიოდში 79
5. ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა 82
6. ამომრჩევლის სავარაუდო დაშინება 83
7. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სხვა შემთხვევები 84
საარჩევნო კამპანიის თავისუფალ გარემოში განხორციელებასთან დაკავშირებული დარღვევები 87
1. წინასაარჩევნო კამპანიასა და სამოქალაქო აქტივიზმში ხელშეშლა 87
2. პოლიტიკური ნიშნით ძალადობა 89
3. პოლიტიკური ნიშნით სხვისი ნივთის დაზიანება 93
4. სააგიტაციო მასალის დაზიანება 94
სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება 95
1. კლეოპატრა ქარუმაშვილის საქმე 95
2. საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლების გათავისუფლება 96
საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ხელშეშლა 98
1. ისნისა და მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერი წევრების საქმიანობაში ხელშეშლა 98
2. საოლქო კომისიის წევრების საქმიანობაში ხელშეშლა ოზურგეთში 98
3. ოზურგეთში საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ „სიების შედგენა“ და ოპოზიციური წევრებისადმი ფიზიკური ძალადობა 99
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები 100
1. წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ რეკლამაში სიძულვილი ენის გამოყენება ლგბტქი+ ადამიანების მიმართ 100
2. საარჩევნო რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება 103
3. კვალიფიციურ სუბიექტად აღიარება 105
ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებები 106
1. პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგისტრაციის გაუქმება 107
2. სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“ საქმე 108
3. სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საქმე 110
მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 111

III ნაწილი – არჩევნების დღე 113
ცვლილება წილისყრის პროცედურასთან დაკავშირებით 113
საარჩევნო უბნის მომზადება და გახსნა 114
1. საარჩევნო უბნის გახსნა 114
2. კენჭისყრის ოთახის არასათანადო მოწყობა 114
კენჭისყრის პროცესი 116

1. კენჭისყრის დაგვიანებით დაწყება 116
2. ამომრჩევლის დაშვება უბანზე, მარკირების პროცედურა 116
3. განმეორებით ხმის მიცემა/ვერიფიკაცია 118
4. ბიულეტენის გაცემის წესის დარღვევა 119
5. არასათანადო დოკუმენტით ხმის მიცემა 119
6. არაუფლებამოსილი პირის საარჩევნო უბანზე ყოფნა 120
7. რიგები საარჩევნო უბანთან 121
8. ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარვეზები 122
8.1. ვერიფიკაციის აპარატების ხარვეზები 124
8.2. მთვლელი აპარატების ხარვეზები 126
8.3. ცესკოსთვის ინფორმაციის გადაგზავნა 126
ამომრჩევლის ნების კონტროლი 127
1. აგიტაცია საარჩევნო უბანზე 128
2. უბნის შიგნით ამომრჩეველთა აღრიცხვა 129
3. წინასწარ მონიშნული ბიულეტენები 129
4. კამერები უბნებზე 130
5. დარღვევები საარჩევნო უბნის პერიმეტრზე 131
5.1. 25 მეტრის რადიუსში სააგიტაციო მასალის
განთავსების აკრძალვის დარღვევა 131
5.2. 100 მეტრის რადიუსში ამომრჩევლის ფიზიკური შეფერხება,
აღრიცხვა და ადამიანთა შეკრება 132
6. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატის ბოროტად გამოყენება 133
დამკვირვებლის საქმიანობაში ხელის შეშლა 134
ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა 136
1. ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა -
მარკერის კვალის „გაჟონვა“ 137
2. გაფუჭებული ბიულეტენების შენახვის წესის დარღვევა 140
3. ფარულობის დარღვევის სხვა შემთხვევები 141
ძალადობრივი ფაქტები და წესრიგის დარღვევა უბანზე 143
ხარვეზები ამომრჩეველთა სიაში 145
გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურების დარღვევა 146
შედეგების დათვლა და შეჯამება 147
1. ბიულეტენების ბათილობა/ ნამდვილობა 147
2. საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა 148
კომისიის წევრის მიერ ფუნქციის არასათანადოდ
შესრულების სხვა შემთხვევები 148
კომისიის საქმიანობაში არაუფლებამოსილი პირის ჩარევა 151

შემაჯამებელი დასკვნები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე წარიმართა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა არაერთი სისტემური დარღვევა, რომლებიც გავლენას ახდენდა როგორც წინასაარჩევნო გარემოზე, ისე არჩევნების დღის მიმდინარეობასა და შემდგომ მოვლენებზე. საიას მიერ განხორციელებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას, ასევე კონკრეტული დარღვევების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებას. მისიამ მოიცვა საქართველოს 11 რეგიონი და საზღვარგარეთ გახსნილი 22 საარჩევნო უბანი. დამკვირვებლები სისტემურად იკვლევდნენ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩეველთა მოსყიდვის, დაშინების და მათზე ზეწოლის შემთხვევებს, აგრეთვე, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების პოლიტიკური მიკერძოებულობის ნიშნებს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე. მმართველი პარტია აქტიურად იყენებდა ანტიდასავლურ ნარატივს და ზეწოლას ახდენდა სამოქალაქო სექტორზე. საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი მოვლენა იყო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული სტილის კანონის მიღება, რომელიც არაპროპორციულად ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის თავისუფლებას, იმავდროულად, საერთაშორისო პარტნიორების შეფასებით, შეუსაბამოა დემოკრატიულ ღირებულებებსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან. კანონის მიღებამ საზოგადოების მასობრივი პროტესტი გამოიწვია. საპასუხოდ, ხელისუფლებამ პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ უკანონო, არაპროპორციული ძალა გამოიყენა, მათ შორის, სამართალდამცავებისა და არაფორმალური აგრესიული ჯგუფების მეშვეობით.

გამოვლინდა აქციის მონაწილეების დაკავების, მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის, სატელეფონო მუქარის შემთხვევები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების ოფისებზე თავდასხმის ფაქტები.

საქართველოში დემოკრატიული უკუსვლის პარალელურად, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (აშშ) არაერთხელ განაცხადეს, რომ საქართველოში დემოკრატიული სტანდარტები გაუარესდა. ამას მოჰყვა რამდენიმე ქართველ მაღალჩინოსანთან მიმართებით სანქციების დაწესება. 2024 წლის ივნისიდან აშშ-მა და ევროკავშირმა ეტაპობრივად დააწესეს სავიზო და ფინანსური შეზღუდვები „ქართული ოცნების“ წევრებისა და მათთან ასოცირებული პირების მიმართ. მათი სახელები ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, თუმცა ცნობილია, რომ სანქციები შეეხო როგორც მმართველი პარტიის მაღალჩინოსნებს, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებულ პირებს. ეს განპირობებული იყო არა მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში მიღებული სადავო საკანონმდებლო ცვლილებებით, არამედ იმ მასშტაბური დარღვევებით, რომლებიც მთელი საარჩევნო ციკლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ევროპარლამენტმა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ვერ დაიწყებოდა, თუ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების უკუსვლა გაგრძელდებოდა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, სრულად პროპორციული წესით ჩატარდა. შენარჩუნდა 5%-იანი ბარიერი, რამაც გაართულა მცირე და ახალი პარტიების პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობა. საარჩევნო წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონმდებ-

ლობაშიც. ცვლილებების უმეტესობა მმართველი პარტიის ინიციირებით, რეალური კონსულტაციების გარეშე მიიღეს.

გაუქმდა გენდერული კვოტები, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა და შეამცირა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შანსები. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსში გაჩნდა დელეგატის ინსტიტუტი, რამაც პროპორციულ სისტემაში მაჟორიტარული ელემენტი შემოიტანა და მმართველ პარტიას რეგიონებში საარჩევნო პროცესებზე გავლენის მოხდენის მეტი საშუალება მისცა. ასევე, შეიცვალა პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის გაუქმებისა და დაფინანსების წესები. შედეგად, შესაძლებელი გახდა გარკვეული პარტიების დარეგისტრირებაზე უარის თქმა და ზოგიერთი სუბიექტისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შეზღუდვა. საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებს შორის აღსანიშნავია ახალი რეგულაციები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის წესებსა და უფლებამოსილებებს ეხებოდა, რამაც, საბოლოოდ, ცესკოსა და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების დამოუკიდებლობის დასუსტების რისკი გააჩინა. მათ შორის იყო ცესკოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის დაწევა 2/3 უმრავლესობიდან უბრალო უმრავლესობამდე. ამ მოწესრიგებით, ცესკოში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიები სრულად გამოეთიშნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ახალი რეგულაციის საფუძველზე, ცესკომ წინასაარჩევნოდ შეცვალა წილისყრის პროცედურის ჩატარების დრო, რომელიც იქამდე არჩევნების დღის განუყოფელი ნაწილი იყო. ახალი წესის მიხედვით, ეს პროცედურა უნდა ჩატარებულიყო არჩევნებამდე არაუგვიანეს 7 დღისა. 2024 წელს ასევე შეიცვალა ცესკოს დაკომპლექტების წესი. ცვლილებებით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს, წარმომადგენლობითი ორგანოს პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი პირველ ჯერზე ვერ შეძლებს 90 დეპუტატის მხარდაჭერის მოპოვებას, განმეორებით კენჭისყრაზე მას ორჯერ ექნება შანსი, 76 დეპუტატის ხმა მიიღოს და 5 წლის ვადით დაიკავოს თანამდებობა. თუ პარლამენტში ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადასაწყვეტად პრეზიდენტს გადაეცემა, თუმცა, ერთპარტიული უმრავლესობის პირობებში, პროცესის ამგვარად განვითარების ალბათობა მინიმალურია. ცვლილებების შედეგად, ასევე გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლისთვის იყო განკუთვნილი და ბალანსის შექმნის ერთ-ერთ სიმბოლურ მექანიზმად მიიჩნეოდა.

ცესკოს როლი განსაკუთრებით გაძლიერდა საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ფონზე, რომლებიც, ძირითადად, მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურებოდა და ზრდიდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზების რისკებს. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ცესკოს დაკომპლექტების წესი მნიშვნელოვნად მოდიფიცირდა, რამაც მის დამოუკიდებლობასთან მიმართებით დამატებითი კითხვები გააჩინა. ამასთანავე, მის მიერ წილისყრის პროცედურის წესის ცვლილებამ გააძლიერა ეჭვები იმის თაობაზე, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ამ პროცედურებს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ადაპტირებდა. ასევე, ინსტიტუტის ზოგიერთი გადაწყვეტილება, მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები, მიუთითებდა ადმინისტრაციის მიკერძოებულობასა და არათანაბარ მოპყრობაზე სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მიმართ. მნიშვნელოვანი კრიტიკა დაიმსახურა ცესკოს მიერ საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და მართვის პროცესმაც. საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო არჩევნების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის - კენჭისყრის ფარულობის სისტემური დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ტექნიკური მხარე, ოფიციალურად, მეტწილად, აკმაყოფილებდა შესაბა-

მის მოთხოვნებს, ცესკოს მოქმედებები წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და შემდგომ, დავების განხილვის ეტაპზე, ცალსახად მიუთითებდა, რომ მისი გადაწყვეტილებები უფრო მეტად ემსახურებოდა მმართველი პარტიის ინტერესებს, ვიდრე საარჩევნო პროცესის სანდოობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას.

2024 წელს ხელისუფლებამ დაამტკიცა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად აუარესებდა საარჩევნო გარემოს. მათ შორის იყო „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი, რომელმაც მკვეთრად შეზღუდა ლგბტქ თემის უფლებები და სახელმწიფო დონეზე შექმნა მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი. ამ კანონის მიღებას წინ უძღოდა ხელისუფლების მიერ წარმოებული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ლგბტქ თემის მიმართ სიძულვილის გაღვივებას და საზოგადოების პოლარიზაციას. მეორე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივა იყო ე.წ. „ოფშორების კანონი“, რომელიც საგადასახადო შეღავათებით ახალისებდა ოფშორული კომპანიების მიერ საქართველოს ეკონომიკაში ფინანსური რესურსების გადმოტანას. კანონპროექტის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მისი მთავარი მიზანი იყო მმართველი პარტიის ფინანსური ინტერესების დაცვა და პოტენციური საერთაშორისო სანქციების ეფექტის შესუსტება.

წინასაარჩევნო პერიოდში კრიტიკულად შეფასდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (კომუნიკაციების კომისია) მუშაობა. მან არაერთხელ გამოიყენა თავისი ბერკეტები ოპოზიციური მედიის წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა როგორც ფინანსური სანქციების დაწესებაში, ისე რეგულაციებით მანიპულირებაში. წინასაარჩევნოდ კომუნიკაციების კომისიამ არაერთი სადავო გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ იყო მიმართული.

საარჩევნო პროცესში უარყოფითი როლი შეასრულა ანტიკორუფციულმა ბიურომ, რომლის საქმიანობაც უკავშირდებოდა როგორც პოლიტიკური პარტიების ფინანსურ მონიტორინგს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ სამართლებრივ ზეწოლას.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვისა და დაშინების შემთხვევები. „ქართული ოცნება” იყენებდა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლებას და ახორციელებდა მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტებს. საჯარო სექტორში დასაქმებული ოპოზიციურად განწყობილი პირები ზეწოლას განიცდიდნენ. აღირიცხა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები.

არჩევნების დღეს გამოიკვეთა მრავალი პროცედურული ხარვეზი, მათ შორის, მარკირების წესის უგულებელყოფა, ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემა, უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნა და საარჩევნო კომისიებზე მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან ზეგავლენა. მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ასევე უბნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გაუმართაობა, რამაც, არაერთ შემთხვევაში, კენჭისყრის პროცესის შეფერხება გამოიწვია.

26 ოქტომბერს, მთელი დღის განმავლობაში, საარჩევნო უბნებზე მობილიზებული ჯგუფებისა და კომისიის წევრების მხრიდან შეინიშნებოდა აგრესია და მტრული დამოკიდებულება მედიის წარმომადგენლების, დამკვირვებლების და ამომრჩევლების მიმართ. გამოვლინდა შეურაცხყოფის, პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ასევე, საიამ აღრიცხა ფიზიკური დაპირისპირე-

ბისა და შელაპარაკების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არაერთი დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, მათ შორის, შესაძლოა, სახეზე ყოფილიყო: არჩევნებზე ნების თავისუფლად გამოვლენის ხელშეშლა; კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, წინასაარჩევნო აგიტაციის/კამპანიის დროს ძალადობა, მისი მუქარა; ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევა; ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა.

საქართველოს მასშტაბით, ყველა უბანზე, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენებოდა (2263 უბანი), ხმის მთვლელ მანქანაში ბიულეტენების ამობრუნებულ მდგომარეობაში შეცურების დროს ცხადად ჩანდა ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნება, ვინაიდან მარკერი ბიულეტენის მეორე მხარეს კვალს ტოვებდა. არჩევნების შემდეგ, ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე, საიამ 73 ოლქში 2263 უბნის შედეგები გაასაჩივრა და მათი ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა სასამართლოებმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. გამონაკლისი იყო თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, რომელმაც დააკმაყოფილა საიას სარჩელი, თუმცა მისი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ შეცვალა. პროცესის პარალელურად, ოპოზიციურმა პარტიებმა, არჩევნების შედეგების არალეგიტიმურად ცნობის მოთხოვნით, ბოიკოტი გამოაცხადეს და უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე.

საბოლოოდ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც არჩევნების დღის პროცესებზე, ისე არჩევნებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ფორმირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ხმის მიცემისა და დათვლის სისტემის დანერგვის მიზანი იყო საარჩევნო პროცესის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება, პრაქტიკაში ამ პროცესს მრავალი გამოწვევა და ხარვეზი ახლდა. ყველა არსებითი საკითხის ცესკოს სამართლებრივი აქტებით მოწესრიგება და კანონის ზედმეტად ზოგადი ჩანაწერი ელექტრონული ხმის მიცემის პროცესის მიუკერძოებლად წარმართვის შანსს ამცირებდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ელექტრონული ტექნოლოგიების აუდიტის სავალდებულო სტანდარტებს, რის გამოც, პროცესის სანდოობა კიდევ უფრო გაუმჭვირვალე იყო. მიუხედავად ცესკოს მიერ აუდიტის ჩატარების ინიციატივისა, დაინტერესებული მხარეებისთვის აუდიტორულ პროცესზე დაკვირვება, უმეტესწილად, შეზღუდული იყო, ხოლო ანგარიშში არ იყო მოცემული დეტალური ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც საარჩევნო ტექნოლოგიების უსაფრთხოებას და პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობას უკავშირდებოდა. ცესკოს სერვერებზე არსებული ამომრჩეველთა სიების შესაბამისობა ვერიფიკაციის აპარატებში ჩატვირთულ სიებთან, რაც აუდიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა ყოფილიყო, საერთოდ არ იყო დასკვნაში განხილული. ასევე, გაურკვეველი დარჩა, რა მეთოდოლოგიით შეირჩა შესამოწმებელი საარჩევნო უბნები და მოწყობილობები. ამ ყველაფერს ემატებოდა დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც საზოგადოების ნაწილში უნდობლობას აღვივებდა და ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლო მანიპულაციებზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და საარჩევნო ადმინისტრაცია ამ პროცესს დემოკრატიული რეფორმის ნაწილად წარმოაჩენდნენ, ხმის ფარულობის დარღვევასთან, განმეორებით ხმის მიცემასა და ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულმა ეჭვებმა, საბოლოოდ, საფუძვლიანი კითხვები გააჩინა ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობასთან მი-

მართებით. ცესკომ, ქვედა დონის საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებთან ერთად, უგულებელყო ხმის ფარულობის სისტემური დარღვევის პრობლემა, რამაც კიდევ უფრო დააზიანა საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაცია.

დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, რომ პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის შეიქმნას ინკლუზიური და გამჭვირვალე აუდიტის მექანიზმები და ელექტრონული ტექნოლოგიების კონტროლის დამოუკიდებელი შესაძლებლობები, აგრეთვე, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და ცესკომ უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წარმატებული, თუ ის განხორციელდება მაღალი საზოგადოებრივი ნდობის ფონზე, გამჭვირვალობისა და ეფექტიანი საზედამხედველო მექანიზმების გამოყენებით.

რეკომენდაციები

საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ძირითადი კონსტიტუციური პრინციპების უხეში დარღვევით ჩატარდა. მიუხედავად ამისა, პარლამენტის პირველი სხდომა და დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ცნობის პროცედურა კანონმდებლობის დარღვევით მაინც გაიმართა, რამაც პარლამენტის საქმიანობის არაკონსტიტუციური/არალეგიტიმური საფუძვლები წარმოშვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტარების სარჩელები ხმის ფარულობის სისტემურ დარღვევასთან დაკავშირებით, რითაც მოსპო არსებული კრიზის სამართლებრივი გზით გადაწყვეტის საშუალება.[1] ამის პარალელურად, „ქართული ოცნების“ არაკონსტიტუციურმა გადაწყვეტილებამ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერების შესახებ ქვეყანა ღრმა კონსტიტუციურ კრიზისში შეიყვანა.

პოლიტიკურ ჩიხსა ან კრიზისში, როდესაც სამართლებრივი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრას, პოლიტიკური კონსენსუსი შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც სამართლის ჩარჩოებს სცდება და მის ფუნქციურ უპირატესობას აჩვენებს. ასეთ შემთხვევაში, კონსენსუსი მოქმედებს, როგორც სისტემური სტაბილურობის შენარჩუნებისა და ფუნქციური გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტი.

აქედან გამომდინარე, მოკლევადიან პერსპექტივაში, ქვეყანაში კონსტიტუციური კრიზისის დასაძლევად და საარჩევნო პროცესისთვის რეალური შინაარსის შესაძენად, აუცილებელია ახალი არჩევნების დანიშვნა და არაერთი არაორდინალური პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება. ეს ხელს შეუწყობს პროცესის სტაბილურობას და რელევანტურს გახდის ანგარიშში წარმოდგენილ გრძელვადიან რეკომენდაციებს.

საარჩევნო სისტემა

- საარჩევნო პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემაში მაჟორიტარული ელემენტების გაუქმებას გულისხმობს;
- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებისთვის დაწესებულ ბარიერს ბუნებრივიდან 2%-მდე განსაზღვრავს.

ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერება

- განახლდეს მსჯელობა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაძლიერების გზებზე, მათ შორის, კონკრეტულ ნაბიჯებსა და მექანიზმებზე.

პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია

- რეკომენდებულია, კანონით მოწესრიგდეს პოლიტიკური პარტიის მიერ ხარვეზის გამოსწორებისა და ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- პარტიის მიერ ფინანსური დეკლარაციის წარუდგენლობისა და, ამ საფუძვლით, მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ პარტიას უნდა მიეცეს გონივ-

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის განჩინება №3/7/1848,1849, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17525.

რული ვადა ხელახალი რეგისტრაციისთვის, ხოლო ამ ვადის განმავლობაში მისი ქონება უნდა იყოს ხელშეუხებელი.

საარჩევნო ადმინისტრაცია

- ხელახლა უნდა გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩო და კომისიის წევრთა დანიშვნის პროცედურები. საჭიროა, ისინი შეიცვალოს იმგვარად, რომ დამნიშვნელ სუბიექტებს შორის პროპორციის დაცვით, გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ცესკოს დაკომპლექტების წესი უნდა შეიცვალოს და დაუბრუნდეს 2021 წლის ე.წ. „შარლ მიშელის“ დოკუმენტის სულისკვეთებას. როგორც ცესკოს თავმჯდომარე, ისე მისი წევრები უნდა აირჩეოდნენ მაღალი პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე, პარლამენტის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით;
- საკონკურსო კომისია პოლიტიკური პარტიების წევრებით უნდა დაკომპლექტდეს. მასში უნდა შევიდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები, ხოლო უმრავლესობა და ოპოზიცია პარიტეტის პრინციპით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. კომისიამ კანდიდატურა სიითი შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით უნდა წარადგინოს;
- ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი, უბრალო უმრავლესობის ნაცვლად, კვლავ წევრთა 2/3-ით უნდა შეიცვალოს;
- აუცილებელია ყველა დონეზე საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის პროცესის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკური პარტიების გავლენის ბალანსი რომელიმე მათგანის დომინირების თავიდან ასაცილებლად;
- უნდა მოიხსნას საკანონმდებლო ბარიერები საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვადებთან დაკავშირებით. შესარჩევი კონკურსი კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე გამოცხადდეს, ხოლო განაცხადის მიღებისა და განხილვის ვადები გაიზარდოს;
- პოლიტიკური პარტიები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ მათ მიერ დანიშნული კომისიის წევრების გადამზადების პროცესში, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ცესკომ კომისიის ყველა წევრისთვის, შეფერხებების გარეშე;
- პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სამუშაოს მაღალ ხარისხს, ისე რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა

- მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო კოდექსში საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა, ცესკოს დისკრეციის ნაცვლად, მის ვალდებულებად განისაზღვროს;
- ცესკომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა გარანტირებული იყოს საქართველოს მოქალაქეების აქტიური საარჩევნო უფლების პრაქტიკული რეალიზება;

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების სია არა მხოლოდ ქვეყნების, არამედ ქალაქისა ან ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა აწარმოოს და ასეთი სახით გადასცეს ცესკოს, რათა მას უფრო ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს საარჩევნო უბნების გახსნის საჭიროებაზე;
- კანონმდებლობით უნდა დადგინდეს საქართველოს მოქალაქეთა გონივრული რაოდენობა იმ ქალაქებისთვის, სადაც საქართველოს საკონსულო დაწესებულება არ არის. განსაზღვრული რაოდენობის ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, საარჩევნო უბნის გახსნა სავალდებულო უნდა გახდეს.

ელექტრონული ტექნოლოგიები და მათი აუდიტი

- ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში არ უნდა იყოს თვითმიზანი. მათი გამოყენება უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებაში იარსებებს საკმარისი ნდობა პროცესის უსაფრთხოებასა და საჭიროებასთან დაკავშირებით;
- ტექნოლოგიების საჭიროებასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციამ მათი დანერგვა და გამოყენება უნდა უზრუნველყოს ისე, რომ გარანტირებული იყოს ძირითადი საარჩევნო პრინციპების განუხრელი დაცვა;
- აუდიტორული კომპანია უნდა შეირჩეს ინკლუზიური და ღია პროცესის გზით, ხოლო აუდიტის ფარგლები და პასუხგასაცემი კითხვები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით განისაზღვროს;
- აუდიტი უნდა ჩატარდეს ორ ეტაპად - არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ეს აუცილებელია, რათა შემოწმდეს, ერთი მხრივ, გამოსაყენებელი ელექტრონული საშუალებების (საარჩევნო ტექნოლოგიების) ტექნიკური, პროგრამული ფუნქციონირება და შესაბამისობა, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურდეს, რომ აუდიტირებული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით არჩევნების შემდეგ ცვლილებები აღარ განხორციელებულა;
- ხმის მთვლელი აპარატების აუდიტი (პროგრამული კოდის მთლიანობის გადამოწმება) უნდა ჩატარდეს არჩევნების დღის შემდგომ. კენჭისყრის დასრულების შემდეგ მოწყობილობების ტრანსპორტირება შესამოწმებლად უშუალოდ საარჩევნო უბნებიდან უნდა განხორციელდეს;
- საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის უნდა გაიწეროს საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ანგარიშვალდებულების დებულებები, განისაზღვროს ნათელი და ადეკვატური სანქციები როგორც საარჩევნო კოდექსში, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

წინასაარჩევნო კამპანია

- ხელისუფლებამ, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საარჩევნო მიზნებისთვის არაკეთილსინდისიერად არ გამოიყენოს მათი სამსახურებრივი, ფინანსური დამოკიდებულება. სახელმწიფო

უწყებებმა თავი უნდა შეიკავონ თავიანთი თანამშრომლების მიმართ პარტიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მოწოდებებისგან, მათი დავალდებულებისა და დაშინებისგან;

- კვლავ უნდა გადაიხედოს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების მარეგულირებელი ნორმები. აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებები და მეტად დაუახლოვდეს ის საერთაშორისო სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე არსებობდეს კანონის აღსრულების რეალური, სწრაფი და ეფექტიანი მექანიზმი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს ქმედითი მექანიზმები ონლაინ აგიტაციის წინააღმდეგ. აგიტაციის ცნება უნდა დაკონკრეტდეს და განისაზღვროს, რომ იგი მოიცავს სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელებასაც;
- პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი უნდა შეუწყონ საარჩევნო კამპანიის მშვიდ რეჟიმში ჩატარებას. მოუწოდონ საკუთარ პარტიულ აქტივისტებს, ხელი არ შეუშალონ კონკურენტებს კამპანიის თავისუფლად წარმოებაში. ხოლო ასეთი ფაქტების გამოვლენისას შესაბამისმა უწყებებმა მოახდინონ ეფექტიანი რეაგირება და აღკვეთონ ისინი.

საარჩევნო დავები

- საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა დავების გადაწყვეტისას უნდა უზრუნველყონ კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია;
- ცესკომ საქმის გამოკვლევის პროცესი უნდა წარმართოს მისი აქტიური ჩართულობით და გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა ენდოს პირის მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებას;
- საარჩევნო დავების ეფექტიანად, სამართლიანად განსჯისთვის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სკოლამ უნდა უზრუნველყონ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სამართალდამცავი ორგანოები

შინაგან საქმეთა სამინისტრო

- პოლიციის თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ კანონის რეალური აღსრულება, სამართალდარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიწყონ გამოძიება ისეთ საქმეებზე, რომლებშიც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები;
- სახელმწიფომ სავარაუდო დანაშაულები უნდა გამოიძიოს სრულად, პროცესი წარმართოს ობიექტურად და გამჭვირვალედ, ხოლო ისეთ საქმეებზე, რომლებშიც პოლიტიკური მოტივი იკვეთება, გამოძიება სწორი კვალიფიკაციით დაიწყოს;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროულად უნდა აცნობოს საზოგადოებას საქმეების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ უბნის პერიმეტრზე

დაწესებული რეგულაციების ეფექტიანი აღსრულება, სამართალდამრღვევების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112" უნდა დაიწყოს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არჩევნების დღეს შესული ზარების შესახებ, საარჩევნო დარღვევების ტიპების მიხედვით.

პროკურატურა

- პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის იმ საქმეებზე, რომლებშიც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები;
- პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს ამომრჩევლის მოსყიდვის დანაშაულებზე დროული რეაგირება, ხოლო გამოძიება წარმართოს მიუკერძოებლად და ობიექტურად;
- დროულად უნდა აცნობოს საზოგადოებას საქმეების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

კენჭისყრის დღე

- წილისყრის პროცედურა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლავ უნდა ჩატარდეს არჩევნების დღეს. ეს ცვლილება უზრუნველყოფს კენჭისყრის დღის გამჭვირვალობას და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს პროცესზე სათანადოდ დაკვირვების შესაძლებლობას მისცემს;
- მნიშვნელოვანია, რომ ცესკომ, მარკირების სითხის, ფარნის და საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭირო სხვა ინვენტარის ხარისხის შემოწმების გარდა, უზრუნველყოს კომისიის წევრების კეთილსინდისიერების მაღალი დონე და მათი მხრიდან პროცედურის ზედმიწევნით კანონის შესაბამისად წარმართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცესკო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები დამრღვევის მიმართ;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა თავიანთი მანდატის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემო როგორც ამომრჩევლების, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა მიმართონ შესაბამის უწყებებს დროული რეაგირებისთვის;
- სრულად უნდა აიკრძალოს არაუფლებამოსილი პირის მიერ, მათ შორის, საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული სიების მეშვეობით, ამომრჩევლის აღრიცხვა როგორც კენჭისყრის ოთახში, ისე მის გარეთ;
- არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის პრევენციისთვის, საჭიროა, არჩევნების წინა დღე სიჩუმის დღედ გამოცხადდეს.

ხმის ფარულობა

- ცესკომ არჩევნების ორგანიზება იმგვარად უნდა შეძლოს, რომ ამომრჩველს არ დასჭირდეს საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინსტრუქციისგან განსხვავებული, დამატებითი, ინდივიდუალური ძალისხმევის გაწევა ან განსაკუთრებული ზომების მიღება საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობის დასაცავად.

შედეგების დათვლა და შეჯამება

- მნიშვნელოვანია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ზედმიწევნით შეასრულონ კანონის მოთხოვნა და საკუთარი დისკრეციით არ გადაწყვიტონ ბიულეტენის ბათილობის და ნამდვილობის საკითხი ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ უბნებზე.

სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საიამ სადამკვირვებლო საქმიანობა 2 ინსტრუმენტის - გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიების მეშვეობით განახორციელა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდს. კვლევა ასახავს როგორც არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს, ისე წინასაარჩევნო გარემოს ანალიზს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია არჩევნების დღესა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. დაკვირვების პროცესში საია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ მოვლენათა ქრონოლოგიურ აღბეჭდვასა და მათ სათანადო შეფასებას, არამედ ახალი წესით, ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარებისას გამოვლენილი ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების კვლევას.

წარმოდგენილი დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისგან, რომლებიც, თავის მხრივ, ჩაშლილია თავებად და ქვეთავებად. ნაშრომის პირველი ნაწილი შეეხება პოლიტიკური კონტექსტის ანალიზს, მეორე ნაწილი - წინასაარჩევნო გარემოს, ხოლო მესამე - უშუალოდ არჩევნების დღეს განვითარებულ პროცესებს.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია

გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ამოცანა იყო საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდს საია აკვირდებოდა 11 გრძელვადიანი საარჩევნო მონიტორისა და 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით - თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში.

მონიტორინგის ძირითად ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა პირველწყაროდან მონაცემებისა და დოკუმენტაციის მიღება, მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მედიაში გავრცელებული მასალების შესწავლა და ანალიზი, საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება და დამუშავება, მონიტორინგის სუბიექტების ვებგვერდებსა და Facebook-გვერდებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა და ანალიზი, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრება და მათ აქტივობებზე დაკვირვება.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის სტრატეგიაზე დაყრდნობით, მონიტორებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ დარღვევებზე:

- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მათ შორის, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვა;
- ამომრჩევლის მოსყიდვა;
- უკანონო აგიტაცია;
- ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა დაშინების და იძულების გზით;
- პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლება;

- პოლიტიკური მოტივით განპირობებული ფიზიკური დაპირისპირება და ძალადობრივი ინციდენტები;
- პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანება;
- საარჩევნო კანონმდებლობის სხვა დარღვევები ან ისეთი ქმედებები, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ცუდი პრაქტიკაა და წინასაარჩევნო გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს;
- საარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში ხელშეშლა.

წინასაარჩევნო პერიოდში დარღვევების გამოვლენისას საიამ საარჩევნო ადმინისტრაციას 12 საჩივრით მიმართა. 6 მათგანი შეეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) წესების დარღვევას, ხოლო 6 - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. კენჭისყრის დღის შემდგომ ორგანიზაციამ აწარმოვა ფართომასშტაბიანი სასამართლო დავები. 24 რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საიამ 73 ოლქის განკარგულება გაასაჩივრა. ორგანიზაცია ყველა იმ უბნის (2263 უბანი) შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მონიტორინგის ობიექტები იყვნენ შემდეგი დაწესებულებები და ჩართული პირები:

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო ადმინისტრაცია;
- პოლიტიკური პარტიები/საარჩევნო სუბიექტები და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახური;
- პროკურატურა;
- ანტიკორუფციული ბიურო;
- კომუნიკაციების კომისია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში, მერიებში, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული პირები.

მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია

საიას მოკლევადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი ამომრჩევლის მიერ საარჩევნო უფლების თავისუფალ გარემოში რეალიზების ხელშეწყობა იყო. არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცედურებზე დაკვირვებითა და დარღვევებზე რეაგირებით საიას დამკვირვებლები ცდილობდნენ, დაეცვათ თითოეული მოქალაქის საარჩევნო უფლება. საიას მოკლევადიანი საარჩევნო მისია დაიყო 3 ნაწილად: (1) უბნის სტატიკური დამკვირვებელი; (2) მობილური ჯგუფი და (3) ოლქის დამკვირვებელი.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 73 საარჩევნო ოლქში, ჯამში, 3 111 საარჩევნო უბანი გაიხსნა. აქედან 2263 უბანზე კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა. 67 საარჩევნო უბანი გაიხსნა საზღვარგარეთ. ცესკოს მონაცემების მიხედვით, არჩევნებში 2 060 412-მა საქართველოს მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 58,94%-ია.[2]

კენჭისყრის დღეს საია ყველა დონის საარჩევნო კომისიის საქმიანობას უწევდა მონიტორინგს. მისიაში ჩართული 610-მდე დამკვირვებელი 64 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ 1500-მდე უბანს, ასევე 15 სახელმწიფოში გახსნილ 22 საარჩევნო უბანს აკვირდებოდა.[3] ამასთანავე, კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდგომ ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა 30 საოლქო კომისიის საქმიანობას, ხოლო შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული დავები ყველა, სამოცდაცამეტივე საოლქო საარჩევნო კომისიაში აწარმოვა.

არჩევნების დღეს ორგანიზაციამ დაფარა 11 რეგიონის 53 მუნიციპალიტეტი, ასევე, თბილისის მასშტაბით გახსნილი 10-ვე საოლქო საარჩევნო კომისია. გარდა ამისა, მოქმედებდა თბილისის ცენტრალური შტაბი. კენჭისყრის დღის განმავლობაში 3111 უბნიდან მისიამ სრულად მოიცვა 45%. თითოეულ ოლქში საიას დამკვირვებლები ხმის დათვლის პროცედურას დაესწრნენ უბნების 37%-ზე, მათ შორის, თბილისში - 28%-ზე. სადამკვირვებლო მისია არ ფარავდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბნებს.[4]

საიას დამკვირვებლები ჰყავდა თბილისის ყველა ოლქში,[5] მცხეთა-მთიანეთში,[6] კახეთში,[7] ქვემო ქართლში,[8] შიდა ქართლში,[9] სამცხე-ჯავახეთში,[10] იმერეთში,[11] გურიაში,[12] სამეგრელოსა[13] და აჭარაში.[14] გარდა ამისა, ორგანიზაციას ორი დამკვირვებელი ჰყავდა ლენტეხის №46, ხოლო ერთი - ცაგერის №45 საოლქო საარჩევნო კომისიებში გახსნილ საარჩევნო უბნებში.

კენჭისყრის დღეს საიამ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო პროცედურების დაცვაზე (საარჩევნო უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და შეჯამების პროცესი), ასევე, მო-

---

[2] ამომრჩეველთა აქტივობის სტატისტიკა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია:
https://cesko.ge/static/file/202410291602-464854899_1001539128681771_8275579237410132552_n.jpg.

[3] ავსტრიის რესპუბლიკა - ვენა; ამერიკის შეერთებული შტატები - ნიუ იორკი (4 საარჩევნო უბანი), ვაშინგტონი; ბელგიის სამეფო - ბრიუსელი; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა - ბერლინი, მიუნხენი, ფრანკფურტი; ესპანეთის სამეფო - მადრიდი; ესტონეთის რესპუბლიკა - ტალინი; ლიეტუვას რესპუბლიკა - ვილნიუსი; ნორვეგიის სამეფო - ოსლო; პოლონეთის რესპუბლიკა - ვარშავა; სლოვაკეთის რესპუბლიკა - ბრატისლავა; უნგრეთი - ბუდაპეშტი; ფინეთის რესპუბლიკა - ჰელსინკი; შვედეთის სამეფო - სტოკჰოლმი; შვეიცარიის კონფედერაცია - ბერნი; ჩეხეთის რესპუბლიკა - პრაღა.

[4] კენჭისყრის დღეს ამომრჩევლებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 13 უბანი მოემსახურა, საიდანაც 12 - პენიტენციურ დაწესებულებებში, 1 კი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გაიხსნა.

[5] №1 მთაწმინდა, №2 ვაკე, №3 საბურთალო, №4 კრწანისი, №5 ისანი, №6 სამგორი, №7 ჩუღურეთი, №8 დიდუბე, №9 ნაძალადევი, №10 გლდანი.

[6] №19 თიანეთი, №27 მცხეთა, №28 დუშეთი.

[7] №11 საგარეჯო, №12 გურჯაანი, №13 სიღნაღი, №15 ლაგოდეხი, №16 ყვარელი, №17 თელავი.

[8] №20 რუსთავი, №21 გარდაბანი, №22 მარნეული, №23 ბოლნისი, №25 წალკა, №26 თეთრიწყარო.

[9] №30 კასპი, №32 გორი, №33 კასპი, №35 ხაშური.

[10] №36 ბორჯომი, №37 ახალციხე, №38 ადიგენი, №40 ახალქალაქი, №41 ნინოწმინდა.

[11] №48 ხარაგაული, №49 თერჯოლა, №50 საჩხერე, №51 ზესტაფონი, №52 ბაღდათი, №53 ვანი, №54 სამტრედია, №55 ონი, №56 ჭიათურა, №57 ტყიბული, №58 წყალტუბო, №59 ქუთაისი.

[12] №60 ოზურგეთი, №61 ლანჩხუთი, №62 ჩოხატაური.

[13] №63 აბაშა, №64 სენაკი, №65 მარტვილი, №66 ხობი, №67 ზუგდიდი, №68 წალენჯიხა, №69 ჩხოროწყუ, №70 ფოთი.

[14] №79 ბათუმი, №80 ქედა, №81 ქობულეთი, №82 შუახევი, №83 ხელვაჩაური.

ნიტორინგი გაუწია საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს.

დღის დამკვირვებლები შესაბამის უბანზე გამოცხადდნენ 6:30 საათზე. უბნის სტატიკური დამკვირვებლები არ ტოვებდნენ კენჭისყრის ოთახს და თვალს ადევნებდნენ პროცესს საარჩევნო უბნის მომზადებიდან ხმების დათვლის დასრულებამდე, შემაჯამებელი ოქმის მისაღებად.

ოლქის დამკვირვებლებმა საქმიანობა 20:00 საათიდან დაიწყეს. ისინი დაესწრნენ ოლქებში უბნებიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმების, საარჩევნო ატრიბუტიკისა და დოკუმენტაციის შემოტანის პროცესს - მისი დაწყებიდან დასრულებამდე. გარდა ამისა, მათი მთავარი ამოცანა იყო შემაჯამებელ ოქმებში დარღვევების აღმოჩენა, რა დროსაც საიას სტრატეგიის შესაბამისად მოქმედებდნენ.

საიას მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის სტრუქტურა ასეთი იყო:

- ცენტრალური შტაბი და საიას რეგიონული წარმომადგენლობები;
- ოლქის დამკვირვებლები;
- უბნის დამკვირვებლები: მობილური ჯგუფის დამკვირვებელი, უბნის სტატიკური დამკვირვებელი.

არჩევნების დღეს საიას 610 დამკვირვებლიდან უბნებზე იმყოფებოდა 534 მათგანი, ოლქში - 32, ხოლო შტაბში - 44. საარჩევნო დაკვირვების მეთოდოლოგიის მიხედვით, შეზღუდულმასშტაბიანი დაკვირვების მიზნით, ორგანიზაციამ უბნები შეარჩია შემდეგი პრინციპით:

- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები;
- ეკომიგრანტებისა და დევნილების კომპაქტური დასახლებები;
- დასახლებები, სადაც წინასაარჩევნო მონიტორინგისას, საიას მონიტორების, მოქალაქეებისა და სხვა ჩართული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები;
- დასახლებები, სადაც, საიას დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა პრობლემები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის კუთხით.

საიაში მუშაობდა სპეციალური ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ, დაეტოვებინათ ინფორმაცია კენჭისყრის დღეს გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ასევე, მიეღოთ სამართლებრივი კონსულტაცია. ცენტრალური შტაბის მედიამონიტორი აღრიცხავდა ჟურნალისტების საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევებს და, იმავდროულად, მათთვის იურიდიული კონსულტაციის გაცემაზე იყო პასუხისმგებელი. სადამკვირვებლო მისიის შედეგებს საზოგადოებას საია პრესკონფერენციების მეშვეობით აცნობდა.

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლების მიერ 652 სავარაუდო დარღვევა ან/და ცუდი ტენდენცია/პრაქტიკა აღირიცხა, 69 შენიშვნა შევიდა ჩანაწერთა წიგნში, დაიწერა 48 საჩივარი - საუბნო და 21 საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიებში. არჩევნების დღეს დამკვირვებლების მიერ აღრიცხული შემთხვევების, ასევე, საჯაროდ გავრცელებული და მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაციამ დაიწყო დავა არჩევნების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის — ფარულობის სისტემური დარღვევის ფაქტზე.

კენჭისყრის მიმდინარეობისას განსაკუთრებით პრობლემური იყო ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის და ამომრჩევლის ნების კონტროლის შემთხვევები. უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მასობრივი სახე ჰქონდა საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერებისა და კოორდინატორების მობილიზებას, რომლებიც ხმის მისაცემად მოსულ მოქალაქეებს აღრიცხავდნენ, რაც, მრავალი წელია, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მანკიერი პრაქტიკაა.

ანგარიშის ლიმიტები

ორგანიზაციის ამოცანა არ არის ყველა ისეთი შემთხვევის იდენტიფიცირება და აღნუსხვა, რომლებიც საარჩევნო გადაცდომას მიეკუთვნება. საარჩევნო გარემოს მონიტორინგის დროს საია კონცენტრირებული იყო ძირითადი ტენდენციების გამოკვეთაზე. წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს ორგანიზაცია უმეტესად ისეთ დარღვევაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელსაც მასშტაბური ხასიათი ჰქონდა ან/და შეეძლო, გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოსა და არჩევნების შედეგებზე.

ანგარიშში მიმოხილულია პოლიტიკური კონტექსტი, სამართლებრივი ჩარჩო, წინასაარჩევნო გარემო და ამ პერიოდში წარმართული კამპანია. აგრეთვე, მასში წარმოდგენილია უშუალოდ არჩევნების დღის ანალიზი და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები. შესაბამისად, დოკუმენტში მოცემულია ერთიანი დიდი სურათი, რომელიც ასახავს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს და თანმდევ პროცესებს.

ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება საყოველთაოდ მიღებულ დემოკრატიულ პრინციპებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიზანია საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა. ქვეყანაში არსებული არაორდინარული ვითარების გამო, რეკომენდაციების ნაწილი, შესაძლოა, არ იყოს სრულად რელევანტური იმ უნიკალური გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც დემოკრატიულმა და ინსტიტუციურმა კრიზისმა წარმოშვა. შესაბამისად, მოკლევადიან პერსპექტივაში, საარჩევნო რეფორმის ფარგლებში, აუცილებელია კრიზისის სპეციფიკის გათვალისწინება და დამატებითი ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას და კრიზისიდან გამოსვლას.

I ნაწილი – პოლიტიკური კონტექსტი და სამართლებრივი გარემო

პოლიტიკური კონტექსტი

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდი მმართველ პარტიასა და ოპოზიციას, ასევე, მმართველ პარტიასა და საქართველოს პრეზიდენტს შორის ძლიერი ანტაგონიზმის ფონზე წარიმართა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს არასათანადო აქცენტი კეთდებოდა კონკრეტული პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და შესაბამის კონკურენციაზე.

როგორც „ქართული ოცნება", ისე ოპოზიციური პარტიები მომავალ არჩევნებს რეფერენდუმად განიხილავდნენ. მძაფრი პოლარიზაციის ფონზე, პოლიტიკური დისკურსი და საინფორმაციო სივრცე მოცული იყო მკვეთრი ურთიერთბრალდებებით. მმართველი პარტიის წარმომადგენლები საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებში პოლიტიკური ოპონენტების დემონიზებას ცდილობდნენ და მათ მოღალატეობრივ ქმედებებში ადანაშაულებდნენ.[15] ოპოზიციის უდიდეს ნაწილს ისინი „გარედან მართულ [აგენტებად]" და „ბოროტ ძალად" მოიხსენიებდნენ.[16] „ქართული ოცნების" მხრიდან კვლავ აქტუალური იყო ანტიდასავლური რიტორიკა, ომისა და მშვიდობის საკითხები, ანტი-ლგბტქ გზავნილები,[17] წინა ხელისუფლების დასჯის შესახებ მინიშნებები.[18] ოპოზიციური პარტიების უმეტესობის უმთავრესი არგუმენტი მმართველი პარტიის ანტიევროპული ქმედებები და განცხადებები, ასევე, ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევის ფაქტები იყო.

„ქართული ოცნება" აქტიურად აწარმოებდა ოპოზიციური სპექტრის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის, არასამთავრობო სექტორისა და მედიაორგანიზაციების სისტემატური დისკრედიტაციის კამპანიას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" რუსული სტილის კანონის ხელახალი ინიციირება და მიღება, რაც, მმართველი პარტიის ნეგატიურ წინასაარჩევნო კამპანიასთან ერთად, კიდევ უფრო ზრდიდა ზეწოლას სამოქალაქო სექტორზე და საერთაშორისო პარტნიორების დისკრედიტაციას უწყობდა ხელს.

საერთო ჯამში, „ქართული ოცნების" მიერ ევროსკეპტიციზმის გასაღვივებლად წარმოებულმა კამპანიამ, მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებების მასშტა-

---

[15] „კახა კალაძე - პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მოღალატეობრივი ქმედებებით აზიანებდა და დღესაც აზიანებს ქვეყანას, აქვს არსებობის უფლება? თავიანთ ქმედებებზე პასუხი უნდა აგონ", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-2008-wels-chadenili-danashaulis-gamo-nacionaluri-modzraobis-dasja-gansakutrebit-mnishvnelovania-prevenciistvis-rata-msgavsi-danashauli-aratu-aghar-chaidinon-ami/, განახლებულია: 07.03.2025.

[16] „კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა" არის გარედან მართული ძალა, რომელიც მზადაა, ქვეყანა ჩართოს ომში და მე ამას შემთხვევით არ ვამბობ - კახა კალაძე", ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/289792, განახლებულია: 07.03.2025.

[17] 27 ივნისს პარლამენტმა, 78 ხმით არცერთის წინააღმდეგ, „ქართული ოცნების" მიერ ინიციირებული „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საკანონმდებლო პაკეტი პირველი მოსმენით მიიღო.

[18] „ირაკლი კობახიძე - 2008 წელს ჩადენილი დანაშაულის გამო, „ნაციონალური მოძრაობის" დასჯა მნიშვნელოვანია პრევენციისთვის, რათა მსგავსი დანაშაული არათუ აღარ ჩაიდინონ, ამისი რესურსიც არ ექნებათ", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-2008-wels-chadenili-danashaulis-gamo-nacionaluri-modzraobis-dasja-gansakutrebit-mnishvnelovania-prevenciistvis-rata-msgavsi-danashauli-aratu-aghar-chaidinon-ami/, განახლებულია: 07.03.2025.

ბურმა დარღვევებმა, პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა შევიწროებამ და ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევებმა არჩევნების წინა გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია.

წინასაარჩევნო პერიოდში არაერთი პოლიტიკური კოალიცია ჩამოყალიბდა, უკვე არსებულები კი გამსხვილდა. ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრების გაზრდის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამართლებრივმა მოცემულობამ, რომლის თანახმად, 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით, 5%-იანი საარჩევნო ბარიერის[19] პირობებში უნდა ჩატარებულიყო და მასში მონაწილეობას საარჩევნო ბლოკი[20] ვერ მიიღებდა.[21]

1. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა.[22] იმავდროულად, ევროკომისიის მიერ ქვეყანას წარედგინა 9 დათქმა, რომლებიც მას პროცესის შემდეგი განვითარებისთვის უნდა შეესრულებინა.[23] დათქმები, მათ შორის, ითვალისწინებდა ხელისუფლების ძალისხმევას, შეემცირებინა პოლიტიკური პოლარიზაცია და ჩაეტარებინა თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი არჩევნები.[24] მე-9 რეკომენდაციის მიხედვით კი, ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა უზრუნველეყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვა.[25]

კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგი ეტაპი ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნაა. თუმცა, ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ევროკომისიამ საქართველოსთან ამ ეტაპის დაწყების რეკომენდაცია არ გასცა.[26] მისი განცხადებით, არათუ გაცემული 9 რეკომენდაცია არ შესრულებულა, არამედ „გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნეგატიური ტენდენციები“, როგორებიცაა „უცხოური

---

[19] პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც მიიღეს. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები იქნება, გაუნაწილებელ მანდატებს თანამიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

[20] საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ორი ან მეტი პარტიის გაერთიანება, რომელიც უფლებამოსილია, წარადგინოს ერთიანი სია.

[21] „ცესკოს პრესსპიკერი - 26 ოქტომბრის არჩევნებში ვერც კოალიცია და ვერც ბლოკი მონაწილეობას ვერ მიიღებს, შესაბამისად, თუ ვინმეს სურს, სხვა პოლიტიკური პარტიის სიაში იყოს, თავისი პარტია უნდა დატოვოს”, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/cesko-s-presspikeri-26-oqtombris-archevnebshi-verc-koaliciada-verc-bloki-monawileobas-ver-miighebs-shesabamisad-tu-vinmes-surs-skhva-politikuri-partiis-siashi-iyos-tavisi-partia-unda-datovos/, განახლებულია: 07.03.2025.

[22] „საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა“, საინფორმაციო პორტალი „1TV.ge“, 2023 წლის 14 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/saqartvelo-evrokavshiris-wevrobis-kandidati-qveyana-gakhda/, განახლებულია: 24.12.2024.

[23] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, COM(2023) 690 final, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52023DC0690, განახლებულია: 24.12.2024.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] „ევროკომისია საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნის რეკომენდაციას არ გასცემს“, საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2024 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/749131/, განახლებულია: 24.12.2024.

გავლენის გამჭვირვალობისა“ და „ოჯახური ღირებულებების“ შესახებ კანონების მიღება.[27]

2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული სტილის კანონი

2024 წელს მმართველმა პარტიამ განსაკუთრებით გააძლიერა ზეწოლა სამოქალაქო სექტორზე. პარტიის წარმომადგენლები და მათთან ასოცირებული პირები სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე, სამთავრობო მედია მიზანმიმართულად ეწეოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების დისკრედიტაციას. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, ინტერნეტ პლატფორმა „X“-ზე განათავსა რამდენიმე პოსტი, რომლებშიც ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსების გამჭვირვალობაზე, მათ „რადიკალები“ უწოდა და აღნიშნა, რომ ქართული ორგანიზაციები ძირითადად უცხოეთიდან ფინანსდებოდნენ და ზოგიერთ რადიკალ ოპოზიციურ პარტიაზე მეტ ფინანსებს ფლობდნენ.[28] პაპუაშვილმა ორგანიზაციებს პოლიტიკაში უხეშად ჩარევაც დააბრალა.[29] „ქართული ოცნების“ წევრები ხშირად საუბრობდნენ არასამთავრობო სექტორის დაფინანსების გამჭვირვალობის არარსებობაზე და ამით, ფაქტობრივად, აანონსებდნენ რუსული სტილის კანონის საპარლამენტო დღის წესრიგში დაბრუნებას.[30]

2024 წლის 3 აპრილს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში დაარეგისტრირა რუსული სტილის კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ, რომლის მიღებაზეც მანამდე, 2023 წლის მარტის აქციების შედეგად, უარი თქვა.[31] კანონის თანახმად, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წლიური ბიუჯეტის 20%-ზე მეტს საერთაშორისო, უცხოური წყაროებიდან იღებენ, ვალდებულნი არიან, დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“[32] და ყოველწლიურად წარადგინონ დეტალური ფინანსური დეკლარაცია.[33] ორგანიზაციები ექვემდებარებიან ინტენსიურ მონიტორინგს.[34] კანონი ითვალისწინებს მძიმე ფულად სანქციებს.[35] ეს ვალდებულებები, ერთობლიობაში, შეუძლებელს გახდის ორგანიზაციების საქმიანობას, რაც დამოუკიდებელი სამოქალაქო სექტორის შეზღუდვას და, საბოლოოდ, გაქრობას გამოიწვევს. ასევე, საგანგაშოა ჩანაწერი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ანიჭებს შესაძლებლობას, მონიტორინგის ფარგლებში, ნებისმიერი პირისგან მოი-

---

[27] იქვე.

[28] „შალვა პაპუაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს თავს კიდევ ერთხელ ესხმის“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 2024 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/shalva-papuashvili-arasamtavrobo-organizaciebs-tavs-kidev-ertkhel-eskhmis/, განახლებულია: 24.12.2024.

[29] იქვე.

[30] „შალვა პაპუაშვილი - უცხოური დაფინანსებით მოქმედი „ენჯეოები“ მართლმსაჯულებას თავს ესხმიან, დონორების პასუხისმგებლობაა, რომ მათი ფული ქართული სახელმწიფოს ძირის გამოსათხრელად იხარჯება“, საინფორმაციო პორტალი „1TV.ge“, 2024 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-uckhouri-dafinansebit-moqmedi-enjeoebi-qartul-martlmsajulebas-tavs-eskhmian-donorebis-pasukhismgeblobaa-rom-mati-fuli-ikharjeba-qartuli-sakhelmwifostvis-d/, განახლებულია 24.12.2024.

[31] მამუკა მდინარაძის ბრიფინგი, საინფორმაციო პორტალი „იმედინიუსი“, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=862974595587803&ref=sharing, განახლებულია: 24.12.2024.

[32] 2023 წლის ვერსიისგან განსხვავებით, სადაც ტერმინი „უცხოური გავლენის აგენტი“ იყო გამოყენებული. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი.

[33] იქვე, მუხლი 4.

[34] იქვე, მუხლი 8.

[35] იქვე, მუხლი 9.

თხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა). ეს ეხება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებსაც.[36]

კანონის ინიციირებას არასამთავრობო და მედია სექტორის პროტესტი მოჰყვა. 405-მა მედია და არასამთავრობო ორგანიზაციამ კანონის დარეგისტრირებიდან მალევე, 8 აპრილს, ერთიანი განცხადებით გააკრიტიკა რუსული სტილის კანონი და მოითხოვა, რომ, ქართველი ხალხის ნების შესაბამისად, ის პარლამენტს უკან გაეწვია.[37] გარდა ამისა, 25 აპრილს 200-მდე ორგანიზაციამ პროტესტის ნიშნად შეაჩერა თანამშრომლობა ყველა სახელმწიფო ორგანოსთან და კიდევ ერთხელ მკაფიოდ განმარტა, რომ „ღირსების შემლახავ" რეესტრში არ დარეგისტრირდებოდნენ.[38] კანონის საბოლოოდ მიღების შემდეგ კი ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ მას არ დაემორჩილებოდნენ და არც შესაბამის მოთხოვნებს შეასრულებდნენ.[39]

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის ინიციირებამ შეშფოთება გამოიწვია საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებშიც. გაეროს, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლებმა (ჯამში, 50-ზე მეტი) დაგმეს ხელისუფლების ინიციატივა და მასთან დაკავშირებული მოვლენები.[40] სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპული კომისიის („ვენეციის კომისია") ექსპერტული დასკვნის მიხედვით, კანონის არა მხოლოდ გარკვეული ნაწილები, არამედ ის მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ევროპულ სტანდარტებს, არ იყო დასაბუთებული მისი მიღების ლეგიტიმურობა და საჭიროება.[41] გარდა ამისა, ის არაპროპორციულად ზღუდავდა ადამიანის თავისუფლების, პირადი ცხოვრების, გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების უფლებებს, შესაბამისად, სრულად უნდა ყოფილიყო გაწვეული.[42] ამასთანავე, გამჭვირვალობის საბაბით ინიციირებული კანონპროექტი, რეალურად, ქმნიდა იმ კრიტიკული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიგმატიზებისა და გაუქმების რისკებს, რომლებიც დაფინანსებას უცხოური ფონდებიდან იღებდნენ.[43] სამართლებრივ შეფასებებთან ერთად, ევროპელმა პარტნიორებმა განაცხადეს, რომ კანონის არსებობა ქვეყანაში გადაულახავ ბარიერებს შექმნიდა

[36] იქვე, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

[37] „კი - ევროპას, არა - რუსულ კანონს!", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/yes-to-europe-no-to-russian-law, განახლებულია: 25.12.2024.

[38] „რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/the-non-governmental-and-media-organizations-suspend-cooperation-formats-with-the-government-until-the-russian-law-is-dropped, განახლებულია: 25.12.2024.

[39] „ქართული არასამთავრობოების ერთობლივი განცხადება - რუსულ კანონს არ დავემორჩილებით!", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 29 მაისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/qartuli-arasamtavroboebis-ertoblivi-ganckhadeba-rusul-kanons-ardavemorchilebit, განახლებულია: 25.12.2024.

[40] „საერთაშორისო გამოხმაურება", ვებპორტალი „csogeorgia.org", 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://csogeorgia.org/ge/pages/International-statements, განახლებულია: 25.12.2024.

[41] „Urgent opinion on the law on transparency of foreign influence", European commission for democracy through law (Venice Commission), 21 May 2024, available at: https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2024)013-e, P. 23.

[42] „Urgent opinion on the law on transparency of foreign influence", European commission for democracy through law (Venice Commission), 21 May 2024, available at: https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2024)013-e, P. 23.

[43] იქვე.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.[44] ასევე, ევროპარლამენტის 25 აპრილის რეზოლუციაში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული სტილის კანონი მიღების შემთხვევაში, საქართველოსთან ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომი ეტაპის დაწყება - მოლაპარაკებების გახსნა - გამორიცხული იქნებოდა.[45] ევროპაში აშშ-ის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ე.წ. ჰელსინკის კომისია) თქმით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმდებლობა „საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟი“ იყო.[46]

რუსული სტილის კანონის პარლამენტის დღის წესრიგში კვლავ დაბრუნებამ მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც.[47] პარალელურად, საპროტესტო ტალღის ჩაცხრომასა და მათთვის დამახასიათებელი ანტიდასავლური, პროპაგანდისტული რიტორიკის გაძლიერებას ცდილობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი ავრცელებდნენ კონსპირაციულ თეორიებს ე.წ. „გლობალური ომის პარტიის“ შესახებ, რომელიც, მათი თქმით, დასავლურ პოლიტიკაში უხეშად ერეოდა და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე.[48] საპროტესტო აქციების საპასუხოდ, „ქართულმა ოცნებამ“ 29 აპრილს „რუსული კანონის“ მხარდასაჭერი აქცია გამართა.[49] მმართველმა პარტიამ სრული მობილიზება გამოაცხადა მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ დაემტკიცებინა, რომ მოსახლეობა კანონის მიღებას მხარს უჭერდა.[50] აქციაზე პოლიტიკოსების მხრიდან ისმოდა კონსპირაციული, ანტიდასავლური და „სუვერენისტული“ განცხადებები.[51] აღსანიშნავია, რომ კანონის მხარდასაჭერ აქციაზე მმართველმა პარტიამ

---

[44] „Georgia: MEPs are deeply concerned by new “Transparency of Foreign Influence” law“, European Parliament, 18 April 2024, available at: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20240418IPR20503/georgia-meps-are-deeply-concerned-by-new-law.

[45] „ევროპარლამენტის რეზოლუცია: სანამ „უცხოელი აგენტების“ კანონი იარსებებს, გაწევრიანების მოლაპარაკებები ვერ დაიწყება“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/601437, განახლებულია: 25.12.2024.

[46] „ჰელსინკის კომისია: „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონმდებლობა საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 6 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590562, განახლებულია: 25.12.2024.

[47] მათ შორის, აქციები გაიმართა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში. იხ. „ბათუმში სტუდენტები მსვლელობას - „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ გამართავენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/798350batumshi-studentebi-msvlelobas-ki-evropas-ara-rusul-kanons-gamartaven/, განახლებულია: 25.12.2024; „აქცია ზუგდიდში“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/aqcia-zugdidshi-18/, განახლებულია: 25.12.2024; „ქუთაისში, აქცია „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 17 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/795770-kutaisshi-akcia-ki-evropas-ararusul-kanons-gaimarta/, განახლებულია: 25.12.2024; „აქცია - „არა რუსულ კანონს“ გორშიც მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/798556-akcia-ara-rusul-kanons-gorshic-mimdinareobs/, განახლებულია: 25.12.2024.

[48] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, აპრილი - მაისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciam-moamzada-specialuri-angarishi-saqartvelo-adamianis-uflebebi-rusuli-kanonis-pirispir, განახლებულია: 25.12.2024.

[49] „აქციაზე ხალხი რეგიონებიდან ჩამოიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „FormulaNews“, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/110240, განახლებულია: 25.12.2024.

[50] იქვე.

[51] „ქართული ოცნების“ ლიდერები ანტიდასავლურ, სუვერენისტულ, კონსპიროლოგიურ რიტორიკას ამძაფრებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/602419, განახლებულია: 25.12.2024.

რეგიონებიდან ჩამოიყვანა ადგილობრივ საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირები, მათ შორის, მათი ნების საწინააღმდეგოდ.[52]

გარდა ამისა, საპროტესტო ტალღასთან საბრძოლველად ხელისუფლებამ წამოიწყო ორგანიზებული, სისტემური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა/ძალადობის მუქარა აქციის მონაწილეების მიმართ.[53] პოლიტიკური შეხედულების, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით იდევნებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და აქციის მონაწილეები.[54] კანონის მოწინააღმდეგეებს, მათი ოჯახების წევრებს და ჟურნალისტებს უცხო ნომრებიდან ურეკავდნენ, აშინებდნენ, აქციებში მონაწილეობის გამო სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ.[55]

გარდა სატელეფონო ზარებისა, მმართველი პარტიის მიერ წახალისებული და ორგანიზებული არაოფიციალური დაჯგუფებები (ე.წ. „ტიტუშკები“) აქციის მონაწილეებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, სახლებისა და სამსახურების შესასვლელებთან ხვდებოდნენ, ხოლო აქციებზე ყველას თვალწინ ფიზიკურად უსწორდებოდნენ.[56] ოპოზიციურ პარტიებზე თავდასხმის ნათელი მაგალითებია ქვებით, ჯოხებითა და სხვა საგნებით შეიარაღებული ათობით პირის მიერ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სათავო ოფისის დარბევა 1-ელ ივნისს,[57] ასევე, ამავე პარტიის ოფისის გაქურდვა 8 ივნისს ზესტაფონში.[58] სავარაუდოდ, მმართველ პარტიასთან დაახლოებულმა „ტიტუშკებმა“ დააზიანეს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისებიც, მათი წარმომადგენლების მანქანები და სახლის ფასადები, რომლებზეც უცენზურო სიტყვები თუ ნიშნები გამოსახეს.[59] გაკრულ პლაკატებზე დატანილი იყო მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან საჯაროდ გაცხადებული სიძულვილის ენის შემცველი ნარატივი.[60]

ზემოაღნიშნული ქმედებების კულმინაცია იყო „ქართული ოცნების“ დეპუტატ დიმიტრი სამხარაძის მიერ გამოქვეყნებული ვიდეო, სადაც ნათლად ჩანს, როგორ არბევდნენ ოფისებსა და სახლებს გარკვეული ჯგუფები.[61] დიმიტრი სამხარაძე თავის

---

[52] „დამიჯერე, აქ წესიერ პასუხს ვერ გაიგებ“ - რა ხდებოდა ოცნების კონტრაქციის შეკრების დროს გორში“, საინფორმაციო პორტალი „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“, 2024 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/21527--damijere-aq-tsesier-pasukhs-ver-gaigeb-ra-khdeboda-ocnebis-kontraqciis-shekrebis-dros-gorshi, განახლებულია: 07.03.2025.

[53] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, აპრილი - მაისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciam-moamzada-specialuri-angarishi-saqartvelo-adamianis-uflebebi-rusuli-kanonis-pirispir, განახლებულია: 25.12.2024.

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] „ნაციონალური მოძრაობის” განცხადებით, პარტიის ცენტრალურ ოფისს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი „1TV.ge“, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/nacionaluri-modzraobis-ganckhadebit-partiis-centralur-ofiss-tavs-daeskhnen/, განახლებულია: 17.12.2024.

[58] „ზესტაფონში ნაციონალური მოძრაობის ოფისი გაქურდეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/11269, განახლებულია 23.02.2025.

[59] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciam-moamzada-specialuri-angarishi-saqartvelo-adamianis-uflebebi-rusuli-kanonis-pirispir, გვ. 20.

[60] იქვე.

[61] „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ტიტუშკებს აგზავნის“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/718849-kartulma-otsnebam-aghiara-rom-partiebtan, განახლებულია: 25.12.2024.

პოსტში ასევე აღიარებს, რომ სწორედ მის მიერ იყო ორგანიზებული მუქარის შემცველი ზარების განხორციელება, შეურაცხმყოფელი წარწერებისა და მასტიგმატიზებელი პლაკატების გაკვრა.[62] მისი განცხადებით, ეს ქმედებები პასუხი იყო იმ ბულინგზე, რომელსაც მოქალაქეები, პროტესტის ნიშნად, „ქართული ოცნების“ სხვადასხვა წარმომადგენლის მიმართ იყენებდნენ. გარდა ამისა, იგი პირდაპირ ემუქრებოდა კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მათ შორის, საიას), ასევე, პოლიტიკურ პარტიებს და აფრთხილებდა, რომ, თუ „ცუნდრუკს არ შეწყვეტდნენ, ისე მოექცეოდნენ, ერთმანეთის დანახვაც კი აღარ მოუნდებოდათ“.[63] სამხარაძის პოსტი და განხორციელებული თავდასხმები შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დევნის სავარაუდო ნიშნებს. თავდასხმის დამადასტურებელ ვიდეოში ნათლად ჩანს, როგორ აზიანებდნენ, ღებავდნენ და შეურაცხმყოფელ სიმბოლოებს ახატავდნენ, მათ შორის, საიას ოფისს. ამ ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით საიამ გენერალურ პროკურატურას, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დევნის დანაშაულის შემადგენლობა ვერ დაინახა. მან და პროკურატურამ საქმე შსს-ში გადაამისამართეს. გარდა ამისა, საიამ ორჯერ წერილობით და რამდენჯერმე ტელეფონით მიმართა თბილისის მერიას, რათა უზრუნველეყოთ შენობის გარე ფასადის წარწერებისა და პლაკატებისგან გასუფთავება.[64] თუმცა, დაპირებების მიუხედავად, არც მერიისა და არც ზემოთ ხსენებული საგამოძიებო უწყებების მხრიდან ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. 25 ნოემბერს საიამ ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი ნაბიჯების გადასადგმელად სახალხო დამცველს მიმართა.[65]

საიას მონიტორინგის შედეგად, რუსული სტილის კანონთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების დროს ადამიანის უფლებების შემდეგი დარღვევები გამოვლინდა:[66]

- შეკრების თავისუფლების უხეში დარღვევა;
- სამართალდამცველთა მხრიდან სისტემური ძალადობა;
- უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ძალადობის წახალისება;
- სისხლის და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმების ინსტრუმენტალიზაცია პროტესტის მონაწილეთა დასაშინებლად;
- აქციის მონაწილეების, პროტესტის მხარდამჭერების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების და მათი ოჯახის წევრების (მათ შორის, ბავშვების და ოჯახის ხანდაზმული წევრების) დაშინება, მათ მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და ფიზიკურ ანგარიშსწორება.
- ოპოზიციური პარტიის ოფისზე თავდასხმა.

[62] იქვე.
[63] იქვე.
[64] აღსანიშნავია, რომ საიას შენობა მიეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.
[65] საიას 2024 წლის 25 ნოემბრის წერილი №გ-01/147-24.
[66] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciam-moamzada-specialuri-angarishi-saqartvelo-adamianis-uflebebi-rusuli-kanonis-pirispir.

საქართველოს სახალხო დამცველმა 13 მაისს გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც, მან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა ოპოზიციის წევრებზე, აქტივისტებზე, ჟურნალისტებზე, კანონპროექტის წინააღმდეგ აქციაში მონაწილე მოქალაქეებზე თავდასხმების დროული და ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნით.[67] ომბუდსმენის განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია. სამოქალაქო აქტივისტებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე ინტენსიური თავდასხმების ფონზე, ხელისუფლებას ზომების მიღებისა და ინციდენტების ზედმიწევნით გამოძიებისკენ მოუწოდეს დიპლომატიურმა მისიებმაც.[68]

მიუხედავად მოწოდებებისა, შესაბამის ორგანოებს დღემდე არ გამოუძიებიათ 2024 წლის აპრილი-მაისის მოვლენები და არცერთი დამნაშავე პასუხისგებაში არ მიუციათ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ დანაშაულებრივი ჯგუფები სახელისუფლებო წრეების მიერ იყვნენ მართულნი და მათ დავალებებს ასრულებდნენ.

დარღვევებით მიმდინარეობდა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვებიც. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით, ოპოზიციონერ დეპუტატებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს კითხვის დასრულების შესაძლებლობას არ აძლევდა და დარბაზიდან აძევებდა.[69] მმართველი პარტიის დეპუტატები გაურბოდნენ კრიტიკულ კითხვებს და ოპონენტებს აზრის გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავდნენ. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს კანონის ერთპარტიულობას, მისი განხილვისას განსხვავებული შეხედულებებისა და კანონის უშუალო ადრესატების პოზიციის მიუღებლობას.

საბოლოოდ, 2024 წლის 14 მაისს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, 84 ხმით 30-ის წინააღმდეგ, მესამე მოსმენით მიიღო.[70] კანონის მიღების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს და შეწყვიტეს საქმიანობა როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივ, საკრებულოების დონეზე.[71] 18 მაისს პრეზიდენტმა კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს დაუბრუნა (კანონპროექტს ვეტო დაადო).[72] 2024 წლის 28 მაისს პარლამენტმა ვეტო დაძლია, ხოლო, 3 ივნისს კანონპროექტს ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.[73]

---

[67] „სახალხო დამცველი მომიტინგეების პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით დევნაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606221, განახლებულია: 25.12.2024.

[68] „სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ დაშინებისა და ძალადობის კამპანიას საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/605290, განახლებულია: 25.12.2024.

[69] „რუსული კანონის საკომიტეტო მოსმენა დეპუტატების გაძევებისა და ცენზურის ფონზე მიმდინარეობს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/rusuli-kanonis-sakomiteto-mosmena-deputatebis-gadzevebisa-da-cenzuris-fonze-mimdinareobs, განახლებულია: 25.12.2024.

[70] „პროტესტის ფონზე, პარლამენტმა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606456, განახლებულია: 25.12.2024.

[71] „რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606596, განახლებულია: 25.12.2024.

[72] ეს კანონი უნდა გაუქმდეს“ - პრეზიდენტმა რუსულ კანონს ვეტო დაადო“, საინფორმაციო პორტალი „Netgazeti.ge“, 2024 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/723140/, განახლებულია: 28.02.2025.

[73] „აგენტების კანონს“ შალვა პაპუაშვილმა ხელი მოაწერა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32976762.html, განახლებულია: 25.12.2024.

კანონის ძირითადი მუხლები 1-ლი აგვისტოდან ამოქმედდა. კანონის ამოქმედების დღეს გამოქვეყნდა იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ღირსების შემლახავი რეესტრის წარმოების ზუსტ პროცედურებს.[74] კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაემატა ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურაშიც რეგისტრაციისა და დეკლარირების მონიტორინგის სამსახურები შედიან.[75] ბრძანების თანახმად, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები რეესტრში ერთი თვის განმავლობაში უნდა დარეგისტრირებულიყვნენ. ვადის გასვლის შემდეგ ამ დეპარტამენტს უნდა ეწარმოებინა მონიტორინგი. შედეგად, დაურეგისტრირებელი ორგანიზაცია დაჯარიმდებოდა 25 000 ლარით და მას იძულებით შეიყვანდნენ რეესტრში.[76] ამ ჯარიმის გადასახდელად ორგანიზაციას 30 დღე აქვს. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება აქტს არ აჩერებს.[77] ნებსითი თუ იძულებითი რეგისტრაციის შემდეგ კი ორგანიზაციას წარმოეშობა ფინანსური დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება.[78]

კანონის ამოქმედებისთანავე მისი საწინააღმდეგო სამი სარჩელი შევიდა საკონსტიტუციო სასამართლოში. აქედან ერთი - 18 ივლისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა წარადგინა კანონის შეუსაბამობის გამო კონსტიტუციის 78-ე მუხლთან, რომელიც ყველა სახელმწიფო ხელისუფლებას ავალდებულებს, ისწრაფოდეს ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ.[79] კანონის არაკონსტიტუციურობის იგივე მიზეზი იყო დასახელებული პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატების 31 ივლისის სარჩელში.[80] 24 ივლისს საქართველოს სამოქალაქო სექტორმა, ჯამში 122-მა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ, რუსული სტილის კანონის საწინააღმდეგო კიდევ ერთი სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.[81] საია,

---

[74] ასევე, კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაემატა ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურაშიც შედიან რეგისტრაციისა და დეკლარირების მონიტორინგის სამსახურები. ბრძანების თანახმად, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები რეესტრში ერთი თვის განმავლობაში უნდა დარეგისტრირებულიყვნენ. ვადის გასვლის შემდეგ კი ამ დეპარტამენტს უნდა ეწარმოებინა მონიტორინგი. დაურეგისტრირებელი ორგანიზაცია დაჯარიმდებოდა 25 000 ლარით და მოხდებოდა მისი იძულებითი შეყვანა რეესტრში. ამ ჯარიმის გადასახდელად ორგანიზაციას 30 დღე აქვს. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება აქტს არ აჩერებს. ნებსითი თუ იძულებითი რეგისტრაციის შემდეგ კი ორგანიზაციას წარმოეშობა ფინანსური დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება. იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1-ლი აგვისტოს №1019 ბრძანება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0, განახლებულია: 26.12.2024.

[75] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1-ლი აგვისტოს №1019 ბრძანება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0, განახლებულია: 26.12.2024.

[76] იქვე.

[77] იქვე.

[78] იქვე.

[79] კონსტიტუციური სარჩელი №1828, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16675, განახლებულია: 26.12.2024.

[80] კონსტიტუციური სარჩელი №1834, საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 31 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17000, განახლებულია: 26.12.2024.

[81] კონსტიტუციური სარჩელი №1829, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“,

სხვა ორგანიზაციების მსგავსად, კანონს მიიჩნევდა არაკონსტიტუციურად აზრის გამოხატვასთან, ინფორმაციისა და მედიის თავისუფლებასთან, ასევე გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით.[82] სამივე მოსარჩელე, კანონის არაკონსტიტუციურად ცნობასთან ერთად, შუამდგომლობის სახით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის მოქმედების შეჩერებას მოითხოვდა.[83] საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ჯერ არ გამოუტანია, ასევე, 2024 წლის 4 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით, მოსარჩელეების შუამდგომლობა კანონის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა.[84]

კანონის ამოქმედების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი საკუთარი ნებით არ დარეგისტრირდა ღირსების შემლახავ რეესტრში. სამართლებრივი ბრძოლა გაგრძელდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც.[85] 120-მა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, 16-მა მედიაორგანიზაციამ და 4-მა ფიზიკურმა პირმა სარჩელი სასამართლოში 17 ოქტომბერს გაგზავნეს.[86] ამ დროისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში 385 ა(ა)იპ-ია რეგისტრირებული.[87]

აღსანიშნავია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის შემობრუნებამ და, საბოლოოდ, მიღებამ მნიშვნელოვნად დააზიანა ქართული სამოქალაქო სექტორის საქმიანობა, ხელი შეუწყო მის სტიგმატიზებას, იმავდროულად, წარმოუდგენელი ზიანი მიაყენა ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ქვეყნის ურთიერთობას ევროკავშირსა და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან, გამოიწვია ხელისუფლებისადმი უნდობლობა და შელახა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. ამის ფონზე, დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ქართველი მაღალჩინოსნებისა და მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებელი პირების დასანქცირების საკითხი.[88]

ა(ა)იპ „უფლებები საქართველო", ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი" და სხვები (სულ 122 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 24 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16941, განახლებულია: 26.12.2024.

[82] იქვე.

[83] იქვე.

[84] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №3/3/1828,1829,1834,1837, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი), ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ა(ა)იპ „უფლებები საქართველო", ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი" და სხვები (სულ 122 მოსარჩელე), შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი" და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17223, განახლებულია: 26.12.2024.

[85] „ვაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას რუსული კანონის წინააღმდეგ", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/vagrdzelebt-samartlebrivbrdzolas-rusuli-kanonis-tsinaaghmdeg, განახლებულია: 26.12.2024.

[86] „სამართლებრივი ბრძოლა რუსული კანონის წინააღმდეგ სტრასბურგში გაგრძელდება", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 17 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/samartlebrivi-brdzola-rusuli-kanonis-cinaagmdeg, განახლებულია: 26.12.2024.

[87] უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი 2024 წლის 26 დეკემბრის მონაცემებით, ხელმისაწვდომია: https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub.

[88] McCain Institute, George W. Bush Institute, Freedom House Call for Action Against Autocratic Georgian Dream Government, Official Webpage of McCain Institute, 22 May 2024, ხელმისაწვდომია: https://www.mccaininstitute.org/resources/in-the-news/mccain-institute-call-for-action-against-georgian-dream-government/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0c1pajLIimUVz-RewkmI75avlmAE0R6WZAw3SdmfwAFY-r279xXKLiwFM_aem_

3. პოლიტიკური პარტიების აკრძალვის ინიციატივა

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ქვეყანაში არსებულ პრობლემებში ოპოზიციის დადანაშაულება იყო. მმართველი პარტია ოპოზიციურ პარტიებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებაში სდებდა ბრალს. ირაკლი კობახიძის თქმით, „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ მოიცავდა არა მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მოკავშირეებს,[89] არამედ მთელ ოპოზიციურ სპექტრს.[90] „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ და მის შემდგომ პერიოდშიც ცდილობდა ქვეყნის ოპოზიციური პარტიების მარგინალიზებას. მათ უწოდებდნენ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ და ამ უკანასკნელს - „არაქართულ მოვლენას“. გარდა ამისა, მმართველი პარტიის წარმომადგენლები სწორედ ამ „არაქართულ მოვლენას“ უკავშირებდნენ საკუთარ თეორიას, რომ მთლიანი ოპოზიცია იმართებოდა უცხოეთიდან და ისინი ქვეყანაში უცხოურ გავლენებს ავრცელებდნენ. ამასთანავე, „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ ადანაშაულებენ პოლიტიკურ პოლარიზაციაში და აცხადებდნენ, რომ სანამ ისინი არაკონსტიტუციურად არ გამოცხადდებოდნენ, ეს პრობლემა ვერ მოგვარდებოდა.

სწორედ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციური პარტიების აკრძალვა დააანონსა.[91]

პოლიტიკური პლურალიზმი დემოკრატიის საფუძველია, ხოლო მრავალპარტიულობა - ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მთავარი ელემენტი. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარტიები ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ, რაც ოპოზიციას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს.

ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მუქარა დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფას ნიშნავს და საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სისტემას. წინასაარჩევნოდ ოპოზიციის დისკრედიტაცია და მათთვის სახელმწიფოს მტრობის დაბრალება მიზნად ისახავს ოპონენტების ჩამოშორებას და ამომრჩევლებში ნიჰილიზმის გაღვივებას. სამართლიანი არჩევნებისთვის კი აუცილებელია, რომ თითოეულ მოქალაქეს საკუთარი ხმის ძალა ფუჭად არ ეჩვენებოდეს.

პოლიტიკური სპექტრი

1. მმართველი პარტია

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში მმართველ პარტიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. 2023 წლის 30 დეკემბრის ყრილობაზე ცნობილი გახდა, რომ პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდებოდა. მან პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა და-

---

AWYCRgU9KcPIWlb-7pHvc3nf0tBYnFf2ZxAhGEisU66uRfwPsfuxuUjDxmPqi7Lsp_BDJONnY788kcddvO2AMaUz, განახლებულია: 26.12.2024; „JOINT MOTION FOR A RESOLUTION on the democratic backsliding and threats to political pluralism in Georgia“, Official Webpage of European Parliament, 8. October 2024, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-10-2024-0070_EN.html, განახლებულია: 26.12.2024.

[89] „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციას ქმნიან პარტიები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“.

[90] „ნაციონალური მოძრაობა”, „სტრატეგია აღმაშენებელი”, „ახალი”, „დროა”, „გირჩი - მეტი თავისუფლება”, „ლელო”, „გახარია - საქართველოსთვის”.

[91] „მოსახლეობის დაკვეთა და „ქართული ოცნების” საარჩევნო დაპირებები - რას აჩვენებს კვლევები”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3ee82e6z, განახლებულია: 27.12.2024.

იკავა.[92] განახლებული წესდების მიხედვით, ყრილობამ საპატიო თავმჯდომარედ შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქვეყნისა და პარტიის წინაშე.[93] ამასთანავე, ის პარტიის მთავარი პოლიტიკური მრჩეველია.[94] ივანიშვილის განცხადებით, მისი ერთ-ერთი როლი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენებაა.[95] წესდებაში შესულმა ცვლილებებმა, შიდაპარტიული დემოკრატიის შემცირების ხარჯზე, გააძლიერა პარტიის შიგნით გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების რისკები, განსაკუთრებით, ივანიშვილის მაღალი ლეგიტიმაციისა და საპატიო თავმჯდომარის ანგარიშვალდებულების მექანიზმის არარსებობის პირობებში.

2024 წლის დასაწყისში შეიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრიც. 29 იანვარს ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა.[96] 8 თებერვალს კი იგი პოსტზე ირაკლი კობახიძემ ჩაანაცვლა.[97] სხვა მხრივ, მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ერთი ცვლილება განხორციელდა - თავდაცვის მინისტრი, ჯუანშერ ბურჭულაძის მაგივრად, ირაკლი ჩიქოვანი გახდა.[98]

2024 წლის 16 ივლისს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია, თბილისში პარტიის ახალ ოფისთან ერთად, ოფიციალურად გაიხსნა. ღონისძიებაზე საპატიო თავმჯდომარემ კვლავ ისაუბრა კონსპირაციულ თეორიებზე „გლობალური ომის პარტიისა“ და მეორე ფრონტის გახსნის საფრთხის შესახებ.[99] გარდა ამისა, მან დაანონსა არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაც.[100] ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ წინასაარჩევნო კამპანიას ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებდა, ხოლო კამპანიის ლიდერი ირაკლი ღარიბაშვილი იქნებოდა.[101] ამასთანავე, „ქართულმა ოცნებამ“ და მისგან ფორმალურად გამოყოფილმა „ხალხის ძალამ“ ერთიანი საარჩევნო სია წარადგინეს.[102]

„ქართულმა ოცნებამ“ 15 და 23 აგვისტოს საარჩევნოდ ქვეყნის მასშტაბით, ჯამში, 30 დელეგატი წარადგინა. აღსანიშნავია, რომ დელეგატები იყვნენ პარტიასთან სხვა-

---

[92] „ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა“, საინფორმაციო პორტალი „1TV.ge“, 2023 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/bidzina-ivanishvili-politikashi-dabrunda/, განახლებულია: 14.01.2025.

[93] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წესდება, მუხლი 6[1].

[94] იქვე.

[95] „ქართული ოცნების“ განახლებული წესდება „საპატიო თავმჯდომარეს“ ძალაუფლებას ფორმალურად ანიჭებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 10 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/576705, განახლებულია: 14.01.2025.

[96] „ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/785559-irakli-garibashvili-premier-ministris-tanamdebobas-tovebs/, განახლებულია: 14.01.2025.

[97] „პარლამენტმა პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581602, განახლებულია: 14.01.2025.

[98] იქვე.

[99] „ქართული ოცნების” საარჩევნო კამპანია - პოლიტიკური გზავნილები”, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge”, 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/qartuli-ocnebis-saarchevno-kampania-politikurigzavnilebi/, განახლებულია: 14.01.2025.

[100] იქვე.

[101] „ქართული ოცნების” საარჩევნო შტაბს ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს”, საინფორმაციო პორტალი „publika.ge”, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/qartuli-ocnebis-saarchevno-shtabs-irakli-kobakhidzeukhelmdzghvanelebs/, განახლებულია: 14.01.2025.

[102] „საპარლამენტო არჩევნებზე „ხალხის ძალა” „ქართული ოცნების” სიაში იქნება”, 2024 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33038882.html, განახლებულია: 14.01.2025.

დასხვა მხრივ დაკავშირებული პირები, მათ შორის, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ხელოვნების სფეროს მუშაკები და ის ბიზნესმენები, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში იმარჯვებდნენ.[103] ფაქტობრივად, ყველა დელეგატი გარკვეული გავლენებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თავის რეგიონში.

2. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი

ცვლილებები განხორციელდა ოპოზიციურ სპექტრშიც. პარტიების გარკვეული გადაადგილებები და კოალიციების ჩამოყალიბება გამოიწვია 2024 წლის გაზაფხულზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული სტილის კანონის მიღებასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა კრიზისმა, ხელისუფლების საგარეო კურსის მკვეთრმა ცვლილებამ და ამით გამოწვეულმა პროტესტმა.

საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური სპექტრი, მმართველი პარტიის გარდა, შემდეგი სუბიექტებით დაკომპლექტდა: 2024 წლის 11 მარტს ნიკანორ მელიამ და ნიკა გვარამიამ დააარსეს პარტია „ახალი“.[104] 9 ივლისს „ახალს“ შეუერთდნენ „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“.[105] გაერთიანების მთავარი მიზანი იყო „ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების სახლში გაშვება და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება“.[106] 18 აგვისტოს „ახლის”, „გირჩი - მეტი თავისუფლების” და „დროას” ალიანსს შეუერთდა „რესპუბლიკური პარტია”, რომლის თავმჯდომარეც ამჟამად ხათუნა სამნიძეა.[107] არჩევნებში კოალიცია მე-4 ნომრით მონაწილეობდა.

გარდა ამისა, არჩევნებისთვის გაერთიანდნენ პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“, რომლებმაც პლატფორმა სახელწოდებით „ერთიანობა - საქართველოს გადარჩენისთვის“ შექმნეს.[108] პლატფორმას, პარტიების გარდა, შეუერთდნენ დამოუკიდებელი დეპუტატები: თამარ კორძაია და არმაზ ახვლედიანი, პოლიტოლოგი გია ჯაფარიძე, მიხეილ სააკაშვილის პირადი

[103] „ოცნების» 22 დელეგატი - რა ვიცით მათზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A122%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%96%E1%83%94/33087209.html, განახლებულია: 14.01.2025.

[104] „ნიკა მელია და ნიკა გვარამია ერთიანდებიან, მათი გაერთიანება „ახალი“ კი არჩევნებში მონაწილეობას საარჩევნო ნომერი 4-ით მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wwcrm7, განახლებულია: 14.01.2025.

[105] „ახალი“, „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“ გაერთიანდნენ“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/akhali-droa-da-girchi-meti-tavisuflebistvis-gaertiandnen/, განახლებულია: 15.08.2025.

[106] „ახალი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დროა“ არჩევნების წინ ერთიანდებიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/615732, განახლებულია: 14.01.2025.

[107] „არჩევნები 2024: ასეთია პარტიების ბოლო კონფიგურაცია”, საინფორმაციო პორტალი „newsge.com”, 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://newsge.com/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2024-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94/, განახლებულია: 14.01.2025.

[108] „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის» - ვინ არიან ახალი პოლიტიკური პლატფორმის წევრები“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2024 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/114013, განახლებულია: 14.01.2025.

წარმომადგენელი სოფო ჯაფარიძე და ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე.[109] გაერთიანება არჩევნებში მე-5 ნომრით მონაწილეობდა.[110] 17 აგვისტოს მას „ევროპული საქართველოც“ შეუერთდა.[111]

17 ივლისს კიდევ ორი პოლიტიკური პარტია - „ლელო“ და „ხალხისთვის“ გაერთიანდა.[112] მოგვიანებით მას პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების მოედანიც” შეუერთდა.[113] აღსანიშნავია, რომ „თავისუფლების მოედანი“ 2024 წლის 1-ელ ივლისს თანაგუნდელებთან ერთად დააარსა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ცუცქირიძემ.[114] კოალიციას შეუერთდა ალეკო ელისაშვილის პარტია „მოქალაქეებიც“, ხოლო საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილი ლიდერი დავით გამყრელიძე.

საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გადაწყვიტა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ დაარსებულმა პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“. აღსანიშნავია, რომ გახარია პოლიტიკურ გაერთიანებას განიხილავდა „ლელოსთან“, თუმცა მოლაპარაკებების ეტაპზე მათ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.[115]

ოპოზიციური პარტიების სიაში იყო ასევე იაგო ხვიჩიას პარტია „გირჩი“, ასევე, „პატრიოტთა ალიანსი“, რომელთანაც გაუქმებული პარტია „ალტ-ინფოს“ წევრები გაერთიანდნენ. მათ ამის შესახებ 24 ივნისს განაცხადეს.[116]

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ჯამში, 18 პარტია მონაწილეობდა.[117]

აღსანიშნავია, რომ არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე გიგა ბოკერიამ და თამარ ჩერგოლეიშვილმა ახალი პარტიის – „ფედერალისტების“ – შექმნის შესახებ გამოაცხადეს.[118] თუმცა, საარჩევნოდ კანდიდატების რეგისტრაცია დაგვიანებული იყო,

---

[109] იქვე.

[110] „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ პოლიტიკური პლატფორმა „ერთიანობა – საქართველოს გადარჩენისთვის“ დააფუძნეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/615683, განახლებულია: 14.01.2025.

[111] „არჩევნები 2024: ასეთია პარტიების ბოლო კონფიგურაცია”, საინფორმაციო პორტალი „newsge.com”, 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/XUgZW, განახლებულია: 14.01.2025.

[112] „არჩევნების წინ კიდევ სამი ოპოზიციური ძალა ერთიანდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/616665, განახლებულია: 15.08.2024.

[113] იქვე.

[114] „ახალი პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების მოედანი“ შეიქმნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge°, 2024 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/615045, განახლებულია: 22.01.2025.

[115] „გახარია-ხაზარაძის ალიანსი ვერ შედგა“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/gakharia-khazaradzis-aliansi-ver-shedga/, განახლებულია: 22.01.2025.

[116] „საპარლამენტო არჩევნებისთვის „ალტ-ინფოს» „კონსერვატიული მოძრაობა» „პატრიოტთა ალიანსთან» გაერთიანდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 24 ივნისი, განახლებულია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33007316.html, განახლებულია: 22.01.2025.

[117] მონაწილე სუბიექტები: „საქართველოს ერთობისა და გათავისუფლების პარტია - 3“, „კოალიცია ცვლილებებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა - 4“, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა - 5“, „ევროპელი დემოკრატები - 6“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 8“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის - 9“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 10“, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო - 12“, „შეცვალე საქართველო - 16“, „საქართველო - 17“, „თავისუფალი საქართველო - 20“, „ტრიბუნა - 21“, „ჩვენ - 23“, „გახარია საქართველოსთვის - 25“, „მემარცხენე ალიანსი - 26“, „ქართველთა ერთობა - 27“, „გირჩი - 36“, „ქართული ოცნება - 41“.

[118] „ბოკერია-ჩერგოლეიშვილის გუნდმა ახალი პარტია „ფედერალისტები» წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33080302.html, განახლებულია: 13.03.2025.

შესაბამისად, მათ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.[119] ბოკერია-ჩორგოლეიშვილის მიერ ახალი პარტიის დაფუძნების მიზეზი „ევროპულ საქართველოში“ შიდაპარტიული კრიზისი გახდა.[120] გიგა ბოკერიას განმარტებით, პარტიის გენერალურ მდივან აკაკი ბობოხიძის, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგი წერეთლისა და მათი მხარდამჭერებისთვის პოლიტსაბჭოში მიუღებელი აღმოჩნდა პრაიმერიზის შედეგები, ასევე, განსაკუთრებით, მისი, როგორც თავმჯდომარის, პოზიცია პრაიმერიზში მონაწილე გუნდებთან დაკავშირებით.

3. „ქართული ქარტია“

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პოლიტიკური კრიზისის მოგვარებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე დაბრუნების სტრატეგია - „ქართული ქარტია“ წარმოადგინა.[121] მან ოპოზიციურ პარტიებს ქარტიაზე ხელმოსაწერად ვადა 1-ელ ივნისამდე მისცა.[122] „ქართული ქარტია“ განსაზღვრავდა ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყანას კრიზისული ვითარებიდან გამოიყვანდა, იმავდროულად, არ ითვალისწინებდა ერთიან სიას ან სხვა ფორმით სავალდებულო პოლიტიკურ კავშირს.[123]

მიუხედავად იმისა, რომ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ გარკვეული დროის განმავლობაში თავს იკავებდა ქარტიის ხელმოწერისგან, საბოლოოდ, მას ყველა ოპოზიციური პარტია („გირჩის“ და „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა) შეუერთდა. თუმცა, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, „ქართული ქარტიის“ ამოქმედება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

საკანონმდებლო ცვლილებები

საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობის სტაბილურობა, განსაკუთრებით არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, მდგრადი საარჩევნო გარემოს აუცილებელი ნიშანია, რასაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიც ადასტურებს. საარჩევნო წელს საარჩევნო რეგულაციებში ხშირად შეტანილმა ცვლილებებმა, შესაძლოა, შეამციროს საზოგადოების ნდობა პროცესის მიმართ. აგრეთვე, განსაკუთრებული საჭიროების დასაბუთების გარეშე საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება უარყოფითად აისახოს პოლიტიკური პარტიების კონკურენტუნარიანობაზე. არჩევნების წინა პერიოდში პარლამენტმა მიიღო რამდენიმე ცვლილება, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა საპარლამენტო არჩევნებზე. მმართველი პარტიის მიერ ინიციირებულმა და მხარდაჭერილმა კანონპროექტებმა არსებითად გააუარესა საარჩევნო გარემო და მოერგო მათ ვიწრო პარტიულ ინტერესებს, შექმნა არათანასწორი გარემო სხვა საარჩევნო სუბიექტებისთვის, გააჩინა მათთვის ბარიერები და ხელი შეუწყო მმართველი პარტიის მიერ არაჯანსაღი და არათანაბარი უპირატესობის მოპოვებას.

---

[119] იქვე.

[120] „ვინ წავიდა ევროპული საქართველოდან და ვინ დარჩა პარტიაში”, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა”, 2024 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/721394-vin-cavida-evropuli-sakartvelodan-vindarcha, განახლებულია: 13.03.2025.

[121] „პრეზიდენტი: წარმოგიდგენთ სამოქმედო გეგმას - „ქართულ ქარტიას“, 2024 წლის 26 მაისი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=398, განახლებულია: 14.01.2025.

[122] „პრეზიდენტის „ქართული ქარტიის» ძლიერი და სუსტი მხარეები“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 27 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/qQHJp, განახლებულია: 14.01.2025.

[123] იქვე.

1. საარჩევნო სისტემა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, ქვეყნის ისტორიაში პირველად, სრულად პროპორციული წესით ჩატარდა. წინა, შერეული სისტემისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობდა პარლამენტის 150 წევრიდან ნაწილის - პროპორციულით, ნაწილის კი - მაჟორიტარული პრინციპით არჩევას, ახალი რეგულირებით, საკანონმდებლო ორგანო კომპლექტდება საქართველოს ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული წევრებით. შესაბამისად, 26 ოქტომბერს მოქალაქეებმა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შორის გააკეთეს არჩევანი, ხოლო საარჩევნო სუბიექტებს შორის მანდატები მიღებული პროცენტების მიხედვით გადანაწილდა. სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა უდავოდ დადებითად შეფასდა, რადგან იგი უფრო მეტად უზრუნველყოფდა მოსახლეობის მაქსიმალურ წარმომადგენლობას პარლამენტში. თუმცა, ამ სისტემაში შენარჩუნდა 5%-იანი ბარიერი, რაც მანდატების გადანაწილებას უშვებს მხოლოდ იმ პარტიებს შორის, რომლებმაც მინიმალური ბარიერი გადალახეს.[124] არსებული მექანიზმი გამოწვევად რჩება და შეიძლება უარყოფითად აისახოს პარტიულ მრავალფეროვნებაზე პარლამენტში.[125]

2. გენდერული კვოტების გაუქმება

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე იყო პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ინიციატივა ქალთა გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ, რომელსაც მმართველმა პარტიამ მხარი დაუჭირა. გაუქმების საკითხი 4 აპრილს პარლამენტმა 85 ხმით გადაწყვიტა.[126] ამის სანაცვლოდ, „გირჩი“ „ქართულ ოცნებას“ დაჰპირდა, რომ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე მათთვის სასურველ კანდიდატს დაუჭერდა მხარს.[127] პრეზიდენტმა ცვლილებას ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა იგი 15 მაისს დაძლია.[128]

აღსანიშნავია, რომ ქალთა გენდერული კვოტირების სისტემას ითვალისწინებდა ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“. ამ მექანიზმის მიზანი იყო პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერება და ამისთვის კანონი პარტიების ფინანსურ წახალისებასაც მოიაზრებდა. ამ მიდგომის მიხედვით, პარტიულ სიაში ყოველი მე-4 პირი განსხვავებული სქესის უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ის „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს შემოიტანა კანონმდებლობაში, როგორც დროებითი ღონისძიება, 2023 წელს კი 2032 წლამდე გაახანგრძლივა.[129]

---

[124] პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5%-ს მაინც მიიღებენ.

[125] მანდატების გადასანაწილებლად: კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე [მანდატების საერთო რაოდენობა] და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც, სულ ცოტა, 5% მიიღეს. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე ბარიერგადალახული პარტიები.

[126] „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/607551, განახლებულია: 23.12.2024.

[127] იქვე.

[128] იქვე.

[129] „ხუთი პირობა, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ დაარღვია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%97%E1%

გენდერული თანასწორობის მიღწევა, რომელსაც გენდერული კვოტირების სისტემა ემსახურებოდა, ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი იყო და ის შესრულებულად მიიჩნეოდა.[130]

პარლამენტმა აპრილში კვოტირების გაუქმება დაჩქარებულად განიხილა. პროექტს მხარი დაუჭირა, მათ შორის, პარლამენტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, „ქართული ოცნების" დეპუტატმა ნინო წილოსანმაც. გენდერული კვოტირების გაუქმებით გენდერული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელი მექანიზმების გაუარესების შესახებ ისაუბრა სახალხო დამცველმაც.[131] 2024 წლის 24 ივნისს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა „საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების გაუქმების თაობაზე ცვლილებების შეტანის შესახებ".[132] კომისიის მოსაზრებით, საარჩევნო წელს კვოტების გაუქმება „მნიშვნელოვან წუხილებს აჩენს".[133] გარდა ამისა, კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ გენდერული კვოტების შემოღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, კონსტიტუციურად ცნო და მისი გაუქმებისას კანონმდებელს რაიმე სხვა ზომები არ შემოუთავაზებია.[134]

ეს საკანონმდებლო ცვლილება უარყოფითად აისახა კიდეც საპარლამენტო არჩევნების პარტიული სიების გენდერულ ბალანსზე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიათა სიებში რეგისტრირებული 1185 კანდიდატიდან მხოლოდ 29%-ია ქალი. წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, სადაც ქალთა წილი 44,3%-ს შეადგენდა, ვითარება მკვეთრად გაუარესებულია.[135] მათ შორის, თვალში საცემი უკუსვლაა მმართველი პარტიის საარჩევნო სიაშიც. მაშინ, როდესაც 2020 წელს მათ საარჩევნო სიაში ქალთა რაოდენობა 24% იყო, წელს ეს რიცხვი 16%-ით განისაზღვრა (დაზუსტებისთვის, სიის 169 კანდიდატიდან მხოლოდ 28 მათგანია ქალი). მოცემული სტატისტიკა ნათლად მიუთითებს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის კლების ტენდენციაზე.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ კვოტების გაუქმება მნიშვნელოვნად ამცირებს ქალთა ჩართულობას და ზღუდავს პოლიტიკურ პროცესში მათი თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. შესაბამი-

---

83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/32891324.html, განახლებულია: 23.12.2024.

[130] 2023 Communication on EU Enlargement policy, Georgia 2023 Report, Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en, განახლებულია: 23.12.2024.

[131] „სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს გენდერული კვოტირების გაუქმების კანონპროექტს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32887495.html, განახლებულია: 23.12.2024.

[132] OPINION ON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE WHICH ABOLISH GENDER QUOTAS, No. CDL-AD(2024)023, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), 2024 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)023-e, განახლებულია: 11.07.2024.

[133] იქვე.

[134] „ვენეციის კომისიის მოსაზრება გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/614052, განახლებულია: 11.07.2024.

[135] „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის განცხადება", ორგანიზაცია „50/50"-ის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 17 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/story.php?story_fbid=931456635673704&id=100064281296012&mibextid=WC7FNe&rdid=RhbLEKaVugBaeJv6, განახლებულია: 22.10.2024.

სად, აუცილებელია მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება/აღდგენა, რათა შეიქმნას ინკლუზიური და დაბალანსებული პოლიტიკური გარემო.

3. დელეგატის ცნების შემოღება

საარჩევნო წელს კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე საარჩევნო კოდექსში დელეგატის ცნების შემოღება იყო. ცვლილების თანახმად, საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლს დაემატა 6[1] პუნქტი,[136] რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო არჩევნებში პარტიას მიენიჭა უფლებამოსილება, პარტიული სიის შედგენისას კანონით გათვალისწინებული 30 საარჩევნო ოლქიდან განსაზღვროს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელიც, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, იქნება კონკრეტული საარჩევნო ოლქის დელეგატი. წევრობის თითოეული კანდიდატი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის დელეგატად. პარტიულ სიაში კანდიდატს მიეთითება იმ ოლქის ნომერი, რომლის დელეგატადაც იქნება წარდგენილი.[137]

განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია, პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში მოსახლეობამ არ დაკარგოს ბმა პარლამენტის დეპუტატებთან. ეს ბმა უზრუნველყოფს პარლამენტარების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და გამოწვევებზე მყისიერ და ხარისხიან რეაგირებას.[138]

საიას შეფასებით, პროპორციულ სისტემაში დელეგატობის ინსტიტუტის შემოღება მაჟორიტარიზმის ელემენტის დაბრუნებაა. პროპორციული სისტემის მთავარი მიზანი ამომრჩეველთა პარტიული პრეფერენციების მაქსიმალური ასახვაა, მაშინ, როდესაც დელეგატის სტატუსი ამომრჩეველთა ნებაზე ზეგავლენის ისეთივე მექანიზმია, როგორიც შერეულ სისტემაში მაჟორიტარის კომპონენტი იყო.

დელეგატის ცნებას ასევე შეუძლია, გავლენა მოახდინოს პარტიული სიების შედგენაზე. პარტიები ავტორიტეტულ და ცნობად კანდიდატებს იმ ოლქებში დაასახელებენ, სადაც მათი ამომრჩეველი მეტია, რაც ოლქებს შორის უთანასწორობას ქმნის. ეს წესი პოლიტიკურ პარტიებსაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს - მომგებიან პოზიციაში ხვდებიან ის პარტიები, რომლებსაც ძლიერი რეგიონული წარმომადგენლობა ჰყავთ, განსაკუთრებით, მმართველი პარტია, რომელიც ადგილობრივ ავტორიტეტებს ეყრდნობა.

დელეგატობის ინსტიტუტი, დიდი ალბათობით, შეცვლის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებს, კამპანიის სტრატეგიასა და პარტიულ შტაბებს, რაც კონკურენციის ასპექტს კვლავ მაჟორიტარული სისტემის პირობებს დაუახლოებს, ამით კი პროპორციული სისტემის არსს დაასუსტებს.

---

[136] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/28268, განახლებულია: 10.04.2024.

[137] იქვე.

[138] საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/eoqrR, განახლებულია: 10.04.2024.

აღსანიშნავია, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის დელეგატები მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა 15 და 23 აგვისტოს.[139] როგორც მოსალოდნელი იყო, დელეგატობის კანდიდატები განეკუთვნებოდნენ პარტიის მხარდამჭერ რეგიონულ ელიტას. მათ გარკვეული სახის ურთიერთობები ჰქონდათ პარტიასთან, ამასთანავე, თავიანთ გეოგრაფიულ არეალებში სარგებლობდნენ მაღალი ავტორიტეტითა და გავლენებით. „ქართული ოცნების“ პარტიულ სიაში წარმოდგენილი 30 დელეგატიდან არცერთი არ იყო ქალი.[140] გენდერული კვოტების მოქმედების შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვალდებულება ექნებოდა, ამ დელეგატებიდან, სულ მცირე, 7 ქალი დაენიშნა. თუმცა, რამდენიმე თვით ადრე გენდერული კვოტების გაუქმებამ მას პარტიულ სიაში დელეგატების სრულად მამაკაცებით დაკომპლექტების შესაძლებლობა მისცა.

საიას რეკომენდაციით, უნდა გაუქმდეს დელეგატის ცნება, რომელიც პროპორციულ სისტემაში მაჟორიტარიზმის ელემენტებს აფუძნებს, ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აჩენს და პარტიებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

4. პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმება

2024 წლის მაისში პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონში. ცვლილების თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის[141] მიმართვის საფუძველზე, გააუქმოს პარტიის რეგისტრაცია, თუ ზედიზედ 2 კალენდარული წლის განმავლობაში ის ბიუროს არ წარუდგენს კანონით გათვალისწინებულ საფინანსო დეკლარაციას, ან ყველა დეკლარაციაში ასახული შემოსავლები და ხარჯები ნულის ტოლი იქნება. ასეთ შემთხვევაში, პარტიის დარჩენილი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადაეცემა.[142]

ამასთანავე, მმართველი პარტიის განმარტებით, ინიციატივის მიზანია ე.წ. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმება, რომლებიც ფუნქციურუნარიანები არ არიან. თუმცა, დაუსაბუთებელია ამ ცვლილების მიღების საჭიროება საარჩევნო წელს. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, საკანონმდებლო სტაბილურობის პრინციპი-

---

[139] „ოცნების” 22 დელეგატი - რა ვიცით მათზე”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hZd0l, განახლებულია: 07.09.2024; „ქართულმა ოცნებამ” თბილისის ოლქებში დელეგატები წარადგინა”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33089621.html, განახლებულია: 07.09.2024.

[140] რეგისტრირებული საარჩევნო სიები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/archevnebi/2024/parlamentis-archevnebi-2024/saarchevno-subieqtebi-2024/registrirebuli-partiuli-siebi/singleview/11034358-registrirebuli-partiuli-siebi, განახლებულია: 13.01.2025.

[141] აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფუნქცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად, ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა. ამ საკითხის შეფასებისას კრიტიკული იყო ვენეციის კომისია. მისი განმარტებით, არსებული ინსტიტუციური ჩარჩო არ უზრუნველყოფს ბიუროს დამოუკიდებლობის საკმარის დონეს, შესაბამისად, მისი კომპეტენცია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ზედამხედველობისა და მაღალი დონის თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მიმართულებით კანონმდებლობაში დამატებითი გარანტიების გათვალისწინებას საჭიროებს. კომისია ასევე პრობლემად მიიჩნევს, რომ ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა-გათავისუფლება, დიდწილად, პრემიერ-მინისტრის ხელშია. კომისიის რეკომენდაციით, ბიუროს უფროსს მრავალპარტიული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს და ის პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით უნდა აირჩიონ.

[142] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 24^1-ე მუხლი.

დან გამომდინარე, მიმდინარე წელს პოლიტიკური პარტიების სამართალში ცვლილებები არ არის სასურველი. გამონაკლისი კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ამაზე ფართო კონსენსუსი არსებობს.

ცვლილება პრობლემურია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის ხელახალ რეგისტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ პარტიების ფინანსური მონიტორინგი ლეგიტიმური მიზანია, მათ უნდა ჰქონდეთ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა. არსებული რედაქციით, რეგისტრაციის გაუქმება პარტიის სრულ ლიკვიდაციას უტოლდება, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში, განსაკუთრებული საფუძვლების გარეშე, დაუშვებელია.

რეკომენდებულია, კანონით განისაზღვროს ხარვეზის გამოსწორებისა და ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობა. ასევე, პარტიას უნდა მიეცეს გონივრული ვადა რეგისტრაციის აღსადგენად, ამ პერიოდში კი მისი ქონება ხელშეუხებელი დარჩეს. ეს ხელს შეუშლის მმართველი პარტიის მიერ რეგულაციის არაკეთილსინდისიერ გამოყენებას და გააძლიერებს განსხვავებას პარტიის აკრძალვასა და რეგისტრაციის გაუქმებას შორის.

5. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესში ცვლილება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე შეიცვალა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესებიც. ცვლილებები მოიცავს შემოწირულების განმახორციელებელი სუბიექტების წრესა და რაოდენობას.

2023 წლის დეკემბერში პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და 82 ხმით მიიღო ცვლილება ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირებს აეკრძალათ პოლიტიკური პარტიისთვის შემოწირულებების გაცემა.[143]

ამავე ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებდა შემოწირულებების ზედა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების მაქსიმალური ოდენობა წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.5%-იდან 0.4%-მდე შემცირდა.[144] მასში შედის პარტიის ფინანსების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს - ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დადგენილი ხარჯების მთლიანი ოდენობა, მათ შორის, პარტიისა და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები.[145]

6. „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი

წინასაარჩევნოდ მმართველმა პარტიამ გააქტიურა ლგბტქი+ ადამიანების საწინააღმდეგო პროპაგანდა, სიძულვილის ენის წახალისება და ამ ყველაფრის პარტიული საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება. კონსერვატიული ამომრჩევლების მოსა-

[143] „იურიდიულ პირებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსება აეკრძალათ - რა შეიცვალა პარტიებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „გლობალნიუსი“, 2023 წლის 20 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://globalnews.ge/ge/georgia/iuridiul-pirebs-politikuri-partiebis-dafinanseba-aekrzalat-ra-seicvala-partiebistvis, განახლებულია: 23.12.2024.

[144] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^1-ე მუხლი.

[145] იქვე.

ზიდად ჰომოფობიური მიდგომების პრაქტიკას ხელისუფლება წინა წლებშიც მიმართავდა, თუმცა 2024 წელს მმართველი პარტიის ქმედებები, თავისი მასშტაბების გათვალისწინებით, გაცხადებულ პოლიტიკურ ჰომოფობიაზე მიუთითებს.

ჰომოფობიური/ტრანსფობიური რიტორიკის ფონზე, დარეგისტრირდა საკანონმდებლო პაკეტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“.[146] ის 19 კანონპროექტისგან შედგება, რომელთაგან ერთი ძირითადია, ხოლო 18 - მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები.[147]

კანონის მიხედვით, ქორწინებად კიდევ ერთხელ განისაზღვრა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი და აიკრძალა ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება.[148] ასევე, მკაფიოდ გაიწერა, რომ შვილად აყვანის უფლება აქვთ მხოლოდ ჰეტეროსექსუალ, სისგენდერ ადამიანს.[149] აიკრძალა როგორც გენდერის სამართლებრივი აღიარება, ასევე ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვა და მოხდა ამ უკანასკნელის კრიმინალიზება.[150] გარდა ამისა, კანონი კრძალავს საჯაროდ ისეთ შეკრებას/მანიფესტაციას, ისეთი რეკლამის გავრცელებას, მაუწყებლის მიერ ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთი ინფორმაციის ან მასალის გავრცელებას, რომელიც, შესაძლოა, სახელმწიფომ „ჰომოსექსუალური ურთიერთობის ან ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის თავის მიკუთვნების პოპულარიზაციად” მიიჩნიოს.[151] კანონით ასევე აიკრძალა როგორც არასრულწლოვანისთვის პირდაპირი კომუნიკაციით ასეთი ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ასეთ ინფორმაციაზე წვდომის შექმნა არაპირდაპირი კომუნიკაციის გზით.[152] საკანონმდებლო ცვლილებებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრა ამგვარი ინფორმაციის საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელების, არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით მისი მიწოდების და ასეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შექმნის შემთხვევაში.[153]

ამგვარი რეგულირება, სინამდვილეში, არის დისკრიმინაციული, დაუსაბუთებლად ზღუდავს შეკრების, გამოხატვის, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებებს, აწესებს ცენზურას და იწვევს, მათ შორის, შემოქმედებითი, სამეცნიერო და აქტივისტური გამოხატვის ფორმების კრიმინალიზებას. კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც.[154]

აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტს წინ უძღოდა მსგავსი შინაარსის საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივა.

---

[146] საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KZUASo, განახლებულია: 26.12.2024.
[147] იქვე.
[148] იქვე.
[149] იქვე.
[150] იქვე; ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 176^1-ე მუხლი.
[151] საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KZUASo, განახლებულია: 26.12.2024.
[152] იქვე.
[153] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^{10}-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 176^1-ე მუხლები.
[154] Georgia: political manipulation and harassment of LGBTI people and human rights defenders have no place in democratic society, 27. March 2024, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-political-manipulation-and-harassment-of-lgbti-people-and-human-rights-defenders-have-no-place-in-a-democratic-society, განახლებულია: 27.12.2024; Venice Commission , Opinion of the on the draft Constitutional Law on protecting family values and minors CDL-REF(2024)020, para. 102, 25 June, 2024, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e, განახლებულია: 27.12.2024.

საბოლოოდ, კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით, 84 ხმით არცერთის წინააღმდეგ, 17 სექტემბერს მიიღო.[155] კანონი მისი მიღებიდან მე-60 დღეს, 16 ნოემბერს ამოქმედდა.[156]

7. ე.წ. „ოფშორების კანონი“

კიდევ ერთი უარყოფითი საკანონმდებლო ინიციატივა იყო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში - ე.წ. „ოფშორების კანონი“. 2024 წლის 10 აპრილს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა პარლამენტში დააინიციირეს კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომელიც უმთავრესად ითვალისწინებს ე.წ. ოფშორებიდან ბიზნესის გადმოტანისას დაბეგვრისგან ერთჯერადად გათავისუფლებას. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, პირი (ან პირთა ჯგუფი), რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნებში ფლობენ ბიზნესს და შემოსავლებს შემოიტანენ ქვეყანაში, გათავისუფლდებიან მოგების/საშემოსავლო გადასახადებისგან. გარდა ამისა, აქტივები, რომლებსაც პირი შემოიტანს ქვეყანაში, გათავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან. ამის წინაპირობა კი ისაა, რომ უცხოური და ქართული საწარმოს აქციების/წილების 100%-ს ერთი და იგივე პირი უნდა ფლობდეს.[157] აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილა და უკვე 19 აპრილს მესამე მოსმენით დაამტკიცა.[158] 3 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო.[159] 29 მაისს პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არ გაიზიარა და ვეტო დაძლია.[160]

საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაცია სამდონიანია და იგი ყველა დონეზე შერეული პრინციპით, პროფესიულ-პოლიტიკური ქვეტიპის მოდელით ყალიბდება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია - დროებითი. ამ მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების მიმართ ლეგიტიმაციის გაზრდაა, რაც პოლიტიკური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობითა და ბალანსით უნდა მიიღწეოდეს. 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შედეგად განხორციელებული საარჩევნო რეფორმით, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე წევრების რაოდენობა 12-იდან 17-მდე გაიზარდა. შედეგად, ყველა კომისია რვა არა-

---

[155] „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის III მოსმენა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/28703, განახლებულია: 27.12.2024.

[156] „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი, მე-14 მუხლი.

[157] საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონში „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cdRT0, განახლებულია: 14.05.2024.

[158] „ოცნებამ“ ოფშორების შესახებ კანონი მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2024 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/109653, განახლებულია: 27.12.2024.

[159] „პრეზიდენტმა „ოფშორების“ შესახებ „ქართული ოცნების“ სადავო კანონს ვეტო დაადო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 3 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/603884, განახლებულია: 27.12.2024.

[160] „პარლამენტმა „ოფშორების კანონზე“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 29 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32970607.html, განახლებულია: 27.12.2024.

პარტიული და ცხრამდე საპარლამენტო მანდატების მფლობელი პარტიების მიერ დანიშნული წევრებისგან შედგება.

26 ოქტომბრის არჩევნების ადმინისტრირებას ცესკო, 73 საოლქო და 3 111 საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფდნენ.

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია

1.1. ცესკოს დაკომპლექტება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკოს 8 პროფესიული წევრი (მათ შორის, თავმჯდომარე) საქართველოს პარლამენტმა აირჩია, ხოლო დანარჩენი 9-მდე - პარტიებმა დანიშნეს.

2021 წელს ე.წ. „შარლ მიშელის დოკუმენტზე“ ხელმოწერით, საპარლამენტო უმრავლესობამ ამბიციური დემოკრატიული რეფორმების გატარების ვალდებულება აიღო.[161] ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმიდან მე-2 რეკომენდაცია სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, ცესკოს დამოუკიდებლობის გაზრდას გულისხმობდა.[162] 2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ცესკოს წევრთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა, რაც პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევას ემსახურებოდა.[163]

ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების სრული ვადით თანამდებობაზე გასამწესებლად პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა 2/3 გახდა საჭირო.[164] მაღალი კვორუმის შემოღება კანდიდატებთან დაკავშირებით კონსენსუსის ფორმირებას ისახავდა მიზნად. ჩიხური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, ცესკოს წევრისა და თავმჯდომარის არჩევის პროცედურა ასევე მოიცავდა ანტიკრიზისულ მექანიზმს. ეს ნიშნავდა, რომ, თუ ხმების საჭირო რაოდენობა პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა, კანდიდატს მეორედ (2/3 ხმების უმრავლესობით), მესამედ (3/5 ხმების უმრავლესობით), მეოთხედ (უბრალო უმრავლესობით) ეყრებოდა კენჭი. უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში, არჩეული პირი 6 თვით დაიკავებდა თანამდებობას. ცესკოს უპარტიო წევრებს პარლამენტს პრეზიდენტი წარუდგენდა. თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევის შემოთავაზებული მოდელი პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევას ემსახურებოდა, რასაც, საერთო ჯამში, ხელი უნდა შეეწყო ცესკოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის, მიმართ ნდობის გაძლიერებისთვის. ამისთვის სიმბოლური ნაბიჯი იყო ასევე ცესკოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ ოპოზიციური პარტიის წევრის დანიშვნა.[165]

---

[161] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 20.01.2025.

[162] Opinion on the EU membership application by Georgia, 17 June 2022, Brussels, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3T9Oqlo, განახლებულია: 20.01.2025.

[163] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, გვ. 34-35 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/epuLU, განახლებულია: 20.01.2025.

[164] იქვე, გვ. 35.

[165] 2021 წლის 3 აგვისტოს ცესკომ თავმჯდომარის ოპოზიციონერ მოადგილედ პარტია „ლელოს“ მიერ დანიშნული წევრი გიორგი სიორიძე აირჩია.

2021 წლის რეფორმის შედეგად შემუშავებული საკანონმდებლო ჩარჩო, მმართველი პარტიის ინიციატივით, არაერთხელ შეიცვალა და გაუარესდა. ცვლილებებით, გაუქმდა კონსენსუსის მისაღწევად პარტიებს შორის მოლაპარაკებების საჭიროება. შესაბამისად, მმართველ პარტიას მოეხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რომელიც მას ცესკოს ერთპიროვნულად დაკომპლექტების შესაძლებლობას უზღუდავდა და პროცესს აბალანსებდა.

ჯერ კიდევ 2021 წლის დეკემბერში საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ ცესკოს მოქმედი წევრის უფლებამოსილება, ვადის ამოწურვის მიუხედავად, განუსაზღვრელი დროით გაგრძელებულიყო ახალი წევრის არჩევამდე იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანდიდატი დროულად არ შეირჩეოდა.[166] ამ ცვლილებამ მმართველ პარტიას მოუსპო სტიმული, ემოქმედა ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმების მისაღწევად ცესკოს თავმჯდომარის ან პროფესიული წევრის დანიშვნის საკითხზე.

2023 წლის ზაფხულში საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების სრული ვადით (5 წლით) ასარჩევად დადგენილი კვორუმი პარლამენტის წევრთა 2/3-იდან სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამდე შემცირდა. კომისიის დაკომპლექტების პროცესს, ფაქტობრივად, ჩამოსცილდა საქართველოს პრეზიდენტი. კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და პარლამენტისთვის მათი წარდგენის უფლებამოსილება, მის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს მიენიჭა. პრეზიდენტის ინსტიტუტი ამ პროცესში მხოლოდ ფორმალურად დარჩა და ცხრაწევრიან საკონკურსო კომისიაში მხოლოდ ერთი წევრის წარდგენის უფლებამოსილებით შემოიფარგლა.[167]

ცესკოს დაკომპლექტებაში პრეზიდენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული როლის მნიშვნელოვნად შემცირებამ ლეგიტიმური კითხვები წარმოშვა კონსტიტუციასთან მისი თავსებადობის თვალსაზრისითაც, რადგან ქვეყნის ძირითადი კანონი ცესკოს კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე წარდგენის უფლებას ცალსახად პრეზიდენტს ანიჭებდა,[168] ხოლო ამ პირთა განწესების თაობაზე პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას არ საჭიროებდა.[169] ცვლილების შედეგად, პრეზიდენტის არსებითი როლი ამ პროცესში ფორმალობამდე დავიდა.

2023 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის („ეუთო/ოდირი“) ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში მიმდინარე ცვლილებებზე.[170] კომისიამ შეაფასა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც ცესკოს დაკომპლექტების წესი მორიგ ჯერზე იცვლებოდა.

---

[166] თავდაპირველი რედაქციით - საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლის მე-11[1] ნაწილი. დღეს მსგავს რეგულაციას ვხვდებით საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-9 ნაწილში.

[167] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5825872?publication=0#DOCUMENT:1, განახლებულია: 20.01.2025.

[168] საქართველოს კონსტიტუცია, 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ქვეპუნქტი.

[169] იქვე, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[170] Venice Commission, OSCE/ODIHR joint opinion on draft amendments to the election code and to the rules of procedure of the parliament of Georgia, CDL-AD(2023)047 (Strasbourg: Council of Europe, 2023), ხელმისაწვდომია: https://www. venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)047-e, განახლებულია: 20.01.2025.

დოკუმენტში ცესკოს უპარტიო წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფორმულირება შეფასდა, როგორც „რთული“ და „დამაბნეველი“.[171] ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე ცვლილებების პროექტი მმართველი პარტიის ინიციატივით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გარეშე, დაჩქარებული წესით მომზადდა.[172] ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ ინიციირებული ცვლილებებით, ქართული კანონმდებლობა დაშორდა 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების შედეგად მიღებულ ცესკოს დაკომპლექტების წესს, რომელიც კონსენსუსზე იყო ორიენტირებული.[173]

კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ანტიჩიხური მექანიზმის საფუძველზე დანიშნული პირებისთვის თანამდებობის დაკავების ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შეზღუდვას. დოკუმენტში უარყოფითად შეფასდა პრეზიდენტისთვის საკონკურსო კომისიის შექმნისა და კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილების ჩამორთმევა,[174] ასევე, ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილის პოზიციის გაუქმება.[175]

ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის კრიტიკის მიუხედავად, 2024 წლის მარტში პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.[176] ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო რეგულირებით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს წარმომადგენლობით ორგანოს პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს.[177] თუ კანდიდატი პირველ ჯერზე ვერ შეძლებს 90 დეპუტატის მხარდაჭერის მოპოვებას, განმეორებით კენჭისყრაზე მას ორჯერ ექნება შანსი, 76 დეპუტატის ხმა მიიღოს და 5 წლის ვადით დაიკავოს თანამდებობა.[178] თუ პარლამენტში ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადასაწყვეტად პრეზიდენტს გადაეცემა,[179] თუმცა, ერთპარტიული უმრავლესობის პირობებში, პროცესის ამგვარად განვითარების ალბათობა მინიმალურია. ცვლილებების შედეგად, ასევე გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლისთვის იყო განკუთვნილი და ბალანსის შექმნის ერთ-ერთ სიმბოლურ ნაბიჯს განეკუთვნებოდა.[180]

2024 წლის 30 აპრილს პარლამენტმა, შეცვლილი რეგულირების პირობებში, ცესკოს თავმჯდომარე და 3 უპარტიო წევრი 5 წლის ვადით აირჩია. თავმჯდომარის პოზიცია გიორგი კალანდარიშვილმა, ხოლო წევრების – მაია ზარიძემ, გიორგი შარაბიძემ და გია ცაცაშვილმა დაიკავეს.[181] საპარლამენტო უმრავლესობისა და პარტია „გირჩის“ დეპუტატების შეთანხმების მიუხედავად, რომ, გენდერული კვოტირების გაუქმების სანაცვლოდ, „გირჩის“ წევრები ცესკოს წევრებად მმართველი პარტიისთვის სასურველ კანდიდატებს მისცემდნენ მხარს, მაღალი კვორუმით - პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5-ით[182] - მათი არჩევა მაინც ვერ მოხერხდა. კანდიდატები

[171] იქვე.
[172] იქვე.
[173] იქვე.
[174] იქვე.
[175] იქვე.
[176] „პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „რუსთავი 2“, 2024 წლის 19 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/277912, განახლებულია: 20.01.2025.
[177] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221[1]-ე მუხლი.
[178] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-7 ნაწილი.
[179] იქვე, მე-6 ნაწილი.
[180] იქვე.
[181] აღსანიშნავია, რომ გიორგი კალანდარიშვილსა და ცესკოს ორ წევრს უფლებამოსილების 6-თვიანი ვადა 2022 წლის 15 აგვისტოს გაუვიდათ, თუმცა, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, მათ უფლებამოსილებები გაუგრძელდათ.
[182] 90 ხმა.

უბრალო უმრავლესობით,[183] 85 დეპუტატის მხარდაჭერით დაამტკიცეს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის მოხსენებით საქართველოსთვის განსაზღვრული 9 დათქმიდან ერთ-ერთი სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას შეეხებოდა. ამის საპირისპიროდ, ინსტიტუციური გაძლიერების ნაცვლად, მმართველმა პარტიამ გააქრო კონსენსუსის საჭიროება, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკური ხელისუფლებისადმი საარჩევნო ადმინისტრაციის დაქვემდებარების რისკი.

მნიშვნელოვანია, ხელახლა გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩო და კომისიის წევრთა დანიშვნის პროცედურები. საჭიროა, ისინი შეიცვალოს იმგვარად, რომ დამნიშვნელ სუბიექტებს შორის პროპორციის დაცვით, გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

ცესკოს დაკომპლექტების წესი უნდა შეიცვალოს და დაუბრუნდეს 2021 წლის ე.წ. „შარლ მიშელის დოკუმენტის“ სულისკვეთებას. ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების არჩევა უნდა მოხდეს მაღალი პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე, პარლამენტის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით.

საიას რეკომენდაციით, საკონკურსო კომისია არა დამოუკიდებელი პირებით, არამედ პოლიტიკური პარტიების წევრებით უნდა დაკომპლექტდეს. მასში უნდა შევიდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები, ხოლო უმრავლესობა და ოპოზიცია პარიტეტის პრინციპით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. კომისიამ კანდიდატურა სიითი შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით უნდა წარადგინოს.

1.2. ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირება

2024 წლის 21 ივნისს ძალაში შევიდა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვით, თუ ცესკოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, რომლისთვისაც საჭიროა ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის (12 ხმა) მხარდაჭერა,[184] იმავე სხდომაზე მას კენჭი ხელახლა ეყრება.[185] ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა (9 ხმა).[186] ცვლილების შედეგად, გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი გახდა მხოლოდ 8 პროფესიული წევრისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლის ხმები, რითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ პროცესში სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის

[183] 76 ხმა.

[184] ცესკოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომელიც საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოიცემა და არაერთ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებს. მათ შორის, ცესკოს დადგენილებით განისაზღვრება: 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესები და პირობები; კენჭისყრის პროცედურები; არჩევნების გამართვისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი. ამასთანავე, ცესკო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია, დადგენილებით განსაზღვროს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისთვის აუცილებელი დამატებითი ღონისძიებები და ვადები. დადგენილებით მტკიცდება საარჩევნო კომისიის რეგლამენტიც და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

[185] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-4[1] ნაწილი.

[186] კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

მონაწილეობის ხარისხი.[187] დაირღვა 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შედეგად მიღწეული ბალანსის ლოგიკა პარტიული და პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრებს შორის.

საიას შეფასებით, ამ საკანონმდებლო გაუარესების ფონზე, აუცილებლობის დასაბუთების გარეშე, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის უგულებელყოფით, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე,[188] „ქართული ოცნების" წევრების მიერ მიღებული ცვლილებები მორიგი ნაბიჯი იყო არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გაუარესებისკენ. წარმოდგენილმა რეგულირებამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში *de facto* გამორიცხა ოპოზიციის ჩართულობა და მეტად გაამძაფრა ეჭვები საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის არაკეთილსინდისიერ გავლენებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, ცესკო გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე იღებდეს. შესაბამისად, კვორუმი უბრალო უმრავლესობის ნაცვლად, კვლავ წევრთა 2/3-ით უნდა შეიცვალოს.

1.3. ცესკოს ბრიფინგი ოპოზიციური პარტიის საჩივრებთან დაკავშირებით

2024 წლის 10 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა ბრიფინგი,[189] რომელიც შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევის შესახებ 9 სექტემბერს შეტანილ საჩივრებს. ცესკოს წარმომადგენლის განცხადებით, ამ ტიპის საჩივრები ემსახურებოდა, პროცედურული საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო ადმინისტრაციის და, აქედან გამომდინარე, საარჩევნო გარემოს დაზიანებას.[190] აღსანიშნავია, რომ საჩივრები ერთმანეთის მსგავსი იყო, რადგან ერთი და იმავე ტიპის სავარაუდო დარღვევას შეეხებოდა.

საგულისხმოა, რომ ბრიფინგის ჩატარების მომენტისთვის ცესკოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს, არ ჰქონდა ნამსჯელი ამ საკითხზე. სწორედ ამ თემას შეეხებოდა 11 სექტემბრის სხდომა, რომელზეც კომისიამ ზეპირი წესით მოუსმინა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.[191]

ცესკოს მიერ წინა დღით ჩატარებულმა ბრიფინგმა და საჩივრების წინასწარ შეფასებამ საზოგადოებაში შექმნა მოლოდინი სავარაუდო გადაწყვეტილების შესახებ. იგივე აღნიშნა მოსარჩელემაც.[192] მისი თქმით, ცესკოს განცხადების გამო, უკვე ნათელი იყო, რა გადაწყვეტილება შეიძლებოდა მიღებულიყო.[193]

---

[187] „საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი საფრთხეს უქმნის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას", საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saarchevnokodeqsshi-shesatani-cvlilebebis-proeqti-safrtkhes-uqmnis-saarchevno-administraciis-mimart-ndobas#sthash.h745Tja5.dpbs, განახლებულია: 20.01.2025.

[188] Venice Commission, OSCE/ODIHR joint opinion on draft amendments to the election code and to the rules of procedure of the parliament of Georgia, CDL-AD(2023)047 (Strasbourg: Council of Europe, 2023), para. 48, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)047-e, განახლებულია: 20.01.2025.

[189] ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბრიფინგი, 2024 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_%20permalink&v=1188067642276359, განახლებულია: 20.01.2025.

[190] იქვე.

[191] ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, ცესკოს ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia/videos/870494371343026, განახლებულია: 20.01.2025.

[192] იქვე.

[193] იქვე.

გასაჩივრების ეფექტიანი სისტემის არსებობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს არჩევნების სანდოობისთვის. ცესკომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა საჩივარი მიუკერძოებლად და დეტალურად განიხილებოდეს, ხოლო განხილვამდე თავი უნდა შეიკავოს საჯარო კომენტარებისგან, რაც ადმინისტრაციის მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას ქმნის.

2. საოლქო საარჩევნო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით შერჩეულ 8 წევრს ნიშნავს ცესკო, ხოლო დანარჩენ 9-ს - პარტიები.[194] პროფესიული 5 წევრი 5 წლის ვადით, ხოლო 3 - დროებით, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე იკავებს თანამდებობას.[195] საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ ცხადდება, ხოლო საბუთების წარდგენის ვადა კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღეა.[196] კანონმდებლობა კანდიდატებთან გასაუბრების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

ცესკომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი 27 აგვისტოს გამოაცხადა.[197] მსურველებს შესაბამისი საბუთების წარდგენა 28-29 აგვისტოს შეეძლოთ.[198] **საიას მოსაზრებით, ეს არაგონივრულად შემჭიდროებული ვადაა ამ მასშტაბის კონკურსის ჩასატარებლად, რაც, შესაძლოა, წარდგენილი განაცხადების დაბალი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი იყოს.** 219 ვაკანტურ ადგილზე სულ 264 პრეტენდენტი დარეგისტრირდა. აქედან ერთმა კონკურსანტმა ხარვეზი ვერ გამოასწორა, შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობა 263-მა პირმა განაგრძო.[199] ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის საერთო არჩევნებთან შედარებით, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, დაახლოებით, 30%-ით შემცირდა. 219 ვაკანტურ პოზიციაზე მაშინ 377 მსურველი დარეგისტრირდა.[200]

---

[194] პარტია უფლებამოსილია, დანიშნოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ მას აქვს ცესკოს წევრის დანიშვნის უფლება. ამასთანავე, პარტიას უფლება აქვს, დანიშნოს ცესკოს 1 წევრი, თუ ის ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყო საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და მიკუთვნებული აქვს საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი. თუ პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო. იხ. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[195] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი.

[196] იქვე, მე-20 მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[197] „საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033712-saolkosaarchevno-komisiebis-droebiti-tsevrebis-shesarchevad-konkursi-gamotskhadda, განახლებულია: 20.01.2025.

[198] იქვე.

[199] „ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებით წევრებს აირჩევს“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033777-tsentralurisaarchevno-komisia-tsesko-dghes-26-oktombris-archevnebistvis-saolko-saarchevno-komisiebisdroebit-tsevrebs-airchevs, განახლებულია: 20.01.2025.

[200] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, გვ 40-44 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/2021-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobisa-da-batumis-sakrebulos-shualeduri-archevnebis-sadamkvirveblo-misiis-angarishi?fbclid=IwY2xjawJ1oedleHRuA2FlbQIxMQBicmlkETFXa0JCQjZOUjU0Q25wUkJ2AR7i0gf4IcUnsNY6D-kJBdvVnIgBDtMLKTDfj4XrwWl2led7LuQl9BkTyJ3lDg_aem_hw_RzhRd9IW5wEo2zSS3Eg#sthash.elAowtrO.dpbs, განახლებულია: 20.01.2025.

ცესკოს მონაცემებით, თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიაში 3 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა განაცხადების რაოდენობა ასეთი იყო: 41 საოლქო საარჩევნო კომისიაში შერჩევის პროცესი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა, რადგან 3 ვაკანტურ ადგილზე ზუსტად 3-3 განაცხადი შევიდა; 23 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 4-4; 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 5-5, ხოლო 2 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 7-7 განაცხადი შევიდა.[201]

263 კონკურსანტიდან გასაუბრებაზე თანხმობა 135-მა განაცხადა. აქედან 71 მათგანი კი ასევე დათანხმდა, რომ გასაუბრება ცესკოს სოციალური ქსელის მეშვეობით, LIVE-რეჟიმში ჩატარებულიყო.[202]

კონკურსანტებთან გასაუბრების შესაძლებლობით ცესკოს 13-მა წევრმა ისარგებლა.[203]

ცესკოს 31 აგვისტოს სხდომაზე კანდიდატების შერჩევის პროცესი საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმა გააკრიტიკეს.[204] უკმაყოფილება გამოითქვა კომისიის წევრთა ნაწილის კოორდინირებულ მოქმედებებთან დაკავშირებითაც.[205] „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლის, ანა კობახიძის თქმით, ცესკოს ზოგიერთმა წევრმა წინასწარ იცოდა, ვისთვის უნდა დაეჭირა მხარი. მისი აზრით, სწორედ ამიტომ შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობისგან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე პირთა დიდმა ნაწილმა.[206]

ოპოზიციური პარტიებიდან დანიშნული ზოგიერთი წევრის მიერ ასევე პრობლემურად შეფასდა ის ფაქტი, რომ კანდიდატების აბსოლუტური უმრავლესობა საბიუჯეტო ორგანიზაციებში (სკოლებსა და თვითმმართველობის ორგანოებში) იყო დასაქმებული.[207]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა დავით კირთაძემ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა დავით ჯინჯოლავამ პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.[208]

მთლიანობაში, პროცესის შედეგად შერჩეული 217 კანდიდატიდან 11-მა ცესკოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა (12 ან მეტი ხმა) მიიღო, ხოლო 207 პირი შეირჩა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ან მეტით, მაგრამ არა 2/3-ით (9-11 ხმა).[209] აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატი, რომლებსაც პარტია „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნულმა წევრმა დაუჭირა მხარი, საბოლოოდ, კომისიის წევრად შეირჩა.

---

[201] იქვე.
[202] იქვე.
[203] გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ძაგანია, დიმიტრი ჯავახაძე, გია ცაცაშვილი, გიორგი ჭიქაბერიძე, მაია ზარიძე, არჩილ ანასაშვილი, გიორგი სიორიძე, ანა კობახიძე, ია პირტახია, ნონო ბასილაია და ლევან ჯგერენაია.
[204] ანა კობახიძე, დავით კირთაძე, გიორგი სიორიძე.
[205] ცესკოს სხდომა, 2024 წლის 16 აგვისტო, 1სთ 11წთ, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=2mgSozY1XbY&t=3516s, განახლებულია: 20.01.2025.
[206] იქვე.
[207] იქვე, ცესკოს სხდომა, 2024 წლის 31 აგვისტო, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=2mgSozY1XbY&t=3516s; აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიაში საქმიანობის რაიმე სახის შეზღუდვას/დაბრკოლებას.
[208] ცესკოს 2024 წლის 31 აგვისტოს №20/2024 სხდომის ოქმის დანართი 1-2.
[209] იქვე.

შერჩეული წევრებიდან 146 მათგანს მხარი დაუჭირა ცესკოს პროფესიულმა, აგრეთვე, მმართველი პარტიის მიერ დანიშნულმა და მინიმუმ ერთმა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნულმა წევრმა მაინც.

საია იზიარებს ეუთო/ოდირის რეკომენდაციას, რომელიც მიმართულია საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის გაძლიერებისკენ. ორგანიზაციის შეფასებით, აუცილებელია ყველა დონეზე საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის პროცესის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკური პარტიების გავლენის ბალანსი და თავიდან აიცილოს რომელიმე მათგანის დომინირება.[210]

საიას შეფასებით, აუცილებელია, მოიხსნას საკანონმდებლო ბარიერები საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვადებთან დაკავშირებით. შესარჩევი კონკურსი კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე უნდა გამოცხადდეს, ხოლო განაცხადის მიღებისა და განხილვის ვადები გაიზარდოს. ეს კომისიას მისცემს მეტ დროს კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის ორგანიზებისთვის. ასევე, დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა კომისიის წევრობაზე განაცხადის წარსადგენად.

3. საუბნო საარჩევნო კომისიები

კანონმდებლობის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის 8 პროფესიულ წევრს შესაბამისი საოლქო კომისია ირჩევს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, იმ პირობით, თუ კანდიდატურას ხმას მისცემს, მათ შორის, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრი მაინც.[211] თუ ის საჭირო ხმებს ვერ დააგროვებს, ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც მხარს დაუჭერს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (5 მუდმივი პროფესიული წევრიდან 3-ის მხარდაჭერის მოთხოვნა აქაც ვრცელდება).[212] საუბნო საარჩევნო კომისიებში 9 წევრს, ამ შემთხვევაშიც, პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ.[213]

2022 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებების შესაბამისად, 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეარჩიეს არა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები,[214] არამედ - მათი ხელმძღვანელი პირებიც.[215]

26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის[216] წევრთა[217] შესარჩევი კონკურსი 2 სექტემბერს გამოცხადდა.[218] მსურველთა აპლიკაციები 2-იდან 5 სექტე-

---

[210] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024), ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 20.01.2025.

[211] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[212] იქვე, 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[213] სულ 27 270 წევრი, იხ. https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvaneli-pirebistsevrebis-archevis-shesakheb.

[214] სულ 15 150 წევრი, იხ. იქვე.

[215] სულ 9 090 ხელმძღვანელი პირი, იხ. იქვე.

[216] სულ 3 030 საარჩევნო უბანი, იხ. იქვე.

[217] 51 510 კომისიის წევრი, იხ. იქვე.

[218] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 27 აგვისტოს №77/2024 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობების,

მბრის ჩათვლით მიიღებოდა, ხოლო კანდიდატთა უმეტესობა 7 სექტემბერს შეირჩა.[219] **მოცემული ვადები ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, მიღებული განაცხადების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის არაგონივრულად მცირეა.**

ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, 24 240 ვაკანტურ ადგილზე, სულ, 24 425 საკონკურსო განაცხადი შევიდა, მათ შორის, 9 090 ხელმძღვანელი პირის ვაკანტურ ადგილზე - 9 111, კომისიის წევრების 15 150 ვაკანტურ ადგილზე კი - 15 314 განაცხადი.[220] წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ კონკურსი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, შესაძლოა, შემჭიდროებული ვადები იყოს.

სასურველია, გაიზარდოს როგორც განაცხადების მიღების, ასევე მათი დამუშავების პერიოდი, ხოლო ეს პროცესი არ უნდა იყოს დამოკიდებული არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების თარიღზე. ამაზე მიუთითებს ვენეციის კომისიისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც განმარტებულია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისა და განხილვისთვის დადგენილი ვადები უნდა გახანგრძლივდეს.[221]

საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიების 24 047 წევრი აირჩიეს. 193 ვაკანტურ ადგილზე ხელახალი კონკურსი გამოცხადდა.[222]

კანდიდატების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო საარჩევნო კოდექსში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებები, რომელთა მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებისთვის სერტიფიცირების მოთხოვნა დაწესდა. მანამდე მსგავსი მოთხოვნა მხოლოდ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებზე ვრცელდებოდა. ახალი რეგულაციით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ორი ტიპის სერტიფიკატი დაწესდა: ერთი - რიგითი წევრებისთვის, მეორე კი - ხელმძღვანელი პოზიციებისთვის (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი). თუმცა, გარკვეული გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, თუ პირს უკვე აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის სერტიფიკატი, მას დამატებითი სერტიფიცირება არ სჭირდება.

ვადებისა და არჩევის წესის განსაზღვრის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebriviaqtebi/gankargulebebi/singleview/11033692-gankarguleba-772024-27082024, განახლებულია: 20.01.2025.

[219] „საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033849-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebisa-da-tsevrebis-shesarchevi-konkursi-gamotskhadda, განახლებულია: 20.01.2025.

[220] „ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების/წევრების არჩევის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebistsevrebis-archevis-shesakheb, განახლებულია: 20.01.2025.

[221] Joint Opinion on Draft Amandements to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens, Opinion No. 1107/2022, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), 19 December 2022, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2022)047-, განახლებულია: 20.01.2025.

[222] „ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების/წევრების არჩევის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebistsevrebis-archevis-shesakheb, განახლებულია: 20.01.2025.

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ ვითარებაში შექმნილი საუბნო კომისიების წევრებს, საზღვარგარეთ მოქმედი საუბნო კომისიების წარმომადგენლებს და იმ პირებს, რომლებიც კონკურსში მონაწილეობენ ვადამდე შეწყვეტილი უფლებამოსილების მქონე წევრის ჩასანაცვლებლად.[223]

საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო მათი თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ გაფართოებული მოთხოვნები (საფუძვლები). ეს გამორიცხავდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად ისეთი პირის არჩევას, რომელიც ბოლო ორ არჩევნებზე ამ პოზიციაზე პარტიის მიერ იყო დანიშნული, თავად იყრიდა კენჭს, ან იყო საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი; ასევე, პირი, რომელიც ბოლოს ჩატარებული არჩევნების წლის დასაწყისის შემდეგ იყო რომელიმე პარტიის შემომწირველი.[224] მიუხედავად ამ რეგულაციებისა, საზოგადოებაში დარჩა ეჭვები კომისიების მიუკერძოებლობის შესახებ, რაც უკავშირდება საბიუჯეტო ორგანიზაციების პოლიტიზაციას და კომისიის წევრთა არაფორმალურ პარტიულ კავშირებს. ეს ეჭვები კიდევ უფრო გაღრმავდა წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აგიტაციისა და არჩევნების დღეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების გამო.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო კომისიების პროფესიული და პარტიული ნიშნით დანიშნულ წევრთა გადამზადება სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა უზრუნველყო.

ცესკოს ინფორმაციით, საერთოდ არ გაუვლია ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიული ნიშნით დანიშნულ წევრთა 17%-ს,[225] ასევე, ელექტრონულ უბნებისთვის განკუთვნილი ტრენინგი - 26%-ს, ხოლო ტრადიციულ უბნებზე არცერთი ტრენინგი არ გაუვლია მათ 38%-ს.[226]

პოლიტიკურმა პარტიებმა, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ მათ მიერ დანიშნული კომისიის წევრების ჩართვა გადამზადების პროცესში, ცესკომ კი ეს მექანიზმი ყველა კომისიის წევრისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, შეფერხებების გარეშე.

პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სამუშაოს მაღალ ხარისხს, ისე რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

4. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია

საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო წელს, საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო დარღვევების ჩადენის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, იქმნება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია („უწყებათაშორისი კომისია“). კომისია ასევე კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს დიალოგს საქართველოს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის.[227]

---

[223] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის „ე[1] “ ქვეპუნქტი.
[224] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-17[1] ნაწილი.
[225] ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის იანვრის №03-01/17 წერილის დანართი.
[226] იქვე.
[227] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულება, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კომისიის პირველი სხდომა 2024 წლის 15 ივლისს გაიმართა.[228] აღსანიშნავია, რომ სხდომები კრიტიკული სადამკვირვებლო ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე ჩატარდა.[229] უწყებათაშორისი კომისიის შეკრების შესახებ იუსტიციის სამინისტროს საიასთვის არ შეუტყობინებია. შესაბამისად, საია, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაცია, კომისიის საქმიანობაში არცერთ ეტაპზე არ ყოფილა ჩართული.

საარჩევნო უბნების გახსნა საზღვარგარეთ

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის სადავო იყო საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის საკითხი. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, სხვა სახელმწიფოში არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისთვის, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, უბნებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო).[230] ქვეყნის საზღვრებს გარეთ უბნების გახსნისთვის საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ვადა 26 სექტემბერს ამოიწურა.[231] ამავე დღეს გამართულ სხდომაზე ცესკომ, საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 42 ქვეყანაში მდებარე 53 ქალაქში 60 საარჩევნო უბანი გახსნა.[232] ასევე, 11 ოქტომბრის სხდომაზე, ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, ცესკომ განკარგულებით დამატებით გახსნა 7 საარჩევნო უბანი[233] უკვე არსებულ ლოკაციებზე. ჯამში, საზღვარგარეთ 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის 67 საარჩევნო უბანი გაიხსნა.[234] საგარეო საქმეთა სამინისტრო, ინფორმაციის მიწოდებისას, ეყრდნობა საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საარჩევნო უფლების მქონე პირების მონაცემებს. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით, ცესკო არ არის შეზღუდული, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საარჩევნო უბნის გახსნის მიზნით, დამატებითი დროებითი საკონსულო დაწესებულების გახსნის მოთხოვნით.

საერთაშორისო პრაქტიკა საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. თუმცა, ვენეციის კომისიის თანახმად, თუ ქვეყანა იკისრებს ვალდებულებას, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, აუცილებელია, მან უზრუნველყოს ამ უფლების რეალიზება სრული, უსაფრთხო და გამჭვირვალე პროცედურებით.[235] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, პრაქტიკული

[228] „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://justice.gov.ge/?m=articles&id=gEBVLPAtzQ, განახლებულია: 3.02.2025.

[229] უწყებათაშორისი კომისიის სხდომებში არ მონაწილეობდნენ ოპოზიციური პარტიებიც, გარდა „ევროპელი დემოკრატებისა“ (ესწრებოდნენ 2 სხდომას), „ევროპული საქართველოსა“ (ესწრებოდნენ 2 სხდომას) და „პატრიოტთა ალიანსისა“ (ესწრებოდნენ 1 სხდომას).

[230] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[231] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-7 ნაწილი; ცესკოს განკარგულება №79/2024.

[232] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულება, დანართი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebriviaqtebi/gankargulebebi/singleview/11034215-gankarguleba-1912024-26092024.

[233] ნიუ-იორკი, ბერლინი, ბარსელონა, რომი, ათენი, სალონიკი, პარიზი.

[234] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულება, დანართი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebriviaqtebi/gankargulebebi/singleview/11034215-gankarguleba-1912024-26092024; ასევე, იხ. ცესკოს 2024 წლის 11 ოქტომბრის სხდომა, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=NhOq60drGzc.

[235] CDL-AD(2007)023-e, Joint Opinion on the 26 February 2007 Amendments to the Electoral Code of the Republic

კუთხით, ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა შეაფასოს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ არჩევნებში მონაწილეობა, რათა ზუსტად განისაზღვროს ხმის მიცემის უბნების რაოდენობა და ადგილმდებარეობა.[236]

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკომ საზღვარგარეთ ყველა უბანი გახსნა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, რითაც არაერთ მოქალაქეს, ტერიტორიული დაშორების თუ სხვა მიზეზით, არ მიეცა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთ უბნების გახსნის საჭიროებასთან დაკავშირებით ცესკოს არაერთხელ მიაწოდეს ინფორმაცია როგორც თავად მოქალაქეებმა, ისე საქართველოს პრეზიდენტმა და პროცესში ჩართულმა სხვა მხარეებმა.[237] საზღვარგარეთ სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც დაშორებული იყო იმ ქვეყანაში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობისგან, თვითორგანიზებით შეაგროვეს საკონსულო აღრიცხვაზე მათი ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.[238] ამ მონაცემების მიხედვით, თითოეულ ამ ქალაქში მცხოვრები ემიგრანტების რაოდენობა 50-ს აღემატებოდა. 2024 წლის მაისში, აგვისტოსა და სექტემბერში შეგროვებული ინფორმაცია მოქალაქეებმა, უბნების გახსნის მიზნით, ცესკოს წარუდგინეს. მათი მიმართვების საპასუხოდ, 5 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას, ვინაიდან არ არსებობდა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ცესკოს ამ ტიპის ინფორმაციის დამუშავებისა და მასზე რეაგირების ვალდებულებას დააკისრებდა.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, 7 სექტემბერს ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ორგანიზაცია ასაჩივრებდა საზღვარგარეთ მცხოვრები, საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ ცესკოს თავმჯდომარისგან მიღებულ წერილებს, რომლებითაც მათ უარი ეთქვათ უბნების გახსნაზე. სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება და განმარტა, რომ ცესკოს უბნების გახსნის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად დრო 2024 წლის 26 სექტემბრამდე ჰქონდა, ამიტომ ეს წერილები ვერ ჩაითვლებოდა ამ საკითხზე მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, კანონმდებლობით, ცესკო ვალდებული იყო, საზღვარგარეთ შეექმნა საარჩევნო უბნები, თუმცა, სად გახსნიდა მათ, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.

საიას შეფასებით, 2024 წლის არჩევნებზე საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების კენჭისყრაში მონაწილეობა პრობლემური იყო როგორც სამართლებრივად, ისე პრაქტიკულად. საქმე ეხება საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 ნაწილის ბუნდოვანებას ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურებთან დაკავშირებით. არ არის განსაზღვრული, ვინ და რა სახით უნდა მოიპოვოს ეს ინფორმაცია. პრაქტიკაში, სამინისტრო ცესკოს აწვდის მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობების შესახებ მონაცემებს, რაც კანონის ტექსტიდან

---

of Armenia by the Venice Commission and the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, para. 10.

[236] Human Rights Committee, Views adopted by the Committee under article 5 (4) of the Optional Protocol, concerning communication No. 3278/2018, para. 7.5.

[237] „პრეზიდენტი ცესკოს თავმჯდომარესა და არასამთავრობოებს შეხვდა საზღვარგარეთ დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნის თაობაზე", „ევრონიუსის" ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: https://euronewsgeorgia.com/2024/03/29/prezidenti-ceskos-tavmjdomaresa-da-arasamtavroboebs-shekhvda-sazgvargaret-damatebiti-saarchevno-ubnebis-gakhsnis-taobaze/, განახლებულია: 08.10.2024.

[238] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

პირდაპირ არ გამომდინარეობს. ნორმის ბუნდოვანება და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ეჭვქვეშ აყენებს მის კონსტიტუციურობას. ეს განსაკუთრებით პრობლემურია საარჩევნო კანონმდებლობისთვის, სადაც სიცხადე და განჭვრეტადობა უმნიშვნელოვანეს პრინციპებს განეკუთვნება.

ცესკოს, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს, განსაკუთრებული როლი აქვს საზღვარგარეთ უბნების გახსნის პროცესში. ის ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის ხმის უფლების დაცვა ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოში არსებული პრაქტიკით, უცხოეთში საარჩევნო უბნები საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლობების ტერიტორიაზე იხსნება.[239] საკონსულო დაწესებულებების გახსნაზე გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა მინისტრი იღებს.[240] მიუხედავად ამისა, თუ ცესკოსთვის ცნობილია, რომ საზღვარგარეთ, სადაც საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის, მაგრამ აღრიცხვაზე არიან უბნის გახსნისთვის საჭირო რაოდენობის საქართველოს მოქალაქეები, მას, როგორც ყველა ამომრჩევლის უფლებათა დამცველს, აქვს დისკრეცია, მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არჩევნებამდე გონივრული დროით ადრე და მოითხოვოს უბნის გახსნა.

იმ მოცემულობაში, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს არ გამოუჩენია შესაბამისი პოლიტიკური ნება საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის მიზნით დროებითი საკონსულო დაწესებულებების გახსნის თაობაზე, ცესკო ვალდებული იყო, ემოქმედა პროაქტიულად, გაეზიარებინა საქართველოს მოქალაქეთა სურვილი და, ამომრჩევლის ინტერესიდან გამომდინარე, მიემართა სამინისტროსთვის უბნების გახსნის მოთხოვნით. ცესკოს ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობდა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების ხმის მიცემის უფლების რეალიზებას და მოემსახურებოდა მის მთავარ მიზანს — ყველა მოქალაქის საარჩევნო უფლების დაცვას.

ეს საკითხი არჩევნების საყოველთაობის ჭრილში საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის 30-მა წევრმა 20 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლოშიც გაასაჩივრეს.[241] ამასთან დაკავშირებით საიამ, სასამართლოს მეგობრის პოზიციით, ზემოთ ხსენებული არგუმენტები წარუდგინა სასამართლოს,[242] რომელმაც, 29 ნოემბრის განჩინებით, სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.[243] სასამართლოს განმარტებით, არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეთა მხრიდან აქტიურ მოქმედებებს მოითხოვს,

---

[239] „გიორგი კალანდარიშვილი - საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების ორგანიზება მანიპულაციურად წარმოჩინდა, რამაც არაერთი მითის თუ დეზინფორმაციის ფორმირება გამოიწვია", საინფორმაციო პორტალი „პირველი არხი", 2024 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/giorgi-kalandarishvili-sazghvargaret-saarchevno-ubnebis-organizeba-manipulaciurad-warmochinda-ramac-araerti-mitistu-dezinformaciisformirebagamoiwvia/fbclid=IwY2xjawFx7_BleHRuA2FlbQIxMAABHa_dHQoJTDTZ4uFHf_4SrJRRckPaNBbK1cwvsvqPmFd4nDa54ZD8mirsbw_aem_7fuFno5dIMJjqrZEmWaDaQ, განახლებულია: 10.08.2024.

[240] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №206 დადგენილება, მიღებული 2005 წლის 16 ნოემბერს, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

[241] საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი №1848 საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრების (თამარ კორძაია, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბოტკოველი და სხვები, სულ 30 წევრის) №1849 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ.

[242] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება, 2024 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/GYLA-sasamartlo-megobris-mosazreba.

[243] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის განჩინება №3/7/1848,1849, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17525.

რაც ბუნებრივ ბარიერად მიიჩნევა. გეოგრაფიული დაბრკოლება მხოლოდ მაშინ იქნება უფლების დარღვევა, თუ სახელმწიფო, „გონივრული რესურსების“ პირობებში, უბნების უფრო ფართო დაფარვას შეძლებდა, მაგრამ ამას არ გააკეთებდა. ასევე, უბნის გახსნა ფორმალურად არაფერს ნიშნავს, თუ არჩევნები სათანადოდ არ იქნებოდა ორგანიზებული (სივრცე, კომისიის წევრები, გადამზადება, ინვენტარი და ა.შ.). ამ შესაძლებლობის არსებობა მოსარჩელეს უნდა დაესაბუთებინა. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა საქართველოს მოქალაქეების მიმართ დისკრიმინაციის არგუმენტი უბნების არგახსნასთან დაკავშირებით, რადგან, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა უბნების ტერიტორიული დაშორების თაობაზე საზღვარგარეთ მაინც ვერ დაკმაყოფილდებოდა.

განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთ მოსამართლეს. გიორგი კვერენჩხილაძის აზრით, ასობით ან ათასობით კილომეტრის გავლა არჩევნებში მონაწილეობას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა და სასამართლოს მიერ ნახსენებ ბუნებრივ ბარიერებს აღემატებოდა. თეიმურაზ ტუღუშმა კი აღნიშნა, რომ მიუხედავად ტექნიკური და ფინანსური სირთულეებისა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აქვს, თავიდან აიცილოს ზედმეტად რთული ბარიერები ამომრჩევლებისთვის.

საიას შეფასებით, საკანონმდებლო ჩარჩო ცესკოს საშუალებას აძლევდა, დამატებითი უბნები გაეხსნა. როგორც საარჩევნო უფლების დაცვის პასუხისმგებელ ორგანოს, ცესკოს აქტიურად უნდა ეთანამშრომლა შესაბამის უწყებებთან, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობა უზრუნველეყო.

მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო კოდექსში საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა, ცესკოს დისკრეციის ნაცვლად, მის ვალდებულებად განისაზღვროს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების სია არა მხოლოდ ქვეყნების, არამედ ქალაქების ან ადგილსამყოფლის მიხედვით აწარმოოს და ასეთი სახით გადასცეს ცესკოს, რათა მას უფრო ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს საარჩევნო უბნების გახსნის საჭიროებაზე.

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა გონივრული რაოდენობა იმ ქალაქებისთვის, სადაც საქართველოს საკონსულო დაწესებულება არ არის. განსაზღვრული რაოდენობის მოქალაქის მიერ საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, უბნის გახსნა სავალდებულო უნდა გახდეს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება და აუდიტი

ელექტრონული ტექნოლოგიების მასშტაბურად დანერგვა საქართველოში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან დაიწყო.[244] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ წარმოქმნილმა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა და არჩევნების შედეგების მიმართ ოპოზიციის უნდობლობამ დღის წესრიგში საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის აუცილებლობა დააყენა. 2021 წლის თებერვალში ოპოზიციურ პარტია „მოქალაქეებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის საარჩევნო

[244] კრწანისის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ 41 314 ამომრჩეველს მიეცა შესაძლებლობა, ხმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიეცა.

კანონმდებლობის რეფორმირების მიზნით მემორანდუმი გაფორმდა.[245] რეფორმით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არჩევნებში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა იყო, რასაც საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოებისა და პოლიტიკაში ჩართული მხარეების ნდობის გასაზრდელად პოზიტიური როლი უნდა შეესრულებინა. ასევე, უნდა გაეუმჯობესებინა არჩევნების დღესთან დაკავშირებული პროცესის ეფექტიანობა და უზრუნველეყო შედეგების სწრაფი გამოქვეყნება.[246] მემორანდუმის საფუძველზე, 2021 წლის 4 თებერვალს პარლამენტში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის მიზანიც საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტის მომზადება იყო.[247] 2021 წლის 2 მარტს ცვლილებების პაკეტი ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს გადაეგზავნა. ერთობლივი დასკვნა 30 აპრილს გამოქვეყნდა.[248] წარმოდგენილ დასკვნაში კომისიამ ხაზი გაუსვა საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, „ელექტრონული კენჭისყრა უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უსაფრთხო და საიმედო [იქნებოდა]".[249] ერთობლივი დასკვნის თანახმად, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა შემუშავებულიყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დეტალური და ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო.[250] ასევე, ყურადღება გამახვილდა პროცესის დაგეგმვისა და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მნიშვნელობაზე, რაც, მათ შორის, ამომრჩეველთა სათანადოდ ინფორმირებას და საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყოფას მოიცავს.[251] პროცესში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აუდიტისა და შემოწმების მექანიზმებიც.[252]

ვენეციის კომისია მკაფიოდ მიუთითებდა, რომ ელექტრონული ხმის მიცემისა და დათვლის სისტემაზე გადასვლა არ უნდა ყოფილიყო აღქმული, როგორც პანაცეა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი ყველა პრობლემის მოსაგვარებლად.[253]

სამუშაო ჯგუფი 17 მაისამდე საქმიანობდა.[254] საბოლოო ჯამში, ცვლილებების პაკეტს საფუძვლად დაედო მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დადებული

[245] ლაცაბიძე მ., საინფორმაციო ბიულეტენი №16, იანვარი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 2-3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GMMKHq, განახლებულია: 24.01.2025.

[246] „ქართული ოცნება - მოქალაქეების მემორანდუმის ძირითადი პუნქტები", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2021 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/394599, განახლებულია: 24.01.2025.

[247] ყრუაშვილი ნ., საინფორმაციო ბიულეტენი №17, თებერვალი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 5-9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rSNJ4M, განახლებულია: 24.01.2025.

[248] ყრუაშვილი ნ., საინფორმაციო ბიულეტენი №19, იანვარი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://217.147.239.51/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C %E1%83%93 %E1%83%98/2021/-19_geo.pdf, განახლებულია: 24.01.2025.

[249] Venice Commission, OSCE/ODIHR, Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code, CDLPI(2021)005(Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hFOk4R, განახლებულია: 24.01.2025.

[250] იქვე, para. 75.

[251] იქვე.

[252] იქვე, para. 77.

[253] იქვე.

[254] „სამუშაო ჯგუფის ფორმატში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე მუშაობა დასრულდა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35alLFc, განახლებულია: 24.01.2025.

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმება,[255] რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ ინიციირებული მედიაციის პროცესის შედეგად შემუშავდა. მიშელის 12-პუნქტიანი გეგმა, თავის მხრივ, გულისხმობდა ამბიციური საარჩევნო რეფორმის განხორციელებას.[256] დოკუმენტში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა ნახსენები არ ყოფილა, თუმცა, ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, შეთანხმებაში წარმოდგენილი დამატებებისა და შესწორებების გათვალისწინებით, პარტიები 2 მარტს პარლამენტში შესული კანონპროექტის მხარდაჭერის ვალდებულებას იღებდნენ.[257] პარლამენტმა 2021 წლის 28 ივნისს, 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მესამე მოსმენით დაამტკიცა.[258]

რეფორმის შედეგად, ცესკოს მიენიჭა უფლებამოსილება, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განეხორციელებინა.[259] საერთო ჯამში, ამ არჩევნებზე კრწანისის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ 41 314 მოქალაქეს მიეცა ელექტრონულად ხმის მიცემის შესაძლებლობა.[260] ტექნოლოგიებისა და სერვისის მიწოდება საერთაშორისო კომპანია Smartmatic International B.V-მა უზრუნველყო.[261]

2022 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებებით,[262] საარჩევნო კოდექსს ახალი, VIII[1] თავი დაემატა სახელწოდებით - „კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით“. საარჩევნო კოდექსით განისაზღვრა, რომ, როგორც შუალედურ და რიგგარეშე, ისე 2024 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა ჰქონოდა ამომრჩეველთა არანაკლებ 70%-ს.[263] ამავე წლის თებერვალში, ცესკოს გადაწყვეტილებით, ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილი უბნების დაფარვის არეალი ამომრჩეველთა 90%-მდე გაიზარდა.[264]

ორგანულ კანონის ზოგიერთი ჩანაწერის მიუხედავად, ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების განსაზღვრა კვლავ ცესკოს პრეროგატივაში დარჩა. 2023 წლის 6 თებერვალს საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა

[255] სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 24.01.2025.

[256] იქვე.

[257] იქვე.

[258] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები 86 ხმით მიიღო”, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ian3Xb, განახლებულია: 24.01.2025.

[259] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 203[2]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[260] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.electionreforms.ge/geo/attachment/10/angarishebi, განახლებულია: 24.01.2025.

[261] იქვე.

[262] „პარლამენტმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში შესატანი ცვლილებები მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CKikWW, განახლებულია: 24.01.2025.

[263] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 763-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[264] „2024 წლის პარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11031836-2024-tslis-parlamentis-archevnebshi-amomrchevelta-titkmis-90-khmas-elektronuli-teknologiebis-gamoqenebit-mistsems, განახლებულია: 24.01.2025.

და პირობების განსაზღვრის შესახებ“[265] დადგენილება. სწორედ ამ დადგენილების შესაბამისად ჩატარდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები.[266]

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე ამომრჩეველთა რეგისტრაცია (ვერიფიკაცია) სპეციალური აპარატის - VIU Desktop 818-100 - საშუალებით განხორციელდა. ერთი და იმავე უბანზე განთავსებული მოწყობილობები ერთმანეთთან იყო სინქრონიზებული.[267] ამომრჩევლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენებოდა საქართველოს მოქალაქის ელექტრონული პირადობის მოწმობა, რომელსაც რეგისტრატორი სპეციალურ MRZ (Machine-Readable Zone) წამკითხველში ათავსებდა, ასევე არაელექტრონული პირადობის მოწმობა (ლიმიტირებულ შემთხვევებში) ან პასპორტი, რომლის მონაცემებსაც რეგისტრატორი აპარატში ინფორმაციის ხელით შეყვანით ეძებდა. ხმების დათვლისთვის გამოიყენებოდა სპეციალური აპარატი - PCOS SAES-1800 plus, რომელიც ხმებს ოპტიკური ნიშნის ამომცნობი Optical Mark Recognition (OMR) ტექნოლოგიით ითვლიდა.[268] ამასთანავე, ზოგიერთი ინფორმაცია ზემდგომ საარჩევნო კომისიებში პლანშეტური კომპიუტერების, Lenovo Tab K11-ის მეშვეობით იგზავნებოდა.[269]

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს როგორც ელექტრონულ აპარატებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები, ასევე, ხარვეზები ამომრჩევლის ინფორმირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადების კუთხით.[270] ამის მიუხედავად, როგორც წესი, კომისიები ახერხებდნენ პროცესის მართვას. შესაბამისად, საიას ამ მიზეზით კენჭისყრის მნიშვნელოვანი შეფერხება არ გამოუვლენია.

კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ ცესკოს №7/2023 დადგენილების შესაბამისად, ვერიფიკაციის აპარატებში ამომრჩეველთა სიების ჩატვირთვას ცესკო უზრუნველყოფდა.[271] ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კენჭისყრის დღეს ვერიფიკაციის აპარატებში ჩატვირთული იყო ამომრჩეველთა ერთიანი სია, ხოლო კონკრეტული საარჩევნო უბნებისთვის გათვალისწინებულ აპარატებში ამ უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების სია გააქტიურდა.[272]

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების

---

[265] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №07/2023 დადგენილება კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/dadgenilebebisadasd21/ singleview/11031834-dadgenileba-072023-06022023, განახლებულია: 24.01.2025.

[266] „საარჩევნო ტექნოლოგიებისა და შესაბამისი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ბაზრის კვლევა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/ pres-relizebi/singleview/11031863-saarchevno-teknologiebisa-da-shesabamisi-momsakhurebis-shesqidvastandakavshirebuli-bazris-kvleva, განახლებულია: 24.01.2025.

[267] აპარატების სინქრონიზება გულისხმობს მათ ერთმანეთთან დაკავშირებას ლოკალურად, ინტერნეტის გარეშე.

[268] “Optical Scanning Systems”. Accessed March 4, 2024. https://aceproject.org/main/english/et/et72.htm.

[269] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილება - კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5713266?publication=0, განახლებულია: 24.01.2025.

[270] იხილეთ ანგარიშის შესაბამისი თავები.

[271] ამასვე ვკითხულობთ ცესკოსა და კომპანია „სმარტმატიკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№3/08/1) დანართ №1-ში: „იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება, ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მიზნით განთავსდება ვერიფიკაციის აპარატები, რომლებშიც ამომრჩეველთა სიებს ჩატვირთავს ცესკო”.

[272] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 სექტემბერი №01-01/1607 წერილი.

გასაცნობად ცესკო ატარებდა ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს. ამ შეხვედრებზე კვლავ გამოიკვეთა ხმის მიცემის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პრობლემები.[273] აღნიშნულთან დაკავშირებით საიას წერილობითი კომუნიკაცია[274] ჰქონდა ცესკოსთან, რომლისგანაც მიიღო პრობლემის აღმოფხვრის დაპირება, თუმცა რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ელექტრონული ტექნოლოგიების დამოუკიდებელი აუდიტის ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ცესკოს ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნების ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტი კომპანია „PRO V&V"-მ განახორციელა.[275] ამ კომპანიასთან ცესკოს თანამშრომლობა 2023 წლის 1-ლი ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების აუდიტის მიზნით დაიწყო.[276] აღსანიშნავია, რომ აუდიტორული კომპანიის შერჩევის პროცესი ცესკოს სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო დეპარტამენტის მიერ წარიმართა და მასში ცესკოს წევრები არ ყოფილან ჩართულნი.[277] ოპოზიციური წევრების ნაწილმა კი აუდიტის შესახებ მხოლოდ მისი დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ შეიტყო.[278]

26 ოქტომბრის არჩევნების აუდიტის საბოლოო დასკვნა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 7 ნოემბერს გახდა. აუდიტი სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი მოიცავდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ანალიზს და მათი შესაბამისობის დადგენას საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან, მეორე - არჩევნებისთვის აპარატურის მომზადების პროცესზე დაკვირვებას და კონფიგურაციისთვის საჭირო ფაილების სიზუსტის დადგენას, მესამე ეტაპი კი - კენჭისყრის დღეზე დაკვირვებას. ცესკოს მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ის საარჩევნო უბნები, რომლებსაც აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლები უნდა სწვეოდნენ, თავად ამ კომპანიის მიერ შეირჩა. ამის შესახებ წინასწარ არ ყოფილან ინფორმირებულნი საუბნო საარჩევნო კომისიები, შესაბამისად, ვიზიტის თაობაზე მათ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც კომპანია „PRO V&V"-ის თანამშრომლები უბნებზე გამოცხადდნენ.[279]

აღსანიშნავია, რომ აუდიტის არცერთი ეტაპი არ გულისხმობდა ელექტრონული მოწყობილობების შემოწმებას უშუალოდ კენჭისყრის დასრულების შემდეგ, რითაც არ

[273] საია საარჩევნო ადმინისტრაციას რეფორმის საწყის ეტაპზევე მიუთითებდა ხმის მიცემის პროცესის ფარულობასთან დაკავშირებით გამოვლენილ გამოწვევებზე. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების შემდგომ, როდესაც კრწანისის ოლქში დაიტესტა ელექტრონული ტექნოლოგიები, ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ ,,მარკერის საღებავის ფურცლის მეორე მხარეს გაჟონვის გამო, მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო მიცემული ხმის იდენტიფიცირება აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესში, ან, თუ აპარატი რაიმე მიზეზით მას უკან დააბრუნებდა". მარკერის კვალის ბიულეტენის უკანა მხარეს გაჟონვის შედეგად ხმის ფარულობის დარღვევის პრობლემა საიას სადამკვირვებლო მისიამ 2022 წლის 2 აპრილის ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზეც გამოავლინა და ეს საკითხი თავის ანგარიშში ასახა. 2023 წლის 1-ლი ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატისა და გურჯაანის მერის არჩევნებზე საიამ ასევე გაამახვილა ყურადღება ხმის ფარულობის დარღვევის პრობლემაზე იმავე მიზეზით. ორგანიზაციის შეფასებით „ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვან რისკს შეიცავდა ხმის ფარულობის დარღვევის თვალსაზრისით და ცესკოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას საჭიროებდა".

[274] 2024 წლის 28 სექტემბრის №01-01/1607 წერილი.

[275] ამავე კომპანიამ ჩაატარა 2023 წლის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტი.

[276] ოდიკაძე ნ. „საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ქართული გამოცდილება და პერსპექტივები" (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024).

[277] იქვე. გვ. 40.

[278] იქვე.

[279] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/2380 წერილი.

შესრულდა, მათ შორის, საიას რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც: **საპარლამენტო არჩევნებისთვის აუდიტი უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად - არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ეს აუცილებელია, რათა შემოწმდეს, ერთი მხრივ, გამოსაყენებელი ელექტრონული საშუალებების (საარჩევნო ტექნოლოგიების) ტექნიკური, პროგრამული ფუნქციონირება და შესაბამისობა, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურდეს, რომ არჩევნებამდე აუდიტირებული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით ცვლილებები აღარ განხორციელებულა.**[280]

მოწყობილობები შემოწმდა არჩევნებამდე, დაახლოებით, ორი კვირით ადრე, რაც, ბუნებრივია, არ იძლევა დამაჯერებელ პასუხს, რომ კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის პროცესი ნამდვილად ამ საწყისი კოდისა და ფუნქციონალის გამოყენებით წარიმართა.

პროცესის სანდოობისთვის, მნიშვნელოვანია, ხმის მთვლელი აპარატების აუდიტი (პროგრამული კოდის მთლიანობის გადამოწმება) მოხდეს არჩევნების დღის შემდეგ. კენჭისყრის დასრულების შემდგომ მოწყობილობების შესამოწმებლად ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს საარჩევნო უბნებიდან.

საიამ ცესკოსგან ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი, ვინ და რა სტანდარტზე დაყრდნობით შეიმუშავა ის კონკრეტული შეკითხვები, რომლებზეც პასუხები იყო გაცემული კომპანია „PRO V&V"-ის მიერ ჩატარებული აუდიტის დასკვნაში.[281] აღსანიშნავია ისიც, რომ დასკვნა არ შეიცავს ინფორმაციას იმ მეთოდოლოგიის შესახებ, რომლითაც შესამოწმებელი აპარატები შეირჩა.

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის მეორე ეტაპის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ცესკოს სერვერებზე არსებული ამომრჩეველთა სიების აპარატებში ჩატვირთულ სიებთან შესაბამისობის შემოწმება იყო, დასკვნაში არ ჩანს, რა დაადგინა „PRO V&V"-მ ამასთან დაკავშირებით. დოკუმენტში არ არის გაცემული პასუხი უმთავრეს კითხვაზე - იყო თუ არა შესაბამისობა მათ შორის.

თავისთავად, ის ფაქტი, რომ აუდიტის დასკვნაში არაფერი იყო ნათქვამი ხმის ფარულობის სისტემური დარღვევის შესახებ (რაც დადასტურდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიგნებებით), საფუძვლიან კითხვებს აჩენს აუდიტის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

ზოგადად, არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება შეიცავს როგორც შიდა, ისე გარე აქტორების მხრიდან მოწყობილობების არასანქცირებული მოდიფიცირებისა და მათში ჩატვირთულ მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის რისკს. ტექნოლოგიური სირთულის გამო, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების სტრუქტურა, ბუნებრივად, ნაკლებად გამჭვირვალეა, ვიდრე ტრადიციული ხმის მიცემისა და დათვლის მეთოდები.[282] ამიტომ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პროცესის ინკლუზიურობა და სანდოობა. არჩევნების მიმართ ნდობას პირდაპირი კავშირი აქვს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გრძე-

[280] ოდიკაძე ნ. „საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ქართული გამოცდილება და პერსპექტივები" (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024).

[281] ცესკოს პასუხის მიხედვით, აუდიტის ჩატარების ეტაპები და საკვანძო მიმართულებები განსაზღვრული იყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია „PRO V&V-ს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/2380 წერილი.

[282] Goldsmith, Ben, and Holly Ruthrauff. Implementing and Overseeing Electronic Voting and Counting Technologies. International Foundation for Electoral Systems and National Democratic Institute for International Affairs, 2013. https://www.ndi.org/implementing-and-overseeing-e-voting-counting-technologies.

ლვადიან სტაბილურობასთან და განაპირობებს მოსახლეობის რწმენას დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი.

საიას შეფასებით, პროცესის საიმედოდ გადამოწმებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორული კომპანია შეირჩეს ინკლუზიური და ღია პრინციპის საფუძველზე, ხოლო აუდიტის ფარგლები და პასუხგასაცემი კითხვები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით განისაზღვროს. ეუთო/ოდირის რეკომენდაციის შესაბამისად, **მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დეტალურად შეისწავლონ პროცესის ყველა ასპექტი, მათ შორის, ხელი მიუწვდებოდეთ ტექნიკურ დოკუმენტაციაზე, საწყის კოდზე, მოწყობილობების კონფიგურაციასა და აუდიტის პროცედურებზე.**[283]

საიას სადამკვირვებლო მისია არჩევნების წინა პერიოდში იღებდა ცნობებს დეზინფორმაციული კამპანიის შესახებ, რომელიც ამომრჩეველში ნერგავდა შიშს, რომ ხმის მთვლელი და ვერიფიკატორი მოწყობილობების კავშირი მათ მიერ ბიულეტენზე გამოვლენილი ნებისა და კონკრეტული პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე ხმის ფარულობის სისტემურმა დარღვევამ,[284] მეორადი ხმის მიცემისა და ამომრჩეველთა სიებით შესაძლო მანიპულაციის შესახებ ეჭვებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საზოგადოების ნდობას ელექტრონული ტექნოლოგიებით ჩატარებული არჩევნების მიმართ.

ცენტრალური თუ ქვედა დონის საარჩევნო კომისიები, სასამართლოებთან ერთად, კოორდინირებულად ცდილობდნენ ხმის ფარულობის სისტემური პრობლემის უგულებელყოფას, რამაც ცესკოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის, იმიჯი მნიშვნელოვნად შელახა. **სახელმწიფო უწყებების მიტაცების, ეფექტიანი გასაჩივრებისა და გადამოწმების მექანიზმების არარსებობის პირობებში კი, ბუნებრივია, ტექნოლოგიური რეფორმის წარმატებაზე საუბარი შეუძლებელი ხდება.**

სისტემის ეფექტიანობის შეფასებისთვის საზოგადოების ნდობა გადამწყვეტია. სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია, განსაზღვრონ საარჩევნო მოდელი, თუმცა ნებისმიერი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ვალდებულებებსა[285] და რბილი სამართლის მოთხოვნებს, მათ შორის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის („ეუთო“) 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტს. მაღალი სტანდარტის დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ინტერპრეტაციული დოკუმენტები, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და ორგანიზაციების, მაგალითად, სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის ევროპული კომისიის („ვენეციის კომისია“) საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის („ეუთო/ოდირი“) არჩევნების მონიტორინგის ანგარიშები, მათი რეკომენდაციები.

---

[283] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024), Page: 13, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 18.02.2024.

[284] იხილეთ შესაბამისი თავი.

[285] ვენეციის კომისია მკაფიოდ მიუთითებს, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი პროტოკოლის მე-3 მუხლს, რომლითაც ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, არჩევნები ჩაატარონ თავისუფალ გარემოში, გონივრული ინტერვალით, ფარული კენჭისყრით, იმ პირობით, რომ ხალხს ექნება არჩევანის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

II ნაწილი – წინასაარჩევნო გარემო

ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა და საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება

საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას პარტიული მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამის საფრთხე ყოველთვის არსებობს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიასთან მიმართებით, ვინაიდან სწორედ სახელისუფლებო პარტიას აქვს წვდომა სახელმწიფო რესურსებზე.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.[286] კოდექსი არ ითვალისწინებს ამომწურავ ჩამონათვალს, თუ რა იგულისხმება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში, თუმცა, ფართო გაგებით, ის მოიცავს არაუფლებამოსილი პირების ყველანაირ ქმედებას, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო-საბიუჯეტო რესურსის გამოყენებით საარჩევნო უპირატესობის მოპოვებას.

სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის მკვეთრი გამიჯვნის პრინციპი აღიარებულია ეუთოს ე.წ. „კოპენჰაგენის დოკუმენტით", რომლის 5.4. პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო-საბიუჯეტო და პარტიული რესურსები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს რათა არ მოხდეს მათი გაერთიანება ან ერთმანეთთან აფილირება.

ვენეციის კომისიის განმარტებით, ადმინისტრაციული რესურსები მოიცავს ადამიანურ, ფინანსურ, მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებებს, რომლებიც არჩევნებში გამოიყენება. ეს ეხება საჯარო სექტორის მართვას, საბიუჯეტო სახსრებზე ხელმისაწვდომობას და თანამდებობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს, რაც შეიძლება პოლიტიკურ მხარდაჭერად ან გავლენად იქცეს.[287]

ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის რეკომენდაციების მიხედვით, აუცილებელია ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც ნათლად განსაზღვრავს, რა არის ნებადართული და რა - აკრძალული.[288] ასევე, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი უნდა გავრცელდეს როგორც საჯარო მოხელეებზე, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ასევე საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოებზე.[289] გარდა ამისა, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გადადგან გადამწყვეტი ნაბიჯები ამომრჩეველთა ზეწოლისა და დაშინების შემთხვევების პრევენციის, მათი იდენტიფიცირების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, ასევე, კამპანიის ფარგლებში სახელმწიფო რესურსების გამოყენების აღსაკვეთად. ამის მისაღწევად სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ საარჩევნო კანონმდებლობის ყველა დარღვევა.[290]

საიას სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც მმართველმა პარტიამ დაარღვია სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის გამიჯვნის პრინციპი და უკანონოდ გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსები. მა-

[286] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი", 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[287] Report on the Misuse of Administrative Resources during Electoral Processes, N CDL-AD(2013)033, P. 6.
[288] The misuse of administrative resources during electoral processes: the role of local and regional elected representatives and public officials, N CG31(2016)07final, P. 25.
[289] იქვე.
[290] იქვე.

ტერიალურის გარდა, ეს ეხება ასევე საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც ფინანსურად და სამსახურებრივად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო თუ ადგილობრივ თანამდებობის პირებზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა საარჩევნო მიზნებისთვის იმ ჯგუფების გამოყენებისა და მანიპულირების ფაქტებიც, რომლებიც, შესაძლოა, არ იყვნენ დასაქმებულნი სახელისუფლებო უწყებებში, თუმცა სხვადასხვა სოციალური პროექტიდან იღებდნენ გარკვეულ სიკეთეებს.

1. მასშტაბური ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები

საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტით. საქმე ეხება ისეთ ინფრასტრუქტურულ თუ სხვა სახის პროექტებს, რომლებმაც, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს ამომრჩეველთა ნებაზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ. კანონი შეზღუდვას აწესებს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდზე - არჩევნებამდე 2 თვის განმავლობაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 5-6 თვით ადრე ასეთი პროგრამების დაწყება ან დაგეგმვა პირდაპირ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად მათი განხორციელება ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს შეიცავს. ვენეციის კომისიის სტანდარტების მიხედვით,[291] საარჩევნო პროცესი სცდება მხოლოდ საარჩევნო კამპანიის პერიოდს კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი ვადით და მოიცავს ყველა საქმიანობას, რომლებსაც მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებენ კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების, კოალიციის მხარდასაჭერად ან მათ წინააღმდეგ.[292] შესაბამისად, სახელმწიფომ საქმიანობა მკვეთრად უნდა გამიჯნოს თავისი პარტიული საქმიანობისგან ისე, რომ მოქალაქისთვის ეს ორი ერთმანეთთან არ იგივდებოდეს.

საარჩევნო წელს სხვადასხვა სამინისტროსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელდა და დაანონსდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

გარდა ამისა, საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე მსხვილი სოციალური პროექტის განხორციელების ფაქტები. ეს პროგრამები ითვალისწინებდა მოქალაქეებისთვის სხვადასხვა შეღავათს ან სოციალური სიკეთის გადაცემას, შესაბამისად, შესაძლოა, კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის უპირატესობის მინიჭების გზა ყოფილიყო.

მშვიდობის პარკის რეაბილიტაცია თელავში

2024 წლის 1-ელ ივნისს თელავში მუნიციპალიტეტის მერმა გახსნა მშვიდობის პარკი,[293] რომლის რეაბილიტაცია 2022 წელს დაიწყო ევროკავშირისა და ადგილობ-

[291] VENICE COMMISSION, REPORT ON THE MISUSE OF ADMINISTRATIVE RESOURCES DURING ELECTORAL PROCESSES, Strasbourg, 16 December 2013, para. 9.

[292] იქვე.

[293] „წარწერამ „დაფინანსებულია EU-ს მიერ“ თელავის მერი გააბრაზა და ბანერები მოგლიჯა, ინციდენტი მშვიდობის პარკში“, „მთავარი არხი“, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=860534882563889, განახლებულია: 14.11.2024.

რივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში.[294] აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის პროცესი დაწყებიდან 3 თვეში უნდა დასრულებულიყო. საიას რეგიონული მონიტორის ინფორმაციით, თელავის მერმა პარკის გახსნისას არ ისაუბრა ევროკავშირის დაფინანსების შესახებ და ამ პროექტის განხორციელება მთლიანად მიაწერა „მუნიციპალიტეტის კეთილგონიერებასა და ზრუნვას მოსახლეობაზე“.

ინფრასტრუქტურული პროექტები მარნეულში

2024 წლის 28 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა ტენდერი მარნეულში 20 იანვრის ქუჩაზე სკვერის მოწყობის შესახებ.[295] აღსანიშნავია, რომ სატენდერო დავალება კონტრაქტორს 90 დღის ვადაში უნდა შეესრულებინა.[296] როგორც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების პორტალიდან ირკვევა, სკვერის მოწყობის სამუშაოების შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი მერიასა და კომპანიას შორის 2024 წლის 23 სექტემბერს - წინასაარჩევნო პერიოდში გაფორმდა,[297] რაც კიდევ უფრო აძლიერებს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ეჭვებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად.

არჩევნების წელს კიდევ ერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა მარნეულის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის სახით,[298] რომელიც 2024 წლის 3 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა.[299] აღსანიშნავია, რომ სტადიონის მშენებლობა 2021 წელს დაიწყო და 2023 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო.[300]

საცხოვრებელი ბინების გადაცემა ეკომიგრანტებისა და დევნილებისთვის

2024 წელს მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურულ-სოციალური პროექტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და გადაცემა (ან გადაცემის დაპირება) სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის.

ეკომიგრანტი ოჯახებისთვის ბათუმში, ე.წ. „ოცნების ქალაქში“, სამი 12-სართულიანი კორპუსი აშენდა. შედეგად, 582 ოჯახი ბინებით დაკმაყოფილდა.[301] აღსანიშნავია, რომ ეს ოჯახები „სოციალურ სახლებს“ წლების განმავლობაში ელოდებოდნენ. როგორც პრემიერ-მინისტრი ადგილობრივებს დაჰპირდა, ამავე პროგრამის ფარგ-

---

[294] „მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ ახალი სარეკრეაციო სივრცე მოეწყობა“, თელავის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, 2022 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: https://telavi.gov.ge/ge/mshvidobis-kuchis-mimdebared-axali-sarekreacio-sivrce-moecqoba, განახლებულია: 14.11.2024.

[295] „მარნეულის მერია სკვერის მოწყობას 107 716 ლარად გეგმავს“, რადიო „მარნეული“, 2024 წლის 4 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/0lmVo, განახლებულია: 14.11.2024.

[296] იქვე.

[297] შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, 2024 წლის 23 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge, განახლებულია: 14.11.2024.

[298] საქართველოს მთავრობის განცხადება, 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=596&info_id=88641, განახლებულია: 14.11.2024.

[299] იქვე.

[300] ვიზიტი მარნეულის მშენებარე სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 2022 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.gff.ge/ge/media/news/23216, განახლებულია: 20.06.2024.

[301] „ბათუმში, „ოცნების ქალაქში“ 600-მდე ოჯახს ახალი ბინები გადაეცა“, „იმედი News“, 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/regioni/340837/batumshi-otsnebis-qalaqshi-600mde-ojakhs-akhali-binebi-gadaetsa, განახლებულია: 15.11.2024.

ლებში, ბათუმში საცხოვრებელი ბინები, ჯამში, 1000-მდე ოჯახს გადაეცემა.[302]

დევნილთა განსახლების პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის აგვისტოში დასრულდა სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე. ამ ბინებით, ჯამში, 720 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა.[303] გარდა ამისა, ოქტომბერში შერვაშიძის ქუჩაზე საცხოვრებელი ბინები გადაეცა 200 დევნილ ოჯახს.[304]

იმავე პროგრამით შენდება ბინები ზუგდიდში. პროექტის დაწყების შესახებ ჯანდაცვის სამინისტრომ 2024 წლის 15 ოქტომბერს, ფაქტობრივად, არჩევნებამდე 10 დღით ადრე აცნობა საზოგადოებას.[305] აღსანიშნავია, რომ ზუგდიდში ბინები უნდა აშენდეს 1700 დევნილი ოჯახისთვის, საერთო ბიუჯეტი კი 191 მილიონ ლარზე მეტია.[306]

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დევნილებისთვის ბინების გადაცემა გაგრძელდა თბილისშიც, ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე.[307] ამჯერად ბინა მიიღო 65-მა დევნილმა ოჯახმა.[308] 23 ოქტომბერს კი, დევნილთა განსახლების პროგრამის ფარგლებში, სამინისტრომ 2 400 ოჯახის ბინებით უზრუნველყოფა დააანონსა.[309]

ბინების გადაცემის დაპირება სამხედრო მოსამსახურეებისთვის

2024 წლის 26 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა შემდეგ წელს 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურისთვის საცხოვრებელი ბინების გადაცემა დააანონსა.[310] ირაკლი კობახიძემ თავდაცვის მინისტრს სთხოვა, „მოემზადებინა შემდეგი ეტაპის გეგმა“, რათა სამომავლოდ უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურისთვის მიეცათ ბინები.[311]

---

[302] იქვე.

[303] „ქუთაისში დევნილებისთვის განკუთვნილი კორპუსების მშენებლობა დასასრულს უახლოვდება“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=20240827123543717067881 8, განახლებულია: 15.11.2024.

[304] „ქუთაისში 200-მდე დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=20241022100431288139099 1, განახლებულია: 15.11.2024.

[305] „ზუგდიდში დევნილი ოჯახებისთვის 1700 ბინის მშენებლობა დაიწყო“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=20241016094113854697338 1, განახლებულია: 15.11.2024.

[306] იქვე.

[307] „მიხეილ სარჯველაძემ 65 დევნილ ოჯახს თანამედროვე სტანდარტების ახალაშენებული, გარემონტებული ბინები გადასცა“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=20241023100240648375103 9, განახლებულია: 15.11.2024.

[308] იქვე.

[309] იქვე.

[310] „პრემიერ-მინისტრის განცხადებები მთავრობის სხდომაზე“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=596&info_id=89367, განახლებულია: 15.11.2024.

[311] იქვე.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის მასობრივი ზრდა

გარდა ცენტრალური ხელისუფლებისა, 2024 წლის აგვისტოში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მუნიციპალიტეტებისთვის გამოიყო 469 170 612 ლარი.[312] ამ თანხებით საქართველოს 57 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 1 200-მდე წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა დაფინანსებულიყო.[313] როგორც ირკვევა, ეს თანხა მთლიანად უნდა მოხმარებოდა ქალაქების, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების, სოფლების ქუჩებისა და გზების, ასევე, მუზეუმების რეაბილიტაციას, სტადიონების მშენებლობას, წყალმომარაგების სისტემის გამართვას და ა.შ.

აგვისტოს ცვლილებებამდე, მაისში, 68 მილიონი ლარით გაიზარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.[314] ამ თანხით დაფინანსდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული (დაახლ. 66 მლნ ლარი), ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტული პროექტები.[315]

საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა

2024 წლის 8 აპრილის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა მასშტაბური საგადასახადო ამნისტიის შესახებ განაცხადა.[316] ამნისტიის ფარგლებში საქართველოს ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეებსაც სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება, დარიცხული საურავების ჩათვლით.[317] ინიციატივა მოიცავს 145 000 ფიზიკური პირის - ჯამში, 590 მილიონი ლარის - საგადასახადო დავალიანებას.[318]

2024 წლის 3 ივნისის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრი გამოვიდა ინიციატივით 1 855 ფიზიკური და 38 იურიდიული პირისთვის კოვიდ-პანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმების ჩამოწერასთან დაკავშირებით.[319] ამ ჯარიმების საერთო მო-

---

[312] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 ივლისის განკარგულება №1008 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=RUS&sec_id=602&info_id=89061; საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს განკარგულება №1146 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=602&info_id=89324.

[313] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს განკარგულება №1146 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=602&info_id=89324.

[314] „ბათუმის ბიუჯეტი გაიზარდა", საინფორმაციო პორტალი „Adjaratv.ge", 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://ajaratv.ge/article/133640, განახლებულია: 15.11.2024.

[315] „ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები", ბათუმის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://old.batumi.gov.ge/posts/8276, განახლებულია: 15.11.2024

[316] „2024 წლის 8 აპრილის მთავრობის სხდომა", საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=599&info_id=88077, განახლებულია: 15.11.2024.

[317] იქვე.

[318] იქვე.

[319] „2024 წლის 3 ივნისის მთავრობის სხდომა", საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=599&info_id=88637, განახლებულია: 15.11.2024.

ცულობა 5 600 000 ლარს შეადგენს.[320]

სახელფასო გასაცემელების ზრდა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საჯარო სკოლების სტატუსიანი მასწავლებლების 70%-ს, საშუალოდ, 500 ლარით ან მეტით გაეზარდათ ხელფასი,[321] 25%-ს - დაახლოებით, 300-იდან 400-მდე, ხოლო 5%-ს - 200 ლარამდე.[322] სამინისტროს განცხადებით, ხელფასის მატების გარეშე საჯარო სკოლის არცერთი პედაგოგი არ დარჩენილა.[323] აღსანიშნავია, რომ ახლებურად განისაზღვრა მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების გრაფიკიც, რომელიც განათლების მინისტრის ბრძანებით დადგინდა.[324] აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში დაახლოებით 52 000 პედაგოგი ეწევა აქტიურ საქმიანობას.[325]

2024 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც გაიზარდა ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილ მოსამსახურეთა, ასევე, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები სხვა პირების სოციალური გარანტიები.[326] ცვლილებების თანახმად, 2006 წლის შემდეგ პირველად, კომპენსაციის მიმღები ყველა პირისთვის იზრდება კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი და, 560-ის ნაცვლად, შეადგენს 1000 ლარს. გარდა ამისა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცველის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახისთვის დადგენილი ყოველთვიური პენსიის ოდენობა, 1000-ის ნაცვლად, განისაზღვრა 1200 ლარით.[327] კომპენსაციის ოდენობა გაიზარდა ასევე გარკვეული ყოფილი თანამდებობის პირებისთვის: მოსამართლეების, გენერალური აუდიტორის, დიპლომატების, ავიაციის მოსამსახურეების, პარლამენტარებისა და სხვათათვის.[328]

კადრების ზრდა მუნიციპალურ ორგანოებში

2024 წელს ასევე შეინიშნებოდა შტატების ზრდა მუნიციპალურ ორგანოებში, ა(ა)იპებსა და შპს-ებში. სხვადასხვა წყაროს მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მერიასა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ახალი კადრების დამატების შესახებ.

---

[320] იქვე.

[321] „2024 წლის 1-ლი ივლისიდან მასწავლებელთა ანაზღაურება უპრეცედენტოდ იზრდება“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://mes.gov.ge/content.php?id=13796&lang=geo, განახლებულია: 15.11.2024.

[322] იქვე.

[323] იქვე.

[324] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება №108/ნ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://mes.gov.ge/content.php?id=13799&lang=-geo.

[325] „2024 წლის 1-ლი ივლისიდან მასწავლებელთა ანაზღაურება უპრეცედენტოდ იზრდება“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://mes.gov.ge/content.php?id=13796&lang=geo, განახლებულია: 15.11.2024.

[326] „პარლამენტმა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/parlamentma-/16191, განახლებულია: 15.11.2024.

[327] იქვე.

[328] იქვე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის სხდომაზე მიღებული ცვლილებებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხას დაემატა 24 ახალი კადრი, მათ შორის, 11 - მერიის საჯარო მოხელეთა შტატში, 6 - შრომით, ხოლო 7 - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულთა საშტატო ნუსხაში. აღსანიშნავია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა ე.წ. „ქოლ-ცენტრის“ 5 ოპერატორი, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებით - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების 7 ახალი თანამშრომელი.[329]

სხვადასხვა მედიის ინფორმაციით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანებაში, სოფლის ბიბლიოთეკებში, შეიქმნა ახალი შტატები - მოძრავ ბიბლიოთეკაში წიგნების დამტარებლები და ბიბლიოთეკის დამლაგებლები.[330]

საიას მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მასშტაბით მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში 800-მდე ახალი შტატი შეიქმნა.[331] ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა: კეთილმოწყობა-დასუფთავების, სატრანსპორტო, სკოლამდელი აღზრდის (საბავშვო ბაღების) და წყალმომარაგების სერვისების განმახორციელებელ იურიდიულ პირებში.[332]

ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო მასშტაბური ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა ახალგაზრდებისთვის საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში.[333] საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, 2-იდან 8 აგვისტოს ჩათვლით დაინტერესებულ პირებს სასურველ პოზიციაზე განაცხადის წარდგენა მთავრობის ვებგვერდზე ინტეგრირებული შესაბამისი ველის მეშვეობით შეეძლოთ.[334] პროგრამა განკუთვნილი იყო 3000 კურსდამთავრებულისთვის.[335]

---

[329] ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №99 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 1-ლი მუხლი, 2024 წლის 29 მაისი.

[330] „როგორ იქცა სამთავრობო ა(ა)იპ-ი „დასაქმების კანტორად“, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact.ge, 2024 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://ifact.ge/samtavrobo-aaip-dasakmebi-skantora/, განახლებულია: 15.11.2024.

[331] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saiam-2024-tslis-archevnebis-sadamkvirveblo-misia-shualeduri-angarishi-da-siskhlis-samartlis-saqmeebis-monitoringis-proeqti-tsaradgina.

[332] იქვე.

[333] „მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც 3 ათასზე მეტ კურსდამთავრებულს საჯარო სამსახურში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობას მისცემს“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=eng&sec_id=596&info_id=89079, განახლებულია: 15.11.2024.

[334] „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-2^1 მუხლის 1 პუნქტი.

[335] „მთავრობის დადგენილებით, საჯარო დაწესებულებებში ანაზღაურებადი 4-თვიანი სტაჟირების კონკურსი გამოცხადდა“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=89211, განახლებულია: 15.11.2024.

შეჯამება

არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელება, შესაძლოა, იყოს მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედება საბიუჯეტო სახსრებისა თუ იმ უპირატესობის მეშვეობით, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ პარტიას, სხვა საარჩევნო სუბიექტებთან შედარებით, ბუნებრივად აქვს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ, მათ შორის, საარჩევნო წელს განახორციელოს სხვადასხვა სახის პროექტები. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხელისუფლების მოვალეობაა და არა პარტიის კეთილი ნება, აუცილებელია, გაიმიჯნოს პარტიული და სახელმწიფო პროგრამები. სახელმწიფო სიკეთის განაწილება არ უნდა ასოცირდებოდეს პარტიასთან, რათა ეს, თავის მხრივ, ამომრჩეველს პირდაპირ თუ ირიბად არ უბიძგებდეს, რომ კენჭისყრის დღეს არჩევანი მმართველი ძალის სასარგებლოდ გააკეთოს.

2. მასშტაბური ამნისტია

2024 წლის 10 ივლისს პარლამენტში ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა კანონპროექტი მასშტაბური ამნისტიის შესახებ, ხოლო 17 სექტემბერს ის მესამე მოსმენით მიიღო.[336] ამნისტია შეეხო, ჯამში, 4 839 პატიმარს, ხოლო დაუყოვნებლივ გათავისუფლდა 1 000 მათგანი.[337] კანონის ფარგლებში, მათ სხვადასხვა დანაშაულისთვის დაკისრებული სასჯელი შეუმცირდათ 1/6-ით, 1/2-ით, 1/4-ითა და 2/3-ით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სიახლეა პრობაციონერებისთვის პირობითი მსჯავრის შემცირება. 22 000 პრობაციონერიდან ამნისტია დაუყოვნებლივ შეეხო 7 000 მათგანს.[338] იმ პირებს, რომლებზეც არ გავრცელდა ამნისტირებული მუხლები და, 2024 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით, იყვნენ პირობით მსჯავრდებულნი (გარდა ოჯახური დანაშაულისა) ან პირობით ვადამდე გათავისუფლებულნი (გარდა ოჯახური დანაშაულისა), პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა 1 წლით შეუმცირდათ.

ამნისტია, თავისთავად, სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანური აქტია, რომლის მიზანია საზოგადოების გაერთიანება გარკვეულ დანაშაულებში მსჯავრდებული პირების გათავისუფლების გზით, მათ შორის, ამ პირთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მათი სრულფასოვან წევრად დაბრუნება. თუმცა, საარჩევნო პერიოდში მისი გამოყენება, შესაძლოა, ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტად იქცეს. საიას მოსაზრებით, კანონის საბოლოო სახით მიღება სექტემბერში, არჩევნებამდე 1 თვით ადრე, კონტექსტის გათვალისწინებით, ზრდის მმართველი პარტიის მხრიდან ამნისტიით გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე სხვადასხვა ფორმით ზეგავლენის რისკს, რათა მათგან და მათთან დაახლოებული პირებისგან პოლიტიკური სარგებელი მიიღონ. ეს კი, საბოლოო ჯამში, არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმების მობილიზებაში გამოიხატება.

---

[336] კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/28908, განახლებულია: 15.11.2024

[337] „პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ” კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო”, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/parlamentma-amnistiis-shesakheb-kanonproeqti-pirveli-mosmenit-miigho-2/, განახლებულია: 15.11.2024; https://cdn.1tv.ge/app/uploads/2024/07/1720699453-amnistia.pdf.

[338] კანონი „ამნისტიის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/28908, განახლებულია: 15.11.2024.

საიას მოსაზრებით, ამნისტია, როგორც **ხელისუფლების ჰუმანური აქტი, მმართველმა პარტიამ არ უნდა გამოიყენოს** საარჩევნო მიზნებისთვის**, შესაბამისად, ის** არ უნდა გამოცხადდეს არჩევნებამდე იმდენად მცირე ხნით ადრე, რომ მისი ფაქტობრივი ამოქმედება (მსჯავრდებულების ფაქტობრივი გათავისუფლება, მსჯავრის შემსუბუქება) დაემთხვეს წინასაარჩევნო პერიოდს.

3. მმართველი პარტიის ღონისძიებებზე საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა მობილიზება

გავრცელებული ცუდი პრაქტიკაა მმართველი პარტიის მიერ საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მობილიზება პარტიულ შეხვედრებზე. 2024 წელს წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრეც „ქართული ოცნება“ ხშირად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს თავის, მათ შორის, არასაარჩევნო ღონისძიებებში. საიამ 17 სავარაუდო ასეთი შემთხვევა აღრიცხა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, აკრძალულია სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.[339] მსგავსი შემთხვევები შეიცავს მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო მიზნებისთვის საჯარო მოხელეთა გამოყენების ნიშნებს და არ შეესაბამება პარტიული და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს.

„ქართული ოცნების“ მიერ ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება ე.წ. „რუსული კანონის“ კონტრაქციაზე თბილისში

„ქართული ოცნების“ ორგანიზებით 2024 წლის 29 აპრილს გაიმართა ე.წ. „რუსული კანონის“ მხარდასაჭერი კონტრაქცია, რომლისთვისაც მოხდა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მობილიზება ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.[340]

პარტიის ლიდერები საჯარო მოხელეებს დაუფარავად მოუწოდებდნენ აქციაში მონაწილეობისკენ. გარდა ამისა, სხვადასხვა მედიისა თუ სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, როგორ ავალდებულებდნენ ადგილობრივ საჯარო მოსამსახურეებს ხსენებულ შეკრებაზე დასწრებასა და პროსახელისუფლებო პოსტების გაზიარებას.[341] მათ შორის, მედიაში გავრცელდა Facebook-ის შიდა მიმოწერის ამსახველი ფოტოები, რომელთა მიხედვით, თერჯოლის მერის წარმომადგენელი თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში - მამუკა გოგბერაშვილი „კატეგორიული ფორმით“ მოუწოდებდა ადგილობრივ საჯარო მოხელეებს აქციაში მონაწილეობისკენ.[342] გარდა ამისა, თელავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბაღების გაერთიანების“

[339] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[340] „100 000-ზე მეტი“ - მდინარაძე ამბობს, რომ „ოცნების“ აქციაზე მონაწილეთა რაოდენობა „მოლოდინებს გადააჭარბებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32923980.html, განახლებულია: 15.11.2024.

[341] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saiam-2024-tslis-archevnebis-sadamkvirveblo-misia-shualeduri-angarishi-da-siskhlis-samartlis-saqmeebis-monitoringis-proeqti-tsaradgina.

[342] „ვიღაცამ FB გატეხა“ – თერჯოლის მერის წარმომადგენელი კონტრაქციის ფოტოასლებზე“, საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2024 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/719147/, განახლებულია: 15.11.2024.

დირექტორი თამუნა მაისურაძე პედაგოგებს სამთავრობო პოსტების გაზიარებას ავალებდა, ასევე, სთხოვდა, წასულიყვნენ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერ აქციაზე - 29 აპრილს და „ოჯახის სიწმინდის დღეზე“ - 17 მაისს.[343]

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებთან შეხვედრა თელავში

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი პარტიული ღონისძიება გაიმართა 2024 წლის 2 ივნისს თელავში, რომელსაც პარლამენტარები, კახეთის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები ესწრებოდნენ.[344] ღონისძიებაზე იმყოფებოდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კალანდაძე.[345] მან მისი იქ ყოფნის მიზეზად „სამოქალაქო წესრიგის დაცვა“ დაასახელა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი კრძალავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას.[346] მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა ფორმალურად მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიას მოიცავს, საარჩევნო პერიოდი, ზოგადად, სცილდება კამპანიის ვადებს და დადგენილი სტანდარტი უნდა გავრცელდეს არჩევნების წინა პერიოდზეც, მით უფრო მაშინ, როდესაც მმართველმა პარტიამ საარჩევნო კამპანია არჩევნებამდე 8 თვით ადრე დაიწყო.

საიას ინფორმაციით, თელავში ამ ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ ასევე ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორი თამუნა მაისურაძე, მერის მოადგილე, ადმინისტრაციისა და სხვადასხვა სამსახურის უფროსები.

საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებულთა მობილიზება „ქართული ოცნების“ პარტიულ რეგიონულ ღონისძიებებზე

2024 წლის 21 აგვისტოს მცხეთაში გაიმართა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პარტიული ღონისძიება.[347] სხვადასხვა მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ღონისძიებაზე დასასწრებად იკრიბებოდნენ ადგილობრივი საჯარო მოხელეები და პედაგოგები. ტელეკომპანია „ტვ პირველის“ მიერ მომზადებული სიუჟეტის მიხედვით, საჯარო სკოლის დირექტორებმა დაიბარეს მასწავლებლები და ღონისძიებაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.[348] იმავეს ავალებდნენ მუნიციპალურ

---

[343] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saiam-2024-tslis-archevnebis-sadamkvirveblo-misia-shualeduri-angarishi-da-siskhlis-samartlis-saqmeebis-monitoringis-proeqti-tsaradgina.

[344] ღარიბაშვილის კომენტარი, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/videos/1370609583634820, განახლებულია: 15.11.2024.

[345] „ვიცავთ საზოგადოებრივ წესრიგს“, თელავში ღარიბაშვილის „ოცნების“ პარტაქტივთან შეხვედრას კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორიც დაესწრო“, „მთავარი არხის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=364448699561558, განახლებულია: 15.11.2024.

[346] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[347] „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება მცხეთაში“, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid0D8fXvDPFUksZwf9pxPqDnrpFqCRHKXQ2F9JC352Y657NpHEa4QbchRp4edgrvE4ul, განახლებულია: 15.11.2024.

[348] „საჯარო მოხელეების მობილიზება მცხეთაში - „ოცნებას” ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებაში ამხელენ”, ტელეკომპანია „პირველის” ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22

ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები მათზე სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებს.[349]

31 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ მორიგი რეგიონული ღონისძიება ოზურგეთში გამართა.[350] ამჯერადაც მედიასაშუალებებში გავრცელდა სიუჟეტები, რომლებშიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები საუბრობენ, რომ მათ უფროსისგან მიიღეს დავალება, მონაწილეობა მიეღოთ „ქართული ოცნების“ პარტიულ ღონისძიებაში,[351] მათი ტრანსპორტირება ასევე სამსახურმა უზრუნველყო.[352] ამ პირების თქმით, აქციაზე ლანჩხუთის დასუფთავების სამსახური „სრულად“ იყო წარმოდგენილი.[353] საიამ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით საჩივრით მიმართა ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის, თუმცა კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა. როგორც მათი წერილიდან ირკვევა, საოლქო კომისიამ მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს, თუმცა მათ თავიანთი თანამშრომლებისადმი მოწოდების ფაქტი უარყვეს.[354] მათი თქმით, ღონისძიების თარიღი არასამუშაო დღეს ემთხვეოდა და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მასზე დასწრება.[355]

შემდეგი ღონისძიება მმართველმა პარტიამ 8 სექტემბერს ახალციხეში გამართა.[356] ადგილობრივი Facebook-ჯგუფის - „ეს სამცხე-ჯავახეთია“ - საშუალებით გავრცელდა ე.წ. „სქრინები“, რომლითაც ირკვეოდა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელებსა და ლექტორებს პარტიულ ღონისძიებაზე სტუდენტების მობილიზებაში ადანაშაულებდა.[357] სტუდენტებს უნდა შეედგინათ სია თავიანთი პირადი ინფორმაციით და დაედასტურებინათ, შეძლებდნენ თუ არა ღონისძიებაში მონაწილეობას. საიამ ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა. სამცხე-ჯავახეთის პროკურატურამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს.

19 სექტემბერს რუსთავში „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რეგიონული ღონისძიება გაიმართა. სხვა ღონისძიებების მსგავსად, პარტიის ლიდერებმა ქვემო ქა-

---

აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/78294-sajaro-mokheleebis-mobilizebamtskhetashiotsnebas-administratsiuliresursis?fbclid=IwY2xjawFARWdleHRuA2FlbQIxMAABHeYX2gGYwk73UfHG22wH4Zux1l8BhJ464v8QAua5Ir9vK7bl1dx5m7iEw_aem_dAFPV44lmP0NqeZucjZbMg, განახლებულია: 15.11.2024.

[349] იქვე.

[350] „ქართული ოცნების” საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ოზურგეთში“, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid02QTLtPARies6JNPUSrFwjFQr5RAK7qaDoZ3aNpTXfP38WbHFAqzez9LB9PTQcpofAl, განახლებულია: 15.11.2024.

[351] „დასუფთავებამ წამოგვიყვანა, რომ არ წამოვსულიყავით, ალბათ, ჯარიმა იქნებოდა” - ვინ მოაბილიზა „ოცნებამ“ პარტიულ შეკრებაზე“, ტელეკომპანია „პირველის” ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/79037-dasuptavebamtsamogvikvana-rom-ar-tsamovsulikavit-albat-jarima-iqneboda-vin, განახლებულია: 15.11.2024.

[352] იქვე.

[353] იქვე.

[354] №61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 3 ოქტომბრის №61/28 წერილი.

[355] იქვე.

[356] „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ახალციხეში“, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid025QMe33JF6ApTRzFWJ1XGz4gH9Q54drhA5mQ4hK3pcJNKJWz9jrfJY35ff1eidVapl?locale=ka_GE, განახლებულია: 16.11.2024.

[357] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

რთლის მოსახლეობას სიტყვით მიმართეს.[358] სოციალურ ქსელსა და ონლაინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2024 წლის 19 სექტემბერს მარნეულისა და წალკის ტერიტორიაზე არსებულმა საბავშვო ბაღებმა მუშაობა დროზე ადრე, წალკაში - 13:00, ხოლო მარნეულში 14:00 საათზე დაასრულეს. Facebook-ჯგუფ „წალკელებში" გამოქვეყნებული ანონიმური პოსტის მიხედვით, ბავშვებს ბაღიდან 13:00 საათზე იმიტომ უშვებდნენ, რომ აღმზრდელები და მასწავლებლები რუსთავში „ქართული ოცნების" რეგიონულ ღონისძიებაზე მიჰყავდათ.[359] მარნეულში კი საბავშვო ბაღების მიერ სამუშაო დღის ადრე დასრულების სხვადასხვა მიზეზი დასახელდა: ბაღში წყლის შეწყვეტა, ტრენინგები და ა.შ.[360] ამ ფაქტთან დაკავშირებით საიამ წერილით მიმართა წალკის მერიასა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებას. წალკის მერიამ ორგანიზაციას პასუხად აცნობა, რომ 19 სექტემბერს საბავშვო ბაღები დროზე ადრე არ დაკეტილა.[361] მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) განმარტებით კი, 19 სექტემბერს ბაღები, 18:00 საათის ნაცვლად, 17:30 საათზე, გეგმური სანიტარიული სამუშაოების გამო დაიხურა.[362]

რუსთავის ღონისძიებაზე ამომრჩეველთა მობილიზების კიდევ ერთი სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსში" დასაქმებული მე-4 ოლქის კოორდინატორი თამარ თომაშვილი ე.წ. კორპუსის თავმჯდომარეებს მოუწოდებდა, ღონისძიებას დასწრებოდნენ და, დამატებით, ორი ადამიანიც წამოეყვანათ.[363] ამ მიზნით, ის ითხოვდა მონაწილე პირების პერსონალურ ინფორმაციას - სახელს, გვარს, პირად ნომერს და ტელეფონის ნომერს.[364]

2024 წლის 28 სექტემბერს თელავში გაიმართა „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება, რომელზეც პარტიის ლიდერებმა შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს.[365] როგორც საიას სადამკვირვებლო მისიისთვის გახდა ცნობილი, იქ იმყოფებოდნენ ბაღის, სკოლის პედაგოგები, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები. ასევე, გავრცელდა Facebook-ის „საერთო ჩათის" მიმოწერის ამსა-

---

[358] „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება რუსთავში", „ქართული ოცნების" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid0TZeiJE2tfRRjyRcxi8YmFFEh86T6q5HarMnihKNVkFbtegMExT6HzvXFpv73te5Gl, განახლებულია: 15.11.2024.

[359] „მობილიზებული ადმინისტრაციული რესურსი და რეგიონიდან ჩამოყვანილი ხალხი: „ოცნება" რუსთავში", საინფორმაციო პორტალი „QvemoQartli.ge", 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://qvemoqartli.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90/, განახლებულია: 15.11.2024.

[360] „წყალი არ იქნება, ტრენინგები გვაქვს - ივანიშვილის ვიზიტი რუსთავში და მარნეულის ბაღების დროზე ადრე დაკეტვა", საინფორმაციო პორტალი „რადიო მარნეული", 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/87686--tsyaliar-iqneba-treningebi-gvaqvs-ivanishvilis-viziti-rusthavshi-da-marneulis-baghebis-droze-adre-daketva, განახლებულია: 15.11.2024.

[361] წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 სექტემბრის №118-118242708 წერილი.

[362] მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის) 2024 წლის 4 ოქტომბრის წერილი №13-322427883.

[363] „მობილიზებული ადმინისტრაციული რესურსი და რეგიონიდან ჩამოყვანილი ხალხი: „ოცნება" რუსთავში", საინფორმაციო პორტალი „QvemoQartli.ge", 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/FMVrV, განახლებულია: 25.09.2024.

[364] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში.

[365] „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება თელავში", „ქართული ოცნების" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/873040654930386, განახლებულია: 17.10.2024.

ხველი ფოტომასალა, რომელშიც ჩანს, როგორ მოუწოდებს თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ბაღის მენეჯერი თავისი ბაღის მასწავლებლებს, მივიდნენ აქციაზე და „გადაიღონ საერთო ფოტო“, რომლითაც ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორ თამუნა მაისურაძეს დაუმტკიცებენ, რომ ნამდვილად იმყოფებოდნენ ღონისძიებაზე.[366]

2024 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ჩატარდა.[367] მონიტორინგის შედეგად, საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი გახდა, რომ ღონისძიებაზე ხალხის მობილიზებას აპირებდნენ. შეკრებაზე დასასწრებად მოსახლეობა არა მარტო ზუგდიდიდან, არამედ სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტიდან ჩამოიყვანეს. სოფლის რწმუნებულებს დავალებული ჰქონდათ 50-50 ადამიანის მიყვანა, თუმცა, როდესაც ამდენის შეგროვება ვერ მოხერხდა, ისინი ჯერ - 20 და შემდგომ 10 ადამიანის შეკრებას ცდილობდნენ. საიას ინფორმაციით, ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ მერიის, საკრებულოს, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და საბავშვო ბაღებში დასაქმებული პირები.

ამ ნეგატიური ტენდენციის ნათელი მაგალითია „ქართული ოცნების“ 23 ოქტომბრის წინასაარჩევნო პარტიული დასკვნითი ღონისძიება თბილისში. დღის განმავლობაში მედიასაშუალებებით გავრცელდა არაერთი ვიდეო და აუდიო ჩანაწერი, რომლებიც ასახავდა პარტიულ ღონისძიებაში სავარაუდო მონაწილეობის იძულების, სამუშაო საათებში ამ ღონისძიებაზე დასწრების, საჯარო უწყებებში სამუშაო დღის დროზე ადრე დასრულებისა[368] და მანიპულაციური გზებით მოქალაქეთა მობილიზების ფაქტებს.[369]

საინფორმაციო პორტალ „ტაბულას“ მეშვეობით 23 ოქტომბერს გავრცელებული ჩანაწერის მიხედვით, რუსთავის 25-ე ბაღის მენეჯერი მანონი მეურმიშვილი მიმართავს ამავე და 33-ე ბაღის მასწავლებლებს და ღონისძიებაზე წასვლას ავალდებულებს.[370] ამასთანავე, იგი ემუქრება, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური მიზეზის არსებობის დროსაც კი, არ მისცემს მათ ბაღიდან გასვლის შესაძლებლობას.[371]

სრული მობილიზაცია გამოცხადდა კახეთის რეგიონშიც. მედიით გავრცელებული სიუჟეტებიდან ირკვევა, რომ კახეთში საჯარო სკოლების, მუნიციპალური ორგანოებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები სპეციალური ტრანსპორტით გადაჰყავდათ თბილისში ღონისძიებაზე დასასწრებად.[372] ამის გამო, 45-იდან 30 წუთამდე შე-

[366] საიასთან კომუნიკაციაში ინფორმაციის წყარო ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს.

[367] „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ზუგდიდში“, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 15 ოქტომბერი ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/904029234414102, განახლებულია: 17.10.2024.

[368] „ქართული ოცნების პარტიული ღონისძიების გამო, გურიაში საჯარო უწყებები დაცარიელდა“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/724667-kartuli-otsnebis-partiuli-ghonisdziebis-gamo, განახლებულია: 23.04.2024.

[369] „ვმუშაობ და საჭიროაო, მთავრობა დღეს ესაა და სჭირდებათ... ასე თქვი, შვილს მივყვებიო“, ტელეკომპანია „პირველის“ facebook-გვერდი, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/tvpirveli.ge/videos/2252837511755560, განახლებულია: 23.10.2024.

[370] „ტაბულას მიაწოდეს აუდიოჩანაწერი“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/reel/2018143081938423, განახლებულია: 23.10.2024.

[371] იქვე.

[372] „საჯარო მოხელეები „ოცნების“ შეკრებაზე კახეთიდანაც მოჰყავთ“, ტელეკომპანია „ფორმულა“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=kAK4QsIf4yE, განახლებულია: 28.11.2024.

მცირდა გაკვეთილების ხანგრძლივობა საჯარო სკოლებში.[373] შეკრებაზე დასასწრებად გაემგზავრნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებიც, შენობა კი სამუშაო საათებში სრულიად ცარიელი იყო. ტელეკომპანია „მთავარის“ ინფორმაციით, ახმეტიდან ღონისძიებაზე მიმავალი მიკროავტობუსი ავარიაშიც კი მოჰყვა.[374]

მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია გორში საჯარო მოხელეებისა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მობილიზების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გორის მერიაში თანამშრომლებმა 23 ოქტომბრისთვის შვებულებები აიღეს, რათა დაუბრკოლებლად შესძლებოდათ ღონისძიებაზე დასწრება.[375] ხალხის ტრანსპორტირებისთვის გორის ავტოსადგურის მიკროავტობუსები[376] გამოიყენეს.[377]

გორის ავტოსადგურის ტრანსპორტი ემსახურებოდა ქარელსაც, სადაც, მედიის ცნობით, მუნიციპალურმა ა(ა)იპ-ებმა[378] მუშაობა დროზე ადრე დაასრულეს.[379]

ამომრჩევლების მობილიზების ფაქტი გამოვლინდა იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში.[380] აღსანიშნავია, რომ მედიის ცნობით, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს აქციაზე წასვლას აიძულებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ.[381] ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებს სთხოვდნენ, თავიანთი პირადი ინფორმაცია მიეთითებინათ სპეციალურ ფორმებზე, რითაც ისინი ღონისძიებაში მონაწილეობას დაადასტურებდნენ.[382] ამის პარალელურად, მათ იქვე შეეძ-

---

[373] იქვე.

[374] „მთავარის“ ინფორმაციით, „ოცნების“ აქციაზე ახმეტიდან მომავალი მიკროავტობუსი ავარიაში მოჰყვა, დაშავდა 1 ადამიანი“, ტელეკომპანია „მთავარი“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/story.php?story_fbid=944483494400988&id=100065180380404&rdid=23brY1hGDr1R1VnE, განახლებულია: 28.11.2024.

[375] „ოცნების" ხვალინდელი აქციისთვის, გორის მერიის თანამშრომლებმა შვებულებები აიღეს“, საინფორმაციო პორტალი „მოზაიკანიუსი“, 2024 წლის 22 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mozaikanews.ge/2024/10/22/%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%aa%e1%83%98/, განახლებულია: 28.11.2024.

[376] გორის მუნიციპალიტეტის ავტოსადგური ეკუთვნის შპს „ბუქო 777-ს“.

[377] „პარტაქტივის მობილიზება გორში – მიკროავტობუსების ნაწილი ვერ შეივსო“, საინფორმაციო პორტალი „მოზაიკანიუსი“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mozaikanews.ge/2024/10/23/%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%96%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%92/, განახლებულია: 28.11.2024.

[378] მათ შორის, ა(ა)იპ კეთილმოწყობის ცენტრი.

[379] „პარტაქტივის მობილიზება გორში – მიკროავტობუსების ნაწილი ვერ შეივსო“, საინფორმაციო პორტალი „მოზაიკანიუსი“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mozaikanews.ge/2024/10/23/%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%96%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%92/, განახლებულია: 28.11.2024.

[380] „ქართულ ოცნებას" აქციისთვის საჯარო მოხელეები იმერეთიდანაც მიჰყავს“, საინფორმაციო პორტალი „infoimereti“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://infoimereti.ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a-%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90%e1%83%a1-%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%97%e1%83%95/, განახლებულია: 28.11.2024.

[381] იქვე.

[382] „სურვილების ასრულება „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის სანაცვლოდ“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=U_2YhPvnmG4, განახლებულია: 28.11.2024.

ლოთ საკუთარი საჭიროებების ჩამოწერა, რომლის დაკმაყოფილებასაც ხელმძღვანელები „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებოდნენ. ბაღის მასწავლებლების სურვილები, უმეტესად, სამედიცინო მომსახურების გაწევას და მედიკამენტების შეძენას მოიცავდა.[383]

მედიის ინფორმაციით, ღონისძიებაზე დასასწრებად დაცარიელდა ასევე გურიის სამივე მუნიციპალიტეტის საჯარო უწყებები.[384]

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებისთვის დღის განმავლობაში გადაკეტილი იყო თბილისის სხვადასხვა მონაკვეთი. თავისუფლების მოედანზე დაიკეტა სავაჭრო ობიექტები, კაფეები, რესტორნები და მაღაზიები.[385] გარდა ამისა, მედიის სიუჟეტებში ჩანს, როგორ აძლევენ ღონისძიების მონაწილეებს თანხას.[386]

შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება და ზემოაღნიშნული ზოგიერთი ღონისძიება ამ პერიოდში ფორმალურად არ ექცევა, საარჩევნო პროცესი სცდება კანონმდებლობით დადგენილ ოფიციალურ ვადებს და მოიცავს ყველა საქმიანობას, რომლებსაც მოქმედი მთავრობის წარმომადგენლები ახორციელებენ კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების ან კოალიციის მხარდასაჭერად ან მათ წინააღმდეგ. მით უფრო, მაშინ, როდესაც მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება არჩევნებამდე 8 თვით ადრე გამოაცხადა. შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პარტიული ღონისძიებებისთვის მობილიზება და მათი, სავარაუდოდ, მოტყუებით ჩართვა, მათ შორის, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, ცუდ პრაქტიკას ამკვიდრებს, ბუნდოვანს ხდის ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის და ხელს უშლის თანასწორი, სამართლიანი საარჩევნო პროცესის წარმართვას. საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთათვის პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობის დავალება და, დამატებით, ამომრჩეველთა მობილიზების მოთხოვნა ასევე შეიცავს მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს და არ შეესაბამება მათი გამიჯვნის პრინციპს.

საია მიიჩნევს, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, შესაბამისად, მმართველმა პარტიამ საარჩევნო მიზნებისთვის არაკეთილსინდისიერად არ უნდა გამოიყენოს მათი სამსახურებრივი, ფინანსური დამოკიდებულება. მართალია, საჯარო მოხელეებს არასამუშაო საათებში არ ეკრძალებათ პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობა, თუმცა სახელმწიფო უწყებებმა თავი უნდა შეიკავონ თავიანთი თანამშრომლებისადმი ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მოწოდების, მათი დავალდებულებისა და დაშინებისგან. ცესკომ კი მსგავსი საქმეები განსაკუთრებული სიფრთხილით და ყურადღებით უნდა შეისწავლოს, გამოიჩინოს მიუკერძოებლობა და ეფექტიანად გადაწყვიტოს საკითხი.

---

[383] იქვე.

[384] „ქართული ოცნების“ პარტიული ღონისძიების გამო, გურიაში საჯარო უწყებები დაცარიელდა“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/724667-kartuli-otsnebis-partiuli-ghonisdziebis-gamo, განახლებულია: 28.11.2024.

[385] „გზების ჩაკეტვის შემდეგ, „ოცნების» აქციის გამო, თავისუფლებაზე კაფე-ბარები, რესტორნები და მაღაზიებიც დაკეტეს“, ტელეკომპანია „მთავარი“, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/167874-gzebis-chaketvis-shemdeg-otsnebis-aktsiis-gamo, განახლებულია: 28.11.2024.

[386] იქვე.

4. უკანონო აგიტაცია წინასაარჩევნო პერიოდში

წინასაარჩევნო პერიოდში ასევე გამოვლინდა აგიტაციის გაწევის შემთხვევები არაუფლებამოსილი პირების მხრიდან. საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი მოიცავს იმ პირთა სიას, რომლებსაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა ეკრძალებათ. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურის მხრიდან უკანონო აგიტაცია კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსამსახურის ცნება საარჩევნო მიზნებისთვის ფართოდ განიმარტება. გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, საჯარო მოხელეს ბოჭავს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით დადგენილი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპიც.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ აგიტაციის წესების დარღვევაზე 6 საჩივარი წარადგინა.

არაუფლებამოსილი პირების მიერ პარტიული პოსტების გაზიარება სოციალურ ქსელებში

წინასაარჩევნო პერიოდში, 30 აგვისტოს, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის“ ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნდა ვლადიმერ ბოჟაძის ფოტო და მხარდამჭერი პოსტი.[387] 23 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ ბოჟაძე თბილისის დელეგატად წარადგინა.[388] აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტზე სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა“ ცესკოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნით მიმართა. თუმცა, ცესკომ, იმ მოტივით, რომ პოსტის დადების დროს ცესკოში ოფიციალურად პარტიის საარჩევნო სია არ იყო რეგისტრირებული, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.[389]

26 სექტემბერს თელავის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილმა სამუშაო საათებში გააზიარა მმართველი პარტიის მხარდამჭერი პოსტი, რომელზეც ასევე მითითებული იყო ქართული ოცნების პარტიული ნომერი.[390] მართალია, მერის მოადგილეს პირდაპირ არ ეზღუდება საარჩევნო აგიტაციის გაწევა, რადგან იგი პოლიტიკური თანამდებობის პირია, თუმცა მსგავსი ქმედება აკრძალულია სამუშაო საათების განმავლობაში.[391] ფაქტთან დაკავშირებით საიამ თელავის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. კომისიის წერილის მიხედვით, მათ ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მერის მოადგილეს, რომელმაც განაცხადა, რომ პოსტი მისი ანგარიშიდან, სახლის კომპიუტერის მეშვეობით, მისმა მეუღლემ გაზიარა.[392]

---

[387] სპორტის უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo.php?fbid=1034848498432694&set=pb.1000, განახლებულია: 28.11.2024.

[388] „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის ოლქებში დელეგატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 23 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www. radiotavisupleba.ge/a/33089621.html, განახლებულია: 28.11.2024.

[389] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 14 სექტემბრის №01-02/1422 წერილი.

[390] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

[391] იქვე.

[392] №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 ოქტომბრის №17/36 გადაწყვეტილება.

8 ოქტომბერს მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბაღდათში, საუბნო საარჩევნო კომისიებში ოლქების მიერ პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრები პირად სოციალურ ქსელში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ პოსტებს აზიარებდნენ.[393] საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს, მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრს.[394] ბაღდათის საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა საიას მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი. კომისიის წევრების ახსნა-განმარტებითი ბარათების მიხედვით, მათ გაუტეხეს Facebook-ანგარიშები და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ბანერი გააზიარეს. ამ განმარტების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა ვერ დაინახა.[395]

უკანონო აგიტაციის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა ამერიკის შეერთებული შტატებში. ქალაქ ნიუ-იორკის საუბნო საარჩევნო კომისიის[396] თავმჯდომარე ნინო სახვაძე წინასაარჩევნო პერიოდში სოციალურ ქსელებში აქტიურად აზიარებდა და აქვეყნებდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ პოსტებს.[397] აღსანიშნავია, რომ სახვაძის მხრიდან გამოიკვეთა აგიტაციის წესების სისტემატური დარღვევა, რაც მისი Facebook-ანგარიშიდანაც ჩანდა. საიამ ამ ფაქტების შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით ცესკოს მიმართა, რომელმაც საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან გაიზიარა სახვაძის ახსნა-განმარტება, რომ წინასაარჩევნოდ Facebook-გვერდი „გაუტეხეს“ და ეს პოსტები მას არ გაუზიარებია.[398]

არაუფლებამოსილი პირის მიერ პარტიულ ღონისძიებაზე აგიტაციის გაწევა

2024 წლის 10 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება, რომელზეც პარტიის ლიდერებმა მოსახლეობას მიმართეს.[399] როგორც ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ მომზადებული რეპორტაჟიდან ირკვევა, სამუშაო საათებში ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ საჯარო მოხელეები, სკოლის პედაგოგები და ა.შ.[400] ჟურნალისტის კითხვებს პასუხობს აჭარის ავტონომიური

---

[393] „ბაღდათის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კანონს არღვევენ“, საინფორმაციო პორტალი „cnews.ge“, 2024 წლის 8 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cnews.ge/home/news_description/92049/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C, განახლებულია: 16.10.2024.

[394] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[395] №52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 27 ოქტომბრის №52/50 გადაწყვეტილება.

[396] ქალაქ ნიუ იორკის №87.06 საარჩევნო უბანი.

[397] ნინო სახვაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/ninkasakh.

[398] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება №01-02/1964.

[399] „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება ბათუმში“, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 10 ოქტომბერი ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/1104742667905818, განახლებულია: 17.10.2024.

[400] „პროგრამას უნდა მოვუსმინო», „დამაინტერესა, რა ღონისძიებაა», „ვერთობი» - საჯარო მოხელეების მობილიზება ივანიშვილის დასახვედრად ბათუმში“, ტელეკომპანია „პირველის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=3914959395406390&rdid=XUOi7eFE5P66Tgm9, განახლებულია: 17.10.2024.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი სულხან დუმბაძე.[401] სიუჟეტში ჩანს, როგორ ეწევა ის „ქართული ოცნების“ საარჩევნო აგიტაციას და ავრცელებს მათ ნარატივს.[402]

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი არის საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული,[403] რომლის ამოცანაა უმაღლესი საბჭოს სუბიექტებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ხელშეწყობა.[404] კაბინეტის უფროსი აპარატის თანამდებობის პირია,[405] რომელთანაც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას დებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.[406] საარჩევნო მიზნებისთვის, ის არის საჯარო მოსამსახურე და მის მიმართ ვრცელდება ყველა ის საარჩევნო შეზღუდვა, რომლებიც დაწესებულია სხვა პირების მიმართ. შესაბამისად, მას ეკრძალება საარჩევნო აგიტაციის გაწევა.

საბიუჯეტო ღონისძიებებზე არაუფლებამოსილი პირის მიერ აგიტაცია

13 ოქტომბერს ქალაქ გორში გაიმართა ბიუჯეტით დაფინანსებული ღონისძიება „გორის დღე 2024“.[407] გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ღონისძიებისთვის მოწყობილ სცენაზე ავიდნენ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პარტიული სიის წარმომადგენლები: გიორგი სოსიაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, გენო პეტრიაშვილი,[408] ბოლო ორმა მათგანმა კი ღონისძიებაზე სიტყვაც წარმოთქვეს.[409]

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მასწავლებლის დღე, 27 ოქტომბრის ნაცვლად, 19 ოქტომბერს აღნიშნეს.[410] ღონისძიებაზე შეკრებილ მასწავლებლებს მერიამ გადასცა სიმბოლური საჩუქრები და ე.წ. „სამახსოვრო ბარათები“, რომლებითაც ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორმა გიორგი შინჯიკაშვილმა, ასევე საქართველოს პარლამენტის მოქმედმა დეპუტატმა და „ქართული ოცნების“ პარტიული სიის წევრმა სავალან მირზოევმა პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცეს. სამახსოვრო ბარათზე ასევე დატანილი იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერი - 41.[411] ღონის-

[401] იქვე.
[402] იქვე.
[403] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-7 და მე-11 მუხლები.
[404] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[405] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-7 და მე-11 მუხლები.
[406] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-8 პუნქტი.
[407] „გორში ქალაქის სახალხო დღესასწაული „გორის დღე 2024“ აღინიშნება“, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1184857312576171, განახლებულია: 18.10.2024.
[408] „ოცნების" კანდიდატების „გორის დღეზე" გამოსვლა 4 000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს“, საინფორმაციო პორტალი „მოზაიკა“, 2024 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mozaikanews.ge/2024/10/14/%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%98%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%92%e1%83%9d/?fbclid=IwY2xjawF8fsJleHRuA2FlbQIxMAABHarU8MU2VRdmPKFG_hHTZ_AQQbHaNNQroQm7RcYuEXeCppkQzcsL5_LflQ_aem_bF_0nYw5wu_MPfWFY0b5aQ, განახლებულია: 18.10.2024.
[409] იქვე.
[410] „გარდაბანში მასწავლებლებს, საჩუქრებთან ერთად, 41 ნომერ მიწერილი ბარათებიც გადასცეს“, საინფორმაციო პორტალი „QvemoQartli.ge“, 2024 წლის 22 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://qvemoqartli.ge/%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%93%e1%83%90%e1%83%91%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%90%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91/?fbclid=IwY2xjawGENl5leHRuA2FlbQIxMAABHXNCz0flS8QaBUjzTmKgMff87ONEc00CPoSPUedjJKRaaBDchvpq1ScoHg_aem_FdaG22515T3U8ejjug4rZQ, განახლებულია: 22.10.2024.
[411] იქვე.

ძიებას სოციალურ ქსელში ე.წ. პოსტით გამოეხმაურა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი დავით კარგარეთელი.[412]

შეჯამება

უკანონო აგიტაციის განხილული შემთხვევები არღვევს სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის პრინციპს და წარმოაჩენს საჯარო სახელმწიფო უწყებების პოლიტიკურ მიკერძოებულობას. განსაკუთრებით საგულისხმოა აგიტაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, მაშინ, როდესაც მისი, როგორც სამართლიანი არჩევნების გამართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს, პირდაპირი ვალდებულებაა პოლიტიკური ნეიტრალურობა და ობიექტურობა. ამასთანავე, აუცილებელია, აგიტაცია განიმარტოს ფართოდ და მოიცვას მოხელის საჯარო სივრცის ყველა ნაწილი, მათ შორის, სოციალური ქსელებიც. ცესკოს მხრიდან უკანონო აგიტაციის ფაქტებზე არასათანადო რეაგირება და შესაბამისი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება კიდევ უფრო აძლიერებს და ახალისებს ამ კუთხით მოხელეების ქმედებებს.

საიას შეფასებით, ადმინისტრაციული რესურსის სამართლებრივი ჩარჩო კვლავ უნდა გადაიხედოს, აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, ნაკლოვანებები და მეტად დაუახლოვდეს ის საერთაშორისო სტანდარტებს.

საიას რეკომენდაციით, აუცილებელია, აგიტაციასთან მიმართებით არაუფლებამოსილმა პირებმა დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის **პრინციპი. ამასთანავე, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ქმედითი მექანიზმები ონლაინ აგიტაციის წინააღმდეგ. აგიტაციის ცნება უნდა დაკონკრეტდეს და განისაზღვროს, რომ იგი აგრეთვე მოიცავს სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელებას.**

საარჩევნო ადმინისტრაციამ დავების გადაწყვეტისას უზრუნველყოს კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია. დავა განიხილოს სრულად და მიუკერძოებლად, ისე, რომ არ ეძებოს აგიტაციის ავტორების გამართლების ხელოვნური გზები. ამასთანავე, ცესკომ საქმის გამოკვლევის პროცესი უნდა წარმართოს მისი აქტიური ჩართულობით და გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა ენდოს პირის მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებას.

5. ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესში საიამ გამოავლინა ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის რამდენიმე ფაქტი. აღსანიშნავია, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საარჩევნო მიზნით პირისთვის რაიმე სახის უპირატესობის შეთავაზება, დაპირება ან გადაცემა ამომრჩევლის მოსყიდვაა.[413]

სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევა გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც ერთ-ერთი პროფესორი სტუდენტებს, „ქართული ოცნების“ ახალციხის რეგიონულ ღონისძიებაში მონაწილეობის სანაცვლოდ, ქულების

[412] დავით კარგარეთელის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GDDavitKargareteli/posts/pfbid02HFiC3sVRYVb3W8E4fwwNmLCyuQkzb3mQP5XxqYdEGijNhVQqTfoQkVvjF5jnidnLl, განახლებულია: 22.10.2024.

[413] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე მუხლი.

მომატებას ჰპირდებოდა. როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, პროფესორი სტუდენტებს აფრთხილებდა, რომ მათი მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობა აუცილებლად აისახებოდა სასწავლო ქულებზე.[414]

ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვის კიდევ ერთი შემთხვევა გამოავლინა ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ. დაცვის კერძო კომპანია „Army Security-ის" ადმინისტრატორმა თანამშრომლებს დაავალა, რომ ხმა „ქართული ოცნებისთვის" მიეცათ,[415] გარდა ამისა, მოითხოვა მათი პირადი ნომრების, დაბადების თარიღისა და მისამართების,[416] ასევე, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია.[417] სანაცვლოდ, თუ დაცვის თანამშრომელს ხელჩართული დაპირისპირება ექნებოდა სხვა პირებთან, მას უპრობლემოდ თავიდან აარიდებდნენ შესაბამის პასუხისმგებლობას.[418] დაცვის თანამშრომლებს ასევე ჰპირდებოდნენ ფულს, ბენზინის ტალონებს და სხვა სიკეთეებს, გარდა, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასჯელის აცილებაში დახმარებისა.[419]

საგამოძიებო ორგანოები ამ ფაქტით უნდა დაინტერესებულიყვნენ და, მედიაში გავრცელებულ სიუჟეტზე დაყრდნობით, გამოძიება დაეწყოთ.

აუცილებელია, შესაბამისი ორგანოები აქტიურად ჩაერთონ მოსყიდვის შემთხვევების ეფექტიან და ოპერატიულ გამოძიებაში**,** ასევე**, დროულად აცნობონ საზოგადოებას პროცესის მიმდინარეობის შესახებ.** პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი უნდა შეუწყონ საარჩევნო პროცესის სამართლიანობას**,** თანასწორობას და უარი თქვან ამომრჩევლის მოსყიდვის გზით არაკეთილსინდისიერი უპირატესობის მიღების მავნე პრაქტიკაზე.

6. ამომრჩევლის სავარაუდო დაშინება

ამომრჩეველთა შესაძლო დაშინების ერთი შემთხვევა გამოვლინდა ქუთაისში. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი კობა კობალაძე 10 აგვისტოს შეხვედრისას ვეტერანებს მიანიშნებდა, „ვისთვის უნდა მიეცათ ხმა და რა არჩევანი უნდა გაეკეთებინათ".[420] კობალაძე, როგორც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი, საჯარო მოსამსახურის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მიხედვით, ვალდებულია, თავისი საქმიანობა პოლიტიკური პარტიის კუთვნილებისა და პირადი პოლიტიკური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად წარმართოს.[421] მან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად.[422]

---

[414] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

[415] „დაცვის სამსახურების წევრებს ხმის ოცნებისთვის მიცემას აიძულებენ", „ტვ პირველის" იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ISleOqpJCb4, განახლებულია: 17.10.2024.

[416] იქვე.

[417] იქვე.

[418] იქვე.

[419] იქვე.

[420] საიას მიერ წარმოებული ინტერვიუ.

[421] საქართველოს მთავრობის №200 დადგენილება საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

[422] იქვე, მე-3 მუხლი.

შეხვედრაზე კობალაძის მოწოდებები გააპროტესტა ერთ-ერთმა ვეტერანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს და „ვეტერანებისთვის არაფერი გაკეთებულა“. მან საიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ შეხვედრიდან მეორე დღეს სოციალურ ქსელში კობა კობალაძის მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღო.[423] კობალაძე პასუხს სთხოვდა, რატომ დატოვა მან შეხვედრა და რატომ განაცხადა, რომ სამსახურს მისთვის არაფერი გაუკეთებია. ასევე, დაემუქრა, რომ „ფეხებს დაუხვრეტდა”. აღსანიშნავია, რომ პირმა სოციალურ ქსელში მონაწერი იმ დღესვე წაშალა. გარდა ამისა, მისი თქმით, ვეტერანს მომდევნო დღეებში უცნობი პირები აკითხავდნენ სახლში, ტელეფონზე ურეკავდნენ და შეხვედრას სთხოვდნენ.[424] კობალაძის უწყებამ, „მთავარი არხის“ სიუჟეტის საპასუხოდ, თავის Facebook-გვერდზე დაწერა, რომ არა თუ დაშინების ფაქტი არ მომხდარა, არამედ 10 აგვისტოს ქუთაისში შეხვედრა საერთოდ არ ჩატარებულა.

კობა კობალაძის მხრიდან ვეტერანებისადმი ასეთი ტიპის პოლიტიკური მოწოდება, ამ სამსახურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის პირის მიერ ამომრჩევლის ნების მანიპულირებად. საიას შეფასებით, ეს შემთხვევა შეიძლება განხილული იყოს, როგორც საჯარო მოსამსახურის (თანამდებობის პირის) მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა. ასევე, საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რითაც შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესებულიყვნენ. საიას ინფორმაციით, ამ დრომდე ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

საია მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დაინტერესდნენ დაშინების და ზეწოლის შემთხვევებით და**,** შესაბამისი გამოძიების დაწყებით, მოახდინონ სათანადო რეაგირება.

7. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სხვა შემთხვევები

პარტიული აგიტაცია ხარაგაულში მერიის თანამშრომლების მიერ

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მმართველი პარტიის სააგიტაციო მასალის დარიგების ფაქტი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მოძრავი ბიბლიოთეკის თანამშრომელი მოსახლეობას წიგნებთან ერთად „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალებს - პარტიის გაზეთებს ურიგებდა, რომლებზეც პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი იყო გამოსახული.[425]

ამ საქმის შესწავლა და შესაბამისი პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააანონსა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ.[426] საიამ ამის თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვა შესაბამისი ორგანოებიდან, თუმცა ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.

---

[423] საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ეს შეტყობინებები ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

[424] „ვეტერანი სამხედროს თქმით, კობა კობალაძე ლიკვიდაციით დაემუქრა”, ტელეკომპანია „მთავარის” ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 13 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1569480963924774, განახლებულია: 16.11.2024.

[425] „ხარაგაულში ბიბლიოთეკის კურიერმა წიგნებთან ერთად მოქალაქეებს ივანიშვილის ფოტოიანი გაზეთები მიუტანა, მერია პარტიული დავალების გაცემას უარყოფს”, ტელეკომპანია „მთავარის” ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/160767-kharagaulshi-bibliotekiskurierma-cignebtan-ertad, განახლებულია: 16.11.2024.

[426] იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ფაქტები ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გამოვლინდა, ეს არის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ნეგატიურად აისახება, ზოგადად, საარჩევნო გარემოზე. შესაბამისად, მართალია, შეზღუდვები კამპანიის პერიოდში (არჩევნებამდე 2 თვით ადრე) შედის ძალაში, თუმცა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების თვითშეზღუდვისა და ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის ვალდებულება უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს. ამასთანავე, ადმინისტრაციული და პარტიული რესურსების გამიჯვნის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია საბიუჯეტო დაწესებულებების რესურსის გამოყენება პარტიული მიზნებისთვის, ასევე, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პოლიტიკური, პარტიული თუ სააგიტაციო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის, კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ საარჩევნო მასალების გავრცელება.

„ოცნების ქალაქში“ მოსახლეობის მასობრივი რეგისტრაცია

ბათუმში „ოცნების ქალაქის“ მოსახლეობისთვის ბინების გადაცემის შემდეგ დაიწყო ახალი ბინათმესაკუთრეების და, ასევე, ძველ ე.წ. ბარაკებში მცხოვრები მოსახლეობის (ვინც ბინა ვერ მიიღო) ინტენსიური რეგისტრაცია მათ ფაქტობრივ მისამართებზე.[427] გავრცელებული ინფორმაციით, ამ მასობრივ რეგისტრაციას აორგანიზებდნენ მმართველი პარტიის კოორდინატორები და იუსტიციის სახლში ხალხის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდნენ. გარდა ამისა, ისინი მოქალაქეებს ართმევდნენ იუსტიციის სახლისგან მიღებულ პირად დოკუმენტებს.[428] ამ პროცესის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა ბათუმის საარჩევნო ოლქის 58-ე საარჩევნო უბანზე. დაახლოებით 900 ამომრჩევლის დამატების შემდეგ უბნის გაყოფაც კი გახდა საჭირო.[429]

საია მიიჩნევს, რომ არჩევნების დღესთან ახლო პერიოდში, მმართველი პარტიის ორგანიზებით, ასობით ოჯახის ახალ ბინებში ჩაწერა, ისევე, როგორც ბინის მიღების მოლოდინში მყოფი ათასობით ადამიანის საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაცია, ასევე, მმართველი პარტიის კოორდინატორთა მიერ ამ პროცესების ორგანიზება და მოქალაქეებისთვის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტაციის ჩამორთმევა მრავალმხრივ პრობლემურია. ეს, შესაძლოა, იყოს წინასაარჩევნო მანიპულაცია, რაც მოქალაქეთა მძიმე სოციალური პირობების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას და, პარტიული კოორდინატორების ჩართულობით, მათ ნებაზე ზემოქმედებას გულისხმობს.

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ თანამშრომლის მოწოდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისადმი

საიას ინფორმაციით, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ მე-4 ოლქის კოორდინატორი თამარ თომაშვილი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული რუსთავის რეგიონულ ღონისძიებაზე მოსახლეობის მობილიზებაში, 2024 წლის 27 სექტემბერს კორპუსის თავმჯდომარეებს „საერთო ჩათში“ სთხოვდა 15-15 ადამიანის მობილიზებას, რომლე-

[427] „ოცნების“ კოორდინატორი ახალ სქემაზე – ვინ რისთვის მიჰყავთ „ოცნების ქალაქიდან“ საჯარო რეესტრში“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 2024 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/archevnebi/543449/, განახლებულია: 16.11.2024.
[428] იქვე.
[429] იქვე.

ბიც არჩევნებზე ხმას მმართველ პარტიას მისცემდნენ.[430] მისი თქმით, ეს იყო მათი „ახალი დავალება“, ხოლო ეს სიები „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსისთვის უნდა მიეწოდებინათ.[431]

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე

2024 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაციით უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 794 000 ლარი გამოიყო.[432] აღსანიშნავია, რომ სტიქია გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში 2024 წლის თებერვლის დასაწყისში მოხდა.[433] ხაშურის მუნიციპალიტეტში დაიტბორა დაახლოებით 200 საცხოვრებელი სახლი.[434] კომპენსაციების გაცემის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობას Facebook-პოსტის მეშვეობით შეატყობინა,[435] რომელშიც განსაზღვრული იყო საჭირო დოკუმენტაციის სია და სხვა პროცედურული საკითხები.

ამასთან დაკავშირებით საიამ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა შეკითხვით, რა გახდა კომპენსაციების გაცემის მიზეზი სტიქიიდან, დაახლოებით, 8 თვის შემდეგ და რატომ არ გამოიყო თანხები ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მყისიერად. უწყების საპასუხო წერილის თანახმად, ამ დრომდე გრძელდებოდა დაზარალებული მოსახლეობის აღრიცხვა, რადგან სტიქიის შედეგად დაზიანებული ზოგიერთი სახლი დაკეტილი იყო და სექტემბრამდე ვერ მოხერხდა მათი ზარალის შეფასება.[436] მერიის ინფორმაციით, მთავრობის განკარგულების საფუძველზე, კომპენსაციას (თითო ოჯახზე 2000 ლარი), ჯამში, 397 დაზარალებული ოჯახი მიიღებს.

სტიქიურ კატასტროფებზე რეაგირება, რომელიც, ასევე, დაზარალებული მოსახლეობის ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას გულისხმობს, სახელმწიფოს, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებაა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სადავოა, რატომ არ გაიცა კომპენსაცია მანამდე და რატომ გამოიყო თანხა სარეზერვო ფონდიდან მაინცდამაინც წინასაარჩევნო პერიოდში. შესაძლოა, ეს იყოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის, ამომრჩეველთა გულის მოსაგებად.

საიას მოსაზრებით, აუცილებელია, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა თავი შეიკავონ პროექტების განხორციელების ვადის ხელოვნურად გაზრდისგან. საჯარო რესურსები არ უნდა დაიხარჯოს ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის, ხოლო სახელმწიფო საჯარო სერვისებში არ უნდა

[430] ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში.
[431] იქვე.
[432] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის №1439 განკარგულება.
[433] „სტიქიამ გორი და ხაშური დააზარალა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32809016.html, განახლებულია: 17.11.2024.
[434] იქვე.
[435] ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის Facebook-პოსტი, 2024 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/KhashuriCityHall/posts/pfbid033Nr26ywga7PiN5Fdf1s7776N8f3yG2NCtggfngry42fpiQF52eKYxKgKUnSGgNAQl, განახლებულია: 17.11.2024.
[436] ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 13 ნოემბრის წერილი №84-8424318143.

ფიგურირებდეს რომელიმე პარტიის სასარგებლო კონტექსტი. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოებმა გარკვეული სახის დახმარებები მოსახლეობას უნდა მიაწოდონ გონივრულ ვადაში და არ უნდა დაამთხვიონ საარჩევნო პერიოდს, როდესაც არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ამომრჩეველმა ეს დახმარება კონკრეტულ პარტიასთან დააკავშიროს.

აუცილებელია, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე არსებობდეს კანონის აღსრულების რეალური, სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმი.

საარჩევნო კამპანიის თავისუფალ გარემოში წარმართვასთან დაკავშირებული დარღვევები

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა საარჩევნო სუბიექტების მიერ კამპანიის განხორციელებასთან დაკავშირებული დარღვევები, მათ შორის, კამპანიაში ხელშეშლა, ძალადობა, სხვისი ნივთისა თუ სააგიტაციო მასალის დაზიანება. საიამ, გრძელვადიანი მონიტორინგის ფარგლებში, არაერთი ამგვარი ფაქტი აღრიცხა.

1. წინასაარჩევნო კამპანიასა და სამოქალაქო აქტივიზმში ხელშეშლა

2024 წლის 3 აგვისტოს პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერ გიორგი გახარიას ბათუმში პარტიულ შეხვედრაზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მანუჩარ რიჟვაძემ, რომელიც „ქართული ოცნების” აქტივისტი, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომელი და თორნიკე რიჟვაძის ნათესავია.[437] შეხვედრის ჩატარებას ხელი შეუშალეს „ქართული ოცნების“ სხვა აქტივისტებმაც. დაპირისპირების მხოლოდ ვერბალური ხასიათის მიუხედავად, შეიქმნა ერთგვარი მტრული გარემო, რის გამოც, კამპანიის თავისუფლად წარმართვა ვერ მოხერხდა.

2024 წლის 13 სექტემბერს ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდა „ქართული ოცნება“, რა დროსაც მათთან მივიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი დიტო კვანტალიანი და მმართველი პარტიის „პროპაგანდა“ გააპროტესტა.[438] მის გამოჩენას პარტიების წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა.

2024 წლის 15 სექტემბერს რუსთავში აქტივიზმის განხორციელების უფლება შეეზღუდა სამოქალაქო მოძრაობას „აირჩიე ევროპა“. მოძრაობის წარმომადგენლებს სურდათ სავაჭრო ცენტრ „რუსთავი მოლში“ თავიანთი ფლაერების დარიგება და მოსახლეობასთან გასაუბრება, თუმცა ობიექტის დაცვამ მათ ამის საშუალება არ

[437] „ნათია მეზვრიშვილი - „ოცნებამ” პარლამენტის თავმჯდომარის მიერ 26 ივლისს დაანონსებული მუქარის რეალიზება და საარჩევნო კამპანიის ხელშეშლა დაიწყო - მძიმე სანახავია, როგორ იყენებს „ოცნება” „ნაცმოძრაობის” მეთოდებს”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2024 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/808262-natia-mezvrishvili-ocnebam-parlamentistavmjdomaris-mier-26-ivliss-daanonsebuli-mukaris-realizeba-da-saarchevno-kampaniis-xelsheshla-daicqo-mzimesanaxavia-rogor-iqenebs-ocneba-nacmozraobis-metodebs/, განახლებულია: 17.11.2024.

[438] „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზონის უფროსი დიმიტრი კვანტალიანი ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, მმართველი პარტიის შეხვედრის ჩაშლას ცდილობდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812103kartuli-ocnebis-inpormaciit-ertiani-nacionaluri-mozraobis-zonis-uprosi-dimitri-kvantaliani-kutaisshiavtokarxnis-dasaxlebashi-mmartveli-partiis-shexvedris-chashlas-cdilobda/, განახლებულია: 17.11.2024.

მისცა იმ მოტივით, რომ ეს კერძო ტერიტორია იყო.[439] ამ ინციდენტის შემდგომ მოძრაობის წევრებმა რუსთავის ცენტრალურ პარკში გადაინაცვლეს, თუმცა მათ იქ რუსთავის საკრებულოს წარმომადგენლები დახვდნენ და მოსახლეობასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მისცეს.[440]

2024 წლის 12 ოქტომბერს პარტია „გახარია საქართველოსთვის“ კანდიდატ შალვა კერესელიძისა და პარტიის წევრ ლია ყოჩიშვილის მიერ სოფელ ქსანში გამართული საარჩევნო კამპანიის დროს ქსანი-ციხისძირის მაჟორიტარი დეპუტატი გია ჯიქია და ამავე სოფლის რწმუნებული გიორგი ალავერდაშვილი „ოცნების“ აქტივისტებს უყრიდნენ თავს და მათ შეხვედრას უთვალთვალებდნენ.[441] როგორც შალვა კერესელიძე თავის Facebook-პოსტში აღნიშნავს, შეხვედრის შემდეგ „ქართული ოცნების“ აქტივისტი გიორგი მურჯიკნელი ლია ყოჩიშვილის მანქანას მაღალი სიჩქარით აედევნა და მასზე შეჯახებას შეეცადა. მისი თქმით, ლია ყოჩიშვილმა არაერთხელ ამხილა ზემოაღნიშნული პირები კორუფციასა და კრიმინალში.[442] კერესელიძის პოსტის მიხედვით, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრმა მოასწრო რეაგირება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. ამის შემდეგ მურჯიკნელი მანქანიდან გადმოვიდა და ლია ყოჩიშვილს დაემუქრა.[443]

გიორგი მურჯიკნელი ინციდენტს ასევე სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. მან კერესელიძის მონათხრობს ცილისწამება,[444] ლია ყოჩიშვილს კი „ყველაფრის მკადრებელი“ და „სოფლისთვის მიუღებელი“ უწოდა.[445] შსს-ს ინფორმაციით, ეს ფაქტი ძალადობად არ დაკვალიფიცირდა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.[446]

2024 წლის 12 აგვისტოს დილის 7 საათიდან „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თბილისში, ვაკის პარკში, რათა ტერიტორია მოემზადებინათ იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრისთვის.[447] პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ნადირაძის განცხადებით, მერიის უსაფრთხოების სამსახური მათ ხელს უშლიდა პარკში აპარატურის, გენერატორისა და სცენის გასამართად საჭირო ატრიბუტიკის შეტანაში.[448] ნადირაძის თქმით, ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით მათ გაგზავნილი ჰქონდათ წერილი მერიაში და ოფიციალური თანხმობაც მიიღეს,[449] თუმცა, ამის მიუხედავად, მერიის წარმომადგენლები საქმიანობაში ხელს უშლიდნენ.[450] ამ უკანასკნელთა განმარტებით, გენერატორი იწონიდა დაშვებულზე მეტს, რაც პარკის საფარის დაზიანებას

[439] „თავდასხმა სამოქალაქო აქტივისტებზე - „აირჩიე ევროპის" წევრებს საჯარო მოხელეები დაახვედრეს", ტელეკომპანია „პირველის" Youtube-არხი, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=qlxxcmc-iIw, განახლებულია: 17.11.2024.

[440] იქვე.

[441] შალვა კერესელიძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/KereselidzeShalva/posts/pfbid02rZCQrNcfyBpwaaYFG2u1nzKTPKy3P7m1qNT1ZkBQRyxEcCUw3yvrz1sff9G9vUm5l, განახლებულია: 15.10.2024

[442] იქვე.

[443] იქვე.

[444] გოგა მურჯიკნელის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/goga.murjikneli.5/posts/pfbid02FbVYtCp56SSKgtB6s4wBp21BcJEGkuVBRwcP9YKm7oL58Tv4PQCWgTGzwbcZju6cl, განახლებულია: 15.10.2024.

[445] იქვე.

[446] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[447] „ირაკლი ნადირაძე: რა არჩევნებზეა საუბარი, აპარატურის შემოტანის საშუალებას არ გვაძლევენ", „ტვ პირველის" იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=fqm7H83ZA7k, განახლებულია: 15.10.2024.

[448] იქვე.

[449] იქვე.

[450] იქვე.

გამოიწვევდა.[451] თუმცა, პოლიტიკური გაერთიანების წევრთა შეკითხვაზე, რა იყო დასაშვები წონა, პასუხი ვერ მიიღეს.[452] გარდა ამისა, მერიის უსაფრთხოების სამსახურმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები გადაამისამართა გამწვანების სამსახურთან, რადგან, მათი აზრით, გენერატორის გამონაბოლქვი საფრთხეს შეუქმნიდა პარკის გამწვანებას.[453] მას შემდეგ კიდევ დაახლოებით 3 საათის განმავლობაში, რაც გამწვანების სამსახურმა ამ კუთხით პრობლემა ვერ დაინახა, მერიის სხვა წარმომადგენლები მათ მაინც არ აძლევდნენ უფლებას, პარკის ტერიტორიაზე აპარატურა და სხვა ნივთები შეეტანათ.[454]

წინასაარჩევნო კამპანია სამართლიანი და თანასწორი არჩევნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ დროს პარტიებს შეუძლიათ, ჯანსაღი კონკურენციით მოიპოვონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა და მიიღონ შესაბამისი შედეგი. კამპანიის წარმოება გარანტირებული უნდა იყოს ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტისთვის. მისი ხელშეშლა კი არსებითად აუარესებს თანასწორი საარჩევნო გარემოს პრინციპს და კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს უზღუდავს შესაძლებლობას, წარადგინონ თავიანთი პროგრამა, შეხვდნენ მოქალაქეებს და ა.შ.

საია მიიჩნევს**, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი უნდა შეუწყონ საარჩევნო კამპანიის მშვიდ რეჟიმში ჩატარებას. მათ უნდა** მოუწოდონ საკუთარ აქტივისტებს, ხელი არ შეუშალონ კონკურენტებს. ასეთი ფაქტების გამოვლენისას კი შესაბამისმა უწყებებმა უნდა მოახდინონ ეფექტიანი რეაგირება და აღკვეთონ ისინი**.**

2. პოლიტიკური ნიშნით ძალადობა

2024 წლის 1-ელ ივნისს თბილისში თავს დაესხნენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისს.[455] პარტიის განმარტებით, თავდასხმა ნახევარი საათი გრძელდებოდა, შედეგად კი, დაზიანდა ოფისის ფასადი, შუშები და ინვენტარი.[456] შსს-ს განცხადებით, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.[457] საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, გამოიკითხნენ მოწმეები და დაინიშნა ექსპერტიზა.[458] შსს-ს ინფორმაციით, პარტიის წევრები გამოძიებასთან არ თანამშრომლობდნენ და საგამოძიებო მოქმედებებში არ ერთვებოდნენ.[459]

2024 წლის 8 ივნისს ზესტაფონში გაქურდეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი,[460] საიდანაც წაიღეს სხვადასხვა სახის ტექნიკა.[461] პარტიის წარმო-

[451] სატელეფონო ინტერვიუ ირაკლი ნადირაძესთან, 2024 წლის 17 ოქტომბერი.
[452] იქვე
[453] იქვე.
[454] იქვე.
[455] „ნაციონალური მოძრაობის” განცხადებით, პარტიის ცენტრალურ ოფისს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი „1TV.ge“, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/nacionaluri-modzraobis-ganckhadebit-partiis-centralur-ofiss-tavs-daeskhnen/, განახლებულია: 17.12.2024.
[456] იქვე.
[457] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.
[458] იქვე.
[459] იქვე.
[460] „ზესტაფონში „ნაციონალური მოძრაობის” ოფისი გაქურდეს“, საინფორმაციო პორტალი „infoimereti.ge“, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://infoimereti.ge/%e1%83%96%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98/, განახლებულია: 17.11.2024.
[461] იქვე.

მადგენლების განცხადებით, ეს ხელისუფლების დავალებით, მათთან დაახლოებულმა პირებმა ჩაიდინეს.[462] შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო ქურდობის მუხლით,[463] ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები და გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.[464]

2024 წლის 11 აგვისტოს სამტრედიაში თავს დაესხნენ პარტია „ახლის“ თანათავმჯდომარე ნიკა მელიას და მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.[465] ნიკა მელია პარტიის ოფისის გახსნაზე ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცმა სახეში ხელი დაარტყა და შეაგინა.[466] მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელი „ქართული ოცნების“ აქტივისტია.[467] მართალია, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე, რაც ძალადობას გულისხმობს, თუმცა, შსს-ს განმარტებით, პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა. განახლებული ინფორმაციით, ნიკა მელია არ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოებში, რის გამოც, ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.[468]

2024 წლის 8 სექტემბერს ქარელში თავს დაესხნენ კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენლებს, რომლებიც წინასაარჩევნო პარტიულ შეხვედრას მართავდნენ მოსახლეობასთან.[469] კოალიციის წევრ გრიგოლ გეგელიას თქმით, შეხვედრისას უცხო პირებმა მათ ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. კოალიციის წევრის, ლანა გალდავას თქმით, ადგილზე იმყოფებოდა პოლიციის ეკიპაჟიც, თუმცა მათგან ამ შემთხვევას ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია.[470] შსს-ს მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ფაქტზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით და ამ დრომდე გრძელდება.[471] აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე და ვერ მოხერხდა მის სხეულზე არსებული დაზიანებების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა.[472]

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, 2024 წლის 16 სექტე-

---

[462] იქვე.
[463] იქვე.
[464] იქვე.
[465] „სამტრედიაში ნიკა მელიას თავს დაესხნენ”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2024 წლის 11 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/808788-samtrediashi-nika-meliastavsdaesxnen, განახლებულია: 17.11.2024.
[466] იქვე.
[467] „მილევადი რეჟიმების საქციელია ნიკა მელიაზე თავდასხმა სამტრედიაში”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 12 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a1-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%ae%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%9c/33075900.html, განახლებულია: 17.11.2024.
[468] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.
[469] „გრიგოლ გეგელიას თქმით, ქარელში თავს დაესხნენ „ძლიერი საქართველოს” წარმომადგენელს”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება” 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33111613.html, განახლებულია: 17.11.2024.
[470] „ძლიერი საქართველოს” ინფორმაციით, ქარელში ა(ა)იპ-ის თანამშრომელი და გამგებლის მოადგილის მეუღლე აქტივისტებს თავს დაესხნენ, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.qartli.ge/ge/akhaliambebi/article/21803--dzlieri-saqarthvelos-cnobith-qarelshi-aipis-thanamshromeli-da-gamgeblismoadgilis-meughle-aqtivistebs-thavs-daeskhnen, განახლებულია: 17.11.2024.
[471] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.
[472] იქვე.

მბერს თბილისში მათი პარტიის წევრ ზურაბ აბაევს პოლიციამ სასტიკად სცემა.[473] ასევე, ადვოკატისა და თვითმხილველების ინფორმაციით, პოლიციამ მას ჯერ სცემა, შემდეგ კი დააკავა.[474] აბაევი შემოწმების მიზნით გააჩერეს, რა დროსაც მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია.[475] ის დაკავეს წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის. დაზარალებულის ადვოკატის მტკიცებით, დაპირისპირება აბაევისთვის ფოტოს გადაღებას მოჰყვა.[476] მისივე თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით რეაგირებისკენ მოუწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც საიასთან კომუნიკაციის დროს აღნიშნავდა, რომ მათ ფაქტის შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ.[477] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უნდა დაიწყოს გამოძიება. საიას კორესპონდენცია, სამართლებრივად, შეტყობინებაა, რომელიც უწყებამ შეიძლება მიიღოს ასევე მასმედიის საშუალებით. ამ საკითხთან დაკავშირებით საიამ ინფორმაცია გამოითხოვა შესაბამისი ორგანოებიდან, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

2024 წლის 19 სექტემბერს ზუგდიდში წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ანა წითლიძეს.[478] მისი თქმით, ასევე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაშავდა ზუგდიდის ახალგაზრდული ფრთის წევრი ბექა ფარცვანია.[479] „ქართული ოცნების“ ზუგდიდის დელეგატის, დავით კოდუას განცხადებით, წითლიძემ და პარტიის სხვა წევრებმა თავად მიაყენეს შეურაცხყოფა შეხვედრაზე შეკრებულ დევნილებს.[480] შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო ჯგუფური ძალადობის ფაქტზე.[481] გამოძიების ფარგლებში დაინიშნა ექსპერტიზა, გამოიკითხნენ ადამიანები, თუმცა კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად არ არის ცნობილი.[482]

2024 წლის 6 ოქტომბერს, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, გურჯაანში, სოფელ კარდენახში, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მათ ლი-

---

[473] „ნაციონალურ მოძრაობაში” ამბობენ, რომ მათი პარტიის წევრზე პოლიციამ იძალადა”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33121886.html, განახლებულია: 17.11.2024.

[474] „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის” წევრის დაკავების საქმე“, „ტელეკომპანია ფორმულას“ იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=U1JEjKCwF1Y, განახლებულია: 17.11.2024.

[475] „შსს-ს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის” ნაძალადევის შტაბის და კომისიის წევრი ზურაბ აბაევი გადამოწმების მიზნით შეაჩერეს, რა დროსაც მან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812352-shss-s-inpormaciitnacionaluri-mozraobis-nazaladevis-shtabisa-da-aseve-komisiis-cevri-zurab-abaevi-gadamocmebismiznit-sheacheres-ra-drosac-man-policielebs-cinaagmdegobagaucia, განახლებულია: 17.11.2024.

[476] „რატომ იძალადა პოლიციამ ზურაბ აბაევზე და რატომ იყვნენ ისინი დაკავების დროს სამოქალაქო ფორმით? ხაბეიშვილის შეკითხვებს პოლიცია ვერ პასუხობს“, ტელეკომპანია „მთავარი“, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/165053ratom-idzalada-politsiam-zurab-abaevze-ratom, განახლებულია: 17.11.2024.

[477] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 2 ოქტომბრის წერილი №SIS 7 24 00018427.

[478] „ანა წითლიძის თქმით, ზუგდიდში თავს დაესხნენ „ოცნების” აქტივისტები”, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33126756.html, განახლებულია: 17.11.2024.

[479] იქვე.

[480] დავით კოდუას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GDDavitKodua/videos/1299078917724581, განახლებულია: 17.11.2024.

[481] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[482] იქვე.

დერებს თავს დაესხნენ.[483] ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში ჩანს ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და თავდამსხმელ პირებს შორის.[484] პარტიის ინფორმაციით, ფიზიკურად გაუსწორდნენ მოძრაობის ჯანდაცვის მიმართულების მდივან ლევან მეტრეველს, რომელიც შემდგომ „ნიუ ჰოსპიტალში“ გადაიყვანეს და კომპიუტერული ტომოგრაფია გადაუღეს.[485] მეტრეველმა აღნიშნა, რომ ტვინის შერყევის ყველა სიმპტომი აღენიშნებოდა, მათ შორის, ჰემატომები და მარჯვენა მხარეს ასიმეტრია.[486] პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელზე თავდასხმა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს (ჯანმრთელობის დაზიანება). როგორც შსს-მ განმარტა, გამოძიება დაიწყო 162[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გამოიკითხნენ პირები, ლევან მეტრეველი კი ცნეს დაზარალებულად.[487] ამის მიუხედავად, პოლიტიკურ გაერთიანებაში აცხადებენ, რომ გამოძიების იმედი არ აქვთ.[488]

2024 წლის 2024 წლის 13 ოქტომბერს, დილით, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ ვარკეთილის ოფისი დაარბიეს.[489] ჩაამტვრიეს ოფისის ფანჯრები და შიდა სივრცეში ისროლეს საღებავიანი ბოთლები. შედეგად, დაისვარა ინვენტარი, კედლები და იატაკი.[490] პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ეს „ქართული ოცნების“ მიერ „მოგზავნილმა პირებმა“ ჩაიდინეს.[491] ირაკლი ნადირაძის თქმით, ბოროტმოქმედები სუს-ის, შსს-სა და ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერით მოქმედებდნენ.[492] როგორც ნადირაძემ აღნიშნა, მათ არ მიუმართავთ შსს-სთვის გამოძიების დაწყების მიზნით, რადგან ფაქტი ისედაც საჯაროდ იყო ცნობილი. მისი აზრით, მიმართვას აზრი არც ჰქონდა, რადგან პარტიას ამ საქმის გამოძიების მოლოდინი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთი სათვალთვალო კამერაა განთავსებული. კამერების არსებობისა და ინფორმაციის საჯარო წყაროებით

[483] „ენმ-ის განცხადებით, კარდენახში მათ ლიდერებს თავს დაესხნენ“, 2024 წლის 6 ოქტომბერი, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/745459/, განახლებულია: 09.10.2024.

[484] „კარდენახში, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველთან შეხვედრის შემდეგ „ტიტუშკები“ ენმ-ს ლიდერებს თავს დაესხნენ. ფიზიკური დაზიანება მიაყენეს ლევან მეტრეველს“, 2024 წლის 6 ოქტომბერი, ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=3487341451562767, განახლებულია: 10.09.2024.

[485] „ენმ-ის განცხადებით, კარდანახში მათ ლიდერებს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2024 წლის 6 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/745459/, განახლებულია: 09.10.2024.

[486] „ლევან მეტრეველი – მაქვს ტვინის შერყევა, ასევე სერიოზული ჰემატომა სახის არეში, რაც შეეხება ქალა ძვლების მოტეხილობას, ველოდები პასუხს“, საინფორმაციო პორტალი „frontnews.ge“, 2024 წლის 6 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://frontnews.ge/levan-metreveli-maqvs-tvinis-sherqheva-aseve-seriozuli-hematoma-sakhis-areshi-rats-sheekheba-qala-dzvlebis-motekhilobas-velodebi-pasukhs/, განახლებულია: 10.09.2024.

[487] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[488] „გიორგი ბარამიძე - 12 წელიწადია „ნაციონალურ მოძრაობას“ დევნიან და გვაპატიმრებენ, გვესვრიან, გვცემენ, მაგრამ ვერაფერი უქნეს ჩვენს გუნდს, ვერც ახლა შეგვაშინებენ“, 2024 წლის 6 ოქტომბერი, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/815101-giorgi-baramize-12-celicadia-nacionalur-mozraobas-devnian-da-gvapatimreben-gvesvrian-gvcemen-magram-veraperi-uknes-chvens-gunds-verc-axla-shegvashineben, განახლებულია: 10.09.2024.

[489] ვარკეთილში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის» ოფისი დაარბიეს - ირაკლი ნადირაძე, ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 2024 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/167140-varketilshi-ertianoba-natsionaluri-modzraobis, განახლებულია: 15.10.2024.

[490] „ვარკეთილში „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი დაარბიეს“, „ტვ პირველი“, 2024 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=eRf0_gBfSz8, განახლებულია: 15.10.2024.

[491] იქვე.

[492] იქვე.

გავრცელების მიუხედავად, სამართალდამცავი სტრუქტურები პოლიტიკურ გაერთიანებას არ დაჰკავშირებიან და ფაქტზე გამოძიება არ დაუწყიათ.

2024 წლის 23 ოქტომბერს ზუგდიდში, სოფელ რიყეში, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს თავს დაესხნენ.[493] მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სოფელში მცხოვრებ ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აიძულებენ, არ წასულიყვნენ არჩევნებზე, ნაწილს პირადობის დამდასტურებელ მოწმობებს ართმევენ, ნაწილს კი კონკრეტულ თანხას სთავაზობენ.[494] ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად მიდიოდა სოფელში ოპოზიციური გაერთიანების წარმომადგენელი, რომელსაც „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები თავს დაესხნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ავტომანქანის მინები ჩაუმსხვრიეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს.[495]

3. პოლიტიკური ნიშნით სხვისი ნივთის დაზიანება

2024 წლის 8 სექტემბერს ამბროლაურში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ბესო ქართველიშვილს მანქანა დაუზიანეს.[496] პარტიის წევრების ვარაუდით, ეს „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა.[497] შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე დაწყებულია გამოძიება, რომელიც ამ დრომდე მიმდინარეობს.[498]

2024 წლის 15 სექტემბერს ჩხოროწყუში, სოფელ ლესიჭინეში დააზიანეს „ქართული ოცნების“ წევრისა და შტაბის ხელმძღვანელის, ჯუმბერ იზორიას მანქანა.[499] თავად იზორია ადგილზე არ იმყოფებოდა და ფაქტს არ შესწრებია. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით და საქმეზე გამოიკითხა სხვადასხვა პირი.[500] გამოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ ავტომობილი განზრახ დააზიანა პარტია „ახლის“ წევრმა, რაზეც მას წარედგინა ბრალი და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო.[501] გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.[502]

---

[493] „ზუგდიდში, სოფელ რიყეში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენელს „ოცნებასთან» დაახლოებული პირები თავს დაესხნენ“, ტელეკომპანია „მთავარის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=910162924370870, განახლებულია: 28.11.2024.

[494] იქვე.

[495] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[496] „ფავლენიშვილი: „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ამბროლაურში მანქანა დაუზიანეს“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/116667, განახლებულია: 17.11.2024.

[497] „რაჭაში ენმ-ს წევრს ავტომობილი დაუზიანეს“, საინფორმაციო პორტალი „newspost.ge“, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://newposts.ge/news/politica/rachashi-enm-stsevrs-avtomobili-dauzianes, განახლებულია: 17.11.2024.

[498] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[499] „ქართული ოცნების” ინფორმაციით, ჩხოროწყუში „კოალიცია ცვლილებისთვის” წევრმა „ქართული ოცნების” ადგილობრივი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს ავტომანქანა ქვებით დაუმტვრია”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812310-kartuli-ocnebis-inpormaciitchxorocqushi-koalicia-cvlilebistvis-cevrma-kartuli-ocnebis-adgilobrivi-saarchevno-shtabisxelmzgvanels-avtomankana-kvebit-daumtvria/, განახლებულია: 17.11.2024.

[500] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 4 ოქტომბრის წერილი №MIA 7 24 03052970

[501] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[502] იქვე.

4. სააგიტაციო მასალის დაზიანება

საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-7[1] მუხლის მიხედვით, დაუშვებელია სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილზე არ არის განთავსებული. კოდექსის თანახმად, სააგიტაციოა ნებისმიერი მასალა, რომელზეც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი, სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი საარჩევნო რიგითი ნომერი.[503]

საანგარიშო პერიოდში მედიით გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ადამიანები, რომლებსაც აცვიათ „ახალი ერთობა - გვარამია-მელიას" სიმბოლიკიანი სამოსი, აზიანებენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პლაკატებს.

კოალიცია „ძლიერი საქართველოს" სააგიტაციო მასალას ზუგდიდში გადააკრეს პოლიტიკური პარტიის „ხმა ღვთისა და ხმა ერისა" პლაკატები.[504] როგორც ირკვევა, პლაკატები გადააკრა ამავე პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც აცხადებს, რომ არ მოსწონს დასახელებული კოალიცია.

2024 წლის 9 ოქტომბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, თბილისში, ამაღლების ქუჩაზე პარტია „გახარია საქართველოსთვის" აქტივისტები თავიანთ პარტიულ სააგიტაციო მასალას - საარჩევნო პლაკატებს კანონით დადგენილ ადგილზე, ქუჩის კედელზე აკრავდნენ. როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, ამ დროს მათ მიუვარდნენ, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების" აქტივისტები, ე.წ. „ზონდერები" და პლაკატები ჩამოხიეს.[505] ინციდენტს მოჰყვა სიტყვიერი შელაპარაკებაც. პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენელთა განცხადებით, „ქართული ოცნების" „ზონდერაქტივმა" ერთ-ერთ მათ წევრს ხელიდან გამოჰგლიჯა პლაკატები და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[506] მათივე თქმით, კითხვაზე, ამას რატომ აკეთებდნენ, „ქართული ოცნების" მხარდამჭერები პასუხობდნენ, რომ „არ მოსწონდათ გახარიას პარტია" და „გახარია უნდა წასულიყო პოლიტიკურ სანაგვეზე".[507] როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო ეკიპაჟიც.

აღსანიშნავია, რომ პარტიამ განცხადებით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ამ ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, სისხლის სამართლის კოდექსის 162[1]-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის ან კამპანიის დროს ძალადობას, რამაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გამოიწვია. საიამ რეაგირების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია გამოითხოვა, თუმცა, 5 მარტის მდგომარეობით, უწყებას პასუხი არ დაუბრუნებია.

2024 წლის 16 ოქტომბერს ქუთაისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ხატია დეკანოიძემ და გიგი უგულავამ თეთრი საღებავით შეღებეს „ქართული ოცნე-

[503] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" მე-2 მუხლის „ჰ[7]" ქვეპუნქტი.

[504] თენგო კოჩუას Facebook-გვერდი, 3 ოქტომბერი, 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=8681471885208415&id=100000370684188&rdid=UHOuMlKVLbNGONF1, განახლებულია: 17.11.2024.

[505] „გახარიას პარტიაში აცხადებენ, რომ მათ წარმომადგენლებს ქუჩაში თავს დაესხნენ", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33152700.html, განახლებულია: 10.10.2024.

[506] „საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას „ოცნების" ზონდერაქტივი ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს თავს დაესხა", პარტია „საქართველოსთვის" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/ForGeoGe/videos/1245475566643760/, განახლებულია: 10.10.2024.

[507] იქვე.

ბის“ ბანერის ის ნაწილი, რომელზეც ეწერა „არა ომს“.[508] „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, უგულავას და დეკანოიძის ქმედება სისხლის სამართლის დანაშაული იყო.[509] გამოძიება მართლაც დაიწყო საარჩევნო ბანერის ჯგუფურად დაზიანების ფაქტზე, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა ის ჯერ კიდევ გრძელდება.[510]

სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საიას სადამკვირვებლო მისიამ აღრიცხა შესაძლო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევა. საქმე ეხება საჯარო მოხელეებს და საჯარო სკოლების დირექტორებს, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურებიდან დაითხოვეს.

1. კლეოპატრა ქარუმაშვილის საქმე

კლეოპატრა ქარუმაშვილი დასაქმებული იყო ა(ა)იპ „პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოში“ ექსტრაკურიკულური აქტივობების შეფასებისა და მხარდაჭერის სპეციალისტის პოზიციაზე.[511] ე.წ. „რუსული კანონის“ ინიციირების შემდეგ სააგენტოს ხელმძღვანელობამ მას სამუშაო პროგრამიდან იმ ნაწილის ამოღება მოსთხოვა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას გულისხმობდა.

ამის შემდეგ, ქარუმაშვილის თქმით, იგი სააგენტოს ხელმძღვანელმა ირინა მარგიშვილმა დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა „ურჩია“. საუბრისას მარგიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ქარუმაშვილის კრიტიკულ მოსაზრებებზე სააგენტოში მიმდინარე საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე, სოციალურ ქსელებში მის მიერ გაზიარებულ, „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო პოსტებსა და, ზოგადად, მის პოლიტიკურ შეხედულებებზე. მარგიშვილი ქარუმაშვილს ეუბნებოდა, რომ მის პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეჰქონდა, თუმცა სამსახურში „სრული ერთგულება“ სჭირდებოდა. აღსანიშნავია, რომ, ამის მიუხედავად, ქარუმაშვილმა სამსახური საკუთარი ნებით არ დატოვა. თუმცა, შეხვედრიდან რამდენიმე დღეში სააგენტოში გამოცხადდა რეორგანიზაცია და ის დაკავებული პოზიციიდან გაათავისუფლეს.

რეორგანიზაციის მიზეზად დასახელდა პროგრამის სტრუქტურის, თანამდებობებისა და ქვეპროგრამების ხელახლა ჩამოყალიბება პრიორიტეტების გათვალისწინებით. თუმცა, ქარუმაშვილის აზრით, ამ ყველაფრის რეალური მიზეზი განსხვავებული შეხედულების მქონე პირის სამსახურიდან გათავისუფლება იყო.

---

[508] ვიდეო ხატია დეკანოიძის ოფიციალურ Facebook-გვერდზე, 2024 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/reel/1067361321661975, განახლებულია: 27.11.2024.

[509] „მდინარაძე: დეკანოიძემ და უგულავამ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2024 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/118470, განახლებულია: 27.11.2024.

[510] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 13 იანვრის წერილი №MIA6 25 00059145.

[511] „პოლიტიკური მოსაზრებების გამო გამათავისუფლეს" – პროფესიული უნარების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 2024 წლის 7 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/735182/, განახლებულია: 18.11.2024.

2. საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლების გათავისუფლება

2024 წლის აგვისტოს ბოლოს რამდენიმე საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება შეუწყდა. ისინი ამ ფაქტს თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებენ.

საჯარო სკოლის დირექტორის არჩევის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ". თავდაპირველად, იმართება შესაბამისი კონკურსი - გამოცდა, ხოლო შემდგომ კანდიდატი გადის გასაუბრებას სპეციალურ კომისიასთან. ამ ეტაპის გადალახვის შემდეგ სამინისტრო კანდიდატს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.[512] იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭო ვერ ახერხებს დირექტორის არჩევას, მაშინ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს შეუძლია, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, თვითონ დანიშნოს დირექტორები. აღსანიშნავია, რომ იმ სკოლებში, სადაც დირექტორებს სამეურვეო საბჭო ვერ ირჩევდა, მინისტრის დისკრეციით მათი დანიშვნა უცხო არ იყო.[513] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დირექტორობის კანდიდატი სამინისტრომ უნდა შეარჩიოს გამჭვირვალობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანასწორობის პირობებში, რაც, თავისთავად, კრძალავს სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციას, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით. ამასთანავე, კანონის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლების პოლიტიკური დამოუკიდებლობა.[514] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებული პრაქტიკის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც 2023 წელს, დაახლოებით, 1000 სკოლაში დირექტორის არჩევა ვერ მოხერხდა, განათლების მინისტრმა 2024 წლისთვის ახალი კონკურსი დააანონსა. ამასთანავე, იგი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ დისკრეციულ უფლებამოსილებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებდა და სკოლებს „საკუთარ გემოვნებას თავს არ მოახვევდა".[515] შესაბამისად, 2024 წელს დირექტორების ახალი კონკურსი გამოცხადდა.

მონიტორინგის ფარგლებში, საიამ შეისწავლა დირექტორების გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევა. აქედან 3 მათგანი ამ ფაქტს მათ პოლიტიკურ თუ მმართველობისადმი კრიტიკულ შეხედულებებს უკავშირებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი შორენა შამათავა სკოლას წლების განმავლობაში მართავდა. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებში ის განსაკუთრებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა. 26 აგვისტოს განათლების მინისტრმა მის ნაცვლად დირექტორად დანიშნა ნანა ჯგერენაია, რის საფუძველზეც, 30 აგვისტოს შამათავას უფლებამოსილება შეუჩერდა. აღსანიშნავია, რომ შამათავამ კონკურსი წარმატებით გაიარა, თუმცა გასაუბრების ეტაპი ვეღარ გადალახა, რასაც იგი მის პოლიტიკურ კუთვნილებას უკავშირებს. ახალი კანდიდატი ნანა ჯგერენაია კი სამეურვეო საბჭომ 19 ივნისის სხდომაზე არ აირჩია. ამის შემდეგ შამათავა

[512] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 42-ე მუხლი.

[513] „სკოლებში, სადაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ დირექტორები, ახალი კონკურსი გამოცხადდება - მინისტრი", საინფორმაციო პორტალი netgazeti.ge, 2023 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/701442/, განახლებულია: 18.11.2024.

[514] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 (ბ) პუნქტი.

[515] „სკოლებში, სადაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ დირექტორები, ახალი კონკურსი გამოცხადდება - მინისტრი", საინფორმაციო პორტალი netgazeti.ge, 2023 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/701442/, განახლებულია: 18.11.2024.

ასრულებდა დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილებას, ვიდრე იგი სამსახურიდან არ გათავისუფლდა.

როგორც შორენა შამათავა საიასთან საუბარში აცხადებს, ეს შედეგი წინასწარ იყო ცნობილი და სენაკის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ამის შესახებ მას თავიდანვე აფრთხილებდა. მისი თქმით, გათავისუფლების რეალური მიზეზი მისი პოლიტიკური შეხედულებები გახდა. იგი მონაწილეობდა პარტია „გახარია საქართველოსთვის“ მიერ გამართულ ღონისძიებაში. დირექტორის პოლიტიკურ პოზიციაზე მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები.

მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, სამსახურიდან გაათავისუფლეს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი მინდია გველებიანი. იგი სკოლაში 1995 წლიდან - მასწავლებლად, ხოლო 2004 წლიდან დირექტორად მუშაობდა. გათავისუფლების შესახებ მან ახალდანიშნული დირექტორისგან შეიტყო, ხოლო შესაბამისი ბრძანება 30 აგვისტოს ჩაჰბარდა.

მინდია გველებიანი პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აქტიური წევრია ხონის მუნიციპალიტეტში. იგი ასევე მონაწილეობდა 21 აგვისტოს გამართულ პარტიულ შეხვედრაში. ამ შეხვედრიდან მალევე კი ის სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მინდია გველებიანს 2024 წლის დირექტორობის კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან, მისი თქმით, წინასწარვე იცოდა, რომ არ შეარჩევდნენ, შესაბამისად, „კონკურსზე გასვლას აზრი არ ჰქონდა“. ახალ დირექტორად მინისტრმა ხათუნა ხარაბაძე დანიშნა, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ იყო დაწუნებული.

მინდია გველებიანმა თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართა, სადაც მის ინტერესებს საია იცავს. აღსანიშნავია, რომ, თავდაპირველად, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი თქვა, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა. ამჟამად საქმე კვლავ სამტრედიის რაიონულ სასამართლოშია დასაშვებობის ეტაპზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა. საიასთან კომუნიკაციაში პირი ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს, თუმცა, მისი აზრით, გათავისუფლების მიზეზი აქაც დირექტორის პოლიტიკური შეხედულებები, ე.წ. „რუსული კანონისა“ და მასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება იყო. მისი თქმით, კონკურსს გასაუბრების ეტაპიდან გამოეთიშა, ხოლო შეთავაზებული კანდიდატი სამეურვეო საბჭომ არ აირჩია. საბოლოოდ, მინისტრმა გამოიყენა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და იგივე კანდიდატი ახალ დირექტორად დანიშნა.

საიას მოსაზრებით, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, სკოლის დირექტორების მოვალეობის შემსრულებლებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, შესაძლოა, ქმნიდეს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ეჭვებს, მით უფრო მაშინ, როდესაც გათავისუფლებული პირები გამოირჩეოდნენ მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით ან წარმოადგენდნენ ოპოზიციურ პარტიებს. ეს ყველაფერი ასევე უარყოფითად მოქმედებს, ზოგადად, განათლების სისტემისადმი ნდობაზე და ქმნის მისი პოლიტიზების რისკებს.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

წინასაარჩევნო პერიოდში ასევე გამოვლინდა სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები.

1. ისნისა და მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერი წევრებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

2024 წლის 14 სექტემბერს ისნისა და მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერ წევრებს კომისიის თავმჯდომარეებმა არ მისცეს საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელთა ტრენინგზე დასწრების უფლება.[516] ისნის საოლქო კომისიაში „ევროპული საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ პარტიულს წევრებს კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა, ტრენინგის ოთახი დაეტოვებინათ. მთაწმინდის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ კი აკაკი ებრალიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ - ოთახიდან გააძევა. თავმჯდომარეების არგუმენტაციით, ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს ტრენინგებზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ.[517] თუმცა, როგორც ეს უკანასკნელნი აღნიშნავენ, კომისიის თავმჯდომარეს არ დაუსახელებია არცერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მათ ამას უკრძალავდა. მათივე თქმით, ტრენინგებზე დასწრება მნიშვნელოვანია, ვინაიდან კომისიის ყველა წევრს აქვს უფლება, იცოდეს, თუ რისი სწავლება მიმდინარეობს საუბნო კომისიის თავმჯდომარეებისთვის. ასევე, შესაძლებელია, ეს ეხებოდეს არჩევნების გაყალბებას და იმ პროცესებს, რომლებიც თან სდევს ახალ არჩევნებს.[518]

საიას მოსაზრებით, საარჩევნო კომისიის ქართული მოდელი, რომელიც გულისხმობს მის შემადგენლობაში პროფესიული და პარტიული წევრების თანაარსებობას, ასევე ითვალისწინებს ყველა წევრის შეუფერხებელ ჩაბმას მის საქმიანობაში. ეს, თავისთავად, მოიცავს, მათ შორის, თავმჯდომარის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა თუ სხვა ღონისძიებებზე მათ დასწრებას და მონაწილეობას. შესაბამისად, დაუშვებელია, პარტიულ წევრებს შეეზღუდოთ აღნიშნული უფლებამოსილება. გარდა იმისა, რომ ეს ხელს უშლის კომისიის სრულფასოვან მუშაობას, ასევე ეჭვქვეშ აყენებს თავად კომისიის პროფესიული წევრების საქმიანობის კანონიერებას და კეთილსინდისიერებას.

2. საოლქო კომისიის წევრებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა ოზურგეთში

2024 წლის 11 ოქტომბერს ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბერდია ლომიძემ „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული 2 წევრი კომისიის შენობიდან გამოაძევა და მიუთითა, რომ შეეძლოთ, „იქვე კაკლის ძირში“ ემუშავათ.[519] მოგვიანებით, სიტუაციაში გარკვევას შეეცადა „ერთიანობა ნა-

[516] „ისნისა და მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიებში ტრენინგებზე ოპოზიციის წევრები არ შეუშვეს“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი არხი“, 2024 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/164883-isnisa-mtacmindis-saolko-saarchevno-komisiebshi?fbclid=IwY2xjawGAniJleHRuA2FlbQIxMAABHVnZqvztzagK5x9Csd4a8889NMiq-yLGCOkXTskSlRjZC0q8euubIW3zNw_aem_JzEksX9nL4zH1HdiMB_vPA, განახლებულია: 27.11.2024.

[517] იქვე.

[518] იქვე.

[519] „ხმაური და დაპირისპირება ოზურგეთის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში“, „ტვ პირველის“ იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=CllxHb2HXgY, განახლებულია: 15.10.2024.

ციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი დავით მჟავანაძე, თუმცა იგი ოლქში არ შეუშვეს.[520] მჟავანაძესა და ლომიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.[521] ლომიძის განმარტებით, მან კომისიის წევრებს ოლქის შენობა იმიტომ დაატოვებინა, რომ იქ ტრენინგები მიმდინარეობდა და წევრთათვის ადგილი არ იყო.[522]

საია მიჩნევს, რომ აუცილებელია, ოლქის წევრებს ჰქონდეთ კომისიის შენობაში თავისუფლად შესვლის და იქ მუშაობის საშუალება, ხოლო სხვა ღონისძიებები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ ამით წევრების მუშაობას ხელი არ შეეშალოს.

3. ოზურგეთში საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ „სიების შედგენა“ და ოპოზიციური წევრების მიმართ ფიზიკური ძალადობა

2024 წლის 16 ოქტომბერს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომლის მიხედვით, ოზურგეთის საარჩევნო ოლქის ერთ-ერთი უბნის თავმჯდომარე, პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრები და მმართველი პარტიის რეგიონული ოფისის აქტივისტები ქმნიდნენ ამომრჩეველთა სიებს, რათა დაედგინათ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, განესაზღვრათ ფულის დარიგების საკითხი და დაშინება-ზეწოლის ადრესატები.[523] ოთახში „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების გამოჩენამ იქ მყოფი პირები გააღიზიანა. ისინი ეცადნენ სიების დამალვას, ხოლო შემოსულ პირებს ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[524] უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვნის მიუხედავად, საიასთვის უცნობია, რა ტიპის რეაგირება მოახდინა პოლიციამ.

შეჯამება

საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც არჩევნების გამართულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ვალდებულია, უზრუნველყოს საარჩევნო კომისიების კანონით გათვალისწინებული, ეფექტიანი და ორგანიზებული მუშაობა. ეს მოიცავს კომისიის ყველა, მათ შორის, ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრების თანაბარ წვდომას მათ უფლებამოსილებებზე, ასევე, შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ კომისიის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საარჩევნო კომისიების პროფესიული და მმართველი პარტიის მიერ დანიშნული წევრების მხრიდან სხვა წევრთათვის საქმიანობაში ხელშეშლა, დაბრკოლებების შექმნა და პროცესში ჩაურთველობა არის დარღვევა და მოითხოვს შესაბამის რეაგირებას ზემდგომი კომისიებისგან.

საია მოუწოდებს საარჩევნო კომისიებს, თავიანთი საქმიანობა წარმართონ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და უზრუნველყონ შესაფერისი სამუშაო გარემოს შექმნა ოპოზიციური წევრებისთვის. აუცილებელია, კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს კოლეგიურად და თავი აარიდოს კონკრეტული წევრების ჩამოშორებას პროცესიდან. ამასთანავე, ზემდგომმა კომისიებმა მოახდინონ დროული და ეფექტიანი რეაგირება ასეთ სამართალდარღვევებზე და აღკვეთონ ისინი.

[520] იქვე.
[521] იქვე.
[522] იქვე.
[523] „სკანდალში გახვეული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და დაუსჯელი თავდამსხმელები“, ტელეკომპანია „პირველი“, 2024 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=Ffpj3TlJXEw, განახლებულია: 28.11.2024.
[524] იქვე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები

1. წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ რეკლამაში სიძულვილის ენის გამოყენება ლგბტქი+ ადამიანების მიმართ

ტელეკომპანიებმა „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ თავიანთ საეთერო ბადეში არ განათავსეს პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი პოლიტიკური რეკლამა,[525] რის გამოც, 2024 წლის 13 სექტემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ორივე მედიასაშუალება საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-5 ნაწილის დამრღვევებად ცნო.[526]

„ქართული ოცნების“ საჩივრის მიხედვით, პოლიტიკური რეკლამა ტელეკომპანიებს კანონის დაცვით გადაეგზავნა. მმართველი პარტია კომუნიკაციების კომისიისგან საკითხის შესწავლას და ტელეკომპანიებისთვის რეკლამის გაშვების დავალდებულებას ითხოვდა.[527]

„ფორმულას“ მოსაზრებით, რეკლამაში არსებული ნაწილი, რომელიც კონკრეტულ ჯგუფებს საზოგადოების მორალურ დეგრადაციაში ადანაშაულებდა, არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას. ამასთანავე, ვიდეომასალაში გამოყენებული იყო იმ პირთა გამოსახულებები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობდნენ.[528] ტელეკომპანიის აზრით, სადავო რეკლამა ხელს უწყობდა სიძულვილის ან ძალადობის გაღვივებას იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ,[529] გარდა ამისა, დაირღვა „რეკლამის შესახებ“ კანონის ცალკეული დებულებებიც,[530] ვინაიდან არ არსებობდა რეკლამაში გამოსახული ადამიანების, სულ მცირე, ერთი მათგანის - ეკა გიგაურის, თანხმობა მისი სურათის რეკლამაში გამოყენების თაობაზე.[531]

ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლის მიერ სხდომაზე გაცხადებული პოზიციით, „ქართული ოცნების“ რეკლამა არ შეიცავს სიძულვილის, ძალადობის წაქეზებას ან ამგვარ მოწოდებებს.[532] კომისიის განმარტებით, მაუწყებელს არ ჰქონდა უფლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეკლამა შეეფასებინა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის ჭრილში. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „რეკლამის შესახებ“ კანონის მოთხო-

[525] იქვე.
[526] კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 13 სექტემბრის №გ-24-04/1991 გადაწყვეტილება.
[527] იქვე.
[528] ტელეკომპანია „ფორმულას“ 2024 წლის 9 სექტემბრის წერილი №552.
[529] იქვე.
[530] საუბარია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტებზე.
[531] ტელეკომპანია „ფორმულას“ 2024 წლის 9 სექტემბრის წერილი №552.
[532] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/6951-24, პარა. 3.1.

ვნები არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე.[533] ამასთანავე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ დებულებაზე და მასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, კანონი უპირობოდ არ გამორიცხავს მაუწყებლის წინდახედულობას, ეთერში განათავსოს ნებისმიერი შინაარსის პოლიტიკური რეკლამა.[534] გადაწყვეტილებაში მოხმობილი საკასაციო სასამართლოს სტანდარტით, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, რომლებიც შემდგომ მიმდინარე კანონმდებლობით არის დადგენილი და სწორედ მათით უნდა იხელმძღვანელოს ტელევიზიამ რეკლამის შეფასებისას.[535] საქალაქო სასამართლოს მაგალითად მოჰყავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავი.[536] ამ თავში არსებული ერთ-ერთი ნორმის მიხედვით, იკრძალება ისეთი რეკლამის გაშვება, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას და ძალადობრივ შინაარსს. ნორმაში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა მიმართაც იკრძალება ასეთი ქმედებები,[537] მათ შორისაა გენდერის, გენდერული მიკუთვნების და სექსუალური ორიენტაციის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ „ფორმულას“ წარმომადგენლებმაც სწორედ ამ ნორმაზე გააკეთეს აქცენტი. მიუხედავად ამ მსჯელობისა, სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ შეაფასა ვიდეოს ვიზუალური, გრაფიკული და ხმოვანი ნაწილი ერთობლიობაში.

მართალია, ცალკე აღებული ფრაზა „უთხარი არა საზოგადოების მორალურ გადაგვარებას და აირჩიე ტრადიციული ფასეულობები“ შეიძლება არ ემსახურებოდეს სიძულვილის გაღვივებას, თუმცა აუცილებელია რეკლამის მთლიან კონტექსტში შეფასება. იმ დროს, როდესაც ეკრანზე გამოდის ფრაზა თავისი გახმოვანებით - „არა მორალურ გადაგვარებას“, ეკრანზე ჩანს 3 ლგბტქი+ აქტივისტის ფოტო, მოგვიანებით კი, ფრაზაზე - „აირჩიე ტრადიციული ღირებულებები“ ეკრანზე ჩნდება ქალის, ბავშვების, კაცისა და ძაღლის გრაფიკული გამოსახულება, რაც „ტრადიციული“ ოჯახის აღქმას ქმნის. შესაბამისად, უნდა შეფასდეს რეკლამის ამ ნაწილის კონტექსტი. ეს ვიზუალური გამოხატულებები ერთობლიობაში - ერთი მხრივ, თამარ ჯაყელის (თბილისი პრაიდის ხელმძღვანელი), ანა სუბელიანის (თბილისი პრაიდის თანამშრომელი) და გიორგი თაბაგარის (ლგბტქი+ აქტივისტი) ფოტოები და წარწერა, რომ ისინი ხელს უწყობენ მორალურ გადაგვარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ტრადიციული ოჯახის გრაფიკული გამოხატულება და ამ სურათების გვერდიგვერდ გამოსახვა აღვივებს სიძულვილს სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით. ჰომოსექსუალობა წარმოჩენილია, როგორც მორალური გადაგვარება, რომელსაც ამომრჩეველმა უნდა უთხრას „არა“. სასამართლომ არ შეაფასა რეკლამის ვიზუალური მხარე და მხოლოდ ფრაზაზე გააკეთა აქცენტი.

სიძულვილის ენას ყოველთვის პირდაპირი განცხადებების ფორმა არ აქვს, ზოგჯერ მისი ამოცნობა უფრო რთულია, თუმცა იგი თანაბრად დამაზიანებელია.[538] სიძულვილის ენის საქმეების შეფასებასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს გზამკვლევის მიხედვით, მაგალითად, სიძულვილის ენის აშკარა მაგალითი იქნებოდა იმის პირდაპირ თქმა, რომ ლგბტქი+ ადამიანები „ავადმყოფები არიან და მკურნალობას სა-

[533] იქვე, პარა. 6.4. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.
[534] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/6951-24, პარა. 6.4.
[535] იქვე.
[536] იქვე.
[537] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 55²-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[538] Council of Europe, COMBATING HATE SPEECH IN THE MEDIA IN THE REPUBLIC OF MOLDOVA GUIDE FOR ASSESSING AND PROCESSING HATE SPEECH CASES, 2022, 18. https://rm.coe.int/guide-combating-hate-speech-in-the-media-in-moldova-coe-9-/1680a9303d განახლებულია: 08.10.2024.

ჭიროებენ“, თუმცა სიძულვილის ენა შესაძლოა, ასევე, გამოხატული იყოს ისეთ კონტექსტში, როდესაც მინიშნება კეთდება რელიგიურ და მორალურ ღირებულებებზე თავდასხმაზე.[539] სიძულვილის ენა არ არსებობს ვაკუუმში და იგი, როგორც წესი, არსებული სისტემური უთანასწორობის სიმპტომია.[540] შესაბამისად, მნიშვნელოვანია კონტექსტის შეფასება.

ხაზგასასმელია ისიც, რომ თავად კომუნიკაციების კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, იმისთვის, რომ გამოხატვა სიძულვილის ენის შემცველად იყოს მიჩნეული, აუცილებელია, იგი აქეზებდეს ძალადობას ან სიძულვილს ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის მიმართ.[541] ამ თვალსაზრისით, გამოხატვის სიძულვილის ენად კვალიფიკაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, რაც გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს, რა საკითხს ეხება პროგრამა/რეკლამა, რამდენად არის საკითხი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, სენსიტიური, კონტროვერსიული, განეკუთვნება თუ არა იგი საჯარო ინტერესის საგანს, როდის და რა ვითარებაში გავრცელდა და ა.შ.[542] ასევე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სპიკერის პოზიცია და სტატუსი საზოგადოებაში, განსაკუთრებით, პირის ან ორგანიზაციის პოზიციონირება იმ აუდიტორიის კონტექსტში, რომელსაც გამოხატვა მიემართება,[543] ასევე, გავრცელების არეალი.[544]

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ ლგბტქი+ თემის მიმართ სიძულვილის წაქეზება, შესაბამისი რიტორიკა და ქმედებები, ასევე, ამ უარყოფითი განწყობების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, სიახლე არ არის. ამაზე მეტყველებს 2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებული „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და მასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, იწვევს ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას.[545] მმართველ გუნდს, ასევე, ინიციირებული აქვს მსგავსი შინაარსის საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი.[546] აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტების და „რუსული კანონის“ ირგვლივ საჯარო დისკუსიაში მმართველი გუნდი აქტიურად იყენებდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის შემ-

[539] იქვე.

[540] OHCHR, Hate speech and incitement to hatred in the electoral context, 3, https://www.ohchr.org/sites/default/files/2024-05/information-note-hate-speech-incient-hatred-in-electoral-context.pdf, განახლებულია: 08.10.2024.

[541] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 552-ე მუხლისა და 561-ე მუხლის მე-3 პუნქტის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2024, 12, ხელმისაწვდომია: https://comcom.ge/ge/regulation/mediamomsaxureba/broadcasting/broadcasting-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva-masalebi/mediashi-sidzulvilis-enis-terorizmisken-mowodebisa-da-uxamsobis-regulirebis-shesaxeb-saxelmdzgvanelo.page, განახლებულია: 08.10.2024.

[542] იქვე, 13 - 14.

[543] იქვე.

[544] იქვე.

[545] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba#sthash.SPscjAJ3.dpbs, განახლებულია: 08.10.2024.

[546] იქვე.

ცველ ნარატივებს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ.[547]

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური გამოხატვა მაღალი ხარისხის დაცვით სარგებლობს, ის არ არის აბსოლუტური.[548] წინასაარჩევნო პერიოდში ქსენოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, საარჩევნო კონტექსტში პოლიტიკური პარტიები გამოხატვის ფართო თავისუფლებით სარგებლობენ, თუმცა რასისტული და ქსენოფობიური ენის გამოყენება საარჩევნო კონტექსტში კიდევ უფრო დამაზიანებელი ხდება და ხელს უწყობს არატოლერანტობისა და სიძულვილის გაძლიერებას.[549]

საიას შეფასებით, პრობლემურია როგორც სასამართლოს უმოქმედობა, ისე ფაქტის არასწორი კვალიფიკაცია. ხსენებული რეკლამის აუდიოვიზუალური ანალიზით იკვეთება, რომ რეკლამაში გამოყენებულია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოტივირებული სიძულვილის ენა აქტივისტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მისამართით, ამასთანავე, წაქეზებულია სიძულვილი ლგბტქი+ ადამიანების მიმართ. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია კონტექსტს, რომლის ფონზეც ეს რეკლამა გავიდა ეთერში. მაშინ, როდესაც მიმდინარე წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოში განიხილებოდა ანტილგბტქი+ კანონმდებლობა, ასევე, განხილვის პროცესშია კონსტიტუციური კანონი იმავე საკითხზე, ხოლო ამ თემის წევრებისთვის უფლებების შეზღუდვა, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო დაპირებად არის გამოცხადებული,[550] სასამართლომ საქმე ამ მოვლენებისგან იზოლირებულად განიხილა და, საიას შეფასებით, არასწორ დასკვნამდე მივიდა. შესაბამისად, ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაწყვეტილება იყო კანონთან შესაბამისი.

2. საარჩევნო რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება

2024 წლის 13 სექტემბერს კომუნიკაციების კომისიამ 4 ტელეკომპანია - საზოგადოებრივი მაუწყებელი, „მთავარი არხი”, „ტვ პირველი” და „ფორმულა” - სამართა-

[547] BMG, ლგბტ-პროპაგანდისა და NGO-ების შესახებ კანონების ინიციირებისთვის იდეალური დროა შერჩეული - ივანიშვილი, 29.04.2024, **ხელმისაწვდომია:** https://bm.ge/news/lgbt-propagandisa-da-ngo-ebis-shesakheb-kanonebis-initsiirebistvis-idealuri-droa-shercheuli-ivanishvili; **„პრემიერი - როცა საზოგადოებას ეცოდინება, ვინ აფინანსებს ამა თუ იმ ორგანიზაციას, შესაბამის ორგანიზაციას გაუჭირდება, ჩაერთოს ისეთ აქტივობებში, როგორიცაა რევოლუციური პროცესები, არეულობის შემოტანა ქვეყანაში, ლგბტ-პროპაგანდა, მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმა, ნარკოტიკების პროპაგანდა“**, **საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“,** 10.05.2024, **ხელმისაწვდომია:** https://www.interpressnews.ge/ka/article/798866-premieri-roca-sazogadoebas-ecodineba-vin-apinansebs-ama-tu-im-organizacias-shesabamis-organizacias-gauchirdeba-chaertos-iset-aktivobebshi-rogoricaa-revoluciuri-procesebi-areulobis-shemotana-kveqanashi-lgbt-propaganda-martlmadidebel-eklesiaze-tavdasxma-narkotikebis-propaganda/, განახლებულია: 08.10.2024.

[548] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Sanchez v. France, 45581/15, პარ. 148.

[549] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Féret v. Belgium, 15615/07, პარ. 76.

[550] „ისიც კი არ გაგვიგია, რომ ერთი გეიწყვილი ყოფილიყოს“ - რას ჰპირდებიან და რა უნდათ კასპელებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%B0%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1/33126680.html, განახლებულია: 08.10.2024.

ლდამრღვევებად ცნო საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ დებულებასთან მიმართებით. საუბარია იმ ნორმის დარღვევაზე, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება.[551] როგორც კომისიის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, პოლიტიკურმა პარტიებმა „ევროპულმა საქართველომ", „კი ევროპას" და „მოქალაქეებმა" ამ ტელეარხებზე განათავსეს უფასო წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურებოდა.[552]

2024 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მასალები ტელეკომპანია „ფორმულას" მიერ საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმის სავარაუდო დარღვევის თაობაზე.[553] სასამართლომ ძალაში დატოვა კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება. მისი მსჯელობით, საქმეზე წარმოდგენილი იყო ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ასახავს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საჯარო განცხადებებს იმის თაობაზე, რომ 2024 წლის არჩევნებზე ისინი ერთიანდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.[554] სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან „ევროპულ საქართველოს", „კი ევროპას" და „მოქალაქეებს" საჯაროდ ჰქონდათ დაანონსებული სხვა პარტიებთან გაერთიანება, მათ მიერ განთავსებული რეკლამა იყო ამ პარტიების ხელშემწყობი, რითაც დაირღვა 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი.[555] სასამართლოს ეს შეფასება არ ემყარება უტყუარ ფაქტებს და იგი მხოლოდ გარკვეულ განცხადებებზეა დაფუძნებული. დასახელებული პოლიტიკური პარტიები, იმ პერიოდში, როცა რეკლამები გადიოდა ეთერში, ოფიციალურად არ იყვნენ გაერთიანებულნი ერთ შემთხვევაში - „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობასთან", ხოლო მეორე შემთხვევაში - კოალიციასთან „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის". შესაბამისად, სასამართლომ თავისი პოზიცია დააფუძნა მხოლოდ ზეპირ განცხადებებს და სამომავლო ჰიპოთეზურ მოვლენას. ამასთანავე, „ფორმულას" პოზიციით, ამ სუბიექტებს ერთიანი პარტიული სიების წარდგენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად დრო 2024 წლის 26 სექტემბრამდე ჰქონდათ.[556] აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების პერიოდში ისინი ოფიციალურად არ შედიოდნენ ზემოხსენებულ კოალიციებში. გარდა ამისა, ტელეკომპანიის მტკიცებით, ის ხელმძღვანელობდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით საარჩევნო სუბიექტების შესახებ.[557] შესაბამისად, მედიასაშუალება გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა ჰიპოთეზურ მოცემულობასა და სამომავლო ალბათობებზე დაყრდნობით. საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი. ზემოთ დასახელებული პოლიტიკური პარტიების მიერ გავრცელებული საარჩევნო რეკლამების შინაარსი და ვიზუალი ცალსახად მიუთითებს, რომ თითოეულ შემთხვევაში რეკლამა გაკეთებულია უშუალოდ „ევროპული საქართველოს", „კი ევროპას" და „მოქალაქეების" სა-

[551] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 13 სექტემბრის №g-24-04/1989 გადაწყვეტილება.
[552] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი.
[553] თბილისის საქალაქო სასამართლოს №4/6953-24 დადგენილება, პარა. 1.
[554] „ევროპული საქართველოს" და „კი ევროპას" განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, ისინი ერთიანდებიან „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობასთან", ხოლო „მოქალაქეები" - კოალიციასთან „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის". თბილისის საქალაქო სასამართლოს №4/6953-24 დადგენილება, პარა. 6.21.
[555] თბილისის საქალაქო სასამართლოს №4/6953-24 დადგენილება, პარა. 6.22.
[556] იქვე, პარა. 4.1.
[557] იქვე.

სარგებლოდ. ვიდეორგოლებში ჩანს ამ სუბიექტთა ნომერი, მათი სახელი და არის წერილობითი მოწოდება, რომ მათ მისცეს ამომრჩეველმა ხმა. ამ რეკლამებში მოხსენიებული არ არის სხვა პოლიტიკური გაერთიანება თუ პარტია, რომლის სასარგებლოდაც მოქალაქეებმა არჩევანი უნდა გააკეთონ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ იკვეთება საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-18 ნაწილის დარღვევა, **ამიტომ,** არც კომისიას და არც სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოთ.

3. კვალიფიციურ სუბიექტად აღიარება

2024 წლის 16 სექტემბერს ტელეკომპანია „ფორმულას“ მიმართა პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“ და მოითხოვა მისთვის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის მინიჭება, შესაბამისად, უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის განსაზღვრული საეთერო დროის გამოყოფა.[558] „ფორმულამ“ იხელმძღვანელა საარჩევნო კოდექსის ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული და ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად (არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად), სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით.[559] მედიასაშუალება დაეყრდნო Edison Research-ის კვლევებს, რომელთა საფუძველზეც, მიიღო გადაწყვეტილება პარტიისთვის კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მინიჭებისა და მისთვის უფასო სარეკლამო დროის გამოყოფის თაობაზე.[560] ამასთანავე, საარჩევნო კოდექსით დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს კვლევა, რომლითაც შემდგომ ტელევიზია ხელმძღვანელობს.[561]

კომუნიკაციების კომისიის პოზიციით, ტელეკომპანიას თავად უნდა გადაემოწმებინა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებთან იმ კვლევის შესაბამისობა, რომელსაც ეყრდნობოდა.[562] ამის საპასუხოდ, მედიასაშუალებამ კომისიას წარუდგინა წერილი, რომელშიც აღწერილია, როგორ აკმაყოფილებს კვლევა კანონისმიერ მოთხოვნებს.[563] კომისიამ კვლავ მიუთითა, რომ ტელეკომპანიას უნდა გადაემოწმებინა კვლევის შესაბამისობა მოთხოვნებთან და იქვე დასძინა, რომ ასეთი გადამოწმების დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი არ ყოფილა.[564] „ფორმულამ“, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ Edison Research-ის მიერ ჩატარებული კვლევები პასუხობდა კანონის მოთხოვნებს და მისი შედეგები ტელეკომპანიისთვის იყო სანდო და გადამოწმებული.[565] „ფორმულამ“ დამატებით წარმოადგინა Edison Research-ის წერილი მათი საქმიანობის შესახებ, ასევე, ტექნიკური დოკუმენტაცია კვლევის თა-

[558] „ფორმულას“ წერილი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, №567, 2024 წლის 30 სექტემბერი.
[559] იქვე.
[560] იქვე.
[561] საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“, 186-ე მუხლის მე-12 ნაწილი.
[562] კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 1-ლი ოქტომბრის №გ-24-04/2199 წერილი.
[563] „ფორმულას“ წერილი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, №569, 2024 წლის 2 ოქტომბერი.
[564] კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 4 ოქტომბრის №გ-24-04/2236 წერილი.
[565] „ფორმულას“ წერილი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, №575, 2024 წლის 5 ოქტომბერი.

ობაზე.[566] საბოლოოდ, კომისიამ არ გაიზიარა ტელევიზიის პოზიცია და მას ოქმი შეუდგინა.[567]

საქმე გაგრძელდა საქალაქო სასამართლოში, რომელმაც „ფორმულა“ სამართალდამრღვევად მიიჩნია.[568] სასამართლომ განმარტა, რომ ტელეკომპანიის მიერ პარტიის კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად მიჩნევა მოხდა საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-9 ნაწილის დარღვევით.[569] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის ბოლო წინადადებაც მაუწყებელს აკისრებს პასუხისმგებლობას კოდექსის 186-ე მუხლით დადგენილი სხვა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.

186-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით.[570] საია მიიჩნევს, რომ სასამართლომ ეს ნორმა არასწორად განმარტა. მასში არ იკვეთება მაუწყებლის ვალდებულება, გადაამოწმოს კანონის მოთხოვნებთან კვლევის შინაარსის შესაბამისობა. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადებაც. მასში ნახსენები ტერმინი „ვალდებულება“ არ გულისხმობს 186-ე მუხლის ზემოთ მოყვანილ კონკრეტულ ნორმას, რადგან თავად ეს ჩანაწერი არ არის მავალდებულებელი. სასამართლომ, ნორმების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად, ტელეკომპანიას დააკისრა ვალდებულება, შეესწავლა და გადაემოწმებინა ჩატარებული კვლევის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან.[571] ამგვარი დავალება გულისხმობს ტელეკომპანიისთვის პრაქტიკულად ახალი კვლევის ჩატარებას, რაც დაუსაბუთებლად მაღალი ტვირთია მისთვის. ამასთანავე, ამგვარი ვალდებულება არ გამომდინარეობს სასამართლოს მიერ მოყვანილი ნორმების სისტემური და მიზნობრივი განმარტებიდან. შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, მასში მოყვანილი მსჯელობა არ ეფუძნება ნორმის განმარტების მეთოდებს**,** აქედან გამომდინარე, „ფორმულასთვის**“** დაკისრებული ჯარიმაც უკანონოა.

ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებები

არჩევნების წელს და წინასაარჩევნო პერიოდში სამოქალაქო აქტივიზმისა და პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი აამოქმედა ანტიკორუფციულმა ბიურომ. თავისი გადაწყვეტილებებით, მან არსებითად შეუშალა ხელი სამოქალაქო აქტივიზმის განხორციელებაში სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპას“, ასევე, არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციას

[566] იქვე.
[567] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი №000078 ტელეკომპანია „ფორმულას“ წინააღმდეგ.
[568] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება საქმეზე №4/7654-24, 2024 წლის 13 ოქტომბერი, პარა. 7.
[569] იქვე, პარა. 7.2.
[570] საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“, 186-ე მუხლის მე-9 პუნქტი.
[571] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება საქმეზე №4/7654-24, 2024 წლის 13 ოქტომბერი, პარა. 7.2.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.“ გარდა ამისა, ბიურომ ერთ-ერთი პრობლემური გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებით.

1. პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგისტრაციის გაუქმება

ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე, 2024 წლის 8 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, რეგისტრაცია გაუუქმდა პოლიტიკურ პარტია „კონსერვატიულ მოძრაობა - ალტ-ინფოს“.[572] გაუქმების მიზეზად დასახელდა ხარვეზი რეგისტრაციის მომენტში - 2021 წლის დეკემბერში. საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ხარვეზის დადგენის შემდეგ პარტიას მიეცა მისი გამოსწორების შესაძლებლობა, რაც ამ უკანასკნელმა წარმატებით განახორციელა. კორექტირებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით, პარტია დარეგისტრირდა. 2024 წლის აპრილში კი დოკუმენტაციაში კვლავ აღმოჩნდა ხარვეზი - პარტიის რეგისტრაციისას მისი წესდება დამტკიცებული უნდა იყოს ყრილობის მიერ, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ კი ის მხოლოდ პარტიის თავმჯდომარის, კონსტანტინე მორგოშიას ხელმოწერით წარადგინა. ეს ტექნიკური ხარვეზი გახდა ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვისა და საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების საფუძველი.

საარჩევნო წელს ამ ხარვეზის გააქტიურებას და პარტიის გაუქმებას მისი ლიდერები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაციას უკავშირებენ. თუმცა, რეგისტრაციის გაუქმების შედეგად, მათ არჩევნებში მონაწილეობაც აეკრძალათ.

ამის შემდეგ „კონსერვატიულ მოძრაობას“ ახალი პარტია დაუთმეს,[573] თუმცა, საჯარო რეესტრის მიმართვის საფუძველზე, ცესკომ საარჩევნო რეგისტრაციის პროცედურები შეაჩერა.[574] „ალტ-ინფოს“ ლიდერის, გიორგი ქარდავას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ქართულ იდეას“ არანაირი სამართლებრივი ხარვეზი არ უფიქსირდება, მათ ვერ შეძლეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა.[575]

მართალია, „ალტ-ინფო“ განსაკუთრებულად რადიკალური მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პარტიაა, რომლის ლიდერებიც გამოირჩევიან ანტიდასავლური რიტორიკით, ჰომოფობიური განცხადებებითა და სიძულვილის ენის გავრცელებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მისი რეგისტრაციის დოკუმენტებში გამოვლინდა წლების წინ დაშვებული ხარვეზები, სახიფათო პრეცედენტს ქმნის. ჩნდება ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ არაკეთილსინდისიერად იყენებდა ად-

[572] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №P24000027/0-1 გადაწყვეტილება „რეგისტრაციის შესახებ №P21000039/0-1 (07/12/2021) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე“.

[573] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეა“.

[574] სააგენტომ ცესკოს აცნობა, რომ მათ წარმოებაში აქვთ საჩივარი, რომელიც ეხება მპგ-ის „ქართული იდეა“ რეგისტრირებული მონაცემების კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს. „ცესკოს განცხადება მპგ-ის „ქართული იდეა“ შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033390-tseskos-gantskhadebampg-is-kartuli-idea-shesakheb, განახლებულია: 12.12.2024.

[575] „ცესკომ „ალტ-ინფოს“ ახალი პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია შეაჩერა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32921684.html, განახლებულია: 12.12.2024.

მინისტრაციულ ორგანოებში არსებულ გავლენებს და ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდა მის ელექტორალურ კონკურენტს, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება თავისუფალ, დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს.

2. სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“ საქმე

2024 წლის 6 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ა(ა)იპ სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპისა“ და მათი დამფუძნებლების მოქმედ და გაუქმებულ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვნის შუამდგომლობით. იმავე ინფორმაციის მიწოდება დაევალათ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ საბანკო დაწესებულებებსაც. ამის საფუძვლად ბიურომ დაასახელა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის („ორგანული კანონი“) 34[1]-ე მუხლის მე-2[1] პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, პოლიტიკური პარტიის ან გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, ნებისმიერი პირისგან გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა).

დასაბუთებაში ბიურო ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკური პარტიის ქონებაზე - შემოწირულებებსა და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე. ამასთანავე, „აირჩიე ევროპის“ საქმიანობას, ფაქტობრივად, აკვალიფიცირებდა „ისეთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ მოქმედებებად, რომლებიც ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზანს“.[576] შესაბამისად, შემოწირულებებთან მიმართებით მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს განავრცობდა სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“ შემოსავლებზეც, რადგან, ბიუროს დასაბუთებით, ორგანიზაცია ახორციელებდა კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისგან თავის შეკავების კამპანიას[577] და მიღებულ თანხებს იყენებდა ამ პარტიის საწინააღმდეგო აქტივობებისთვის. ანტიკორუფციული ბიურო შემოწირულების მიმღებს ავალდებულებდა, მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში წარედგინა ამის შესახებ ინფორმაცია.[578] გარდა ამისა, ბიურო შუამდგომლობაში მიუთითებდა შემოწირულებების მიღების აკრძალვაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირებისგან.[579] სასამართლომ თავის ბრძანებაში არსებითად გაიზიარა ბიუროს არგუმენტაცია და შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ანტიკორუფციულ ბიუროს აქვს მიმართვის, ხოლო სასამართლოს - თავისი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

ბიუროს უნდა დაედგინა, სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ ექცეოდა თუ არა მის მიერ დასახელებული სამართლებრივი ნორმების მოქმედების სფეროსა და სუბიექტების წრეში. ის ფაქტი, რომ მან პირდაპირ, ყოველგვარი წინასწარი დადგენის, მხარისთვის შეტყობინებისა და მათი არგუმენტების მოსმენის გარეშე დაიწყო ორგანიზაციის მონიტორინგი, შესაძლოა, ზღუდავდეს დაინტერესებული მხარის

[576] საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს 2024 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობა პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის მიზნით საჭირო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ.
[577] იქვე, მუხლი 25, პუნქტი 4.
[578] იქვე, მუხლი 27[1], პუნქტი 1.
[579] იქვე, მუხლი 26, პუნქტი 1.

ჩართულობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების, მათ შორის, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას. შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროს, ისევე, როგორც შუამდგომლობის განმხილველ სასამართლოს, უნდა ემსჯელა, ექცეოდა თუ არა სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ ორგანული კანონის შესაბამისი მუხლების რეგულირების ქვეშ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციული ბიურო, მონიტორინგის ფარგლებში, მოითხოვდა მოძრაობის დამფუძნებელი ფიზიკური პირების ანგარიშებისა და ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის გადაცემას 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 26 ივლისის ჩათვლით პერიოდში. მოძრაობა ოფიციალურად დაფუძნდა 2024 წლის 11 ივლისს. გაურკვეველია, ფიზიკური პირების შესახებ ამ პერიოდის ინფორმაციის გამოთხოვნის რა საჭიროება არსებობდა და რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა მას მონიტორინგისთვის. ასევე, ბუნდოვანია ზღვარი სამოქალაქო მოძრაობას, როგორც იურიდიულ პირსა და მის დამფუძნებლებს შორის. ანტიკორუფციულმა ბიურომ ერთიანად მოაქცია მონიტორინგში როგორც ორგანიზაცია, ისე მისი დამფუძნებლები. აქედან გამომდინარე, ბიუროს უნდა დაესაბუთებინა არა მხოლოდ ის, რატომ ითხოვდა ინფორმაციას, არამედ, ასევე, ამ ინფორმაციის მოცულობის და მასშტაბის საჭიროებაც.

ორგანული კანონის მიხედვით, ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და მონიტორინგი არ ვრცელდება გამოხატვის თავისუფლებასა და სამოქალაქო აქტივობაზე.[580] მიუხედავად ამისა, საიასთვის მიწოდებულ საქმის მასალებზე დაყრდნობით, არც ანტიკორუფციულ ბიუროს და არც სასამართლოს არ შეუფასებია, ვრცელდებოდა თუ არა ეს საგამონაკლისო წესი სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“ საქმიანობაზე.

კანონით დაშვებული შემოსავლების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ფინანსური მონიტორინგის უფლებამოსილება არ უნდა იყოს სამოქალაქო მოძრაობის საქმიანობისა (სამოქალაქო აქტივიზმისა) და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტი.[581] გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების სასიცოცხლო უფლება, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გააძლიეროს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) საჯარო დებატების მეშვეობით.[582] ვენეციის კომისიის თანახმად, გამოხატვის თავისუფლებაში ექცევა პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი მოსაზრება.[583] ამ უფლების პატივისცემის ვალდებულება აქვს ყველა სახელმწიფო უწყებას. შესაბამისად, სადავო შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო, საქმე განეხილა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტშიც.

სამოქალაქო მოძრაობაზე ორგანული კანონით დაწესებული შეზღუდვების გავრცელების ნაცვლად, სასამართლოს ჯერ უნდა ემსჯელა გამოხატვის თავისუფლების ჭრილში და განესაზღვრა, მოქმედებდა თუ არა „აირჩიე ევროპა“ ამ უფლების ფარგლებში. მან არ დაასაბუთა, სამოქალაქო ორგანიზაცია ექცეოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და რამდენად უზრუნველყოფდა მონიტორინგი ამ უფლების შეუფერხებელ განხორციელებას. ეს რისკი კანონმდებელმა სასამა-

[580] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 26[1], პუნქტი 6.
[581] იქვე.
[582] Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Georgia on the Question of the Defamation of the Deceased, The Venice Commission, CDL-AD(2014)040, 12-13 December, 2014, 19.
[583] იქვე, 21.

რთლოსთვის სავალდებულო განხილვის წესით დააზღვია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ შეაფასა ანტიკორუფციული ბიუროს დასაბუთება და მხოლოდ მის არგუმენტებს დაეყრდნო. „აირჩიე ევროპამ“ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრა, თუმცა ის უცვლელად დარჩა.

საიას მოსაზრებით, ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა დაესაბუთებინა თავისი მიმართვა არა მხოლოდ ინფორმაციის გამოთხოვნის, არამედ ორგანიზაციისთვის უფლების შეზღუდვის ნაწილშიც. იგივე ვალდებულება ვრცელდება სასამართლოზეც, რომელიც არის პირთა უფლებების გარანტი და უნდა იცავდეს მათ სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო თვითნებური ჩარევებისგან. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არსებითად მიჰყვება ბიუროს მიმართვას და საკუთარ არგუმენტაციას ნაკლებად ავითარებს.

3. სადამკვირვებლო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საქმე

ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან სადამკვირვებლო ორგანიზაციის დისკრედიტაციის კიდევ ერთი მცდელობა იყო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მისი აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურისთვის განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭების თაობაზე.[584] ბიუროს არგუმენტაციით, ორგანიზაცია და მისი აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებდნენ საარჩევნო კამპანიას ერთი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ და ამისთვის ხარჯავდნენ შესაბამის მატერიალურ რესურსს. სწორედ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მათზე საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის სტატუსის მარეგულირებელი წესები გაავრცელა.

აღსანიშნავია, რომ არც ამ ორგანიზაციას და არც მის აღმასრულებელ დირექტორს არ ჰქონდათ ხელისუფლებაში მოსვლის განცხადებული სურვილი, რაც აუცილებელი ელემენტია მათი საქმიანობის განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად კვალიფიკაციისთვის. თუმცა ანტიკორუფციულმა ბიურომ იხელმძღვანელა „აირჩიე ევროპის“ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი არასწორი სტანდარტით და „განცხადებული საარჩევნო მიზანი“ განმარტა თვითნებურად.

ორგანიზაციამ ეს გადაწყვეტილება 26 სექტემბერს საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა.[585] ამასთანავე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს აქტის შეჩერების შუამდგომლობით მიმართა. საქალაქო სასამართლომ, ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მასალების არადამაჯერებლობის მოტივით, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.[586] შედეგად, ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ამ პირობებში ის ვეღარ შეძლებდა 2024

[584] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №03/028-24, ხელმისაწვდომია: https://acb.gov.ge/ka/news/antikoruftsiuli-biuros-ufrosis-2024tslis-24-sektembris-gadatsqvetileba.

[585] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ „ქართული ოცნების“ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelom-kartuli-ocnebisantikorupciuli-biuros-gadacqvetileba, განახლებულია: 12.12.2024.

[586] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 27 სექტემბრის განჩინება №3/796-24.

წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვებას.[587]

საბოლოოდ, 1-ელ ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდა, დისკრეციის ფარგლებში გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მისი აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურისთვის „განცხადებული საარჩევნო მიზნის“ მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭების შესახებ.[588] მან უწყებას ასევე მიმართა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში თავი შეეკავებინა სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის მსგავსი სტატუსის მინიჭებისგან. ბიუროს ხელმძღვანელმა რაჟდენ კუპრაშვილმა, პრემიერ-მინისტრის მოწოდების საპასუხოდ, 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება გააუქმა.[589]

საიას მოსაზრებით, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მისი დირექტორის, ეკა გიგაურისთვის „განცხადებული საარჩევნო მიზნის“ მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭება იყო უკანონო, რადგან არ შეესაბამებოდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ დეფინიციას.[590] **ორგანიზაციის აზრით, ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია სახიფათო პრეცედენტს ქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულად შეზღუდვის კუთხით, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება არჩევნების სადამკვირვებლო ორგანიზაციას.**

ამასთანავე, ანტიკორუფციული ბიუროს მიმართ პრემიერ-მინისტრის მოწოდება და მის საქმიანობაში ჩარევა მიუთითებს მისი, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, ინსტიტუციური სუვერენიტეტის დაბალ ხარისხსა და პოლიტიზების მაღალ დონეზე.

მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

საიამ გრძელვადიანი მონიტორინგის მიზნებისთვის, არჩევნებამდე, წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში 165-ჯერ მიმართა სხვადასხვა საჯარო უწყებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. 49 შემთხვევაში ორგანიზაციის მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა. მათ შორის, ინფორმაცია არ მოუწოდებიათ: საქართველოს საგარეო საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს - 1 შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს

[587] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო”: ჩვენი სახელით არჩევნებს ვერ დავაკვირდებით, ვაგრძელებთ ინდივიდუალურ ბრძოლას ხმების დაცვისთვის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvalobasakartvelo-chveni-saxelit-archevnebs-ver-davakvirdebit-vagrzelebt, განახლებულია: 12.12.2024.

[588] საქართველოს მთავრობის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0ddgXjN36XYzTqVYig1eNC8t7BfXqdfZ9kHQdqYKf1zZZbPXzt26hzVngudsaFszyl, განახლებულია: 12.12.2024.

[589] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, რაჟდენ კუპრაშვილის ბრიფინგი, ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https:// www.facebook.com/100090428315724/videos/3859307714285208, განახლებულია: 12.12.2024.

[590] „საია და „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევენ, რომ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება უკანონოა“, საიასა და „სამართლიანი არჩევნების“ განცხადება, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-da-samartliani-archevnebi-miichnevenrom-antikorufciuli-biuros-gadatsyvetilebaukanonoa#sthash.TRmTGxrt.dpbs, განახლებულია: 12.12.2024.

კი - 14 შემთხვევაში. ასევე, წერილებს არ უპასუხა 24 მუნიციპალიტეტის მერიამ. მიღებული პასუხების ზოგადი ანალიზის შედეგად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა:

- შემთხვევები, როდესაც საჯარო უწყებებს არანაირი პასუხი არ გაუციათ;
- უწყებები ვადის დაცვით აგზავნიან საპასუხო წერილს, რომელშიც 10-დღიანი ვადის გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებენ, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ ორგანიზაციას მოთხოვნილ ინფორმაციას არ აწვდიან;
- პასუხები არ არის სრულყოფილი და ვერ იძლევა დასმულ კითხვაზე ამომწურავ ინფორმაციას;
- ზოგიერთი ორგანო, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნესა ან სხვა ოფიციალურ ვებგვერდზე, ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, არ იყო მითითებული სათანადო ბმული, რაც, არსებითად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაა, მით უფრო მაშინ, როდესაც წერილით მოთხოვნილი და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია. საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომა ზღუდავს დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას და ხელს უშლის გრძელვადიანი მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას.



საია მოუწოდებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, რათა მათ ჯეროვნად განახორციელონ საარჩევნო გარემოს მონიტორინგი.

III ნაწილი – არჩევნების დღე

ცვლილება წილისყრის პროცედურასთან დაკავშირებით

ცესკოს მიერ 2024 წლის 16 აგვისტოს მიღებული განკარგულებით შეიცვალა წილისყრის ჩატარების ვადა: თუ ადრე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა კენჭისყრის დღეს ტარდებოდა, ახალი რეგულაციის მიხედვით, იგი უნდა ჩატარებულიყო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა. ამ ცვლილების შესაბამისად, საუბნო კომისიებმა პროცედურა ერთიანად, 2024 წლის 18 ოქტომბერს, 12:00 საათზე დანიშნეს. ამის შესახებ საიას სადამკვირვებლო მისიამ ინფორმაცია მხოლოდ წილისყრის წინა დღეს, 17 ოქტომბერს, 20:27 საათზე მიიღო.[591]

შემჭიდროებული ვადების მიუხედავად, საიამ შეძლო 18 უბნის წილისყრის პროცედურაზე დაკვირვება. აღსანიშნავია, რომ ამ უბნების დაახლოებით 30%-ზე წილისყრა დროზე ადრე დაიწყო, ზოგან კი, პირიქით - გვიან. მაგალითად, ჩუღურეთის ოლქის მე-9 უბანზე საიას დამკვირვებლის მისვლისას, 12:00 საათზე, პროცედურა უკვე დასრულებული იყო. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა მთაწმინდის ოლქის 1-ელ და ბათუმის ოლქის მე-2 უბნებზეც. ქუთაისის ოლქის მე-15 უბანზე კი, კომისიის წევრთა დაგვიანების გამო, წილისყრის პროცედურა, დაახლოებით, 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. იგივე მოხდა ბათუმის ოლქის მე-7 უბანზეც. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირით ადრე ჩატარებულ წილისყრებს კომისიის ზოგიერთი, მათ შორის, პარტიული წევრები არ ესწრებოდნენ.

მონიტორინგის ფარგლებში, საიამ საუბნო საარჩევნო კომისიას წარუდგინა ერთი საჩივარი გადასატანი ყუთის წამღები კომისიის წევრის არჩევასთან დაკავშირებით. ნაძალადევის ოლქის მე-19 უბნის კომისიის თავმჯდომარემ პარტიული წევრებიდან გადასატანი ყუთის წამღები პირების გამოვლენისას ფუნქცია კენჭისყრის გარეშე, პირდაპირ მიანიჭა იმ წევრს, რომელიც იმ მომენტში პროცედურას ესწრებოდა (აღსანიშნავია, რომ ესწრებოდა მხოლოდ ერთი პარტიული წევრი). გასაჩივრების შემდეგ დარღვევა გამოსწორდა და თავმჯდომარემ წილისყრა ხელახლა ჩაატარა.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ მე-5, 57-ე და 52-ე უბნებზე წილისყრის პროცედურა კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა (19 ოქტომბერი) არ ჩატარებულა, არამედ კომისიის წევრებს შორის ფუნქციები 26 ოქტომბერს გადანაწილდა. საიას დამკვირვებლებმა ამასთან დაკავშირებით შენიშვნა დააფიქსირეს. ცესკოს ინფორმაციით, სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრის პროცედურა, კომისიის შეკრებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, კენჭისყრის (არჩევნების) დღეს გაიმართა.[592]

2024 წლის 20 აგვისტოს საიამ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის" სარჩელზე, რომელიც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ №32/2024 დადგენილებას ეხებოდა.[593]

---

[591] „2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურისა და ვადის განსაზღვრის შესახებ" ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს №32/2024 დადგენილებას მხარი დაუჭირა ცესკოს 12-მა წევრმა: 1. გიორგი კალანდარიშვილი; 2. გიორგი შარაბიძე; 3. გიორგი ჯავახიშვილი; 4. არჩილ ანასაშვილი; 5. ნინო ბასილაია; 6. მაია ზარიძე; 7. ივანე ნორაკიძე; 8. გია ცაცაშვილი; 9. გიორგი ძაგანია; 10. გიორგი ჭიქაბერიძე; 11. დიმიტრი ჯავახაძე; 12. ლევან ჯგერენაია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 სექტემბერი №01-01/1607 წერილი.

[592] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 30 დეკემბრის №01-02/2380 წერილი.

[593] „ცესკოს მიერ წილისყრის პროცედურის ცვლილებასთან დაკავშირებით საიამ სასამართლო მეგობრის

საიას შეფასებით, ცესკომ არასწორად განმარტა ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და სადავო დადგენილება ცვლილების საჭიროების სათანადო დასაბუთებისა და ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო. ცვლილების შედეგად, გაუარესდა საარჩევნო კანონმდებლობა, გართულდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობა, ხოლო პროცესი გახდა გაუმჭვირვალე.

წილისყრის პროცედურა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლავ უნდა ჩატარდეს არჩევნების დღეს.

საარჩევნო უბნის მომზადება და გახსნა

1. საარჩევნო უბნის გახსნა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო უბანი კენჭისყრის დღეს, 6 საათსა და 45 წუთზე იხსნება.[594] იმ უბნების უმეტესობა, სადაც საიას დამკვირვებლები ჰყავდა განაწილებული, დროულად და არსებითი დარღვევების გარეშე გაიხსნა.

ცალკეული საარჩევნო უბნები გაიხსნა კანონით დადგენილ დროზე ადრე. აღსანიშნავია, რომ ადრე გახსნილი უბნებიდან ერთზე უკვე დამონტაჟებული იყო „ქართული ოცნების“ ვიდეოკამერა. სხვა შემთხვევაში კი, კომისიას 06:33 საათზე უკვე დაწყებული ჰქონდა საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელება. ამის გამო, დამკვირვებელს არ მიეცა შესაძლებლობა, სრულფასოვნად დაჰკვირვებოდა დალუქული პაკეტების გახსნის, მოწყობილობების გააქტიურების და დალუქვის პროცედურებს.[595]

გარკვეული უბნები, პირიქით, დადგენილ დროზე გვიან გაიხსნა. საიას დამკვირვებლებმა 12 ასეთი შემთხვევა აღრიცხეს.[596] უბნების გვიან გახსნის მიზეზები იყო: კომისიის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების არასათანადო ცოდნა, მათი დროულად გამოუცხადებლობა, ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების შეფერხებით ჩართვა-გამზადება, საარჩევნო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტის გაჭიანურებული შედგენა. დიდუბის 27-ე და ისნის 28-ე უბნების დაგვიანებით გახსნამ რიგები და ამომრჩევლის უკმაყოფილება გამოიწვია. დაგვიანებით გახსნის მიზეზი კი კომისიის წევრთა ფუნქცია-მოვალეობების არასათანადო ცოდნა გახდა. საიას წარმომადგენელმა 28-ე უბნის დაგვიანებით გახსნასთან დაკავშირებით საჩივარი დაწერა.

2. კენჭისყრის ოთახის არასათანადო მოწყობა

საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა, საოლქო კომისიისგან მიღებული ინვენტარით, ელექტრონული აპარატების გააქტიურების გარეშე, აწყობს კენჭისყრის შენობას.[597] *აუცილებელია უბნის იმგვარად მოწყობა, რომ ამომ-*

მოსაზრება (Amicus Curiae) წარადგინა“, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/ceskos-mier-tsilisyris-proceduris-cvlilebastan-dakavshirebit-saiam-sasamartlo-megobris-mosazreba-amicus-curiae-tsaradgina?fbclid=IwY2xjawI02cNleHRuA2FlbQIxMAABHSuiy8Vm8vw1y1am1tL1YtYLMu0tg-UC56Z2iMqveO6D0evYpHsMZ8dHag_aem_leKdXaE2S73gQpZQAt9OVQ#sthash.mmKLJx88.dpbs.

[594] საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[595] დადგენილ დროზე ადრე გაიხსნა საბურთალოს 1-ლი, ნაძალადევის 33-ე, 41-ე, 27-ე და დიდუბის ოლქის მე-12 უბნები.

[596] დადგენილ დროზე გვიან გაიხსნა: დიდუბის 27-ე, 28-ე, გლდანის 39-ე, 47-ე, 69-ე, ნაძალადევის მე-8, მე-13, მე-18, 64-ე, ლაგოდეხის მე-16, ახალციხის მე-9, ზესტაფონის მე-6 უბნები.

[597] საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

რჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა არ დაირღვეს.[598] *ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, კაბინის გახსნილი მხარე/შესასვლელი მიმართული იყოს შენობის კედლისკენ.*[599] *კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსიები,*[600] *აგრეთვე, ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.*[601] *იმ უბნებზე, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა წარიმართოს, საჭიროა, რომ ამომრჩეველთა რეგისტრატორების მაგიდებზე განთავსდეს შიდა ქსელის კაბელის მეშვეობით სინქრონიზებული ვერიფიკაციის აპარატები და აპარატებიდან ამობეჭდილი ქვითრების შესანახი გაუმჭვირვალე ყუთები. ძირითადი საარჩევნო ყუთები უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას, რათა ამომრჩევლებს ჰქონდეთ მათთან შეუფერხებელი წვდომა. საუბნო საარჩევნო კომისიას, კენჭისყრის დღეს შესაბამისი ფუნქციების განსახორციელებლად, საოლქო კომისიისგან ასევე უნდა გადაეცეს მარკირების სითხეები, მარკირების შესამოწმებელი სპეციალური ხელსაწყოები და ყველა სხვა საჭირო ინვენტარი.*

საიას სადამკვირვებლო მისიამ აღრიცხა კენჭისყრის ოთახის არასათანადოდ მოწყობის შემთხვევები. ორგანიზაციის დამკვირვებლის ზეპირი ან წერილობითი შენიშვნის შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, უმრავლეს შემთხვევაში, ცდილობდნენ ხარვეზის გამოსწორებას.

კრწანისის 21-ე, ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ უბანზე გამოკრული იყო როგორც ელექტრონული, ასევე არაელექტრონული უბნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი. ეს უკანასკნელი ამომრჩეველს, გაფერადების ნაცვლად, სასურველი კანდიდატის შემოხაზვისკენ მოუწოდებდა. საიას დამკვირვებლის ზეპირი მითითების შედეგად, ის ჩამოიხსნა.

რამდენიმე საარჩევნო უბანზე გამოვლინდა ფარული ხმის მიცემის კაბინების მოწყობის წესის დარღვევა. მაგალითად, ქუთაისის 70-ე უბანზე კენჭისყრის კაბინების წინა მხარე სრულად იყო დახურული, რითაც დაირღვა დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, კაბინა წინა მხრიდან ისე უნდა იყოს ამოჭრილი, რომ ამომრჩევლების მიერ მონიშნული ბიულეტენის ფოტოგადაღებას ხელი შეუშალოს. მსგავსი ხარვეზი დაფიქსირდა ხონის მე-2 და გლდანის მე-15 უბნებზეც, თუმცა საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ ისინი გამოსწორდა. გარდაბნის ოლქის 48-ე უბანზე, კაბინების მოწყობის წესის დარღვევასთან დაკავშირებით, საიას დამკვირვებელი კომისიის თავმჯდომარეს ზემდგომ კომისიაში დარეკვისა და ხარვეზის აღმოფხვრისკენ მოუწოდებდა, თუმცა მან ამაზე უარი განაცხადა. კომისიამ არც საიას საჩივარი ჩაიბარა. დამკვირვებელი რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა უბანზე, რა დროსაც მას ეს ხარვეზი გამოსწორებული დახვდა.

ცალკეული უბნები, მაგალითად, ვაკის ოლქის 70-ე უბანი, განთავსებული იყო მცირეფართიან ოთახში, რაც ასევე ხელს უშლიდა ფარულობის დაცვას. ამასთანავე, ფართის სიმცირის გამო, უბანზე იყო ხალხმრავლობა და ქაოსი.

ზოგიერთ უბანზე პრობლემური იყო სარეგისტრაციო მაგიდების განლაგებაც, რაც დამკვირვებლებს ვერიფიკაციის პროცესზე სათანადოდ დაკვირვების შესაძლებლობას არ აძლევდა. ამასთან დაკავშირებით საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა ბაღდათის მე-4 უბანზე.

---

[598] საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[599] საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია.
[600] იქვე, 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.
[601] საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

ნაძალადევის მე-19, გლდანის 61-ე და ბაღდათის მე-3 უბნებზე სადემონსტრაციო ოქმი არ იყო შევსებული. საიას დამკვირვებლებმა ამის შესახებ მიმართეს კომისიის თავმჯდომარეს და მოსთხოვეს პრობლემის აღმოფხვრა. სამივე შემთხვევაში, სადემონსტრაციო ოქმი შეივსო.

წერილობითი შენიშვნა დაიწერა საბურთალოს ოლქის მე-11 უბანზე, სადაც ამომრჩეველთა ერთიანი სია მხოლოდ უბნის შიგნით იყო გამოკრული.

კენჭისყრის პროცესი

1. კენჭისყრის დაგვიანებით დაწყება

კენჭისყრა იწყება დილის 8 საათზე.[602] ზოგიერთ უბანზე, სადაც საიას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, კენჭისყრის პროცესის დაწყება რამდენიმე წუთით დაგვიანდა.[603] ტექნიკური პრობლემების გამო, გვიან გაიხსნა ქუთაისის 43-ე უბანი, სადაც ვერ ხერხდებოდა ვერიფიკაციის აპარატების სინქრონიზაცია. საჭირო გახდა საოლქო საარჩევნო კომისიიდან ტექნიკური მუშაკის გამოძახება, რომლის დახმარებითაც, პრობლემა აღმოიფხვრა.

საზღვარგარეთის მე-15 და მე-19 უბნებზე კენჭისყრის პროცესი დაიწყო 20 წუთის დაგვიანებით, იმ მიზეზით, რომ მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს არ ჰქონდა ელემენტები. მე-19 უბნის თავმჯდომარის განმარტებით, მათ ცესკოსგან ელემენტები არ მიუღიათ.

2. ამომრჩევლის დაშვება უბანზე, მარკირების პროცედურა

კანონმდებლობის მიხედვით, ყველა საარჩევნო უბანზე ხორციელდება ამომრჩეველთა მარკირება, რაც გულისხმობს სპეციალური სითხის დასხმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე.[604] *ნაკადის მომწესრიგებელი სპეციალური ხელსაწყოთი აშუქებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მარკირების კვალი არ აღენიშნება, უბანზე შეუშვებს.*[605] *მარკირების პროცედურა გადასატანი საარჩევნო ყუთით მოსარგებლე ამომრჩეველზეც ვრცელდება.*[606]

მარკირების წესების დარღვევის ფაქტები საიას დამკვირვებლებმა არაერთ უბანზე აღრიცხეს. ზოგ შემთხვევაში, ნაკადის მომწესრიგებელი ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე უშვებდა უბანზე. ზოგიერთ შემთხვევაში კი, პასუხისმგებელი პირები მარკირების სითხის კვალს ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ ტიპის დარღვევების გარკვეული ნაწილი აღიკვეთა დამკვირვებელთა აქტიურობის შედეგად, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს ვერ მოხერხდა.

ნაძალადევის 27-ე უბანზე ამომრჩეველი მარკირების შემოწმების გარეშე შეუშვეს. იგი დამკვირვებელმა უკან გააბრუნა, თუმცა ნაკადის მომწესრიგებელმა ვერ შენიშნა, როგორ აღმოჩნდა ამომრჩეველი კვლავ უბანზე, ვინაიდან კართან ბევრი ამომრჩეველი იყო შეკრებილი. ამასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა რიგის მომწესრიგებელს.

---

[602] საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-11 ნაწილი.
[603] გლდანის 22-ე, ჭიათურის 37-ე და ხონის მე-17 უბნები.
[604] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[605] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[606] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 66-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

სავარაუდოდ უკვე მარკირებული ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის ფაქტი გამოვლინდა საბურთალოს მე-13 უბანზე. ორ ამომრჩეველს აღენიშნებოდა მარკირების კვალი, თუმცა ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს კვალი მანდარინის ჭამის შედეგად გაჩნდა. მათი არგუმენტი რეგისტრატორმა დამაჯერებლად მიიჩნია, შესაბამისად, მათ ვერიფიკაციის პროცედურა წარმატებით გაიარეს და ხმის მიცემა შეძლეს. მსგავსი ფაქტები გამოვლინდა არაერთ სხვა უბანზეც.[607] ყველა შემთხვევაზე საიას დამკვირვებლებმა დაწერეს საჩივარი.[608]

ბათუმის 34-ე საარჩევნო უბანზე მიკროავტობუსებით მიყვანილ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს მარკირების კვალი აღმოაჩნდათ. ისინი იქცეოდნენ აგრესიულად და მოითხოვდნენ უბანზე შეშვებას. კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლის შედეგად, ზოგიერთმა მათგანმა, მარკირების კვალის მიუხედავად, შეძლო ხმის მიცემა.

ასევე, რამდენიმე უბანზე გამოვლინდა უკვე მარკირებული ამომრჩევლის მიერ კენჭისყრაში სავარაუდოდ ხელახლა მონაწილეობის მცდელობები.[609] თუმცა, იმ პერიოდში, როდესაც უბანზე საიას დამკვირვებელი იმყოფებოდა, მათ ხმა არ მიუციათ.

ზოგიერთ უბანზე რეგისტრატორები რეგულარულად არ ამოწმებდნენ მარკირებას,[610] რაზეც საიას დამკვირვებლებმა ზეპირი შენიშვნა დააფიქსირეს.

გლდანის 73-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი ამომრჩეველს მხოლოდ ცერა თითებს უმოწმებდა. ასევე, იგი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს აგენტებად მოიხსენიებდა. საიას დამკვირვებელმა თავმჯდომარეს მიმართა და ნაკადის მოწესრიგება სხვა პირს გადაანდეს, რაც ჩანაწერთა წიგნშიც აისახა.

ნაძალადევის 65-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების მომენტში მარკირების ფარანი არ მუშაობდა. თავდაპირველად ითქვა, რომ ფარანი თავიდანვე არ მუშაობდა, თუმცა საიას დამკვირვებლის ჩაძიების შემდეგ მას განუმარტეს, რომ მოწყობილობა კენჭისყრის დღის მიწურულს გამოვიდა მწყობრიდან.

საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, გლდანის 57-ე უბანზე მარკირების ფარანი ჯდებოდა ძალიან მალე და ჰქონდა სუსტი ნათება.

გლდანის 73-ე უბანზე, საიას დამკვირვებლის თანდასწრებით, ერთ-ერთმა დამკვირვებელმა, რომელმაც ამავე უბანზე მისცა ხმა, ექსპერიმენტი ჩაატარა. მან სცადა თავიდან შესულიყო ხმის მისაცემად 73-ე და 74-ე უბნებზე და აინტერესებდა, აღმოაჩენდა თუ არა მარკირებას ნაკადის მომწესრიგებელი ამავე უბნებზე. მარკირების კვალი ვერცერთი უბნის ნაკადის მომწესრიგებელმა ვერ აღმოაჩინა. ამის გამო, მან გამოთქვა პროტესტი 73-ე უბნის თავმჯდომარის მიმართ, რომელმაც განუმარტა, რომ ეს არ იყო დიდი პრობლემა, რადგან ვერიფიკაციის აპარატი მაინც არ მიაცემინებდა ხმას მეორედ. ამავე ოლქის 33-ე უბანზე მარკირების სითხე სამი საათის გასვლის შემდეგ აღარ იყო შესამჩნევი ულტრაიისფერი სანათის გამოყენებით. ამის თაობაზე საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა, რის შემდეგაც კომისიამ მარკირების სითხე შეცვალა.

ბათუმის ოლქის 26-ე უბანზე რეგისტრატორს მარკირების სითხის დასხმა დაავიწყდა, რაზეც საიას დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა დააფიქსირა. ქუთა-

[607] ნაძალადევის მე-15 , კრწანისის მე-10, სამგორის 32-ე, ნაძალადევის 22-ე, ბათუმის 33-ე და 38-ე უბნებზე.
[608] კრწანისის ოლქის მე-10 უბანზე მომხდარი შემთხვევა გასაჩივრდა საოლქო საარჩევნო კომისიაშიც.
[609] კრწანისის 22-ე, ბათუმის 34-ე, ბათუმის 65-ე და სამგორის 33-ე უბნებზე.
[610] საბურთალოს 33-ე, საგარეჯოს მე-19, ყვარლის 22-ე უბნებზე.

ისის მე-3 უბანზე ვერიფიკაციის გავლის შემდეგ ამომრჩეველს არ გაუკეთეს მარკირება. საიას დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მოქალაქეს მარკირება ხმის მიცემის შემდეგ გაუკეთეს.

ვაკის მე-8, საბურთალოს 28-ე და გარდაბნის 21-ე უბნებზე ამომრჩეველს მარკირებას მხოლოდ მარცხენა ხელზე უკეთებდნენ. დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ პრაქტიკა გამოსწორდა.

საიას დაკვირვებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მარკირებასთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა და მასშტაბი გასული წლების არჩევნებისას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. არსებითია, რომ ცესკომ, მარკირების სითხის, ფარნის და საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭირო სხვა ინვენტარის ხარისხის შემოწმების გარდა, უზრუნველყოს კომისიის წევრების კეთილსინდისიერების მაღალი დონე და მათი მხრიდან პროცედურის ზედმიწევნით, კანონის შესაბამისად შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცესკო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები დამრღვევთა მიმართ.

3. განმეორებით ხმის მიცემა/ვერიფიკაცია

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს ორმაგი ვერიფიკაციის, განმეორებით ხმის მიცემის ან მისი მცდელობის შემთხვევები.

ორმაგი ვერიფიკაციის მცდელობა დაფიქსირდა გორის 78-ე უბანზე. ამ შემთხვევაში, ამომრჩეველს არ მიეცა ხმის მიცემის უფლება.

ვაკის ოლქის 27-ე უბანზე ამომრჩეველმა ბიულეტენი მოათავსა მთვლელ აპარატში, თუმცა აპარატმა ეკრანზე გამოიტანა შეტყობინება: „ბიულეტენი გაჭედილია მიმღებ ნაწილში“. ამის შემდეგ ამომრჩეველს ახალი ბიულეტენი გადასცეს და მას ხმის მიცემის უფლება სხვა მოქმედი აპარატის საშუალებით მისცეს. მას შემდეგ, რაც ტექნიკოსმა გახსნა აპარატი, დაადგინა, რომ სავარაუდოდ „გაჭედილი“ ბიულეტენი რეალურად უკვე ურნაში იყო მოთავსებული. შედეგად, აღმოჩნდა, რომ ერთი ამომრჩევლის მიერ მონიშნული ორი ბიულეტენი მოხვდა ურნაში. ამ ფაქტზე საიამ შენიშვნა დააფიქსირა.

მარნეულის ოლქის 35-ე არაელექტრონულ უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა აბას ჰუსეინოვმა ორჯერ ჩააგდო ბიულეტენი ურნაში. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საიამ საჩივარი დაწერა, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

რუსთავის 29-ე უბანზე ვერიფიკაციის აპარატმა ერთ ამომრჩეველთან დაკავშირებით ორმაგი ვერიფიკაცია აჩვენა, თუმცა, სპეციალური ფარნის დანათებით გამოჩნდა, რომ მას მარკირება გავლილი არ ჰქონდა. ამომრჩეველი და მისი თანმხლები ოჯახის წევრები ამტკიცებდნენ, რომ ისინი უბანზე ერთად გამოცხადდნენ და გამორიცხული იყო მის მიერ ხმის მიცემა. ამან საარჩევნო პროცესის შეფერხება გამოიწვია. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ამომრჩეველს არ მიეცა ხმის მიცემის უფლება.

4. ბიულეტენის გაცემის წესის დარღვევა

კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს ბიულეტენის გაცემის წესის დარღვევასთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევა.

ბათუმის ოლქის 38-ე უბანზე ერთ-ერთი რეგისტრატორი სისტემატურად გასცემდა ორ ბიულეტენს ერთ ამომრჩეველზე. საიას დამკვირვებლის მოწოდების მიუხედავად, მან ქმედება არ შეწყვიტა, რის გამოც, ორგანიზაციამ დაწერა საჩივარი. წალენჯიხის მე-5 უბანზე რეგისტრატორმა ამომრჩეველს ორი ბიულეტენი გადასცა. კენჭისყრის კაბინაში შესვლის შემდეგ ამომრჩეველმა შეამჩნია ორი ბიულეტენი და ამის შესახებ განაცხადა. კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრატორს შენიშვნა მისცა. მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა ფოთის მე-13, ნაძალადევის მე-8 და გლდანის მე-13 უბნებზეც.[611] ქუთაისის ოლქის მე-17 უბანზე რეგისტრატორმა რამდენჯერმე ერთით მეტი ბიულეტენი მიაწოდა ამომრჩეველს. საიას დამკვირვებლის მითითების მიუხედავად, მომხდარს თავმჯდომარის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ორგანიზაციამ ამის თაობაზე საჩივარი დაწერა. ამომრჩევლისთვის ორი ბიულეტენის გადაცემის ფაქტი დაფიქსირდა ისნის მე-40 უბანზეც. მას გამოუყენებელი ბიულეტენი ჩამოართვეს, ხოლო ის, რომელზეც ნება უკვე გამოვლენილი ჰქონდა, უკან დაუბრუნეს. შედეგად, დაირღვა მისი ხმის ფარულობა, რადგან კომისიის წევრებმა მისი არჩევანი დაინახეს.

საბურთალოს ოლქის მე-12 და ქუთაისის 44-ე უბნებზე რეგისტრატორები თვითონ აფერადებდნენ ბიულეტენის საცდელ წრეს.[612] გლდანის 75-ე, ხონის მე-4, რუსთავის 43-ე, სამგორის მე-4 და 32-ე უბნებზე კი ზოგიერთი რეგისტრატორი საცდელ წრეს საერთოდ არ აფერადებინებდა ამომრჩეველს და ამის გაკეთებას მხოლოდ სურვილის შემთხვევაში სთავაზობდა.

5. არასათანადო დოკუმენტით ხმის მიცემა

26 ოქტომბრის არჩევნებზე ამომრჩევლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენებოდა საქართველოს მოქალაქის ელექტრონული, ასევე, არაელექტრონული (ლიმიტირებულ შემთხვევებში) პირადობის მოწმობები ან პასპორტი. საარჩევნო კანონმდებლობით, დაუშვებელია სხვა პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტით ხმის მიცემა.

ხონის მე-12 უბანზე მამამ შვილის პირადობის მოწმობით მისცა ხმა. მოგვიანებით, შვილი იმავე მოწმობით გამოცხადდა უბანზე, თუმცა ვერიფიკაციის აპარატმა იგი არ მიიღო. ოლქიდან გამოძახებულმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ შვილი შეძლებდა ხმის მიცემას მამის პირადობის მოწმობით. ამ ფაქტზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ახსნა-განმარტების დაწერა დაევალათ.

საგარეჯოს 39-ე უბანზე დამკვირვებელმა შესვლა და ხმის მიცემა სცადა ცოლის პირადობით. ასევე, მამაკაცი ქალის პირადობით ცდილობდა ხმის მიცემას ზუგდიდის მე-9 უბანზე.

ზუგდიდის ოლქის მე-11 უბანზე პირი ცდილობდა სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემას, თუმცა კომისიამ მას ამის საშუალება არ მისცა.

---

[611] გლდანის მე-13 უბანზე ამომრჩეველი საარჩევნო ურნამდე 2 ბიულეტენით მივიდა, თუმცა მათგან მხოლოდ ერთზე იყო ნება გამოხატული. თავმჯდომარემ ორივე ბიულეტენი გაფუჭებულად მიიჩნია და ამომრჩეველს ახალი ბიულეტენი გადასცა.

[612] საბურთალოს მე-12 უბანზე, დამკვირვებლის მითითების მიუხედავად, პრობლემა არ აღმოიფხვრა და დაიწერა საჩივარი.

ნაძალადევის ოლქის მე-8 და ისნის ოლქის 55-ე უბნებზე ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ვადაგასული პირადობის მოწმობებით. ისნის ოლქის 55-ე უბნის თავმჯდომარეს და რეგისტრატორს ფაქტზე რეაგირება არ ჰქონიათ, რაზეც საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა როგორც უბანზე, ასევე ოლქში. გარდაბნის 27-ე და საბურთალოს 23-ე უბნებზე საიას დამკვირვებელმა აღნუსხა, როგორ მოდიოდნენ ადამიანები უბანზე ვადაგასული პირადობის მოწმობებით, თუმცა კომისიამ მათ არ მისცა ხმის მიცემის უფლება.

საბურთალოს ოლქის 86-ე უბანზე ამომრჩეველს თავის პირადობაში ჩადებული ჰქონდა მეუღლის პირადობა, რომელიც ვერიფიკაციის პროცესის დროს ამოუვარდა. ეს ინციდენტი ჩანაწერთა წიგნში შევიდა შენიშვნის სახით.

გადასატანი ყუთის სიაში, საჭიროების გარეშე, სავარაუდო რეგისტრაციის შემთხვევების შესახებ შეიტყო საიას გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ ზუგდიდისა და წალენჯიხის სოფლებში. საიას *ინფორმაციით, როგორც „ქართული ოცნების“, ისე „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები მოსახლეობას პირადობის მოწმობებს ართმევდნენ და გადასატანი ყუთის სიაში რეგისტრაციას ჰპირდებოდნენ.*

6. არაუფლებამოსილი პირის საარჩევნო უბანზე ყოფნა

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ: ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს; ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს; შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს; შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს და დამკვირვებლებს.[613] კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას.[614] ერთი და იმავე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან უბანზე დაიშვება მხოლოდ 1 პირი.[615]

არჩევნების დღეს გამოვლინდა უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნის რამდენიმე შემთხვევა. საბურთალოს ოლქის 1-ელ უბანზე სამჯერ გამოცხადდა სამი პირი, რომლებსაც არ ჰქონდათ საიდენტიფიკაციო მოწმობები. ისინი კამერით და ფოტოაპარატით იღებდნენ უბნის შიდა ტერიტორიას. საიას დამკვირვებელმა ამის შესახებ აცნობა თავმჯდომარეს, რომელმაც უპასუხა, რომ ეს პირები ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ და მათი ყოფნა თავმჯდომარესთან წინასწარ „იყო შეთანხმებული“.

საგარეჯოს ოლქის 1-ლი უბნის შიგნით იმყოფებოდნენ პარტიული აგიტატორები. საიას დამკვირვებლის შენიშვნა, რომ მათ ტერიტორია დაეტოვებინათ, კომისიის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა, რასაც მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება. საბოლოოდ, უცხო პირებმა დატოვეს უბანი და გარე პერიმეტრზე გადაინაცვლეს.

ზოგიერთ უბანზე „ქართული ოცნების“ ორი წარმომადგენელი ერთდროულად იმყოფებოდა.[616] საიას დამკვირვებლის მიერ თავმჯდომარის გაფრთხილების შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა უბანი დატოვა. გორის 77-ე უბანზე მობილური ჯგუფის

[613] საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-16 ნაწილი.
[614] საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-17 ნაწილი.
[615] საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.
[616] გორის 77-ე, ვაკის 58-ე, გლდანის მე-20, საბურთალოს 72-ე, ნაძალადევის 64-ე და ჩუღურეთის 33-ე უბნებზე.

დამკვირვებლის დაბრუნების შემდეგ გაძევებული პირი კვლავ კენჭისყრის შენობაში იყო. ამასთან დაკავშირებით დაიწერა საჩივარი.

სამგორის 61-ე უბანზე არაკომერციული იურიდიული პირის - „განათლების პროფესიული კავშირის“ ორი დამკვირვებელი ერთდროულად იმყოფებოდა. საიას წარმომადგენელმა ამის თაობაზე თავმჯდომარეს მიმართა, რის შემდეგაც ერთ-ერთ მათგანს შენობა დაატოვებინეს. მარნეულის 43-ე უბანზე „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორიის“ 3 დამკვირვებელი იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით საიას წარმომადგენელმა საჩივარი დაწერა.

ჭიათურის 39-ე უბნის შიდა ტერიტორიაზე რიგის მომწესრიგებელთან ტარდებოდა სოციოლოგიური კვლევა (Exit Poll). საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უბანი დატოვეს.

ხონის მე-16 საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილი პირი შეუშვა ნაკადის მომწესრიგებელმა. დამკვირვებელმა დარღვევის აღმოჩენისთანავე მიმართა თავმჯდომარეს, რის შემდეგაც პირს უბანი დაატოვებინეს.

ვაკის მე-40 უბანზე 20 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა ქალი, რომელსაც არ ჰქონდა ვინაობის და სტატუსის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი. იგი რეგულარულად საუბრობდა ტელეფონზე. საიას დამკვირვებლის მოთხოვნით, მას უბანი დაატოვებინეს.

ოზურგეთის ოლქის მე-3 უბანზე ამომრჩეველს დახმარების მიზნით შეჰყვა პირი, რომელიც ამ უბანზე არ იყო რეგისტრირებული. საიას დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ მას უბანი დაატოვებინა.

ვანის ოლქის 1-ელ უბანზე სამკერდე ნიშნის გარეშე მყოფი არაუფლებამოსილი პირი ახორციელებდა ვიდეოგადაღებას. იგი უბანზე იმყოფებოდა დილის 10 საათიდან, თუმცა კომისიის თავმჯდომარემ რეაგირება საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ, დაახლოებით, 14:35 საათზე მოახდინა. ამის შემდგომ პირმა უბანი დატოვა.

გლდანის 39-ე უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე. თავმჯდომარემ მას შენიშვნა მისცა და უბნიდან გააძევა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ის სამკერდე ნიშნით დაბრუნდა.

7. რიგები საარჩევნო უბანთან

დიდუბის 27-ე და ისნის 28-ე უბნების დაგვიანებით გახსნამ რიგები და ამომრჩევლის უკმაყოფილება გამოიწვია.

კენჭისყრის დღეს რიგები იყო საარჩევნო უბნებთან უცხოეთშიც. საზღვარგარეთის 87-ე ოლქის პირველ უბანზე 1574 ამომრჩეველზე წილისყრით განისაზღვრა 2 რეგისტრატორი, რამაც წარმოქმნა რიგი და შეაფერხა კენჭისყრის პროცესი.

საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე არსებულ ვითარებას სხვადასხვა მედიასაშუალება აშუქებდა. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციით, ლონდონის საარჩევნო უბანზე არსებული რიგები გამოწვეული იყო უბნის ტექნიკური გაუმართაობით.[617]

[617] „ამომრჩევლის რიგები ლონდონის საარჩევნო უბნებთან - მოქალაქეები ხმის მიცემას „ტექნიკური ხარვეზების» გამო ვერ ახერხებენ“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი“, 2024 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/168166-amomrchevlis-rigebi-londonis-saarchevno-ubnebtan, განახლებულია: 3.02.2025.

გრძელი რიგები იყო ასევე ვენაში, ბარსელონაში, ნიუ იორკში, პრაღასა და ფრანკ-ფურტში.[618]

აღსანიშნავია, რომ უბნებზე დიდი რიგები აჭიანურებდა და აფერხებდა საარჩევნო პროცესს.

8. ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარვეზები

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიებით ამომრჩეველთა დაახლოებით 90-მა პროცენტმა ისარგებლა.[619] მოქალაქეებს, ჯამში, ტექნოლოგიებით აღჭურვილი 2263 უბანი მოემსახურა.

საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია სინქრონიზებული (ერთმანეთთან ინტერნეტის გარეშე დაკავშირებული) ვერიფიკაციის აპარატების მეშვეობით ხორციელდებოდა, რომელშიც ჩატვირთული იყო ამომრჩეველთა ერთიანი სია.[620] ზოგადი წესის შესაბამისად, ყოველი 700 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული იყო მინიმუმ 1 ვერიფიკაციის აპარატი.[621] აპარატების რაოდენობა დამოკიდებული იყო კონკრეტულ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე.

თითოეული უბნისთვის გათვალისწინებული იყო არანაკლებ 2 ძირითადი საარჩევნო ყუთი მასზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატით.[622]

იმ საარჩევნო უბნებში, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა და, იმავდროულად, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა 2700-ს აღემატებოდა, შესაძლებელი იყო 5 ვერიფიკაციის და 3 ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენება.[623]

უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე თითოეული ვერიფიკაციის აპარატიდან იბეჭდებოდა საწყისი ანგარიში, რითაც დასტურდებოდა, რომ აპარატებით არცერთი ამომრჩევლის ვერიფიკაცია არ მომხდარა. ამის შემდეგ კომისიის თავ-

---

[618] „საარჩევნო დღის პირველი ნახევარი უკვე გასულია, ფიქსირდება ამომრჩეველთა აქტივობა და ზოგან დარღვევებიც“, საინფორმაციო პორტალი „ამერიკის ხმა“, 2024 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/half-of-election-day-in-georgia-is-over/7840152.html, განახლებულია: 3.02.2025.

[619] „2024 წლის პარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11031836-2024-tslis-parlamentis-archevnebshi-amomrchevelta-titkmis-90-khmas-elektronuli-teknologiebis-gamoqenebit-mistsems, განახლებულია: 07.03.2025.

[620] კონკრეტული საარჩევნო უბნებისთვის გათვალისწინებულ აპარატებში გააქტიურდა საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიები. ცესკოს წერილი №01-01/1607, 28/09/2024.

[621] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №07/2023 დადგენილება კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskossamartlebrivi-aqtebi/dadgenilebebisadasd21/singleview/11031834-dadgenileba-072023-06022023, განახლებულია: 07.03.2025.

[622] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №07/2023 დადგენილება კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskossamartlebrivi-aqtebi/dadgenilebebisadasd21/singleview/11031834-dadgenileba-072023-06022023, განახლებულია: 07.03.2025.

[623] იქვე, მე-12 მუხლი.

მჯდომარე ბეჭდავდა ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც, სადემონსტრაციო ოქმთან ერთად, თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრებოდა. იდენტიფიკაციისთვის ამომრჩეველს შეეძლო, გამოეყენებინა როგორც ელექტრონული პირადობის მოწმობა, რომელსაც რეგისტრატორი სპეციალურ წამკითხველში მოათავსებდა, ასევე საქართველოს მოქალაქის არაელექტრონული პირადობის მოწმობა (ლიმიტირებულ შემთხვევებში) ან პასპორტი, რომლის მონაცემებსაც რეგისტრატორი აპარატში ინფორმაციის ხელით შეყვანით მოძებნიდა. ხმის მიცემამდე ამომრჩეველი გადიოდა მარკირების პროცედურას და ხელს აწერდა აპარატის მეშვეობით დაბეჭდილ ქვითარზე. ქვითრები სარეგისტრაციო მაგიდაზე განთავსებულ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში თავსდებოდა.

ბიულეტენისა და ჩარჩო-კონვერტის გადაცემის შემდეგ რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავდა მათი შევსების და გამოყენების წესს, ასევე, აფერადებინებდა იმავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებულ საცდელ წრეს.

საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედიოდა ფარული კენჭისყრის კაბინაში და სპეციალური მარკერის გამოყენებით ავსებდა საარჩევნო ბიულეტენს.[624] სპეციალური მარკერით მონიშვნის გაკეთების და ბიულეტენის ჩარჩო კონვერტში მოთავსების შემდეგ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული ბიულეტენით ამომრჩეველი მიდიოდა ძირითად საარჩევნო ყუთთან და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ათავსებდა მას ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში იმგვარად, რომ ბიულეტენის წინა მხარე ქვემოთ ყოფილიყო მოქცეული.[625] იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებდა სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში ბიულეტენის მოთავსებას, მას შეიძლება დახმარებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე ზედამხედველი პირი.[626]

ბიულეტენის არასწორი კუთხით მოთავსების ან რაიმე სხვა მიზეზით ბიულეტენის უკან დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო აპარატში მისი ხელმეორედ მოთავსება. კვლავ დაბრუნებისას კი, ბიულეტენი გაფუჭებულად მიიჩნეოდა.[627] აღსანიშნავია, რომ, როდესაც ბიულეტენი მთვლელი აპარატიდან უკან ბრუნდებოდა, ის ხშირად ჩარჩო კონვერტის გარეშე რჩებოდა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო მონიშვნის იდენტიფიცირება.

---

[624] „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[625] „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ივლისის №28/2024 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში აღნიშნულია საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრის მიერ ამომრჩევლისთვის აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესის შემდეგი განმარტება: „საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, აპარატში მოათავსეთ იმგვარად, რომ ბიულეტენის მხარე, რომელზეც განთავსებულია საცდელი წრე, მოექცეს ქვემოთ. ჩარჩო-კონვერტი დაიკავეთ მსუბუქად, რათა აპარატმა მარტივად მიიღოს საარჩევნო ბიულეტენი. დაელოდეთ, ვიდრე აპარატის ეკრანზე არ გამოჩნდება შეტყობინება „თქვენი ხმა მიღებულია“ და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა“.

[626] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

[627] იქვე.

კენჭისყრის პროცედურების დასრულების შემდეგ ვერიფიკაციის აპარატიდან იბეჭდებოდა მოსული ამომრჩევლის შესახებ საბოლოო ანგარიში.

ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატებიდან წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერის ამობეჭდვის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ ბიულეტენები ხელით გადათვალა, რის საფუძველზეც, შეივსო შემაჯამებელი ოქმები. წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერი, ისევე, როგორც კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, პლანშეტური კომპიუტერის საშუალებით, საოლქო საარჩევნო კომისიის ნაცვლად, პირდაპირ ცესკოში გადაიგზავნა.

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს: არჩევნების ორგანიზებისა და დაგეგმვის ეტაპებზე დაშვებული შეცდომები, ელექტრონულ აპარატებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები, ასევე, ხარვეზები ამომრჩევლის ინფორმირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადების კუთხით.

8.1. ვერიფიკაციის აპარატების ხარვეზები

ვაკის 33-ე უბანზე ვერიფიკაციის აპარატიდან ამომრჩეველთა სიის ამობეჭდვის შემდეგ მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა. საბურთალოს 23-ე საარჩევნო უბანზე ვერიფიკაციის აპარატი ქვითარს არასწორი თარიღით (27.10.2024) ბეჭდავდა. ამ შემთხვევებში უბანზე პრობლემის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, ამიტომ დამხმარე ტექნიკური ჯგუფის გამოძახება გახდა საჭირო. სიის ამობეჭდვასთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნა ჭიათურის პირველ უბანზეც. ამ შემთხვევაში ვერიფიკაციის აპარატიდან ამომრჩეველთა სია მხოლოდ გვარების მითითებით ამოიბეჭდა. დიდუბის მე-18 უბანზე არასაკმარისი ელექტროენერგიის მიწოდების გამო, ვერიფიკაციის აპარატები შეფერხებით მუშაობდა. პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოიძახეს ტექნიკური ჯგუფი, რის გამოც, 5 წუთით შეწყდა ამომრჩევლის მიღება. ტექნიკოსმა უბანზე მყოფ პირებს სთხოვეს, თავი შეეკავებინათ ტელეფონების დატენისგან შენობაში არსებული დენის წყაროს გამოყენებით.

საიას სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, ისნის 55-ე საარჩევნო უბანზე მოქალაქემ ხმა ვადაგასული პირადობის მოწმობით მისცა.[628] აღსანიშნავია, რომ ელექტრონულმა ვერიფიკატორმა ეს ვადაგასული დოკუმენტი ვერ ამოიცნო, რაც სისტემურ პრობლემასთან დაკავშირებულ შეკითხვებს აჩენს. საიამ ამ დარღვევაზე საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა.

რუსთავის 28-ე უბანზე ვერიფიკაციის ერთ-ერთი აპარატის სპეციალური MRZ (Machine-Readable Zone) წამკითხველი ვერ აღიქვამდა ელექტრონულ პირადობის მოწმობებს და, ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მიზნით, რეგისტრატორს მონაცემი ხელით შეჰყავდა. საიას დამკვირვებელმა მიმართა ტექნიკურ მუშაკს, რომელმაც განუმარტა, რომ რამდენიმე ამომრჩევლის ხელით შეყვანის შემდეგ პრობლემა ავტომატურად გამოსწორდებოდა. 15-მდე ადამიანის პირადობა შეიყვანეს ხელით, რის შემდეგაც აპარატი გასწორდა. მსგავსი ტიპის პრობლემა გამოვლინდა არაერთ უბანზე. ზოგიერთ შემთხვევაში ის ნაწილობრივ გამოსწორდა, ზოგ შემთხვევაში კი, რეგისტრატორებს მთელი დღის განმავლობაში ხელით უწევდათ მონაცემების შეყვანა.[629]

---

[628] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?extid=MSG-UNK-UNK-UNK-COM_GK0T-GK1C&v=478246511887329, განახლებულია: 31.01.2025.

[629] ზესტაფონის პირველ, ხელვაჩაურის 24-ე, ვაკის 63-ე, ნაძალადევის მე-5 და გლდანის 69-ე უბნებზე.

ბაღდათის მე-13 უბანზე აღირიცხა შემთხვევა, როდესაც ვერიფიკატორმა გამოსცა ორმაგი ვერიფიკაციის მანიშნებელი სპეციალური სიგნალი. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, **კომისიის წევრმა ამომრჩევლის რეგისტრაციის დროს შეცდომით ცარიელი ქვითარი ამობეჭდა, რომელიც გადააგდო. შემდეგ ხელახლა ცდილობდა იმავე ამომრჩევლის ვერიფიკაციას, რის საშუალებასაც აპარატი არ აძლევდა და წერდა, რომ ეს პიროვნება უკვე რეგისტრირებულია. ამომრჩეველი ამტკიცებდა, რომ არც ხმა მიუცია და შემოწმების შემდეგ არც მარკირების კვალი აღენიშნებოდა. პროცესში ჩაერია ზემდგომი საარჩევნო კომისიის თანამშრომელი, რომელმაც განმარტა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზია და კომისიის წევრებს პრობლემის აღმოფხვრაში დაეხმარა. საბოლოოდ, მოქალაქემ შეძლო ხმის მიცემა.**

ნაძალადევის 57-ე საარჩევნო უბანზე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ვერიფიკაციის აპარატმა ქვითარი ორჯერ ამობეჭდა. ამომრჩეველმა ხელი მოაწერა პირველ ქვითარს, დააფიქსირა არჩევანი და ბიულეტენი მოათავსა ხმის მთვლელ მოწყობილობაში. ამის შემდეგ ვერიფიკატორმა ამ პირის ვერიფიკაციის დამადასტურებელი კიდევ ერთი ქვითარი ამობეჭდა, რომელიც კომისიის მდივანმა შეინახა. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ეს ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული. ამავე უბანზე ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში ID ბარათის მოთავსების**ას მოწყობილობა გამოსცემდა ხმოვან სიგნალს, ხოლო იმავე საიდენტიფიკაციო მონაცემის ხელით შეყვანის შემთხვევაში, ამომრჩეველი გადიოდა ვერიფიკაციას. საიას წარმომადგენლის დაკვირვებით, საბუთსა და ვერიფიკატორის ეკრანზე ერთი და იგივე პირი იყო გამოსახული**. ასევე, **შეფერხებით მუშაობდა ერთი ვერიფიკაციის აპარატი ბაღდათის მე-4 უბანზე. შედეგად, რეგისტრატორს ხელით შეჰყავდა მონაცემები ან ამომრჩეველი სხვა რეგისტრატორთან ინაცვლებდა**.

საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ოზურგეთის მე-18, ქუთაისის 59-ე და ხობის მე-3 საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებმა ვერ შეძლეს ხმის მიცემა ვერიფიკაციის აპარატების ან ამომრჩეველთა სიის ხარვეზების გამო. ოზურგეთის მე-18 უბანზე ორ პირთან დაკავშირებით, რომლებსაც მარკირების კვალი არ აღენიშნებოდათ, აპარატმა ორმაგი ვერიფიკაცია აჩვენა. საბოლოოდ, ვერ მოხერხდა ვერც მონაცემების ხელით შეყვანა და ვერც სხვა აპარატით ვერიფიკაცია.[630] ქუთაისის 59-ე უბანზე ერთ-ერთ ამომრჩეველთან მიმართებით აპარატი არასწორად წერდა,[631] რომ იგი სხვა უბანზე იყო რეგისტრირებული. ბაზაში გადამოწმების შედეგად, მისი რეგისტრაცია 59-ე უბანზე დასტურდებოდა.[632]

ვერიფიკაციის აპარატთან დაკავშირებული ხარვეზები ასევე გამოვლინდა ნაძალადევის 64-ე[633] და დიდუბის მე-15[634] საარჩევნო უბნებზე.

[630] აპარატმა ასევე დააფიქსირა კონკრეტული დრო, თუ როდის ჰქონდა პირს ვერიფიკაცია გავლილი.
[631] აპარატმა შესაბამისი ხმოვანი სიგნალი გამოსცა.
[632] რეგისტრატორმა ამომრჩეველი გადაამისამართა კომისიის თავმჯდომარესთან, რომელმაც ბაზაში გადამოწმების შემდეგ ამომრჩეველს სთხოვა, საოლქო საარჩევნო კომისიაში წასულიყო და იქ გაერკვია მოცემული საკითხი. ამომრჩეველმა დატოვა უბანი, რის შემდეგაც კვლავ დაბრუნდა, თუმცა ისევ ვერ შეძლო ხმის მიცემა.
[633] ვერ მოხერხდა ვერიფიკაციის აპარატის დროულად ჩართვა.
[634] თერმული ქაღალდის დასტის ამოწურვამ გამოიწვია ვერიფიკაციის პროცესის შეფერხება.

8.2. ხმის მთვლელი აპარატების ხარვეზები

თბილისში რამდენიმე უბანზე მწყობრიდან გამოვიდა ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატები. ნაძალადევის 34-ე და ისნის 44-ე უბნებზე კენჭისყრის პროცესი ერთი აპარატით გაგრძელდა, ხოლო ისნის 26-ე უბანზე პრობლემა მალევე აღმოიფხვრა. არცერთ შემთხვევაში კენჭისყრის პროცესი არ შეფერხებულა. ხმის მთვლელი აპარატი 08:20 საათზე გამოვიდა მწყობრიდან ქუთაისის 56-ე უბანზე. საიას დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ის სხვა აპარატით ჩანაცვლდა. ასევე, მწყობრიდან გამოვიდა ორიდან ერთი ხმის მთვლელი აპარატი ქუთაისის 21-ე, მთაწმინდის მე-12 და ბათუმის 43-ე უბნებზე.

ხაშურის მე-3 უბანზე 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში გაფუჭებული იყო ბიულეტენების მთვლელი ორივე აპარატი. შეფერხების გამო, როგორც უბნის შიგნით, ასევე გარე პერიმეტრზე, რიგში მდგომი ამომრჩევლების ნაწილმა უბანი ხმის მიცემის გარეშე დატოვა. ტექნიკურმა ჯგუფმა 13:47 საათისთვის შეძლო აპარატების შეკეთება. **საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით**, ტექნიკური ხარვეზის ან აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, შესაძლებელია საარჩევნო პროცესის ძველი წესით გაგრძელება,[635] თუმცა საუბნო კომისიამ ეს უფლება არ გამოიყენა.

გლდანის ოლქის მე-13 უბანზე ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატს ჰქონდა ბიულეტენების მიღების პრობლემა. მოწყობილობა მას არც მეორე მცდელობისას იღებდა, რის შემდეგაც ბიულეტენი გაფუჭებულად მიიჩნეოდა. ასევე, ხონის მე-16 უბანზე მოწყობილობა ბიულეტენს უკან აბრუნებდა. ერთ-ერთ ამომრჩეველს სამჯერ გადაეცა ახალი ბიულეტენი, თუმცა აპარატმა ის მაინც არ მიიღო, შედეგად, მოქალაქემ ვერ შეძლო ხმის მიცემა. ამომრჩევლის მიერ უბნის დატოვების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე თავად ცდილობდა აპარატში ბიულეტენის მოთავსებას. მისი უკან დაბრუნების პროცესში კი ირღვეოდა ხმის ფარულობა, რაზეც საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა.

მთვლელ აპარატებთან დაკავშირებული **ხარვეზები გამოვლინდა** ნაძალადევის მე-18[636] და რუსთავის 43-ე[637] უბნებზეც.

8.3. ცესკოსთვის ინფორმაციის გადაგზავნა

ჭიათურის 37-ე უბანზე კომისიამ ვერ შეძლო წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაციის სპეციალურ მეხსიერების ბარათზე გადატანა და ცესკოსთვის გაგზავნა. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, დაფიქსირდა პროგრამული ხარვეზი.

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის უნდა გაიწეროს საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ანგარიშვალდებულების დებულებები, განისაზღვროს ნათელი და ადეკვატური სანქციები როგორც საარჩევნო კოდექსში, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

---

[635] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილება კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, მუხლი 7, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5713266?publication=0, განახლებულია: 28.01.2025.

[636] ხმის მთვლელი აპარატის გაუმართაობის გამო, ეს უბანი რამდენიმე წუთის დაგვიანებით გაიხსნა.

[637] ოპტიკური სკანერის მიმღებ სლოტში გაიჭედა ბიულეტენი. საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა დახმარებით, ურნა, ვიდეოგადაღების თანხლებით, გაიხსნა. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ კი ახალი ლუქით დაილუქა. ამ მოწყობილობის გამოყენებით, კვლავ გაგრძელდა კენჭისყრის პროცესი.

ამომრჩევლის ნების კონტროლი

არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნების კონტროლი ძირითადად ხორციელდებოდა მმართველი პარტიის მომხრეების განლაგებით საარჩევნო უბნებში და უბნებთან ახლოს. ისინი ამომრჩეველთა პირადი მონაცემების გამოყენებით აღრიცხავდნენ („tracking of voters") გამოცხადებულ მხარდამჭერთა რაოდენობას. ასევე, სატელეფონო ზარების მეშვეობით ახდენდნენ მათზე ზეწოლას („improper pressure").

ქართულ რეალობაში, მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცების პირობებში, ეს პრაქტიკა ამომრჩევლის კონტროლის ფორმაა, რაც ამცირებს დამოუკიდებელი, *თავისუფალი არჩევანის გაკეთების ალბათობას და თესავს მათში შურისძიების შიშს.*

საიას დაკვირვებით, უბნების შიგნით ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებას ცდილობდნენ როგორც დამკვირვებლები, ასევე კომისიის წევრები, რომლებიც აშკარად პოლიტიკური პარტიების ინტერესებს ატარებდნენ და, პოტენციურად, ზეგავლენას ახდენდნენ ხმის მისაცემად მისულ მოქალაქეებზე.

ხობის პირველ უბანზე „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ამომრჩეველთან ერთად შევიდა ხმის მიცემის კაბინაში და მიუთითა, ვისთვის უნდა მიეცა ხმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩანაწერთა წიგნში გაკეთდა შესაბამისი შენიშვნა. ასევე, ზუგდიდის ოლქის 63-ე უბანზე კომისიის თავმჯდომარემ და რეგისტრატორმა ნასვამ ამომრჩეველს მიუთითეს, მათი თანდასწრებით გაეფერადებინა 41 ნომერი. საიას დამკვირვებლის მიერ ამ ფაქტის გაპროტესტებას შედეგი არ მოჰყვა, ამიტომ ორგანიზაციამ ის ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა.

ქუთაისის 64-ე უბანზე „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ამომრჩევლებს პირადობის მოწმობებს ართმევდა, რის გამოც, ის უბნიდან გააძევეს. ასევე, ქუთაისის 47-ე საარჩევნო უბანზე შედიოდნენ დამკვირვებლების საიდენტიფიკაციო ნიშნის მქონე პირები, რომლებსაც შემოჰყავდათ ამომრჩევლები. თავმჯდომარის მხრიდან ამ ფაქტს მკაფიო რეაგირება არ მოჰყოლია, სანამ საიას დამკვირვებელმა არ დააფიქსირა ზეპირი შენიშვნა. ერთეულ შემთხვევებში, დამკვირვებლები ცდილობდნენ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაშიც შეჰყოლოდნენ, მაგრამ საიას დამკვირვებელმა მათ არ მისცა ამის საშუალება. ასევე, დღის განმავლობაში თელავის 28-ე უბანზე „ქართული ოცნების" წარმომადგენელი რეგულარულად გადიოდა გარე პერიმეტრზე და უკან ბრუნდებოდა რამდენიმე ამომრჩეველთან ერთად.

ნაძალადევის მე-10 უბანზე, დაახლოებით 13:00 საათზე, საიას დამკვირვებელმა დააფიქსირა, როგორ საუბრობდნენ საარჩევნო კომისიის წევრი და „ქართული ოცნების" ორი წარმომადგენელი ამომრჩევლებთან დარეკვისა და მათი მობილიზების საჭიროებაზე. დამკვირვებელმა გაიგონა ფრაზები: „მიდი, გადაურეკე, მოვიდეს», „შემოახაზვინე 41" და ა.შ. მარტვილის მე-10 უბანზე ხანდაზმულმა ქალმა ხმის მიცემის შემდეგ დატოვა უბანი, თუმცა რამდენიმე წუთში დაბრუნდა და მოითხოვა ხმის თავიდან მიცემა. მისი თქმით, ხმა არასწორად მისცა და, ამის გამო, „პენსია მოეხსნებოდა".

გურჯაანის მე-14 უბანზე მივიდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე („შშმ") ამომრჩეველი, რომელსაც თანმხლები პირი აძლევდა მითითებას, რომ ხმა მიეცა 41 ნომრისთვის. კომისიამ მას ნება დართო, შშმ პირს კაბინაში შეჰყოლოდა. საიას დამკვირვებელმა ამ ფაქტზე ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის შეტანა გადაწყვიტა, რასაც კომისიის წევრების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საიას დამკვირვებელს ორგანიზაციისგან ბევრი საჩივრის დაწერა ჰქონდა

დავალებული. საბოლოოდ, დამკვირვებელს არ მისცეს შენიშვნის დაფიქსირების საშუალება.

გარდაბნის 27-ე უბანზე მისულ ამომრჩეველთა ნაწილს, წერა-კითხვის არცოდნის საფუძვლით, კენჭისყრის კაბინაში სხვა პირები მიჰყვებოდნენ. წერა-კითხვის არმცოდნე ამომრჩეველს საკმაოდ ხშირად ხელის გულზე ეწერა რიცხვი 41 ან 5.

მარნეულის ოლქის 50-ე უბანზე შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე, გაურკვეველი სტატუსით მყოფი პირი იმან ისმაილოვი ამომრჩეველს მოუწოდებდა, ხმა მიეცათ ბიულეტენზე არსებული ბოლო სუბიექტისთვის, რაც მმართველი პარტიისთვის ხმის მიცემას ნიშნავდა. კომისიის თავმჯდომარეს ამ ფაქტზე რეაგირება არ ჰქონია, რაზეც საიას დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

კრწანისის 21-ე უბანზე აზერბაიჯანულად მოსაუბრე ამომრჩეველს კაბინის გარედან დამკვირვებელი ესაუბრებოდა.

ლენტეხის მე-20 უბანზე რეგისტრატორმა[638] ბიულეტენი მონიშნა კაბინის გარეთ. კომისიის წევრმა საჯაროდ, ყველას დასანახად შემოხაზა მმართველი პარტიის ნომერი. ამავე უბანზე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ღიად, კაბინის გარეთ მონიშნა საარჩევნო ბიულეტენი. მანაც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა.

მარტვილის 35-ე უბანზე ხმის მიცემის კაბინებში მარკერით სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების ნომრები იყო დაწერილი. ერთ კაბინაში ეწერა „41“, ხოლო მეორეში – „5“. კომისიამ წარწერები ფურცლების მეშვეობით დაფარა.

1. აგიტაცია საარჩევნო უბანზე

არჩევნების დღეს აკრძალულია აგიტაცია კენჭისყრის შენობაში.[639] ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[640]

ნაძალადევის 51-ე უბანზე გამოვლინდა შემთხვევა, რომელიც აგიტაციის ნიშნებს შეიცავდა, რაზეც საიას დამკვირვებელმა სიტყვიერი შენიშვნა დააფიქსირა. ერთ-ერთი ამომრჩეველი ხმამაღლა ასახელებდა 41 ნომერს, რაც სხვა ამომრჩევლებსაც ესმოდათ. უბნის თავმჯდომარეს რეაგირება არ მოუხდენია. გლდანის მე-16 უბანზე ერთ-ერთი ამომრჩეველი მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა. უბნის თავმჯდომარემ მას სიტყვიერი შენიშვნა მისცა.

ნაძალადევის ოლქის მე-15 უბანზე აგიტაციას ეწეოდა მმართველ პარტიასთან დაკავშირებული სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანების“[641] წარმომადგენელი პაატა ჯანგიძე. მას უბნის გარე ტერიტორიიდან მოჰყავდა ამომრჩეველი, აქტიურ კომუნიკაციას ამყარებდა მათთან და მხარზე ხელის დარტყმით მოუწოდებდა, თავიანთი არჩევანი გაეკეთებინათ. კომისიის თავმჯდომარისადმი უშედეგო მოწოდების შემდეგ საიას დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა დაწერა.

---

[638] საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო, კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში, შეჰყავთ ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. იხ. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[639] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 45-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[640] იქვე, 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[641] ნოდარ მელაძის „შაბათის შოუ, „ტვ პირველის“ იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=hnwPc-Br0Dc, განახლებულია: 28.01.2025.

2. უბნის შიგნით ამომრჩეველთა აღრიცხვა

სამგორის ოლქის მე-4 უბანზე დაუდგენელი სტატუსით მყოფი პირი თაბახის ფურცელზე ჩამოწერილი სიის მეშვეობით აღრიცხავდა ამომრჩეველს. ამის შესახებ დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს შეატყობინა, რის შემდეგაც ამ პირმა უბანი დატოვა. ჭიათურის ოლქის მე-20 უბანზე ერთ-ერთი ორგანიზაციის დამკვირვებელი (რომელიც სოფლის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელია) იდგა ხმის მიცემის კაბინასთან ახლოს და ფურცელზე, სავარაუდოდ, ამომრჩევლებს ინიშნავდა. საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ მან ადგილი შეიცვალა.

ვაკის მე-15 საარჩევნო უბანზე საიას დამკვირვებელმა შეამჩნია, რომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იწერდა ამომრჩეველთა სახელებსა და გვარებს. დამკვირვებელმა მას შენიშვნა მისცა, რაზეც მოადგილემ უპასუხა, რომ მხოლოდ ახლობლების სიას ადგენდა. დამკვირვებელმა ეს ფაქტი კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომელმაც მოადგილეს შენიშვნა მისცა. ამის შემდეგ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორებულა.

დიდუბის ოლქის 27-ე უბანზე ერთ-ერთი დამკვირვებელი იდგა რეგისტრატორის უკან და ტელეფონი ეჭირა ისეთი მიმართულებით, რომ შესაძლებელი იყო ამომრჩევლების პერსონალური მონაცემების დამუშავება, ფოტოგადაღება. საიას დამკვირვებელმა რამდენჯერმე მიუთითა თავმჯდომარეს და, საბოლოოდ, პრობლემა აღმოიფხვრა.

ხონის ოლქის მე-12 უბანზე პარტიულმა კოორდინატორმა უბანზე შეუსვლელად, კარიდან იკითხა, კონკრეტული ადამიანები იყვნენ თუ არა მოსულები ხმის მისაცემად. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა მას მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, რის შემდეგაც ხსენებულმა პირმა ტერიტორია დატოვა.

თეთრიწყაროს ოლქის 30-ე უბანზე იმყოფებოდა არაუფლებამოსილი პირი, რომელიც ამომრჩეველთა ფოტოსურათებიანი სიის მეშვეობით აღრიცხავდა მათ და ქმნიდა ზეწოლის გარემოს. საიას მოწოდების მიუხედავად, ის შენობას არ ტოვებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით უბანზე დაიწერა შესაბამისი საჩივარი.

მარნეულის ოლქის 35-ე უბანზე კომისიის წევრი პერსონალურ მონაცემებს აწვდიდა, სავარაუდოდ, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს, რაზეც საიამ საჩივარი დაწერა.

მარნეულის ოლქის 35-ე უბანზე კომისიის მდივანი ამომრჩევლის აქტივობის შესახებ მონაცემებს აწვდიდა, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რამაც მნიშვნელოვანი ეჭვები გააჩინა კომისიის წევრის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ის ინფორმაციის მისაწოდებლად იყენებდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ტელეფონს. ამ ფაქტზე საიას დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში დაწერა შენიშვნა.

ამომრჩევლის აღრიცხვის შემთხვევები გამოვლინდა ასევე სამგორის მე-15, 28-ე და 32-ე, მთაწმინდის 24-ე, ნაძალადევის 25-ე, ჭიათურის 1-ელ და 24-ე, ზესტაფონის მე-6, ქუთაისის 47-ე, მარნეულის 59-ე და ოზურგეთის მე-20 უბნებზე.

3. წინასწარ მონიშნული ბიულეტენები

საიას დამკვირვებლებმა სხვადასხვა უბანზე დააფიქსირეს წინასწარ მონიშნული ბიულეტენები. ჩუღურეთის ოლქის 33-ე უბანზე ბიულეტენი მონიშნული იყო „ქართული ოცნების“ ნომერთან, თუმცა, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ის არ შე-

იცვალა. საიამ საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი შეიტანა და თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა. გლდანის მე-2 და ფოთის 1-ელ უბნებზე ასევე გამოვლინდა მონიშნული წრე მმართველი პარტიის ნომრის გასწვრივ, ხოლო ზესტაფონის პირველ უბანზე ბიულეტენზე წერტილი იყო დასმული ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის დასახელებასთან. ამ შემთხვევებში ბიულეტენები გაფუჭებულად ჩაითვალა.

4. კამერები უბნებზე

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, *უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება კენჭისყრის პროცესის ხელშეშლის გარეშე.*[642] *მათ შორის, სხვადასხვა ადგილიდან გადაიღონ ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი და მასში ბიულეტენის მოთავსების პროცესი. კენჭისყრის შენობაში ეს თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან არის შესაძლებელი.*[643] *მინიმალური მანძილი ფოტო-ვიდეო გადაღებისთვის უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი გადასაღები სუბიექტისგან/ობიექტისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შენობა არ იძლევა ამის საშუალებას.*[644] *ასეთ დროს ადგილს განსაზღვრავს საუბნო კომისიის თავმჯდომარე.*

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნების გახსნისთანავე (06:45 საათზე), „ქართული ოცნების" წარმომადგენლების ან მათთან აფილირებული პირების მიერ უბნებზე მასობრივად განთავსდა ვიდეოკამერები, ხოლო შენობაში არსებული ზოგიერთი კამერა იყო შეუფუთავ მდგომარეობაში. „ქართულმა ოცნების" მიერ უბნებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერები, ზოგ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - კენჭისყრის კაბინებს და ძირითად საარჩევნო ყუთს.[645] საიას სადამკვირვებლო მისიამ ვიდეოკამერების დამონტაჟების, ჯამში, 97 შემთხვევა აღრიცხა.[646] ვიდეოკამერების მასშტაბურად განთავსების ფაქტი

---

[642] ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილების მე-2 მუხლი.

[643] იქვე, 1-ლი პუნქტი.

[644] იქვე, მე-2 პუნქტი.

[645] „2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება", 2024 წლის 27 ოქტომბერი, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/gancxadeba-27octomberi-11saati, განახლებულია: 28.01.2025.

[646] **კამერები უშუალოდ მთვლელ აპარატთან იყო განლაგებული:** კრწანისის მე-9, ქუთაისის 44-ე (საიას დამკვირვებელმა ჩაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში), თელავის მე-2, ოზურგეთის 27-ე, რუსთავის მე-19 (დაიწერა შენიშვნა), რუსთავის მე-15 (დაფიქსირდა შენიშვნა), რუსთავის მე-19, სამგორის 59-ე, ქუთაისის 43-ე , თელავის 28-ე, ხაშურის მე-3 უბნებზე. **ასევე, უწყვეტი ვიდეოგადაღება მიმდინარეობდა საარჩევნო უბნის სხვადასხვა წერტილიდან, მათ შორის, ბიულეტენების მთვლელი მოწყობილობის მიმართულებით:** ჩუღურეთის 25-ე, ზესტაფონის პირველ, ზესტაფონის მე-9 (დამონტაჟდა „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის" მიერ), ზესტაფონის მე-5 (დამონტაჟდა ააიპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" მიერ), ჩუღურეთის 33-ე, ბათუმის 89-ე, მცხეთის 31-ე, ოზურგეთის მე-3, გლდანის მე-10, ქედის მე-9, ჭიათურის 37-ე (დამონტაჟდა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" მიერ), ოზურგეთის 43-ე, ქობულეთის პირველ, მე-2, მე-3, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, 52-ე, 31-ე, 37-ე, 53-ე, 55-ე, 46-ე, 35-ე, 51-ე, 45-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 56-ე, 41-ე, 42-ე, 43-ე, 44-ე, 33-ე, მე-5, შუახევის პირველ, მე-4, მე-14, მე-20 და 32-ე, ხელვაჩაურის პირველ, მე-2, მე-3, მე-5, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე და 38-ე უბნებზე, ლაგოდეხის 30-ე, ოზურგეთის 27-ე, ბაღდათის მე-3, ვაკის მე-16, ქუთაისის 70-ე, მცხეთის პირველ, ნაძალადევის 81-ე, სიღნაღის მე-7, საჩხერის მე-3, სამგორის 61-ე და 62-ე, მთაწმინდის 23-ე უბნებზე. ნაძალადევის 71-ე უბანზე ოლქის წევრები შემოვიდნენ და შეამოწმეს კამერა, რომელზეც ამომრჩევლების სახეები ჩანდა. ამ ფაქტის გამო, დაწერეს საჩივარი და კამერები ქვემოთ დააწევინეს.

დადასტურდა როგორც სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებით, ასევე მედიასაშუალებებით გავრცელებული არაერთი ვიდეოჩანაწერით.[647]

5. დარღვევები საარჩევნო უბნის პერიმეტრზე

საიას დამკვირვებლებმა პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის არაერთი შემთხვევა გამოავლინეს, რაზეც სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება იყო არაეფექტიანი. არცერთ ასეთ შემთხვევაში დამრღვევებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებიათ. საპატრულო პოლიციის რეაგირება ხშირად ფორმალური იყო. ზოგჯერ ისინი ტერიტორიას ატოვებინებდნენ სავარაუდო სამართალდამრღვევებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, პოლიციელთა წასვლისთანავე, ამომრჩევლის აღრიცხვა, შეფერხება და ადამიანთა შეკრება კვლავ გრძელდებოდა.

კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება, ხოლო 100 მეტრის რადიუსში - ამომრჩევლის ფიზიკური შეფერხება, აღრიცხვა და ადამიანთა შეკრება.[648] ამ წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[649]

ამომრჩევლის ნებისმიერი სახით აღრიცხვა, მათ შორის, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი სიების მეშვეობით, პოლიტიკური პარტიების მიერ გამოიყენება ამომრჩეველზე ზეწოლისა და მისი თავისუფალი ნების კონტროლისთვის.

არჩევნების ორივე ტურის დროს საიამ არაერთხელ შეატყობინა „112-ს“ პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის შესახებ. თუმცა, ადგილზე მისული პოლიცია ხშირად რეაგირების გარეშე ტოვებდა შემთხვევას, ან სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლებოდა, ზოგჯერ დროებით ატოვებინებდა პერიმეტრს სავარაუდო სამართალდამრღვევებს, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ ადგენდა ამომრჩევლის აღრიცხვის, შეფერხების ან ადამიანთა შეკრების ფაქტებს.

5.1. 25 მეტრის რადიუსში სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვის დარღვევა

კრწანისის მე-20 და 21-ე საარჩევნო უბნების პერიმეტრზე, კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე, განთავსებული იყო „ქართული ოცნების“ დროშები. საიას დამკვირვებელმა პოლიცია გამოიძახა. პატრულის გამოძახებიდან ერთი საათის შემდეგ დროშები კვლავ იმავე ადგილზე იყო. მოგვიანებით, ისინი ჩამოხსნეს, თუმცა, როდესაც დამკვირვებელი გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ მიბრუნდა უბანზე, პარტიული სიმბოლიკა ისევ იმ ადგილზე დახვდა. „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალა ასევე განთავსებული იყო ჩოხატაურის 1-ლი საარჩევნო უბნიდან 20 მეტრის რადიუსში, „ქართული ოცნების“ ოფისის გარე ფასადზე. საიას დამკვირვებელმა რეაგირებისთვის საპატრულო პოლიცია გამოიძახა. აგრეთვე, გარდაბნის 47-ე უბანთან მობილიზებული იყო ავტომობილები, რომლებზეც გამოსახული იყო „ქართული ოცნების“ სიმბოლიკა და საარჩევნო ნომერი.

---

[647] იხ. Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024), ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 28.01.2025.

[648] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“, 45-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

[649] იქვე, მე-80 მუხლის მე-2 ნაწილი.

5.2. 100 მეტრის რადიუსში ამომრჩევლის ფიზიკური შეფერხება, აღრიცხვა და ადამიანთა შეკრება

კენჭისყრის დღეს ასევე პრობლემური იყო საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩეველთა გადაადგილების შეფერხება, მათი აღრიცხვა, ადამიანთა შეკრება.[650] საარჩევნო უბნის მიმდებარედ მყოფი პირები აღრიცხავდნენ ხმის მისაცემად მისულ ამომრჩევლებს, აღძრავდნენ მათში თვალთვალის განცდას, იწვევდნენ დესტაბილიზაციას და ქმნიდნენ არაჯანსაღ საარჩევნო გარემოს.

პარტიული აქტივისტები პერიმეტრზე მოძრაობდნენ ამომრჩეველთა სიებით და ინიშნავდნენ კენჭისყრაში მონაწილე პირებს. ზოგ შემთხვევაში, უბანზე მისული ამომრჩეველი ჯერ იქვე მდგომ კოორდინატორებთან მიდიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ შედიოდა ხმის მისაცემად. ეს პირები საიას დამკვირვებლის მიმართ აგრესიულად იყვნენ განწყობილნი და არ აძლევდნენ ფოტო/ვიდეო გადაღების საშუალებას, გარდა ამისა, ზოგჯერ ეწეოდნენ აგიტაციას და მიჰყვებოდნენ ამომრჩევლებს უბნამდე. ხშირ შემთხვევაში, პერიმეტრზე შეკრებილი პირები არ ემორჩილებოდნენ კომისიის წევრთა თუ დამკვირვებელთა მითითებებს, დაეტოვებინათ ტერიტორია. ისინი გამოირჩეოდნენ დამკვირვებლების მიმართ უპატივცემლობით, აყენებდნენ მათ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ.

კენჭისყრის დღეს, პერიმეტრის 100-მეტრიანი რადიუსის წესის დარღვევის გამო, საიას დამკვირვებლებმა რამდენჯერმე მიმართეს საპატრულო პოლიციას, თუმცა, 3 შემთხვევაში, რამდენჯერმე განხორციელებული ზარის მიუხედავად, საპატრულო ეკიპაჟი ადგილზე საერთოდ არ გამოცხადებულა. ერთ შემთხვევაში ადგილზე მოვიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული დაუდგენელი პირი, რომელსაც ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენია. საიას დამკვირვებელმა კიდევ ერთხელ დარეკა საპატრულო პოლიციაში, რათა გაერკვია, ვინ გაიგზავნა შემთხვევის ადგილზე. ასევე, ინფორმაცია მიაწოდა შსს-ის გენერალურ ინსპექციას, თუმცა მათგან უკუკავშირი არ მიუღია. ამ ფაქტთან დაკავშირებით საბოლოო რეაგირების შესახებ ამ ეტაპზე უცნობია.

საინტერესოა ასევე ერთი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო უბანი მცირე სივრცეში, კერძო საკუთრებაში არსებულ შენობაში იყო განთავსებული. ცესკოს მიერ ნაქირავები ფართის ნაწილს კვლავ მესაკუთრე განკარგავდა, რომელიც შენობის შიგნით თუ გარეთ გადაადგილდებოდა, სხვადასხვა პირთან საუბრობდა და უბნის პერიმეტრს არ ტოვებდა. ის ამტკიცებდა, რომ შენობა მისი საკუთრება იყო და მას იქ ყოფნის ლეგიტიმაცია ჰქონდა.

ერთ-ერთი საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 40 მეტრში მობილიზებულნი იყვნენ პარტიული კოორდინატორები. მათ თან ჰქონდათ ამომრჩეველთა სია, რომელშიც ამომრჩევლის გვარის გვერდით მითითებული იყო „პასუხისმგებელი პირი“. საიას დამკვირვებელმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მოუწოდა, რეაგირება მოეხდინა ამომრჩეველთა აღრიცხვის ფაქტზე, რის შემდეგაც შეკრებილმა პირებმა ფურცლები დამალეს.

---

[650] მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა მთაწმინდის 31-ე, ვაკის 58-ე, საბურთალოს 34-ე, 35-ე, კრწანისის 21-ე, სამგორის 33-ე, ისნის მე-20, 21-ე, ჩუღურეთის მე-9, 30-ე, ნაძალადევის 24-ე, 25-ე, 36-ე, 61-ე, გლდანის მე-60, 61-ე, 73-ე, 74-ე, საგარეჯოს მე-19, ლაგოდეხის მე-2, მარნეულის 66-ე, თეთრიწყაროს 23-ე, გორის 24-ე, 95-ე, ხაშურის მე-8, 22-ე, საჩხერის მე-3, მე-5, ზესტაფონის მე-6, მე-14, ბაღდათის მე-5, ვანის 1-ელ, ქუთაისის მე-10, მე-14, 36-ე, 53-ე, ახალციხის მე-17, ნინოწმინდის მე-3, მარტვილის მე-6, სენაკის მე-15, ზუგდიდის მე-2, მე-9 და ჩოხატაურის 26-ე უბნებზე.

წინასაარჩევნო პერიოდში, საია სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად შეშფოთებას გამოხატავდა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვითაც, გამოვლინდა ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ჩამორთმევის არაერთი შემთხვევა.[651]

უმნიშვნელოვანესია რომ ამომრჩეველს ჰქონდეს თავისუფალ და მშვიდ გარემოში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამის მისაღწევად აუცილებელია დადგენილი ნორმების ეფექტიანი აღსრულება, სამართალდამრღვევთა გამოვლენა და მათთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება.

სრულად უნდა აიკრძალოს არაუფლებამოსილი პირის მიერ, მათ შორის, საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული სიების მეშვეობით, ამომრჩევლის აღრიცხვა როგორც კენჭისყრის ოთახში, ისე მის გარეთ. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ ქმედითი რეაგირება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული (პერიმეტრთან დაკავშირებული რეგულაცია) შეზღუდვების დარღვევის ფაქტებზე.

მნიშვნელოვანია ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების წარმოება, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია არჩევნების დღეს უბნის პერიმეტრზე გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ, ასევე, შესაძლებელი უნდა იყოს უწყებების რეაგირების ხარისხის შეფასება თითოეულ შემთხვევასთან მიმართებით.

არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის პრევენციისთვის, საჭიროა, არჩევნების წინა დღე სიჩუმის დღედ გამოცხადდეს.

6. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატის ბოროტად გამოყენება

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის ცესკოში 101 სადამკვირვებლო ორგანიზაცია დარეგისტრირდა.[652] მათგან ზოგიერთი, საიას ინფორმაციით, სავარაუდოდ, აფილირებულია „ქართულ ოცნებასთან“.[653] ასეთი ორგანიზაციები ცნობილია, როგორც მმართველი პარტიისადმი კეთილგანწყობილი ან „ზომბი“ ორგანიზაციები (government-friendly or “zombie” observers).[654] მათი მიზანი არ არის დარღვევების აღმოჩენა და პროცესის გაჯანსა-

[651] „ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადება სავარაუდოდ ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისა და პირადობის მოწმობების ჩამორთმევასთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sadamkvirveblo-organizaciebis-gancxadeba-6879?fbclid=IwY2xjawIOm-FleHRuA2FlbQIxMAABHUySvH4X_VzFPX903PY1peWcBV1yjtJ5fGfgKG82QoZVw4K-SkoF1qKQmdA_aem_lGCeEfBRyed1q6l53Sba5w, განახლებულია: 18.02.2025.

[652] ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/archevnebi/2024/parlamentis-archevnebi-2024/damkvirveblebi-da-media-2024-oktomberi-/singleview/11033817-tseskoshi-registrirebuli-adgilobrivi-damkvirvebeli-organizatsiebi, განახლებულია: 27.01.2025.

[653] მაგალითად, ასეთ ორგანიზაციებს, სავარაუდოდ, მიეკუთვნება ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, ა(ა)იპ „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერი“, ა(ა)იპ „ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანება“.

[654] VENICE COMMISSION, REPORT ON ELECTION OBSERVERS AS HUMAN RIGHTS DEFENDERS, Approved by the Council for Democratic Elections at its 81st meeting (Venice, 5 December 2024), para 62.

ღება, არამედ, ამ ე.წ. სადამკვირვებლო ორგანიზაციების ამოცანაა საარჩევნო უბანზე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მომხრეთა რაოდენობის გაზრდა, რაც ამ პარტიას არამართლზომიერ უპირატესობას ანიჭებს სხვებთან შედარებით.

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც დიდუბის პირველ უბანზე ერთ-ერთმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს თავი საიას წარმომადგენლად გააცნო, სინამდვილეში კი, ის საიას არ წარმოადგენდა. ეს ემსახურება სანდო ორგანიზაციების დისკრედიტაციას და, ამასთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციების შეცდომაში შეყვანას არასწორი ინფორმაციის მიწოდებით.

საიას ინფორმაციით, „ქართულ ოცნებასთან" დაახლოებული ე.წ. სადამკვირვებლო ორგანიზაციები[655] აქტიურად იყვნენ ჩართულნი საარჩევნო უბნებზე და მის გარეთ ე.წ. „ძველი ბიჭების" მობილიზებაში, რათა მათ, პირველ ყოვლისა, აღერიცხათ „ქართული ოცნების" ამომრჩევლები და შეექმნათ თვალთვალის გარემო.

დამკვირვებლის საქმიანობაში ხელის შეშლა

დამკვირვებელი კენჭისყრის დღეს სარგებლობს საარჩევნო კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებებით. მათ შორის, დამკვირვებელს უფლება აქვს, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე თვალი ადევნოს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან, დააკვირდეს ამომრჩევლის რეგისტრაციას, განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება, დაესწროს ხმის დათვლისა და შეჯამების პროცესს.[656] *დამკვირვებელს აგრეთვე შეუძლია, საარჩევნო პროცედურებისთვის ხელშეშლის გარეშე, კენჭისყრის შენობაში აწარმოოს ფოტო/ვიდეო გადაღება, გარდა კენჭისყრის კაბინისა და ამომრჩეველთა სამაგიდო სიისა.*[657]

კენჭისყრის დღეს, საიას დამკვირვებლების ნაწილს არ მიეცა თავისი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა. ეს გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, კომისიის მიერ მათი მუშაობის ხელშეშლაში (აგრესიული დამოკიდებულება და შეურაცხყოფის მიყენება,[658] *უბნიდან უსაფუძვლოდ გაძევება,*[659] *პროცედურაზე*

[655] კონკრეტულად, „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერი", „ხაშურელ მეწარმე ქალთა ასოციაცია" და სხვა.

[656] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი", 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[657] იქვე, მე-8 მუხლის 25-ე ნაწილი.

[658] გლდანის მე-60 საარჩევნო უბანზე ერთი პირი (შაკო კუჭაშვილი) გამოირჩეოდა საიას დამკვირვებლის მიმართ აგრესიით მას შემდეგ, რაც საიას მაიდენტიფიცირებელი ნიშანი დაინახა. ის საიას დამკვირვებელს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამავე ოლქის 74-ე უბანზე „ქართული ოცნებიდან" კომისიის წევრი აგრესიული იყო დამკვირვებლის მიმართ; მარტვილის მე-10 უბნის კომისიის თავმჯდომარე განსაკუთრებული აგრესიით ექცეოდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

[659] საბურთალოს ოლქის 81-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარე საიას დამკვირვებელს უბნიდან გაძევებით დაემუქრა. დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა, თუმცა არ დაურეგისტრირეს და უბნის დატოვება აიძულეს. ეს შემთხვევა საიამ საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა; მარნეულის ოლქის 22-ე უბანზე კომისიამ გააძევა „სამოქალაქო ერთობის" დამკვირვებელი, რაზეც საიას დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

არდაშვება,[660] *საჩივრის დაწერასა და ფოტოს გადაღებაში*[661] *ხელის შეშლა),*[662] *ხოლო მეორე მხრივ - უმოქმედობაში, როდესაც საიას დამკვირვებლებზე ზეწოლა მოდიოდა პარტიის წარმომადგენლების, სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ან სხვა პირების მხრიდან, ხოლო კომისიის თავმჯდომარე არ იღებდა შესაბამის ზომებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად.*[663]

*საუბნო კომისიის თავმჯდომარეებისა და წევრების მხრიდან საიას დამკვირვებლებისადმი აგრესიული დამოკიდებულება და შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები აღირიცხა ვაკის მე-15, გლდანის მე-6*0, 73-ე, 74-ე, ქუთაისის 49-ე და მარტვილის მე-10 უბნებზე. გლდანის 73-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი პირი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს „აგენტებად“ მოიხსენიებდა.

კომისიის თავმჯდომარის მხრიდან დამკვირვებელზე მუქარის ფაქტი გამოვლინდა ნაძალადევის მე-10 უბანზე. ზოგადად აგრესიული ფონის არსებობის გარდა, თავმჯდომარემ საიას დამკვირვებელს შეახსენა, რომ მანქანაში „ალესილი დანა“ ჰქონდა. *ეს შემთხვევა არაეთიკურია და შეიცავს დამკვირვებელზე ზეწოლის ნიშნებს.*

კენჭისყრის დღეს საბურთალოს 81-ე, მარნეულის 22-ე, ქუთაისის 49-ე და ზუგდიდის 65-ე უბნებიდან საიას დამკვირვებელი გაეძევეს ან დაემუქრნენ გაძევებით. გაძევების მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში, დამკვირვებლის მხრიდან საჩივრის ან შენიშვნის დაწერის მცდელობა იყო, რაზეც კომისიის წევრებს განსაკუთრებით აგრესიული რეაგირება ჰქონდათ.

ზოგიერთ შემთხვევაში საიას წარმომადგენლებს არ ჰქონდათ საარჩევნო პროცედურებზე სრულფასოვნად დაკვირვების საშუალება. კრწანისის მე-11 უბანზე დამკვირვებელს არ მიეცა ჩანაწერთა წიგნის ნახვისა და წილისყრის შედეგად გამოვლენილი ფუნქციების ნახვის შესაძლებლობა, ხოლო სამგორის 55-ე უბანზე დამკვირვებელი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჩასვეს გადასატანი ყუთის თანმხლებ პირთა წილისყრის პროცედურაში.[664]

---

[660] კრწანისის ოლქის მე-11 უბანზე დამკვირვებელს არ მიეცა შესაძლებლობა, ენახა წილისყრის შედეგები და ჩანაწერთა წიგნი, რაზეც დაიწერა საჩივარი.

[661] საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებელს საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეუშალეს. მას სურდა, ფოტო გადაეღო საოლქო კომისიაში შემოსული დაულუქავი ჩანაწერთა წიგნისთვის, თუმცა კომისიის თავმჯდომარემ ტერიტორია დაატოვებინა. დამკვირვებელმა ამ ფაქტზე საჩივარი დაწერა. ისნის მე-6 უბანზე დამკვირვებელს არ მისცეს ჩანაწერთა წიგნში შეტანილი შენიშვნისთვის ფოტოს გადაღების შესაძლებლობა. ამავე ოლქის მე-11 უბანზე დამკვირვებელს შეეზღუდა ჩანაწერთა წიგნის ჩვენება და ფოტოს გადაღება; ნაძალადევის 34-ე უბანზე დამკვირვებელს ნულოვანი ამონაწერებისთვის ფოტოს გადაღების უფლებას არ აძლევდნენ და არც შენიშვნას აწერინებდნენ, სანამ კომისიამ საკითხი ზემდგომ კომისიაში არ დააზუსტა.

[662] ზუგდიდის 65-ე საარჩევნო უბანზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს (მათ შორის, საიას წარმომადგენელს) არ აძლევდნენ საჩივრის დაწერის უფლებას, აყენებდნენ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ, რომ „ხელის შეშლის», გადაადგილების ან საუბრის შემთხვევაში, უბნიდან გააძევებდნენ; გურჯაანის მე-14 უბანზე მივიდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველი, რომელსაც თანმხლები პირი აძლევდა მითითებას, რომ ხმა მიეცა 41 ნომრისთვის. კომისიამ მას ნება დართო, შშმ პირს კაბინაში შეჰყოლოდა. საიას დამკვირვებელს სურდა ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის შეტანა, რის გამოც, კომისიის წევრებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. კომისია აღნიშნავდა, რომ საიას წარმომადგენელს ორგანიზაციისგან ჰქონდა დავალებული ბევრი საჩივრის დაწერა. საბოლოოდ, მას არ მისცეს შენიშვნის დაწერის საშუალება.

[663] მთაწმინდის 26-ე უბანზე დამკვირვებლის მიმართ ისმოდა რეპლიკები - „ეს გავაგდოთ უბნიდან». იმავე უბანზე საიას წარმომადგენელს ავიწროებდა სამკერდე ნიშნის გარეშე მყოფი არაიდენტიფიცირებადი პიროვნება, რომელმაც დროებით დატოვა უბანი, შემდეგ კი დაბრუნდა და დამკვირვებელს გაბრაზებული გამომეტყველებით და შეკრული მუშტებით მიუახლოვდა. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საიას წარმომადგენელს უბნის დატოვება მოუწია.

[664] საბოლოოდ, იგი წილისყრით არ ამოვიდა და არ გაჰყოლია გადასატან ყუთს.

მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებელს კომისიაში აქვს ფოტო/ვიდეო გადაღების უფლება, იყო შემთხვევები, როდესაც მას ამის საშუალებას არ აძლევდნენ. საბურთალოს საოლქო კომისიაში, ისნის მე-6, მე-11 და ნაძალადევის 34-ე უბნებზე *დამკვირვებელს არ გადააღებინეს ფოტო კანონით დაშვებულ სხვადასხვა დოკუმენტზე. ხოლო ნაძალადევის 34-ე უბანზე მხოლოდ საოლქო კომისიასთან გასაუბრების შემდეგ დართეს ნება, ფოტო გადაეღო ნულოვანი ამონაწერისთვის.*

საიას დამკვირვებლების ნაწილს კომისიის წევრებმა კენჭისყრის დღეს აღმოჩენილ დარღვევებზე შენიშვნის/საჩივრის დაწერის საშუალება არ მისცეს შემდეგ უბნებზე: გურჯაანის მე-2, მე-14, გარდაბნის 26-ე, ქუთაისის 49-ე და ზუგდიდის 65-ე უბნებზე. უმეტესად, მსგავს შემთხვევებს წინ უძღოდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა დამკვირვებლების მიმართ.

მართალია, დამკვირვებელს უფლება აქვს, კენჭისყრის მიმდინარეობისას გადაადგილდეს უბნის ნებისმიერ ტერიტორიაზე, თუმცა მთაწმინდის 27-ე, კრწანისის 21-ე და გურჯაანის მე-2 უბნებზე კომისიის თავმჯდომარემ მათ ამის შესაძლებლობა შეუზღუდა. შედეგად, დამკვირვებლებს არსებითი ჰრობლემები შეექმნათ ჰროცესზე დაკვირვების კუთხით.

კომისიის წევრების გარდა, დამკვირვებლებს *საქმიანობაში ხელს უშლიდნენ ჰარტიული წარმომადგენლები, სავარაუდოდ, ჰარტიასთან დაახლოებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები და სხვა არაიდენტიფიცირებადი ჰირები. ასეთ შემთხვევებს კომისიის თავმჯდომარე უმოქმედობით ჰასუხობდა, ან არ/ვერ ახდენდა სათანადო რეაგირებას.* მთაწმინდის 26-ე, ჩუღურეთის მე-9, მარნეულის 44-ე და ზუგდიდის მე-9 უბნებზე *მყოფი ჰირები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ საიას დამკვირვებლის მიმართ. მათი მხრიდან ისმოდა შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი მესიჯები. ჩუღურეთის, მარნეულისა და ზუგდიდის შემთხვევაში დამკვირვებლებმა გამოიძახეს ჰოლიცია, თუმცა მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.*

საბოლოოდ, კომისიის წევრებისა თუ სხვა ჰირების მხრიდან გამოჩენილმა აგრესიამ, სიტყვიერმა შეურაცხყოფამ და ჰროცესის განზრახ დესტაბილიზაციამ მთაწმინდის 26-ე, გურჯაანის მე-2, ქუთაისის 49-ე, საბურთალოს 81-ე *და ზუგდიდის მე-9 უბნებიდან საიას დამკვირვებლების გარიდების საჭიროება შექმნა.*

ეს შემთხვევები, საერთო ჯამში, სადამკვირვებლო მისიას ხელს უშლიდა სრულფასოვანი მონიტორინგის წარმოებაში და ქმნიდა მტრულ, დაძაბულ გარემოს უბნებზე.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, ჰარლამენტის წევრები აირჩევიან საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. შესაბამისად, არჩევნების ლეგიტიმურობისთვის, აუცილებელია, ის ჩატარდეს ამ ხუთი ჰრინციპის სრული დაცვით. 2024 წლის 26 ოქტომბრის საჰარლამენტო არჩევნებზე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამომრჩევლის ხმის ფარულობის სისტემური დაცვა. საიას დამკვირვებლებმა კენჭისყრის დღეს არაერთ უბანზე გამოავლინეს ბიულეტენზე მარკერის გაჟონვის ფაქტები. საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას კი, მისი ხილვადობის შედეგად, ირღვეოდა არჩევნების ფარულობის ჰრინციპი. საარჩევნო ურნაში ბიულეტენის მოსათავსებლად ამომრჩეველი მის ჰირს მიაბჯენდა ოჰტიკური სკანერის მიმღებ ჭრილს, რის შემდეგაც მექანიზმი ბიულეტენს

მოწყობილობის შიდა ნაწილისკენ გადააადგილებდა. ამ მომენტში კი ბიულეტენი (ნაწილ-ნაწილ) ჩარჩო-კონვერტის მიღმა რჩებოდა, რა დროსაც ირღვეოდა ხმის ფარულობა.

კენჭისყრის დღის განმავლობაში მისია იღებდა ინფორმაციას უბნებზე კამერების განთავსების შესახებ, ასევე, ცალკეულ შემთხვევებზე ბიულეტენის მეორე მხარეს მელნის გაჟონვასთან დაკავშირებით. მარკერის გაჟონვის ფაქტი საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ოლქის, ჯამში, 22 უბანზე აღირიცხა.[665]

1. ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა - მარკერის კვალის „გაჟონვა“

კენჭისყრის დღის ბოლოს, როდესაც ხმის დათვლა დასრულდა, ორგანიზაციისთვის ნათელი გახდა, რომ ხმის ფარულობის პრობლემა იყო სისტემური.

ხმის ფარულობის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არჩევნების მომზადებისა და დაგეგმვის ეტაპებზე. ადმინისტრირების არსებითი ნაწილია ბიულეტენების ბეჭდვა, რაზეც პასუხისმგებელია საარჩევნო ადმინისტრაცია. ცესკო ვალდებულია, ამ პროცესში მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა დაცული იყოს ფუნდამენტური საარჩევნო პრინციპები.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენის ფორმას, ტექსტსა და შევსების წესს, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის სახეებს, წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის ფორმასა და სახეს განკარგულებით ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.[666] საარჩევნო ბიულეტენის ბეჭდვა ხორციელდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით.[667]

26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ბიულეტენების დაბეჭდვა უზრუნველყო ცესკომ მის მიერ შერჩეული სტამბების და მის მიერვე მიწოდებული საბეჭდი ქაღალდის გამოყენებით.[668] შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოყენებული ბიულეტენი ერთი და იმავე ხარისხის იყო.

არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანომ ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ ამომრჩეველს არ დასჭირდეს საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინსტრუქციისგან განსხვავებული, დამატებითი, ინდივიდუალური ძალისხმევის გაწევა ან განსაკუთრებული ზომების მიღება საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობის დასაცავად. ხმის მიცემის ფარულობა უნდა იყოს საარჩევნო პროცესის თანმდევი, ავტომატური მახასიათებელი და არა ამომრჩევლის მხრიდან დამატებითი აქტიური მოქმედებების განხორციელების საგანი. სამწუხაროდ, ცესკომ ვერ უზრუნველყო 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ამ სტანდარტით

[665] მთაწმინდის პირველი, ვაკის 70-ე და 58-ე, საბურთალოს 27-ე, ისნის მე-18, სამგორის 28-ე და 41-ე, ნაძალადევის 22-ე და 26-ე, გლდანის მე-13, მე-15, 61-ე, 56-ე, 57-ე, 59-ე, 74-ე, ქიათურის 29-ე, ხონის მე-17, ხობის პირველი, ოზურგეთის მე-6 და ფოთის მე-16 უბნები.

[666] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 76^5-ე მუხლი.

[667] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[668] საარჩევნო ადმინისტრაცია ბიულეტენებთან დაკავშირებულ დეტალებს განმარტავს, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11035076-saarchevno-administratsia-biuletenebtan-dakavshirebuldetalebs-ganmartavs, განახლებულია: 07.03.2025.

ადმინისტრირება, ხოლო ფარულობის სისტემურ დარღვევაზე პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ამომრჩეველს დააკისრა.[669] ცესკოს წარმომადგენელთა მსგავსი პოზიციონირება არაკეთილსინდისიერი იყო, რადგან ინდივიდუალური ამომრჩევლის ქცევის მოდელი სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ სასწავლო ვიდეორგოლებს ემყარებოდა.[670]

ამომრჩევლის ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა, რომ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ათავსებს ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში ისე, რომ ბიულეტენის წინა მხარე მოექცეს ქვემოდან.[671] პროცედურის ამგვარად განსაზღვრის მიზანი სწორედ ამომრჩევლის ხმის ფარულობის დაცვა იყო. თუმცა, ცხადია ეს პროცედურა თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, თუ ამომრჩევლის მიერ გაკეთებული მონიშვნა ბიულეტენის ორივე მხრიდან იქნებოდა შეცნობადი, რაც ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა.

ჩარჩო-კონვერტი განკუთვნილი იყო და ფარავდა მხოლოდ ბიულეტენის იმ ნაწილს, რომელზეც განთავსებული იყო საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი. ბიულეტენის ზედა მხარე (საცდელი წრის განთავსების არეალი) ჩარჩო-კონვერტით არ იფარებოდა. ამას ადასტურებს ცესკოს მიერ ამომრჩევლის ინფორმირებისთვის გადაღებული და გავრცელებული ვიდეო/აუდიო მასალაც.[672]

საია საარჩევნო ადმინისტრაციას რეფორმის საწყის ეტაპზევე მიუთითებდა ხმის მიცემის პროცესის ფარულობასთან დაკავშირებით გამოვლენილ მნიშვნელოვან გამოწვევებზე. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების შემდგომ, როდესაც კრწანისის ოლქში დაიტესტა ელექტრონული ტექნოლოგიები, ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ „მარკერის საღებავის ფურცლის მეორე მხარეს გაჟონვის გამო, მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო მიცემული ხმის იდენტიფიცირება აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესში, ან, თუ აპარატი რაიმე მიზეზით მას უკან დააბრუნებდა“.[673]

მარკერის კვალის ბიულეტენის უკანა მხარეს გაჟონვის შედეგად ხმის ფარულობის დარღვევის ფაქტები საიას სადამკვირვებლო მისიამ 2022 წლის 2 აპრილის ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზეც აღრიცხა და ეს საკითხი თავის ანგარიშში ასახა.[674]

2023 წლის 1-ლი ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატისა და გურჯაანის მერის არჩევნებზე საიამ ასევე გამოავლინა ხმის

---

[669] „განცხადება კენჭისყრის პროცესთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციაზე“, 2024 წლის 30 ოქტომბერი, ცესკოს ოფიციალური YouTube-გვერდი, ხელმისაწვდომია: ttps://www.youtube.com/watch?v=VkSC31npTmE&t=199s, განახლებულია: 07.03.2025.

[670] „ვიდეოკასტი - რა უნდა ვიცოდეთ ბიულეტენის შევსების ახალი წესის შესახებ“, 2024 წლის 3 ივლისი, ცესკოს ოფიციალური YouTube-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=eZmJUN8X-Uhc&t=8s, განახლებულია: 22.11.2024. „გახსოვდეს, ბიულეტენი არ გადაკეცო“, 2024 წლის 17 ოქტომბერი, ცესკოს ოფიციალური facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia/videos/528676463327295, განახლებულია: 07.03.2025.

[671] იქვე.

[672] „ხმის მიცემის პროცედურა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით“, 2023 წლის 22 სექტემბერი, ცესკოს ოფიციალური facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=H73jjSPIqiY, განახლებულია: 07.03.2025.

[673] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022).

[674] იქვე.

ფარულობის დარღვევის შემთხვევები იმავე მიზეზით. ორგანიზაციის შეფასებით, „ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვან რისკს შეიცავდა ხმის ფარულობის დარღვევის თვალსაზრისით და ცესკოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას საჭიროებდა“.[675]

საია თავის ანგარიშებს, მოსაზრებების გაცვლის მიზნით, გამოქვეყნებამდე, პროაქტიულად უზიარებდა ცესკოს, რაც მიუთითებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ წინასწარ იცოდა ამ ხარვეზის შესახებ. ხმის ფარულობის დარღვევის რისკები საიამ 2024 წლის არჩევნებამდე ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე აღმოაჩინა და ამის შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციას წინასწარ მიმართა, რათა მას ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომები მიეღო. 2024 წლის 28 სექტემბრის №01-01/1607 წერილით[676] საიას ეცნობა, რომ ცესკოს მიერ გამართულ „შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი არის სატესტო ვერსია, შესაბამისად, კენჭისყრის დღეს ბიულეტენის ხარისხი იქნება განსხვავებული, რაც უზრუნველყოფს ფარულობის დაცვას“.[677]

მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას ნათლად მიუთითებდა ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველსაყოფად ყველა აუცილებელი ზომის მიღების საჭიროებაზე.[678]

საერთო ჯამში, არჩევნების დღეს დამკვირვებლების მიერ აღრიცხული შემთხვევების, ასევე, საჯაროდ გავრცელებული და მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაციამ დაიწყო დავა არჩევნების ერთ-ერთი პრინციპის - ფარულობის დარღვევის ფაქტზე.

ამ მიზნით, ორგანიზაციამ ყველა (73) საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინა საჩივარი და მოითხოვა იმ უბნების შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა (ჯამში, 2263 უბანი). წარდგენილი საჩივრები არცერთ საარჩევნო ოლქში არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, საიამ საოლქო კომისიების განკარგულებები გაასაჩივრა საქართველოს ყველა (24) საქალაქო/რაიონულ სასამართლოში (განსჯადობის გათვალისწინებით), ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები - თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. აღსანიშნავია, რომ, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გარდა, არცერთმა სასამართლომ და ინსტანციამ საიას მოსაზრება არ გაიზიარა.

მოგვიანებით, საიამ ცესკოში წარადგინა საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილობის მოთხოვნით, ხოლო ცესკოს განკარგულება საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ ჯერ თბილისის საქალაქო და შემდგომ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2024 წლის 18 ნოემბერს საიამ წარადგინა სარჩელი საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილობის მოთხოვნით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა.

---

[675] ოდიკაძე ნ. ,,საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ქართული გამოცდილება და პერსპექტივები" (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024).

[676] ცესკოს პასუხი საიას მიერ ბიულეტენის ხარისხზე დასმულ შეკითხვაზე, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/uploads/files/pasuxi-cesko.pdf, განახლებულია: 22.11.2024.

[677] იქვე.

[678] Venice Commission, OSCE/ODIHR, Joint opinion on draft amendments to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens, CDL-AD(2022)047 (Strasbourg: Council of Europe, 2022), ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2022)047-e, para. 41, განახლებულია: 22.11.2024.

არჩევნებზე ფარულობის დარღვევის საკითხი საქართველოს პრეზიდენტმა და რამდენიმე პარლამენტარმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მოსარჩელეები, არჩევნების საყოველთაობისა და ფარულობის პრინციპების დარღვევიდან გამომდინარე, არჩევნების მომწესრიგებელი სადავო ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდნენ. თუმცა, 29 ნოემბერს სასამართლომ სარჩელები დაუშვებლად ცნო.

საიას შეფასებით, ხმის ფარულობის მასშტაბური დარღვევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არჩევნებზე ისეთი ფუნდამენტური ზეგავლენა, რომელსაც შეეძლო კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმების პროცენტული მაჩვენებლების მოდიფიცირება და, შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგის შეცვლა. როდესაც კენჭისყრის პროცესში ხმის ფარულობასთან დაკავშირებული პრობლემები კომპლექსური და მძიმეა, ეს მნიშვნელოვნად არყევს დემოკრატიისადმი მოსახლეობის ნდობას. არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანომ არჩევნების ორგანიზება იმგვარად უნდა შეძლოს, რომ ამომრჩეველს არ დასჭირდეს საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინსტრუქციისგან განსხვავებული, დამატებითი, ინდივიდუალური ძალისხმევის გაწევა ან განსაკუთრებული ზომების მიღება საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობის დასაცავად.

საარჩევნო დავების ეფექტიანად და სამართლიანად განსჯისთვის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სკოლამ უნდა უზრუნველყონ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. გაფუჭებული ბიულეტენების შენახვის წესის დარღვევა

კანონმდებლობის მიხედვით, გაფუჭებულად მიჩნევის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს საარჩევნო სუბიექტების დანახვა, ამაგრებს მას ლითონის შემკვრელით, ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“ და ხელს მოაწერს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ინახავს ცალკე.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ჩუღურეთის პირველ, მე-8 და მე-9, ასევე, რუსთავის 49-ე უბნებზე არაერთხელ დაირღვა გაფუჭებული ბიულეტენების შენახვის წესი. მათ არ ამაგრებდნენ ლითონის შემკვრელით, ჩუღურეთის შემთხვევაში კი, ასევე აკლდა კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა.

რუსთავის ოლქის 26-ე უბანზე ამომრჩეველს, რომელმაც შეცდომით მონიშნა წრე და სურდა ბიულეტენის გამოცვლა, კომისიამ გაფუჭებულ ბიულეტენზე გააფერადებინა სხვა წრეებიც და შეაცურებინა აპარატში. შემდგომ, გაფუჭებული ბიულეტენი გააბათილეს. შესაბამისად, დაირღვა გაფუჭებული ბიულეტენის შენახვის წესი. საიას დამკვირვებელმა ამ ფაქტთან დაკავშირებით შენიშვნა დაწერა.

3. ფარულობის დარღვევის სხვა შემთხვევები

გარდა ფარულობის პრინციპის სისტემური დარღვევისა, საიას სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების დღეს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის სხვა შემთხვევებიც აღრიცხა, მათ შორის, საარჩევნო კაბინაში არაუფლებამოსილი პირების ყოფნა,[679] კაბინაში ფოტოგადაღება თუ ოჯახური ხმის მიცემა.[680] ფარულობის პრინციპი ირღვეოდა კომისიის წევრთა დაუდევრობის თუ მიზანმიმართული ქმედებების შედეგად.[681] ზოგიერთ უბანზე მოქალაქეების ნაწილს უჭირდა ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენის დამოუკიდებლად მოთავსება. ისინი საჭიროებდნენ კომისიის წევრების რეგულარულ დახმარებას, რა დროსაც ირღვეოდა ხმის ფარულობა.[682]

ზუგდიდის 42-ე და მარტვილის მე-2 უბნებზე ამომრჩეველს ბიულეტენის მოთავსებაში ეხმარებოდა არა მხოლოდ უფლებამოსილი პირი - ზედამხედველი კომისიის წევრი, არამედ კომისიის სხვა წევრებიც.[683] ზოგ შემთხვევაში, კომისიის წევრები ფიზიკურად ართმევდნენ ბიულეტენს ამომრჩეველს და თვითონ აცურებდნენ აპარატში, რა დროსაც ირღვეოდა ხმის ფარულობა.[684] ხმის მთვლელ მოწყობილობასთან თავს იყრიდა ბევრი არაუფლებამოსილი პირი,[685] რითაც იზრდებოდა ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპების დარღვევის რისკი. ხმის ფარულობის დაცვა არ იყო უზრუნველყოფილი კომისიის წევრების მიერ ბიულეტენის გაფუჭების მომენტშიც.[686]

---

[679] ქუთაისის 28 უბანზე დამკვირვებელმა აღრიცხა შემთხვევა, როდესაც დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირი ამომრჩეველს შეჰყვა კაბინაში და მიუთითა, ვისთვის უნდა მიეცა ხმა. ეს ბიულეტენი ჩაითვალა გაფუჭებულად და ამომრჩეველს ახალი ბიულეტენი გადაეცა. დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

[680] თერჯოლის ოლქის 22-ე უბანზე ამომრჩეველს საარჩევნო კაბინაში შეჰყვა მეუღლე საჭიროების დადასტურების გარეშე და, მოწოდების მიუხედავად, უარი განაცხადა გამოსვლაზე. დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა.

[681] ყვარლის ოლქის 25-ე უბანზე რეგისტრატორმა ამომრჩეველს აუხსნა ბიულეტენის გაფერადების პროცედურა და თან შესთავაზა, ადგილზე შემოეხაზა სასურველი საარჩევნო სუბიექტი. საიას დამკვირვებელმა ფაქტი გააპროტესტა, თუმცა, სანამ კომისიის თავმჯდომარეს ექნებოდა რეაგირება, იქამდე ამომრჩეველმა ღიად მონიშნა კანდიდატი. რეგისტრატორმა მიიღო ზეპირი საყვედური; ხელვაჩაურის ოლქის 27-ე უბანზე კომისიის წევრებმა აპარატთან მისულ ამომრჩეველს გამოართვეს გაფერადებული ბიულეტენი, გახსნეს ჩარჩო-კონვერტი, შეამოწმეს მონიშვნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეაცურეს მთვლელ აპარატში; ხონის მე-16 უბანზე მთვლელი მოწყობილობა ბიულეტენს უკან აბრუნებდა, რის შედეგადაც, ამომრჩეველს სამჯერ გადაეცა ახალი ბიულეტენი, თუმცა მოწყობილობა მაინც არ იღებდა ბიულეტენს. ამომრჩევლის მიერ უბნის დატოვების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე თავად ცდილობდა აპარატში ბიულეტენის მოთავსებას. მისი უკან დაბრუნების პროცესში კი ხმის ფარულობა ირღვეოდა, რაზეც საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა; გლდანის 46-ე უბანზე კომისიის წევრი იდგა საარჩევნო კაბინის უკან. დამკვირვებლის მოწოდების საფუძველზე, ხარვეზი აღმოიფხვრა; ისნის მე-40 უბანზე ასევე დაფიქსირდა ერთი ამომრჩევლისთვის ორი ბიულეტენის მიცემის შემთხვევა. ამომრჩეველს გამოუყენებელი ბიულეტენი ჩამოართვეს, ხოლო ის ბიულეტენი, რომელზეც არჩევანი უკვე დაფიქსირებული ჰქონდა, უკან დაუბრუნეს. შედეგად, მისი ხმის ფარულობა დაირღვა, რადგან კომისიის წევრებმა მისი არჩევანი დაინახეს.

[682] ვანის ოლქის მე-2 უბანზე; კრწანისის ოლქის მე-20 უბანზე ორმა ამომრჩეველმა ბიულეტენი ოთხად გადაკეცა, რის შემდეგაც კომისიის წევრებმა თვითონ გახსნეს იგი და ისე მოათავსეს აპარატში.

[683] მარტვილის ოლქის მე-2 უბანზე განთავსებული იყო ორი საარჩევნო ყუთი, რომელთანაც მუდმივად იდგა ორი პირი. მათგან ერთ-ერთი იყო კომისიის წევრი, რომელსაც სპეციალური უფლებამოსილება მინიჭებული არ ჰქონდა.

[684] ნაძალადევის მე-8 უბანზე კომისიის წევრი ამომრჩეველს ბიულეტენის მოთავსებაში ეხმარებოდა, რა დროსაც თავად აიღო იგი, მოხსნა ჩარჩო-კონვერტი და ისე შეაცურა ხმის მთვლელ აპარატში. ნაძალადევის 57-ე უბანზე, როდესაც ამომრჩევლები ხმის დათვლის აპარატში აპირებდნენ ბიულეტენის შეცურებას, მათ კომისიის წარმომადგენლები ართმევდნენ ბიულეტენს და თვითონ ათავსებდნენ მოწყობილობაში. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა გლდანის მე-3 უბანზეც. საიას დამკვირვებელმა ზეპირი შენიშვნა დააფიქსირა.

[685] ჩუღურეთის ოლქის მე-10 უბანზე.

[686] ბაღდათის ოლქის მე-13 უბანზე გაფუჭებული ბიულეტენის შენახვისას გამოჩნდა, ვის მისცა ხმა

ხონის მე-16, ტყიბულის 1-ელ (3 შემთხვევაში), მარტვილის მე-13 და ლენტეხის მე-20 უბნებზე მმართველ პარტიასთან დაკავშირებულმა პირებმა დემონსტრაციულად, საჯაროდ გააფერადეს ბიულეტენი.[687]

თეთრიწყაროს ოლქის 27-ე უბნის კომისიის „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული წევრი რეგულარულად იყურებოდა ფარული კენჭისყრის კაბინაში და თვალს ადევნებდა ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცესს. მან ეს ქმედება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის შენიშვნის შემდეგ შეწყვიტა.

მარნეულის ოლქის მე-12 უბანზე დამკვირვებელმა გამოავლინა ხმის ფარულობის დარღვევის სისტემური შემთხვევები. მას არ აძლევდნენ საჩივრის დაწერის შესაძლებლობას. მხოლოდ ცესკოს წარმომადგენლის უბანზე მისვლის და სიტუაციაში გარკვევის შემდეგ მოხერხდა საჩივრის დარეგისტრირება. კომისიის წევრები თავს იყრიდნენ ხმის მთვლელ მოწყობილობებთან. ისინი ართმევდნენ ამომრჩეველს ბიულეტენს, იღებდნენ ჩარჩო-კონვერტიდან და მხოლოდ ამის შემდეგ აცურებდნენ აპარატში, რა დროსაც შესაძლებელი იყო მოქალაქეების მიერ გამოვლენილი ნების იდენტიფიცირება. ამავე უბანზე „ქართული ოცნების“ მიერ დამონტაჟებული ვიდეოკამერა აღბეჭდავდა ხმის მთვლელ მოწყობილობაში ბიულეტენის მოთავსების მომენტს.

საარჩევნო უბანზე სამკერდე მოწმობის გარეშე იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ იქ ამომრჩევლის სტატუსით იყვნენ. ისინი რეგულარულად შედიოდნენ კაბინაში და ამომრჩეველს აფერადებინებდნენ ბიულეტენს. აღსანიშნავია, რომ უბანზე ასევე რეგისტრირებული იყო ე.წ. სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართლის ობსერვერის“ 4 დამკვირვებელი,[688] რომლებიც ასევე ამომრჩეველთან ერთად შედიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინაში. დამკვირვებლის მიერ კომისიის თავმჯდომარესთან ამ საკითხის დასმის მიუხედავად, ისინი არ ტოვებდნენ უბნის ტერიტორიას.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, კენჭისყრის კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია.[689] საიამ არჩევნების დღეს კაბინაში ბიულეტენის ფოტოგადაღების 17 შემთხვევა გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლის მოწოდების შემთხვევაში, ამომრჩევლები ზოგჯერ ამისგან თავს იკავებდნენ, ზოგჯერ კი მაინც ახერხებდნენ ფოტოს გადაღებას. ნაძალადევის ოლქის 63-ე უბანზე სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ასოციაცია თავისუფლების თაობამ“ ფოტო გადაუღო ამომრჩევლის ბიულეტენს. ამავე უბანზე, კენჭისყრის დღის მიწურულს, განსაკუთრებით გახშირდა მოქალაქეების მიერ საკუთარი ბიულეტენების ფოტოგადაღების შემთხვევები, რა-

---

ამომრჩეველმა. ვაკის მე-15 უბანზე ამომრჩეველმა ბიულეტენის გამოცვლა ითხოვა, რადგან გადახაზული იყო უკანა მხრიდან. ბიულეტენის გაფუჭების მომენტში გამოჩნდა მისი არჩევანი.

[687] ხონის მე-16 და ტყიბულის 1-ელ უბნებზე ამომრჩეველმა რეგისტრატორის თანდასწრებით გააფერადა ბიულეტენი, რაზეც ამ უკანასკნელს რეაგირება არ მოუხდენია. ხონის შემთხვევაში, დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ, რეგისტრატორმა გამოხატა აგრესია და აღნიშნა, რომ ამომრჩეველს ამის უფლება ჰქონდა. მსგავსი 3 ფაქტი დაფიქსირდა ტყიბულის ოლქის 1-ელ უბანზე. დამკვირვებლის პროტესტის შემდეგ თავად რეგისტრატორმაც საჯაროდ გააფერადა ბიულეტენი. სამივე შემთხვევაში არჩევანი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ იყო გაკეთებული. დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა. მარტვილის ოლქის მე-13 უბანზე სოფლის რწმუნებულის მოადგილემ საჯაროდ გააფერადა კანდიდატი. ლენტეხის მე-20 უბანზე რეგისტრატორმა აგრეთვე კაბინის გარეთ გააფერადა ბიულეტენი. კომისიის წევრმა მმართველი პარტიის ნომერი ყველას დასანახად შემოხაზა. ამავე უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ასევე ღიად, კაბინის გარეთ გააფერადა ბიულეტენი.

[688] საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვს ერთი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის არაუმეტეს ერთ დამკვირვებელს.

[689] იქვე.

ზეც კომისიის თავმჯდომარე მათ შენიშვნას აძლევდა. დამკვირვებელმა 8 ასეთი შემთხვევა აღნუსხა.

საბურთალოს 81-ე უბნის კომისიის წევრი[690] ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენს ფოტოს უღებდა. მოქალაქემ ის თავად გააფრთხილა, რომ ამგვარი ქმედება შეეწყვიტა, თუმცა, მან ფოტო მაინც გადაიღო. ქუთაისის ოლქის მე-11 უბანზე ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი პერმანენტულად უღებდა ვიდეოს ამომრჩევლებს ბიულეტენის მოთავსების მომენტში. დამკვირვებელმა ამასთან დაკავშირებით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, თუმცა, ვინაიდან ამას არ მოჰყვა სათანადო რეაგირება, დაწერა შენიშვნა.

ძალადობრივი ფაქტები და წესრიგის დარღვევა უბანზე

კენჭისყრის დღეს საქართველოს მასშტაბით გარკვეულ უბნებზე გამოვლინდა ძალადობრივი ფაქტები, კენჭისყრის პროცესის ჩაშლის მცდელობა და საარჩევნო ინვენტარის დაზიანების შემთხვევები.

საიას თანამშრომელს/დამკვირვებელს გიორგი გოცირიძეს მარნეულის მე-5 უბანზე კომისიის წევრი, ასევე, უბნის გარეთ მყოფი უცნობი პირი თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ადგილზე გამოიძახეს პოლიცია. გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით. დამკვირვებელი გამოჰკითხეს, თუმცა შემდეგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ უცნობია.

ბაღდათის 23-ე უბანზე უცნობმა მამაკაცმა დააზიანა და დაამტვრია საარჩევნო ტექნიკა. ადგილზე გამოიძახეს პოლიცია. ინციდენტის გამო, კომისიის თავმჯდომარეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. კენჭისყრის პროცესი შეჩერდა, თუმცა სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ ხმის მიცემა ძველი წესით გაგრძელდა.

უბნის შიგნით წესრიგის დარღვევის შემთხვევა დაფიქსირდა გლდანის მე-19 უბანზეც. გაურკვეველი პირი აწყობდა პროვოკაციებს, ქმნიდა არასტაბილურ გარემოს და არეულობას. ამავე ოლქის მე-6 უბანზე ასევე შეინიშნებოდა ხმაური, კამათი და ქაოსის შექმნის მცდელობა, რითაც ხელი ეშლებოდა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებას. კომისიის თავმჯდომარე ვერ უზრუნველყოფდა სიტუაციის განმუხტვას და თავს არიდებდა კონფლიქტურ სიტუაციას. ამასთან დაკავშირებით საიას დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა.

ზუგდიდის მე-9 საარჩევნო უბანზე მოხდა ინციდენტი, რა დროსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთი ორგანიზაციის დამკვირვებელს. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, პოლიციას ადგილზე არავითარი სამართლებრივი დოკუმენტი არ შეუდგენია. მან დამკვირვებელი უბნიდან გააძევა, ხოლო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს დამშვიდებისკენ მოუწოდა. ეს უკანასკნელი საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას სისტემატურად ახდენდა გავლენას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე. მოუწოდებდა, საიას დამკვირვებლისთვის არ მიეცა ფოტოების გადაღების შესაძლებლობა და ისიც გაეძევებინა უბნიდან. შექმნილი მტრული გარემოს გამო, საიას მოუწია, დამკვირვებელი ჩაენაცვლებინა. ამავე უბანზე, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ აქტივისტები „კოალიცია ცვლილებისთვის“ წარმომადგენლის ოჯახის წევრებს დაესხნენ თავს.[691] იგივე პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ დამკვირვებლებს და ოლ-

[690] თამთა არღვლიანი.

[691] ზუგდიდის მე-9 უბანზე „კოალიცია ცვლილებისთვის» წარმომადგენლის ოჯახის წევრებს დაესხნენ

ქის წევრებს.[692] საიამ ამ ფაქტებზე რეაგირების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა, თუმცა, 5 მარტის მდგომარეობით, სამართალდამცავ ორგანოს პასუხი არ დაუბრუნებია.

ქუთაისის მე-14 უბანზე „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებლებს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება.

კენჭისყრის დღეს ძალადობრივი ქმედებების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მედიის საშუალებითაც. ამ შემთხვევაშიც, ძალადობის ობიექტები იყვნენ დამკვირვებლები, მედიისა და პარტიების წარმომადგენლები. გლდანის მე-60 საარჩევნო უბანზე დაპირისპირება მოხდა „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს შორის (ეს უკანასკნელი უბანზე „დამკვირვებლის“ სტატუსით იმყოფებოდა). უბნის ტერიტორიაზე იყვნენ ასევე ე.წ. ქუჩის ბიჭები.[693]

ისნის 51-ე საარჩევნო უბანზე მოქალაქეები მაიდენტიფიცირებელი საბუთის გარეშე და ცივი იარაღით მივიდნენ.[694] ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა მათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები მოსთხოვეს, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ამ დროს საარჩევნო უბანზე საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გარეშე მისულ ერთ-ერთ მოქალაქეს („ქართული ოცნების“ აქტივისტს) ცივი იარაღი დაუვარდა. მედიის მიერ გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომელი, ნივთმტკიცების დალუქვის ნაცვლად, მის დაფარვას ცდილობს. საიამ ამ ფაქტზე რეაგირებასთან დაკავშირებით შსს-დან ინფორმაცია გამოითხოვა, თუმცა უწყებას პასუხი ამ დრომდე არ დაუბრუნებია.

ბათუმის მე-17 საარჩევნო უბანთან „ქართული ოცნების“ კოორდინატორები დაუპირისპირდნენ ჟურნალისტს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა იკითხა, რატომ იდგა უბნის მიმდებარედ სამარშრუტო ტაქსი, რომელში მსხდომი პირებიც ადგილზე მისულ ამომრჩევლებს საკუთარ სიებში ამოწმებდნენ. „ქართული ოცნების“ კოორდინატორი საარჩევნო უბნიდან გამოვიდა, საიდენტიფიკაციო სამკერდე ნიშანი მოიხსნა და მედიის წარმომადგენლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.[695]

თელავის მუნიციპალიტეტში, ქვემო ხოდაშენის მე-16 საარჩევნო უბანზე „მთავარი არხის» გადამღებ ჯგუფს პარტიული აქტივისტები დაუპირისპირდნენ, ტექნიკა წაართვეს და მათ გაძევებას შეეცადნენ. ამ ინციდენტზე რეაგირება არ ჰქონია არც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და არც პოლიციას, რომელმაც მხოლოდ ის განაცხადა, რომ საქმე სპეციალურ სამსახურს გადაეცა.[696]

თავს, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/168117-zugdidshi-me-9-ubanze-koalitsia-tsvlilebistvis, განახლებულია: 22.01.2025.

[692] წითლიძე: ზუგდიდში ოცნების ზონდერი ფიზიკურად უსწორდება დამკვირვებლებს და ოლქის წევრებს, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/119007, განახლებულია: 22.01.2025.

[693] „დამკვირვებელი» კუჭაშვილი და სუს-ის მიერ მართული „ქუჩის ბიჭები» გლდანში - ერთ-ერთ უბანზე დაპირისპირება იყო, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/168087-damkvirvebeli-kuchashvili-sus-mier-martuli-kuchis, განახლებულია: 22.01.2025.

[694] „ისანი-სამგორის საარჩევნო უბანზე მოქალაქეები ცივი იარაღით გადაადგილდებოდნენ“, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/119050, განახლებულია: 22.01.2025.

[695] „ინციდენტი ბათუმში - „ოცნების» კოორდინატორი მედიის წარმომადგენლებს სიტყვიერად დაუპირისპირდა“, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/168112-intsidenti-batumshi-otsnebis-koordinatori-mediis, განახლებულია: 22.01.2025.

[696] „ქვემო ხოდაშენის საარჩევნო უბანთან „მთავარი არხის» გადამღებ ჯგუფს სუსის მიერ მობილიზებული პირები დაუპირისპირდნენ“, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/168109-kvemo-khodashenis-saarchevno-ubantan-mtavari, განახლებულია: 22.01.2025.

აუცილებელია, უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შენარჩუნდეს მშვიდი საარჩევნო გარემო, რათა ამომრჩევლებმა შეძლონ თავიანთი ნების თავისუფლად გამოვლენა. ზემოთ ხსენებული ძალადობრივი ფაქტები კი ამას ხელს უშლის. პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ ე.წ. პარტაქტივის მობილიზებისა და ამომრჩევლებზე ზეწოლისგან. ხოლო, სამართალდამცავმა ორგანოებმა, თავის მხრივ, უნდა განახორციელონ ეფექტიანი კონტროლი და აღკვეთონ ძალადობის შემთხვევები.

ხარვეზები ამომრჩეველთა სიაში

საიას სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების დღეს გამოავლინა ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიასთან დაკავშირებული არაერთი ხარვეზი.

ბაღდათის ოლქის 1-ელ უბანზე ამომრჩეველი შეყვანილი იყო სპეციალურ სიაში ისე, რომ არ იცოდა ამის შესახებ. აღსანიშნავია, რომ იგი არ მიეკუთვნებოდა ამ სიაში შესაყვან პირთა წრეს. ამომრჩეველმა ვერ შეძლო ხმის მიცემა.

რუსთავის ოლქის 29-ე უბანზე, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეებმა ერთსა და იმავე დროს აიღეს რეგისტრაციის მისამართის არმქონე პირის მოწმობა, ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ ერთი მათგანი იყო შეყვანილი.

საზღვარგარეთ მე-5, მე-13,[697] მე-19, 50-ე, 51-ე უბნებზე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი იმყოფებოდა საკონსულო აღრიცხვაზე, თუმცა არ ფიქსირდებოდა ამომრჩეველთა სიაში, რის გამოც, ვერ შეძლო არჩევნებში მონაწილეობა.[698]

გლდანის 74-ე უბანზე, ამომრჩევლის თქმით, მის მისამართზე ჩაწერილები იყვნენ უცხო პირები, რომლებიც არჩევნების დღემდე ამ მისამართზე არ ფიქსირდებოდნენ.

გლდანის მე-19 უბანზე მოქალაქემ სიაში აღმოაჩინა თავისი გარდაცვლილი ძმა.

ჩუღურეთის ოლქის მე-4 უბანზე ამომრჩეველმა ვერ შეძლო ხმის მიცემა იმ უბანზე, რომელზეც იყო რეგისტრირებული, რადგანაც პატიმართა სპეციალური სიიდან არ იყო ამოღებული. ამასთან დაკავშირებით საიას დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა.

ხონის ოლქის მე-3 უბანზე 3 ამომრჩეველი არ იყო სიაში, რის გამოც, მათ ვერ შეძლეს ხმის მიცემა. ცესკოს ამომრჩეველთა რეესტრის მიხედვით, ეს ადამიანები არცერთი უბნისთვის განკუთვნილ სიაში არ მოიძებნნენ. ამომრჩევლებს ახალი აღებული ჰქონდათ პირადობის მოწმობები, რაც, შესაძლოა, სიაში მათი არყოფნის მიზეზი ყოფილიყო.

ხობის მე-3 საარჩევნო უბანზე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ხუთმა ამომრჩეველმა ვერ გაიარა ვერიფიკაციის პროცესი ვერც აპარატით და ვერც ხელით მონაცემების შეყვანით. მათ არ მიეცათ ხმის მიცემის შესაძლებლობა, რადგან მათი მონაცემები ბაზაში ვერ მოიძებნა. ამის მიზეზი, როგორც გაირკვა, იყო პირადობის მოწმობის დაგვიანებული დამზადება, რის გამოც, სისტემაში მათი მონაცემები არ ფიქსირდებოდა.

[697] პირმა 13 სექტემბერს მიიღო შეტყობინება საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის თაობაზე.
[698] მე-5 უბანზე - 4 შემთხვევა; მე-13 უბანზე - 1 შემთხვევა; მე-19 უბანზე - 3 შემთხვევა; 50-ე უბანზე - 1 შემთხვევა; 51-ე უბანზე - 4 შემთხვევა.

26 ოქტომბრის არჩევნებზე ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიამ უარყოფითად შეაფასა, საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, ვადაგასული ID ბარათის მქონე პირების ამოღება ამომრჩეველთა სიიდან.[699]

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურების დარღვევა

კენჭისყრის დღეს მოქალაქემ საიას მიაწოდა ინფორმაცია თბილისში, სარკინეთის ქუჩაზე გადასატანი საარჩევნო ყუთის მიტოვების შესახებ. ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, რომ ყუთის სიახლოვეს არ არიან კომისიის წევრები, ხოლო ყუთში მოთავსებულია ბიულეტენები.[700]

საბურთალოს 72-ე უბანზე გადასატანი ყუთი დაბრუნდა დაულუქავ მდგომარეობაში. ამ მიზეზით, კომისიამ ბათილად ცნო მასში არსებული ბიულეტენები. გადასატანი ყუთი დაულუქავ მდგომარეობაში დაბრუნდა გარდაბნის 51-ე და რუსთავის მე-13 უბნებზეც. რუსთავის შემთხვევაში, დაიწერა საჩივარი. წყალტუბოს ოლქის 24-ე უბანზე დაბრუნებულ გადასატან ყუთს მხოლოდ ჭრილი ჰქონდა დალუქული, ხოლო გვერდებზე არ ჰქონდა დაკრული ლუქის ნომრები. შემთხვევა საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრდა.

მარნეულის 35-ე უბანზე გადასატანი ყუთი მოვიდა დაგვიანებით, რაც შენიშვნის დაწერის საფუძველი გახდა. შენიშვნა დაიწერა ასევე ნაძალადევის 35-ე უბანზე, რადგან კომისიას დაავიწყდა გადასატანი ყუთისათვის მეტალის სამაგრების გაყოლება, ხოლო თავმჯდომარემ მითითება გასცა, რომ პროცესი სამაგრების გარეშე გაეგრძელებინათ. ამავე ოლქის 68-ე უბანზე გადასატანი ყუთი დაულუქავ მდგომარეობაში დაბრუნდა, რაზეც დამკვირვებელმა შენიშვნა დაწერა. ვაკის მე-3 და ნაძალადევის 68-ე უბნებზე გადასატანი ყუთი დაბრუნდა ბიულეტენის მოსათავსებელი ჭრილის ლუქის გარეშე. გვერდითი ლუქების გარეშე დაბრუნდა გადასატანი ყუთი საბურთალოს ოლქის 89-ე უბანზე. დამკვირვებელმა სამივე შემთხვევაში დაწერა შენიშვნა.

გლდანის 43-ე უბანზე გადასატანი ყუთის წამღები კომისიის წევრებისთვის გადაცემული 5 ბიულეტენიდან უბანზე დაბრუნდა მხოლოდ 4, შესაბამისად, 1 მათგანი დაიკარგა. ამ ფაქტზე საიამ ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა დააფიქსირა. ორი ბიულეტენი დაიკარგა ისნის ოლქის 21-ე უბნის გადასატანი ყუთის შემთხვევაშიც. უბნიდან გავიდა 65 ბიულეტენი, ხმა მისცა 48 ამომრჩეველმა, ხოლო უკან დააბრუნეს 15 გამოუყენებელი ბიულეტენი, ნაცვლად 17-ისა. ამ ფაქტზეც დაიწერა შენიშვნა.

თელავის ოლქის მე-17 უბნიდან გადასატანი ყუთი ისე გავიდა, რომ წილისყრით გამოვლენილი დამკვირვებელი არ გააყოლეს. კომისიის თავმჯდომარეს არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია, ვინ გაჰყვა ყუთს და ვერც მათთან დაკავშირებას ახერხებდა. ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

ხარაგაულის 30-ე უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებმა კომისიის წევრებმა, ყუთის სიის ნაცვლად, თან წაიღეს კედლის სია, ხოლო გადასატანი ყუთის

[699] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024), ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 31.01.2025.

[700] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?extid=MSG-UNK-UNK-UNK-COM_GK0T-GK1C&v=515392554701353, განახლებულია: 31.01.2025.

სია კედელზე გააკრეს. ამ მიზეზით, ამომრჩევლებმა ვერ შეძლეს შესაბამის გრაფაში ხელის მოწერა.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, გადასატანი ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩევლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს. მიუხედავად ამისა, ვანის პირველ უბანზე გადასატანი ყუთის სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3.31 პროცენტს. უბნის თავმჯდომარის განმარტებით, ეს ნებადართული იყო საოლქო საარჩევნო კომისიისგან.

შედეგების დათვლა და შეჯამება

1. ბიულეტენების ბათილობა/ნამდვილობა

არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების მიხედვით, ამომრჩეველმა სპეციალური მარკერით უნდა გააფერადოს ან მონიშნოს მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი პარტიის სახელწოდების წინ არსებული წრის შიდა სივრცე. ბიულეტენი ბათილია, თუ: გაფერადებულია/მონიშნულია ნებისმიერი ფორმით ერთზე მეტი პარტიის სახელწოდების წინ არსებული წრის შიდა სივრცე; არ არის გაფერადებული/მონიშნული არცერთი პარტიის სახელწოდების წინ არსებული წრის შიდა სივრცე. ამ წესის დარღვევით შევსებული და ყუთში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი, კანონმდებლობის თანახმად, ბათილად უნდა ჩაითვალოს. ხოლო კომისიას არ აქვს დისკრეცია, ბიულეტენების დათვლის პროცესში გასცდეს ცესკოს №230/2024 განკარგულებით განსაზღვრულ წესს.

26 ოქტომბრის არჩევნებზე, არაერთ შემთხვევაში, ხმების ელექტრონული დათვლის კატეგორიულობისგან განსხვავებით (აპარატი მიცემულ ხმად აღიქვამდა მხოლოდ წრის გაფერადებას), საარჩევნო კომისიები ხელით დათვლის დროს ყურადღებას აქცევდნენ ამომრჩევლის მიერ გამოვლენილ ნებას. ამ შემთხვევებში, მთვლელი აპარატის მიერ ბიულეტენების გაბათილების ძირითადი მიზეზი საარჩევნო ბიულეტენზე წრის არასწორი მონიშვნა, გარედან შემოხაზვა ან ნების სხვაგვარი გამოხატვა გახდა, რომელიც არ შეესაბამებოდა აპარატის მიერ აღქმად კატეგორიულ მონიშვნას.

ოზურგეთის ოლქის მე-15 უბანზე საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების დათვლის დროს ნამდვილად ჩათვალა ბიულეტენი, რომელიც ხმის მთვლელი მოწყობილობის მიერ ბათილად იყო მიჩნეული. შედეგად, „ქართულ ოცნებას“ მოემატა 1 ხმა. საიას დამკვირვებელმა ამ ფაქტზე დაწერა საჩივარი. ასევე, ისნის ოლქის 21-ე უბანზე კომისიამ ნამდვილად მიიჩნია ბიულეტენი, რომელზეც არცერთი წრე არ იყო გაფერადებული, არამედ მონიშვნა გაკეთებული იყო წრის გვერდით. ხმის მთვლელი აპარატის მიერ გაბათილებული ბიულეტენი კომისიამ ნამდვილად მიიჩნია თეთრიწყაროს ოლქის 22-ე უბანზეც. ორივე შემთხვევაში, დაიწერა საჩივარი.

ნინოწმინდის მე-2 და 26-ე უბნებზე ელექტრონული მთვლელი აპარატის მიერ ბათილად მიჩნეული ბიულეტენები (პირველ შემთხვევაში - 4, ხოლო მეორე შემთხვევაში - 6), ხელით დათვლის შედეგად, დაემატა „ქართულ ოცნებას“.

მნიშვნელოვანია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ზედმიწევნით შეასრულონ კანონის მოთხოვნა და საკუთარი დისკრეციით არ გადაწყვიტონ ბიულეტენის ბათილობის და ნამდვილობის საკითხი ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ უბნებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცესკო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები დამრღვევი კომისიის წევრების წინააღმდეგ.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა

პრობლემური იყო საარჩევნო დოკუმენტაციის სათანადო წესით წარმოება. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ოლქებში საარჩევნო დოკუმენტაცია ზოგჯერ დაულუქავ მდგომარეობაში იგზავნებოდა.[701]

საბურთალოს ოლქის 65-ე უბნიდან, ოლქის ნაცვლად, ჩანაწერთა წიგნი პირდაპირ საწყობში გაიგზავნა. ყველა შემთხვევაში, ორგანიზაციის დამკვირვებლებმა დაწერეს საჩივარი.

კომისიის წევრის მიერ ფუნქციის არასათანადოდ შესრულების სხვა შემთხვევები

ზოგიერთ უბანზე, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, შეინიშნებოდა კომისიის წევრების არაორგანიზებულობა და დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას გამოვლენილი არაპროფესიონალიზმი. *კომისიის წევრებს უჭირდათ პროცესის ეფექტიანად და თანმიმდევრულად წარმართვა, რაც აფერხებდა კენჭისყრის მიმდინარეობას.*

მთაწმინდის 27-ე საარჩევნო უბანზე რეგისტრატორი ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში პირადობის მოწმობებს ამოტრიალებულ მდგომარეობაში ატარებდა, რის გამოც, მოწყობილობა შეფერხებით მუშაობდა და, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ახერხებდა მოწმობების წაკითხვას.

ჩოხატაურის ოლქის 25-ე უბანზე კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრის დღის შემაჯამებელი ოქმი შეავსო ხმის მთვლელი აპარატიდან ამობეჭდილი და არა მთვლელების მიერ გადათვლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მონაცემები მცირედით განსხვავდებოდა. საიას დამკვირვებელმა ამ ფაქტზე დაწერა საჩივარი.

ყვარლის ოლქის 25-ე უბანზე რეგისტრატორმა ამომრჩეველს აუხსნა ბიულეტენის გაფერადების პროცედურა და თან შესთავაზა, ადგილზე შემოეხაზა სასურველი საარჩევნო სუბიექტი. საიას დამკვირვებელმა ფაქტი გააპროტესტა, თუმცა, სანამ კომისიის თავმჯდომარეს რეაგირება ექნებოდა, ამომრჩეველმა ღიად მონიშნა კანდიდატი. რეგისტრატორმა მიიღო ზეპირი საყვედური.

ხონის ოლქის მე-17 უბანზე კომისიის რეგისტრატორ წევრს ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციის მომენტში არ ჰქონდა პირადობის მოწმობა. დამკვირვებლის მოთხოვნით, წავიდა და მოიტანა.

ვაკის მე-2 უბანზე ცესკოს წარმომადგენელს არ ეკეთა ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი, რომელიც საიას დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ გაიკეთა.

ნაძალადევის 57-ე უბანზე ამომრჩევლებს კომისიის წარმომადგენლები ართმევდნენ ბიულეტენს და თვითონ ათავსებდნენ მოწყობილობაში. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა გლდანის მე-3 უბანზეც. საიას დამკვირვებელმა ზეპირი შენიშვნა დაა-

[701] კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი ოლქს დაულუქავ მდგომარეობაში ჩაჰბარდა შემდეგი უბნებიდან: კრწანისის ოლქის მე-3, ისნის 24-ე, გლდანის მე-6, კასპის 24-ე, ქობულეთის მე-13, მარნეულის მე-7, მე-10, მე-13, 22-ე, 24-ე, 32-ე, 33-ე, 35-ე, 36-ე, 44-ე, 62-ე, 66-ე, 67-ე, 73-ე, 74-ე, საბურთალოს მე-2, მე-3, მე-4, მე-10, მე-14, მე-15, 22-ე, 27-ე, 32-ე, 33-ე, 36-ე, 46-ე, 48-ე, 52-ე, 62-ე, 68-ე, 69-ე, 70-ე, 72-ე, 77-ე, 81-ე, 91-ე, ჩუღურეთის მე-2, მე-8, მე-11, 26-ე, 28-ე, 39-ე, 53-ე უბნები.

ფიქსირა. კომისიის წევრის განმარტებით, მათ ტრენინგზე უთხრეს, რომ დახმარება აღმოეჩინათ ამომრჩევლებისთვის.

საჩხერის მე-5 უბანზე ამომრჩეველმა ითხოვა ბიულეტენის გამოცვლა, ვინაიდან, მისი თქმით, მონიშვნა შეეშალა, რაზეც კომისიის წევრმა უარი განუცხადა. ამასობაში, უბნის თავმჯდომარემ ბიულეტენი თავად შეაცურა აპარატში. აღსანიშნავია, რომ, საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, არასწორი მონიშვნის შემთხვევაში, ბიულეტენის ყუთში მოთავსებამდე, ამომრჩეველს შეუძლია, მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს არასწორად მონიშნული ბიულეტენის შეცვლა.[702] თავმჯდომარე ვალდებულია, ამომრჩეველს შეუცვალოს ბიულეტენი.[703] გარდა ამისა, კომისიის თავმჯდომარეს უფლება არ აქვს, თვითნებურად, ამომრჩევლის თანხმობის გარეშე მოათავსოს ბიულეტენი მთვლელ აპარატში.

ისნის ოლქის მე-12 უბანზე 06:45 საათზე დამკვირვებლის მისვლისას საარჩევნო ყუთი უკვე დალუქული იყო. დამკვირვებელს უარი უთხრეს ლუქის მოხსნაზე და იმის გადამოწმებაზე, ცარიელი იყო თუ არა ურნა. თავმჯდომარის განმარტებით, კომისიამ ყველაფერი წინასწარ მოამზადა. ფაქტი გასაჩივრდა ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო ყუთები უნდა დაილუქოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კენჭისყრის დღეს, უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე დროის მონაკვეთში.[704] ამ პროცედურის წინასწარ ჩატარება დაუშვებელია.

საბურთალოს 22-ე უბანზე ჩანაწერთა წიგნში არ შეჰქონდათ ინფორმაცია კომისიის წევრების გამოუცხადებლობის შესახებ. დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ ხარვეზი აღმოიფხვრა.

გორის ოლქის 67-ე უბანზე კენჭისყრის დაწყებიდან 2 საათის შემდეგაც კი ჩანაწერთა წიგნში არ იყო შეტანილი საარჩევნო ყუთების ლუქების ნომრები. კომისიის განმარტებით, მიზეზი ის იყო, რომ ჩანაწერთა წიგნში შესაბამისი ველების რაოდენობა და ლუქის ნომრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

გურჯაანის მე-8, საბურთალოს 38-ე და 41-ე უბნებზე კომისიის წევრები ფუნქციებს ისე ცვლიდნენ ერთმანეთში, რომ ჩანაწერთა წიგნში ამის შესახებ ინფორმაციას არ ასახავდნენ. საია დამკვირვებელთა ზეპირი შენიშვნის შემდეგ დარღვევები აღმოიფხვრა.

საბურთალოს ოლქის 72-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი ვერ ახერხებდა თავისი უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებას, რის შედეგადაც, უბანზე თავს იყრიდა ბევრი ადამიანი და იქმნებოდა ქაოსი.

საზღვარგარეთის მე-11 უბანზე კომისიის თავმჯდომარეს უჭირდა თავისი უფლებამოსილების შესრულება, რასაც კომისიის სხვა წევრები ითავსებდნენ. თავმჯდომარის განმარტებით, კომისიის წევრებს არ გაუვლიათ შესაბამისი ტრენინგი და მათ „იმეცადინეს“ „საკუთარი ძალებით“.

ქუთაისის ოლქის 43-ე უბანზე რეგისტრატორმა ამომრჩეველს არ აუხსნა ხმის მიცემის შესაბამისი პროცედურები, არ გააფერადებინა ბიულეტენზე საცდელი წრე და ისე მოათავსებინა ურნაში. ამ ფაქტზე საიას დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, თუ-

[702] იხ. ცესკოს №230/2024 განკარგულების დანართი.
[703] იქვე.
[704] საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია (საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისთვის).

მცა უშედეგოდ - მსგავსი შემთხვევა კვლავ განმეორდა. ამის შემდეგ საჩივარი დაიწერა ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაშიც.

საბურთალოს 23-ე უბანზე არ გამოცხადდა სამი რეგისტრატორი. შესაბამისად, ეს ფუნქცია კომისიის სხვა წევრებს მიენიჭათ, თუმცა ინფორმაცია ჩანაწერთა წიგნში არ აისახა. დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ ხარვეზი აღმოიფხვრა.

კრწანისის ოლქის მე-9 უბანზე კენჭისყრის დაწყებიდან 2 საათში 4 რეგისტრატორიდან 3 შეიცვალა. ცვლილება არ იყო გამოწვეული რაიმე ფორსმაჟორით. დამკვირვებელმა დააფიქსირა ზეპირი შენიშვნა თავმჯდომარის მიმართ, თუმცა დარღვევა არ გამოსწორებულა. ამ 3 რეგისტრატორიდან ორი მათგანი, მოგვიანებით, კვლავ დაუბრუნდა გამოვლენილი ფუნქციის შესრულებას. ორივე ინციდენტზე საიამ დაწერა საჩივარი.

გორის ოლქის 42-ე უბანზე კომისიის წევრმა პარტია „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ უარი განაცხადა კომისიის წევრისთვის განკუთვნილი ფორმის ჩაცმაზე, ხოლო რუსთავის მე-3 უბანზე კომისიის წევრმა უარი თქვა სამკერდე საიდენტიფიკაციო ნიშნის გაკეთებაზე.

სამგორის ოლქის მე-15 უბანზე რეგისტრატორმა თვითნებურად, უმიზეზოდ უარი განაცხადა მოვალეობის შესრულებაზე.

ვაკის 34-ე უბანზე, ვერიფიკაციის აპარატში თერმული ქაღალდის ამოწურვის გამო, ვერ მოხერხდა ამომრჩევლის მიერ შესაბამის ქვითარზე ხელმოწერა. კომისიამ მოწყობილობაში მათავსა ქაღალდი, თუმცა ქვითარი მაინც არ ამოიბეჭდა. კომისიამ შეადგინა აქტი და გადაიღო ამომრჩევლის პირადობის მოწმობის ასლი, რაზეც მას ხელი მოაწერინეს. საბოლოოდ, აქტის ნაცვლად, ყუთში პირადობის ასლი ჩააგდეს და აქტი ცალკე შეინახეს.

ხარაგაულის 30-ე უბანზე დარღვევით შეივსო საკონტროლო ფურცელი, დაიწერა ახსნა-განმარტებაც.

ყვარლის 21-ე უბანზე პარტიის წარმომადგენლებს არ ეკეთათ სამკერდე საიდენტიფიკაციო ნიშნები, რომლებიც დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ გაიკეთეს.

მთაწმინდის მე-14 უბანზე ერთ-ერთი ამომრჩევლის რეგისტრაციისას ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ქვითარი ამომრჩევლის ხელმოწერის გარეშე გადაგდეს სანაგვე ყუთში.

ყვარლის 26-ე უბანზე ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ მეხსიერების ბარათი ჯიბეში ჰქონდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბარათი მას უსაფრთხოების მიზნით ჩააბარა.

გარდაბნის 26-ე და გლდანის 47-ე უბანზე კომისიის წევრებმა ალკოჰოლი მიიღეს.

საბურთალოს ოლქის 24-ე უბანზე, დამკვირვებლის მოთხოვნის მიუხედავად, შემაჯამებელი ოქმის ასლზე ბეჭედი და ხელმოწერები არ გააკეთეს, რაზეც დაიწერა საჩივარი.

საბურთალოს 41-ე უბანზე ამომრჩეველმა ბიულეტენი მოათავსა ხმის მთვლელ აპარატში, შემდეგ კი აღნიშნა, რომ არავინ გაუფერადებია, ამიტომ ხმა ხელახლა უნდა მიეცა. თავდაპირველად, კომისიამ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, თუმცა საიას დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ, ამომრჩეველს ამის უფლება აღარ მისცეს.

საზღვარგარეთის 50-ე უბანზე სამაგიდო სიების დალუქვის პროცესში აღმოჩნდა,

რომ რეგისტრატორ კომისიის წევრებს ხელი არ ჰქონდათ მოწერილი შესაბამის გრაფებში.

ზუგდიდის ოლქის მე-9 უბანზე ხმის მთვლელი აპარატებიდან ამობეჭდილ შემაჯამებელ ქვითარს თავმჯდომარემ ბეჭედი არ დაარტყა. მრავალჯერადი მოწოდების შემდეგ დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

კომისიის საქმიანობაში არაუფლებამოსილი პირის ჩარევა

დიდუბის ოლქის მე-2 უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი ჩაანაცვლა ოლქიდან გამოგზავნილმა, კომისიის არაწევრმა ტექნიკოსმა. ეს ცვლილება კომისიის მდივნის მიერ ჩანაწერთა წიგნშიც არ ასახულა. საიას დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა.

სამგორის მე-15 უბანზე ამომრჩეველთა დახმარების პროცესში ჩართული იყო ტექნიკოსი. ზუგდიდის მე-2 უბანზე ერთ-ერთი დამკვირვებელი, რომელსაც საიდენტიფიკაციო ნიშანი არ ეკეთა, ამომრჩეველს დაეხმარა აპარატში ბიულეტენის მოთავსებაში, მაშინ, როდესაც კომისიის წევრები იქ იყვნენ. დამკვირვებელს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება. რუსთავის 49-ე უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ერეოდა კომისიის საქმეში და ამოწმებდა, იყო თუ არა ამომრჩეველი რეგისტრირებული იმ უბანზე. საბურთალოს 39-ე უბანზე საიას დამკვირვებელმა შენიშნა, რომ „თავისუფალი ხმის“ დამკვირვებელი ჩართული იყო აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესში და ეხმარებოდა ამომრჩევლებს ტექნიკურ საკითხებში. საიას დამკვირვებლის მითითებით, კომისიის თავმჯდომარემ მას შენიშვნა მისცა. ნაძალადევის 33-ე უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მითითებებს აძლევდა თავმჯდომარეს: „გადასატანი ყუთი აღარ მიგვაქვს? გაამზადე და წაიღე, რას ელოდები?“.

ქობულეთის ოლქის 52-ე უბანზე დამკვირვებლები კომისიის წევრების ფუნქციებში ერეოდნენ, ამომრჩევლებს აძლევდნენ მითითებებს და ასწავლიდნენ უბანზე მოქცევის წესებს, რაც იწვევდა დამატებით ხმაურს და კენჭისყრის პროცესის შეფერხებას. გლდანის ოლქის 23-ე უბანზე კომისიის წევრებს უჭირდათ თავიანთი ფუნქციების შესრულება, რადგან მათ საქმიანობაში ერეოდნენ დამკვირვებლები, პარტიის წარმომადგენლები და ამომრჩევლებს აძლევდნენ მითითებებს. ორივე შემთხვევაში დაიწერა შენიშვნა.

ხაშურის ოლქის მე-14 უბანზე ბიულეტენების ხელით დათვლის პროცესში მონაწილეობდნენ კომისიის სხვა წევრები, რომლებიც წილისყრის პროცედურაში არ ყოფილან ჩართულნი. ზეპირი მითითების მიუხედავად, თავმჯდომარემ ხარვეზი არ გამოასწორა, შესაბამისად, დაიწერა საჩივარი.